

რუსული პოეზია

([ანა ახმატოვა](#), [ალექსანდრე პუშკინი](#), [მარინა ცვეტაევა](#),
[მიხეილ ლერმონტოვი](#), [ალექსანდრე ბლოკი](#),
[ოსიპ მანდელშტამი](#), [ტატიანა სნეჟინა](#), [სერგეი ესენინი](#),
[იოსებ ბროდსკი](#), [ათანასე ფეტი](#), [თედორე ტიუტჩევი](#),
[ნიკოლაი ზაბოლოცკი](#), [ბორის პასტერნაკი](#),
[ბულატ ოკუჯავა](#))

Русская Поэзия

([Анна Ахматова](#), [Александр Пушкин](#),
[Марина Цветаева](#), [Михаил Лермонтов](#), [Александр Блок](#),
[Осип Мандельштам](#), [Татьяна Снежина](#), [Сергей Есенин](#),
[Иосиф Бродский](#), [Афанасий Фет](#), [Фёдор Тютчев](#),
[Николай Заболоцкий](#), [Борис Пастернак](#),
[Булат Окуджава](#))

თარგმნა ოთარ ცისკაძემ

Перевел Отар Цискадзе

2023 წელი

სარჩევი

1. ანა ახმატოვა - Анна Ахматова	13
1. დამასაფლავე, დამკრძაღვე ქარო!.....	14
2. უკანასკნელი სადღეგრძელო.....	16
3. სხივს ვევედრები სარკმლის	17
4. ჭის ფსკერზე თეთრი ქვასავით ელავს	18
5. მომინახულე, თუ შეძლებ.....	19
6. რუხთვალეზა მეფე.....	20
7. საღამოს შუქი ქარცია, ვრცელი.....	22
8. ბრძნულად ცხოვრების შევძელი სწავლა	23
9. წარსულს მიაბობს მუხა შრიალით	25
10. ორშაბათი. ღამე. ოცდაერთი.....	26
11. საბაჟოს თავზე ვხედავ მქრქალ ალამს	27
12. ეშმაკმა არ გამცა, ვქმენ საქმნელი.....	28
13. ტკბილი სუნი ასდის ყურძნის მტევნებს	29
14. სიყვარული	30
15. შემცდარხარ	31
16. ვედარ ვილიმი, სავსე ნაღველით.....	32
17. რეკვიემი.....	33
18. სიყვარული მოტყუებით იპყრობს.....	50
19. არ მსურს თავი გაგრძნობინო მშვიდად.....	51
20. გუგულს ვკითხე ბედისწერით.....	52
21. თეთრ ღამეში	53
22. ღამით.....	54
23. არც გვიან გავჩნდი ქვეყნად, არც ადრე... ..	55
24. წადი, დამტოვე მუსიკის წყვილად.....	56
25. დიდხანს მდგომარე ჯოჯოხეთის მასიურ კართან	57
26. შეყვარებულმა ახალმთვარობის	58
27. არ გთხოვ სიყვარულს, ვით დაგაძალო?!	60
28. ო, უფლისწულო, თვალს ნუ იბრმავებ!	62
29. დამქანცა შენმა დიდხანს ნამზერმა	64
30. წინ დაღმართია, შეღამებულა.....	66
31. ნუ შემაშინებ სასტიკი ხვედრით.....	67
32. საღამოს.....	69

33. სტუმარი	71
34. იშვიათად გიხსენებ და აღარც.....	73
35. სხვისო ტყვევ! სხვისი განა მსურს რამე?	75
36. საათის გუგულს ვგავარ ცხოვრებით.....	76
37. ეს მოედნები რარივ ვრცელია.....	77
38. იცის დღეები ზამთრის მიწურულს.....	79
39. გულში მზის ხსოვნა იკლებს... ..	80
40. დავხეტიალობ და გემალები.....	82
41. დამივიწყებენ? - რა გამაკვირვებთ!.....	83
42. შეღებულია კარი... ..	84
43. წყლისა და ტკბილი ღვინის დაღევას.....	86
44. გზააბნეულ და ლატაკ, ჭირმრავალ.....	88
45. ტრფობაც წამერთვა და საფანელიც	90
46. რატომ მოწამლეთ ჩემი სასმელი	91
47. საიასალო სიტყვა ფრთოსანი.....	92
48. აგვისტო.....	93
49. ბოლო შეხვედრის სიმღერა.....	95
50. მუშტს მიფარავდა მუქი მანდილი.....	97
51. კვლავ გვთენთავდა გაზაფხული იდუმალი.....	99
52. მოტყუება	101
2. ალექსანდრე პუშკინი - Александр Пушкин	107
1. მე თქვენ მიყვარდით.....	108
2. ნუ მღერ ლამაზო, ნუ მწვავ ნაღვერდლით.....	109
3. საქართველოს მთებზე	111
4. კ-ს (მახსოვს ის წამი ნათილისმარი)	112
5. ტუსადი	114
6. დროა, ძვირფასო, დროა!... ..	115
7. ანგელოსი	116
8. შემომემარცვა ყველა სურვილი.....	117
9. აღორძინება.....	118
10. ე.ი. ოგარიოვის ქალისადმი	119
11. ღამე	120
12. ღრუბელი	121
13. ბულბული და ვარდი.....	122
14. კავშირი გაწყდა: ყოველივე უკვე დასრულდა.....	123

15. ელეგია	124
16. პოეტს	125
17. პასუხი ფ. ტ.-ს	127
18. ყვავილი	128
19. პოეტი	130
20. პორტრეტი	132
21. ჭეშმარიტება	133
22. შენ დამიცავი, ჩემო თილისმავ	135
23. თუ ვხეტილობ ქუჩაბანდებში	137
24. ჩიტუნა	139
25. ჩემს მოკეთებებს.....	140
26. წინასწარმეტყველი.....	141
27. სიძვირფასით გვიანი ყვავილები	143
28. შენ და თქვენ	144
29. რას ნიშნავს შენთვის ჩემი სახელი?	145
30. შემთხვევითი და ფუჭი წყალობა	147
31. გამომიცდია ბრძოლა, მიყვარს ხმალთაკვეთება	148
32. პროზაიკოსი და პოეტი	149
33. ძეგლი	150
34. სტანსები	152
35. ნუ მეკითხები მჭმუნვარე ფიქრი... ..	154
36. თუ გაგიმწარა ყოფამ გუნება.....	155
37. რაც ნაკლებ ვყვარობთ დიაცს სასურველს (ევგენი ონეგინიდან).....	156
38. ესპანური რომანსი	157
39. ყორანი ყორნისკენ მიქრის	159
40. ზამთრის საღამო	161
41. თავისუფლების მთესი ნარჩევი	163
3. მარინა ცვეტაევა - Марина Цветаева	165
1. ახალ წელს შევხვდი მიტოვებული.....	166
2. გაყრის ბოშური ჟინი... ..	167
3. ვაცქერდები მღვრიე სარკეს	168
4. მე - ფურცელი ვარ, შენ კი - კალამი.....	169
5. მეზღვაური.....	170
6. მხეცს - სამალი (ალექსანდრე ბლოკს).....	171
7. შეცდომა.....	172

8. მომწონს, რომ ჩემით თქვენ არ ავადობთ.....	174
9. ყოველი ლექსი ტრფობით იშობა	176
10. გალურსმული	177
11. მაშინდელ ლექსებს... ..	179
12. სული და სახელი	180
13. ორი მზე ნელდება, - ღმერთო, გვიმოხე!	181
14. ვერ იცურებს გემი მუდამ	182
15. თუ დაიბადა ფრთასხმული სული	183
16. გხედავ იერით ჩემგვარს	184
17. აგვისტო	186
18. ოთხიდან შვიდ საათამდე.....	188
19. ლოცვა	189
20. ქალაქში ღამე მრუმე ფრთებს შლის	191
21. წადი! – უკვე არ ვინანებ.....	193
22. ბნელეთი - გრიგალი - სოდომი.....	195
23. ქარაოცობა - საამო ბრალი	196
24. შობის ქალბატონი.....	197
25. ახალგაზრდობა	198
26. ანა ახმატოვას	200
4. მიხეილ ლერმონტოვი - Михаил Лермонтов	202
1. ლოცვა (დედაო ღვთისავ, წრფელი ლოცვებით)	203
2. მე შენ წინაშე არ დავმდაბლდები.....	205
3. აფრა.....	206
4. მე ბაირონი არ ვარ.....	207
5. ცხოვრების თასი.....	208
6. ჩემი დემონი.....	209
7. არც სამოთხის და არც ცის დასების.....	211
8. ვარსკვლავი.....	212
9. წინასწარმეტყველება	213
10. სიზმარი	215
11. ლოცვა	217
12. ქნარი	218
13. სადამო.....	220
14. შეთხელდებიან ნისლის ქულები.....	222
5. ალექსანდრე ბლოკი - Александр Блок.....	224

1. როცა დღის გაგანს ღამე განდევნის	225
2. ზაფხულის საღამო	226
3. დღის ყველა მრუდი აჩრდილი მირზის	227
4. არის წუთები, ციებ-ცხელებით.....	228
5. განათდეს ღამე მთვარის არილით.....	229
6. გაზაფხულია მინდვრად, რეკს ზარი.....	231
7. უქმად გავიდა დღე გაზაფხულის.....	232
8. შენ მეტს ცხოვრობდი, მე კი - ვგალობდი	233
9. შეხე - ჩრდილისკენ მივემართები	235
10. როცა გადამღლის დღე ჩამომქრალი... ..	237
11. მე მეშინია შენთან შეხვედრის	239
12. თავს ვეღარ ვიქცევ გემების მოსვლით.....	241
13. ჩემი ან სხვისი არ იქნები როდისმე, მედვრად... ..	243
14. შევფარებივარ ბნელ ეკვდერს, ვიდრე.....	245
15. წლები გადის და აღარ ბრუნდება	247
16. ცხოვრება მოლოდინში განვლილი	251
17. კლეოპატრა	255
18. გაზაფხულის მწუხრი, ტალღის ხმაური... ..	259
19. ძნელია თავი მოაჩვენო არდაღუპულად	261
20. როცა კაცთაგან დევნილს, დალახვრილს	262
21. გამოკრთებოდა სევდა, ვიდოდით.....	264
22. არარსებობის ბნელ უფსკრულებში	265
6. ოსიპ მანდელშტამი - Осип Мандельштам.....	266
1. შენს მტანჯველ სახეს, მერყევს საოცრად	267
2. ო, როგორ გვიყვარს მამებლობა.....	268
3. მოცემულ სხეულს ცუდს რას შევკადრებ	269
4. ლენინგრადი.....	271
5. გამოუთქმელი სევდისგან თრთოლვით.....	273
6. სიზმრად ვხედავ თბილისს ზურგაზნექილს.....	274
7. როდესაც დილით რვაჯერ ჩამოჰკრავს.....	276
8. ქარი თხელ რტოებს არხევს, ორწილად	278
9. მძულს უამრავი ვარსკვლავის... ..	280
7. ტატიანა სნეჟინა (პეჩენკინა) – Татьяна Снежина (Печенкина).....	282
1. თუ ეს სიცოცხლე ადრე შეწყდება	283

2. არ გამომლანძლოთ.....	285
3. იყავი ჩემთან	287
4. მიხმე და შენთან მოვალ.....	289
5. სიყვარული არ დაგავიწყდეთ.....	293
8. სერგეი ესენინი – Сергей Есенин	297
1. თეთრი არყის ხეა... ..	298
2. შოთხვი	300
3. შენ მითხარი, რომ საადი	302
4. ცისფერი კოფთა და ლურჯ თვალთა სინათლე.....	304
5. ტბაზე დაფიონი ალისფერად ელავს.....	305
6. მთვარიან ბინდში, ლურჯფერ სადამოს	307
7. გზა მშვიდობისა, მეგობარო, გზა მშვიდობისა!.....	308
8. ნანატრო მხარეც, გულს ესიზმრება.....	309
9. მინათე ჩემო ვარსკვლავო ბნელი	311
10. ვერცხლისხმიანო ზარო, დარეკვით... ..	313
11. ლურჯი ნისლი და თოვლის ტრამალი	314
12. ქათქათა პერანგი, ყირმიზი ზოსტერი	316
13. ახანძრდა ლურჯი დასალიერი	318
14. მოსაღამოვდა... ..	320
15. მითხარი, ვერცხლისფერო თემშარავ... ..	322
16. სიმღერა	323
17. მიდი, მაკოცე მწველი ამბორით.....	324
18. ნეკერჩხალო ჩემო, ტანშიშველო, მზრალლო	326
19. როკაპი	328
20. წიწიბურების თაველთა ცქერამ... ..	330
21. ო, რა ღამეა განსაკვირველი!	332
22. ნუ მიღიმი ცალყბად, ხელისგულთა ფშვნეტით	334
23. ადრეულადვე ყველა, განგებით.....	335
24. ატარებ მწვანე ნაწნავთ.....	337
25. ისევ ვესტუმრე მშობლიურ მხარეს.....	339
26. ვინ ვარ? რა ვარ? - მეოცნებე მხოლოდ... ..	341
27. ველად თოვლბუქი ტრიალებს მკვირცხლი.....	343
28. უკვე არ ვნანობ, აღარ ვუხმობ და აღარც ვტირი.....	344
29. შენი შეხედვით დარდით ვილევი.....	346
30. ბედნიერება უგნური	348

31. ვერ დაიბრუნებ ვერასდროს განვლილს.....	350
32. ნუ მიყურებ საყვედურით - მწყრალი	352
33. ბედნიერება არსებობს, მჯერა.....	354
34. შოთხვს ყვავილები თოვლივით სცვივა	356
35. შაგანე ჩემო, ჩემო შაგანე!.....	358
36. განა იქროლეს ფუჭად ქარებმა	360
9. იოსებ ბროდსკი – Иосиф Бродский	362
1. ზამთრის საღამო იალტაში.....	363
2. ფხვნის ჩრდილოეთი მეტალს, თუმცა დაზოგავს მინას (ციკლიდან „მეტყველების ნაწილი“)	365
3. წრფის ბოლოს მუდამ თვალსაჩინოდ მოჩანს წერტილი	367
4. რამდენ ხანს ვქელავ მიწას - ქუსლი გვიჩვენებს ხამლის	369
5. ოთახში დარჩი, გარეთ გასვლა არ დააპირო	371
6. ურანიასადმი	373
7. ბოლოსიტყვაობა იგავისთვის.....	375
8. ვემშვიდობები წაჩურჩულებით.....	377
9. ოდისევსი ტელემაქეს	378
10. ჭკუიდან კი არ შევიშლები, ზაფხული დამღლის.....	380
11. რომაული ელეგიები - I.....	381
12. რომაული ელეგიები - II	383
13. რომაული ელეგიები - III	385
10. ათანასე ფეტი – Афанасий Фет	387
1. სიკვდილი	388
2. გაზაფხულის წვიმა.....	390
3. ავე მარია.....	391
4. რა ღამეა, რა კამკამა ჰაერი!.....	392
5. დაუნდობარ ბრბოს, მბრწყინავ ნათურებს.....	393
6. გაზაფხულის მთვარე გამოცურდა ჯანღში.....	394
7. ჩინარი	396
8. მცირე ჩქამი განაბულის.....	397
9. მაისის ღამე.....	398
10. ისევ მაისის ღამე.....	399
11. მე მოვედი შენთან საღამით	401
11. თედორე ტიუტჩევი –Фёдор Тютчев	403

1. Silentium*	404
2. გაზაფხულის ელჭექი.....	406
3. უკანასკნელი სიყვარული	408
4. ო, ეს სამხრეთი, ოი, ეს ნიცა!..	410
5. ვერვინ ჩაწვდება გამჭრიახობით...	411
6. ბუსნოდან ცაში აიჭრა ძერა	412
7. თუმცა ბარში მაქვს თავშესაფარი.....	413
8. ერიდე განსჯას და საფიქრალეებს!.....	415
9. წმინდა ღამე	416
10. ჩვენი ნათქვამის შედეგს ვერ გავთვლით	418
11. დილა მთებში	419
12. თავსატეხი.....	420
13. ჩვენი დრო.....	421
14. დეკემბრის დილა.....	422
12. ნიკოლაი ზაბოლოცკი – Николай Заболоцкий.....	423
1. უშნო გოგონა.....	424
13. ბორის პასტერნაკი – Борис Пастернак.....	426
1. სხვათა ტრფიალის მძიმეა ჯვარი	427
2. ჰამლეტი	428
3. გაზაფხული	430
4. სახელგანთქმულის ნუ გსურს არჩივი...	431
5. ვიზრდებოდი და განიმედივით...	433
6. ზამთრის ღამე.....	435
7. მარტი	437
8. ზაფხული ქალაქში	439
9. ნობელის პრემია.....	441
10. ქარი	443
11. სვია.....	445
12. სიზმარი.....	446
13. ნეტავ წინასწარ მცოდნოდა ხვედრი	448
14. იმპროვიზაცია.....	450
15. სახიფათოა, თუკი პოეტს შეუყვარდები	452
16. თებერვალი	454
17. აგვისტო.....	456
14. ბულატ ოკუჯავა – Булат Окуджава	460

1. ქართული სიმღერა (ყურძნის წიპწა)	461
2. ფრანსუა ვიონის ლოცვა	463
3. თქვენო კეთილშობილებავ, ქალბატონო განშორებავ!	465

ოთარ ცისკაძის თარგმანთა წიგნის შესახებ

ოთარ ცისკაძე (დ. 1967) - ნიჭიერი ქართველი პოეტი და მთარგმნელია (რუსული და ინგლისური ენებიდან).

როგორც პოეტი, იგი ავტორია ორი პოეტური კრებულისა, რომელთაგან ერთ-ერთმა „გამოცხადებამ“ (2010) მაღალი შეფასება დაიმსახურა ადგილობრივ პრესაში.

ძალზე ნაყოფიერია ცისკაძის მთარგმნელობითი მოღვაწეობა. კერძოდ, მან ქართულად თარგმნა რუსი, ინგლისელი და ამერიკელი კლასიკოსი პოეტების 900-ზე მეტი (!) ლექსი. თარგმანები მაღალ ლიტერატურულ დონეზეა შესრულებული.

2015 წელს „ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის“ მიერ გამოცხადებულ მთარგმნელთა კონკურსზე გამარჯვების შედეგად დაიბეჭდა ოთარ ცისკაძის მიერ თარგმნილი ჯორჯ გორდონ ბაირონის ლექსების კრებული (გამოიცა „ცენტრისა“ და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით).

ცისკაძის მრავალი თარგმანი დაბეჭდილია გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე.

დარწმუნებული ვარ, რომ რუსი კლასიკოსი პოეტების - ა.პუშკინის, მ.ლერმონტოვის, თ.ტიუტჩევის, ა.ფეტის, ა.ბლოკის, ა.ახმატოვას, მ.ცვეტაევის, ს.ესენინის, ბ.პასტერნაკის ლექსთა თარგმანები ქართველი მკითხველის მოწონებას დაიმსახურებს.

2017 წ.

გულბათ ტორაძე

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი,
საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

О книге переводов Отара Цискадзе

Отар Цискадзе (р. 1967) – талантливый грузинский поэт и переводчик (с русского и английского языков).

Как поэт, он автор двух поэтических сборников, из которых издан один – «Явление» (2010), получивший высокую оценку в местной прессе.

Исключительно продуктивна деятельность Цискадзе, как переводчика. В частности, он перевел на грузинский язык более 900(!) стихотворений русских, английских и американских поэтов-классиков.

Переводы осуществлены на высоком литературном уровне. В недавнем прошлом была издана книга переводов стихов Джорджа Гордона Байрона, которая в 2015 г. была удостоена премии на конкурсе поэтов-переводчиков «Национального центра грузинской книги» (издана при поддержке «Центра» и Министерства культуры Грузии).

Многие переводы Цискадзе печатались на страницах газеты «Литератури Сакартвело» («Литературная Грузия»).

Можно не сомневаться, что переводы стихов русских поэтов-классиков А. Пушкина, М. Лермонтова, Ф. Тютчева, А. Фета, А. Блока, А. Ахматовой, М. Цветаевой, С. Есенина, Б. Пастернака получают одобрение грузинского читателя.

2017 г.

Гулбат Торадзе

Профессор Тбилисской консерватории,
Заслуженный деятель искусств Грузии



ანა ახმატოვა - Анна Ахматова
(1889-1966)

[↑](#) თავში

1. დამასაფლავე, დამკრძალებ ქარო!..

დამასაფლავე, დამკრძალებ ქარო!
ნათესავებმა ვერ შეძლეს მოსვლა,
ცთომილი მწუხრი ჩემ მაღლა ხარობს,
წყნარ მიწის სუნთქვას ისევ ვგრძნობ ცხოვლად.

თავისუფალი ვიყავ შენდარი,
სიცოცხლე ქვეყნად ძალიან მსურდა,
ხედავ, გაცივდა ჩემი ცხედარი,
არვინ დამიკრეფს ხელებს, არც მსუდრავს!

დაფარე ჩემი ჭრილობის დაღი
საღამოს ბინდის გალამუნებით
და აიძულე ცისფერი ჯანღი,
რომ მიგალობოს მკვდარს ფსალმუნები!

უკანასკნელად წვეული ძილით
რომ მიწიერი ყოფა დასრულდეს;
ახშიანე მაღალი ისლი,
თქვას გაზაფხულზე, ჩემს გაზაფხულზე!

26 იანვარი, 2020 წ.

Хорони, хорони меня, ветер!..

Хорони, хорони меня, ветер!
Родные мои не пришли,
Надо мною блуждающий вечер
И дыханье тихой земли.

Я была, как и ты, свободной,
Но я слишком хотела жить.
Видишь, ветер, мой труп холодный,
И некому руки сложить.

Закрой эту черную рану
Покровом вечерней тьмы
И вели голубому туману
Надо мною читать псалмы.

Чтобы мне легко, одинокой,
Отойти к последнему сну,
Прошуми высокой осокой
Про весну, про мою весну.

2. უკანასკნელი სადღეგრძელო

ჭიქით დავლოცავ მოშლილ კერას,
ჩემს სიბედკრულეს,
რომ მარტოობის გავხდით წერა,
ვერ მიერთგულე,

მაგ გულცივ მზერას, ბევრჯერ გამცემ
შენს მზაკვარ ენას,
სასტიკ საწუთროს, მის სიმკაცრეს, -
ღვთის არ შეწევნას!

21 იანვარი, 2020 წ.

Последний тост

Я пью за разоренный дом,
За злую жизнь мою,
За одиночество вдвоем,
И за тебя я пью,—

За ложь меня предавших губ,
За мертвый холод глаз,
За то, что мир жесток и груб,
За то, что Бог не спас.

27 июня 1934, Шереметьевский Дом

3. სხივს ვევედრები სარკმლის

სხივს ვევედრები სარკმლის,
მკრთალია, სწორი, წვრილი,
დილიდან ვდუმვარ, სათქმლის
ჩამკვლელი, გულდაჭრილი.

გამწვანებულა მუქად
ძველ ხელსაბანის რვალი,
ზედ მოთამაშე შუქით
ხარობს, სეირობს თვალი.

მწუხრის დუმილში ხარბად
ვუმზერ უბრალოს, ურყვენელს,
ადებს ცარიელ დარბაზს
ზეიმურ ოქროს ვარაყს,
ნუგემს მგვრის და მაკურთხებს.

14 თებერვალი, 2020 წ.

Молюсь оконному лучу -
Он бледен, тонок, прям.
Сегодня я с утра молчу,
А сердце - пополам.

На ручкойнике моем
Позеленела медь.
Но так играет луч на нем,
Что весело глядеть.

Такой невинный и простой
В вечерней тишине,
Но в этой храмине пустой
Он словно праздник золотой
И утешенье мне.

1909

4. ჭის ფსკერზე თეთრი ქვასავით ელავს

ჭის ფსკერზე თეთრი ქვასავით ელავს
ხსოვნა, რომელიც არ მინავლდება,
არ მემეტება დასავიწყებლად,
ის ლხენაცაა, ტანჯვა-წვალებაც.

ჩამაცქერდება ვინც კი თვალებში,
სულ არ სჭირდება ნიჭი მისნობის,
ჩაფიქრდება და ავსებს ნაღველი,
მწუხარე ამბის გულისხმისყოფით.

კაცს რომ აქცევდა ნივთად ღვთაება,
გონს არ უკლავდა, არ ასვენებდა -
რათა ეტანჯა მუდმივ ვაებას;
შენ კი ქცეულხარ ჩემს გახსენებად...

15 თებერვალი, მირქმა, 2020 წ.

Как белый камень в глубине колодца

Как белый камень в глубине колодца,
Лежит во мне одно воспоминанье.
Я не могу и не хочу бороться:....
Оно — веселье и оно — страданье.

Мне кажется, что тот, кто близко взглянет
В мои глаза, его увидит сразу.
Печальней и задумчивее станет
Внимающего скорбному рассказу.

Я ведаю, что боги превращали
Людей в предметы, не убив сознанья,
Чтоб вечно жили дивные печали.
Ты превращен в мое воспоминание.....

5 июня 1916, Слепнево

5. მომინახულე, თუ შეძლებ

მომინახულე, თუ შეძლებ,
სანამ ჩამიკრავს სამარე,
ვერვინ გამითბობს ცივ ხელებს,
ბაგემ დადადყო: „მაკმარე!“

სარკმელთან დგამენ სავარძელს,
რათა ვუმზერდე თემზარას,
ნუთუ ისევ შენ გაძაგებ,
როცა წუხილი შემზარავს?!

ქვეყნად არარა მაშინებს,
ფერმკრთალს, ნაწვალებს ქოშინით,
მაკრთობს თუმც დამე მაშინვე,
სიზმრად მაგ თვალთა ფოფინით.

24 თებერვალი, 2020 წ.

Приходи на меня посмотреть

Приходи на меня посмотреть.
Приходи. Я живая. Мне больно.
Этих рук никому не согреть,
Эти губы сказали: "Довольно!"

Каждый вечер подносят к окну
Мое кресло. Я вижу дороги.
О, тебя ли, тебя ль упрекну
последнюю горечь тревоги!

Не боюсь на земле ничего,
В задыханьях тяжелых бледнея.
Только ночи страшны оттого,
Что глаза твои вижу во сне я.

6. რუხთვალეზა მეფე

სასოწარმკვეთო მწუხარებაჲ, დიდება შენდა!
რუხთვალა მეფეს წუხელ მისი მზე ჩაუსვენდა.

სთველის მიმწუხრის დახუთული ამინდი იდგა,
როდესაც სახლში შემოსულმა ქმარმა თქვა მშვიდად:

„ნადირობიდან მოასვენეს გვამი მეუფის,
მისი ცხედარი უპოვიათ ახლოს ბერმუხის.

შემებრალეზა დედოფალი, ნორჩი ასერიგ!..
სულ ერთ ღამეში შეერია თმაში ნასერი!“

ბუხრის თაროდან ჩამოიღო ჩიბუხის ტარი
და მოიხურა ღამის ცვლაში წასულმა კარი.

ჩემს მძინარ ასულს გავაღვიძებ დაუხანებლივ,
მომნატრებია რადგან ცქერა რუხი თვალეზის.

შარიშურობენ დარაბების მიღმა ალვები:
„დაგემშვიდობა შენი მეფე გარდაცვალებით...“

9 თებერვალი, წმ. იოანე ოქროპირის ხს. დღე, 2020 წ.

Сероглазый король

Слава тебе, безысходная боль!
Умер вчера сероглазый король.

Вечер осенний был душен и ал,
Муж мой, вернувшись, спокойно сказал:

«Знаешь, с охоты его принесли,
Тело у старого дуба нашли.»

Жаль королеву. Такой молодой!..
За ночь одну она стала седой».

Трубку свою на камине нашёл
И на работу ночную ушёл.

Дочку мою я сейчас разбужу,
В серые глазки ее погляжу.

А за окном шелестят тополя:
«Нет на земле твоего короля...»

<p>11 декабря 1910</p>Царское Село

7. სადამოს შუქი ქარცია, ვრცელი

სადამოს შუქი ქარცია, ვრცელი,
აპრილის ნაზი დარია, გრილი.
დაიგვიანე მრავალი წელი...
მოხარული ვარ თუმც მანც ხილვის.

მომიახლოვდი გადაჩვეული,
თვალში ჩამხედე მოალერსებით,
ნახე ცისფერი ჩემი რვეული,
გადავსებული ბავშვურ ლექსებით!

შემინდე ჩემი გმინვა-ვაება,
ხშირად არ ვიყავ მზით ბედნიერი,
გთხოვ მაპატიო, რომ შენს ხატებად
მე მიმიღია ძალიან ბევრი.

22 თებერვალი, 2020 წ.

Широк и желт вечерний свет,
Нежна апрельская прохлада.
Ты опоздал на много лет,...
Но все-таки тебе я рада.

Сюда ко мне поближе сядь,
Гляди веселыми глазами:
Вот эта синяя тетрадь -
С моими детскими стихами.

Прости, что я жила скорбя
И солнцу радовалась мало.
Прости, прости, что за тебя
Я слишком многих принимала.

1915

8. ბრძნულად ცხოვრების შევძელი სწავლა

ბრძნულად ცხოვრების შევძელი სწავლა,
ღმრთისადმი ლოცვა აპყრობით ხელის,
საღამოს სახეტილოდ წასვლა,
მოთოკვა არასაჭირო დელვის.

როცა შრიალებს ბირკავა დელის,
ტოტზე ცირცელი დაიწყებს სხმარტალს,
ხოტბას შევასხამ მხიარულ ლექსით
წარმავალ ყოფას, ხრწნადსა და წარმტაცს.

შინ დაბრუნებულს ბამბურა კატა
ნებს მილოკავს და გულს მილბობს კვრინვით
და სამხერხაოს კომკურაც ტბასთან
აკაშკაშდება დაისის ბრწყინვით.

როცა დროდადრო ატეხავს ბანზე
ხმაურს იშხვარი ყაშყაშის იშტით,
კარს ვერ გაგიღებ კაკუნის ხმაზე,
არ მომესმება ბრახუნი ჭიშკრის.

19 იანვარი, ნათლისღება, 2020 წ.

Я научилась просто, мудро жить

Я научилась просто, мудро жить,
Смотреть на небо и молиться Богу,
И долго перед вечером бродить,
Чтоб утомить ненужную тревогу.

Когда шуршат в овраге лопухи
И никнет гроздь рябины желто-красной,
Слагаю я веселые стихи
О жизни тленной, тленной и прекрасной.

Я возвращаюсь. Лижет мне ладонь
Пушистый кот, мурлыкает умильней,
И яркий загорается огонь
На башенке озерной лесопильни.

Лишь изредка прорезывает тишь
Крик аиста, слетевшего на крышу.
И если в дверь мою ты постучишь,
Мне кажется, я даже не услышу.

9. წარსულს მიაშობს მუხა შრიალით

წარსულს მიაშობს მუხა შრიალით,
სხივებს ზანტად ჰფენს მთვარე ელვარე,
მე შენს კურთხეულ ტუჩებს ტრფიალი
ჩემს ოცნებაშიც კი ვერ შევკადრე.

შემოჭერილი ლურჯი თავშალი.
სენით უფრო და უფრო ფითრდები,
გადათოშილი ხელის კანკალით
გახსენებული თლილი თითები.

ძნელბედობისას ნათმენი სუსხი,
გული შეხვედრით ანატკივარი;
კარგა ხანია, ვიცი პასუხიც:
მიყვარხარ, მაგრამ შენ არ გიყვარდი!

23 თებერვალი, 2020 წ.

Шелестит о прошлом старый дуб...

Шелестит о прошлом старый дуб.
Лунный луч лениво протянулся.
Я твоих благословенных губ
Никогда мечтою не коснулся.

Бледный лоб чадрой лиловой сжат.
Ты со мною. Тихая, больная.
Пальцы холодеют и дрожат,
Тонкость рук твоих припоминая.

Я молчал так много тяжких лет.
Пытка встреч еще неотвратима.
Как давно я знаю твой ответ:
Я люблю и не была любима.

1911

10. ორშაბათი. ღამე. ოცდაერთი

ორშაბათი. ღამე. ოცდაერთი.

დედაქალაქს ფარავს ნისლის ფენა.
აღბათ შეთხზა ვინმემ მცონარებით,
სიყვარული რომ არსებობს ქვეყნად.

დაიჯერა ყველამ საოცრების:
გააბამენ სატრფიალო ქსელებს,
საბრალონი ძრწიან განშორებით
და მღერიან სამიჯნურო ლექსებს.

საიდუმლოს სწვდება ზოგიერთი,
ირინდება დუმილს დაჩვეული,
მეც შემთხვევით გავხდი გონიერი
და მას აქეთ თითქოს დავსწვდი.

26 თებერვალი 2020 წ.

Двадцать первое. Ночь. Понедельник

Двадцать первое. Ночь. Понедельник.

Очертанья столицы во мгле.
Сочинил же какой-то бездельник,
Что бывает любовь на земле.

И от лени или со скуки
Все поверили, так и живут:
Ждут свиданий, боятся разлуки
И любовные песни поют.

Но иным открывается тайна,
И почиет на них тишина...
Я на это наткнулась случайно
И с тех пор все как будто больна.

1917

11. საბაჟოს თავზე ვხედავ მქრქალ ალამს

საბაჟოს თავზე ვხედავ მქრქალ ალამს,
ქალაქს დასდგმია ზერდაგი ჯანდი,
სუნთქვა მიჭირს და მაკლდება ძალა,
გულს ბაგა-ბუგი გაუდის დაღლილს.

ნეტავ ნინველი ვიყო მალალი,
შიშველ ფეხებზე მეცვას წაღები,
გვირგვინად მედგას თავზე დალალი,
კვლავ ხმამღელვარე გახდეს ნამღერი;

ხერსონის ტაძრის გვერდით ვიდგე და
ისევ ვუცქერდე პირქუშ გუმბათებს,
ჯერაც არმცოდნე - ლხენა, დიდება,
გულს ვით დაღრღნის და დაამუნათებს.

1 მარტი, 2020 წ.

Вижу выцветший флаг над таможенной...

Вижу выцветший флаг над таможенной
И над городом желтую муть.
Вот уж сердце мое осторожней
Замирает, и больно вздохнуть.

Стать бы снова приморской девчонкой,
Туфли на босу ногу надеть,
И закладывать косы коронкой,
И взволнованным голосом петь.

Все глядеть бы на смуглые главы
Херсонесского храма с крыльца
И не знать, что от счастья и славы
Безнадежно дряхлеют сердца.

Осень 1913

12. ეშმაკმა არ გამცა, ვქმენ საქმნელი

ეშმაკმა არ გამცა, ვქმენ საქმნელი,
აი, აშკარა ნიშნები ძალის!
გული ამომგლიჯე - შესაჭმელი
შეიქნეს უმშიერესი ძალის!

უმაქნისს მომაკლდა საფანელი,
აღარ დამცდება დღეიდან სიტყვაც,
წარსული გამიხდა სანატრელი,
აწმყოწართმეულს სირცხვილი მიტანს.

14 მარტი, 2020 წ.

Дьявол не выдал. Мне все удалось

Дьявол не выдал. Мне все удалось.
Вот и могущества явные знаки.
Вынь из груди мое сердце и брось
Самой голодной собаке.

Больше уже ни на что не гожусь.
Ни одного я не вымолвлю слова.
Нет настоящего - прошлым горжусь
И задохнулась от срама такого.

Сентябрь 1922

13. ტკბილი სუნი ასდის ყურძნის მტევნებს

ტკბილი სუნი ასდის ყურძნის მტევნებს,
სიშორეა გამთანგავი, მთრობი,
უხალისო, ხშულ ხმას დამადევნებ,
აღარა ვარ ვინმეს თანამგრძნობი.

მტევნებში ჩანს ქსელი აბლაბუდის,
ვაზის ღერო ჯერ ნედლია, წვრილი,
დასრიალებს ცაში ღრუბლის გუნდი,
ვით ლუში ტბის ყინულების მწკრივი.

შუბისტარზე მზე დადგა და ცხელა,
წასჩურჩულე ტალღას შენი ჭმუნვა,
შეეცდება შენს ნუგეშისცემას,
ან ამბორით გამოხატავს ზრუნვას.

28 იანვარი, 2020 წ.

Сладок запах синих виноградин...

Сладок запах синих виноградин...
Дразнит опьяняющая даль.
Голос твой и глух и безотраден.
Никого мне, никого не жаль.

Между ягод сети-паутинки,
Гибких лоз стволы еще тонки,
Облака плывут, как льдинки, льдинки
В ярких водах голубой реки.

Солнце в небе. Солнце ярко светит.
Уходи к волне про боль шептать.
О, она, наверное, ответит,
А быть может, будет целовать.

1910, Киев

14. სიყვარული

დაგორგლილია ხან ვით ასპიტი,
გულის მსახვრალი ჯადობაზობით,
მოღულუნეა ხან როგორც გვრიტი
და თავს გვაბრალეbs საცოდაობით,

კრთება, ლევკოი თუ მთვლემარია,
გაიციმციმებს ხანდახან თრთვილში,
სიმშვიდეს გვართმევს და ჭემმარიტად,
ლხენის წაგვრაშიც მიუძღვის წვლილი.

მარჯვედ უხამებს თავის სიმძიმის
ვიოლინოთა ნაღვლიან მელოსს
და საეჭვოა უცნობ ღიმილში
მისი შეტყობა ადვილად შეძლონ!

1 თებერვალი, წმ. ანტონ მარტყოფლის ხს. დღე, 2020 წ.

Любовь

То змейкой, свернувшись клубком,
У самого сердца колдует,
То целые дни голубком
На белом окошке воркует,

То в инее ярком блеснёт,
Почудится в дреме левкоя...
Но верно и тайно ведёт
От радости и от покоя.

Умеет так сладко рыдать
В молитве тоскующей скрипки,
И страшно её угадать
В ещё незнакомой улыбке.

1911

15. შემცდარხარ

გადავავადე ოცნებები, სჯანით მაშვრალი
მოველი ზამთარს, არ ელიან ვითარცა სხვები.
გახსოვს, შემპირდი - ამინდები დადგება მშრალი?
თუმც ყოველდღე წვიმს და გაბეზრდა გული თავსხმებით.

სახლის სარკმლიდან გაკვირვებით მიმოშირალი
ვეღარ ვასხვავებ მოლანდებას და სინამდვილეს,
გახსოვს, ამბობდი, რომ ცხოვრება არის სიზმარი?
გამოფხიზლება კი ცხოვრებას ვერ მიადვილებს...

ხვალ ისევ უნდა ვითამაშო როლი ღიმილით,
კვლავ შევიკავო თავი გულის მოოხებისგან,
გახსოვს, ამბობდი, სიყვარული არის ტკივილი?!
თუმცა შემცდარხარ - სიყვარული ჯოჯოხეთია!

15 მარტი, 2020 წ.

Ты ошибся

Отодвинув мечты и устав от идей,
Жду зимы, как другие не ждут.
Помнишь, ты обещал, что не будет дождей?
А они всё идут и идут...

Удивлённо смотрю из квартирных окон —
Я во сне или всё ж наяву?
Помнишь, ты говорил, что вся жизнь — это сон?
Я проснулась, и странно, живу...

А назавтра опять мне играть свою роль,
И смеяться опять невпопад.
Помнишь, ты говорил, что любовь — это боль?!
Ты ошибся, любовь — это ад!

16. ველარ ვილიმი, სავსე ნალველით

ველარ ვილიმი, სავსე ნალველით,
მსუსხავი ქარი ზაგეს მისერავს,
ერთი იმედით გახდა ნაკლები,
შეემატება ერთი სიმღერაც.

სხვაც იყოს ჩემი ლექსის განმსჯელი,
თუნდაც დასცინოს, მასზე თქვას ძვირი,
რადგან სულისთვის არის მტანჯველი
სასიყვარულო დუმილის ტვირთი.

19 თებერვალი, 2020 წ.

Я улыбаться перестала

Я улыбаться перестала,
Морозный ветер губы студит,
Одной надеждой меньше стало,
Одною песней больше будет.

И эту песню я невольно
Отдам на смех и поруганье,
Затем, что нестерпимо больно
Душе любовное молчанье.

1915

17. რეკვიემი

არ მიფარავდა უცხო ცის კალთა,
ან უცხოს ფრთები, რათა მემდურონ,
მე მაშინ ვიყავ საკუთარ ხალხთან,
სადაც აღმოჩნდა, საუბედუროდ.

1961

წინასიტყვაობის მაგიერ

ეჟოვშჩინის საზარელ წლებში 17 თვე გავატარე ლენინგრადის ციხეების
ვიზიტორთა რიგებში. ერთხელ, ვიღაცამ „ამომიციო“. მაშინ, ჩემ უკან
მდგომი ქალი, რომელსაც, რასაკვირველია, არაფერი სმენოდა ჩემ
შესახებ, გამოერკვა ყოველი ჩვენგანისთვის დამახასიათებელი
გახევეებისგან და ოდნავ გასაგონი ხმით შემეკითხა (იქ ყველა
ჩურჩულით ლაპარაკობდა):

შეგიძლიათ ეს ყველაფერი აღწეროთ?

მე ვუპასუხე:

- შემიძლია.

მაშინ ღიმილის მაგვარმა გადაურბინა ქალს წაშლილ სახეზე.

1 აპრილი 1957

მიძღვნა

ამ წუხილთან მთა-გორიც ქედს იხრის,
მდინარეებს შეანელებს ნევა,
თუმც მტკიცეა კლიტეები ციხის,
ჯურღმულშია ღრიანცელი კიცხვის
და ბატონობს სასიკვდილო სევდა.

ვიღაცისთვის ქრის საამო ბრიზი,
ვიღაცისთვის საღამოა ნაზი,
ხოლო ჩვენ კი მნახველების რიგში,
ვისმენთ ციხის აურზაურს, ხრიგინს
და აბეზარ ჭრიალს მრავალ რაზის.

ვესწრებოდით თითქოს წირვას დილით,
უთენია ავავსებდით ქუჩას,

ვმწუხრდებოდით ცოცხალმკვდართა ხილვით,
დაფარავდა ნევას სქელი ნისლი,
დავეძებდით სადღაც იმედს ურჩად.

განაჩენი... და ქვითინი მყისვე,
გარიყულის ღაწვებს ცრემლი ალტობს,
გეგონება გული ამოძირკვეს,
ან სხეული გადაემხო პირქვე,
მილასლასებს თავბრუსხვევით მარტო...

დობილები სად მყავს გულნათუთქი,
სატანურ წლებს რომ ვუძლებდით ერთად?
რას ხედავენ იქ, ციმბირულ ბუქში?
რას ლანდავენ ანდა მთვარის შუქში?
განშორების საღმის მინდა შეთვლა.

მარტი, 1940

შესავალი

იცინოდა იმ დროს მხოლოდ მკვდარი,
ასცდებოდა რადგან შიშით ღელვას,
ირწეოდა ციხეების მცდარი
დანამატი - ლენინგრადი დღელამ.

თვალს მოკრავდით გაშმაგებულ ბღვერას
მისჯილების უსასრულო მწკრივში,
წააგავდა განშორების მღერას,
ორთქმავალი რომ მორთავდა კივილს.

ცამ სიკვდილის ვარსკვლავები ჩეკა,
დაკრუნჩხავდა შეუცდომელ რუსეთს
და თელავდა სისხლიანი ჩექმა,
სამთავრობო მანქანები მრუმე.

1935

1.

უთენია კარი გამოვადეთ,
წაგიყვანეს ჩხრეკის მერე ჩქარა
და ქვითინი აუვარდათ ბაღლებს,
სახატესთან კელაპტარი ჩაქრა.

ცივი ბაგე და სხეულის თრთოლა,
შუბლზე ოფლი და ღაწვებზე ცრემლი,
მეამბოხე მსროლელების ცოლთა
მსგავსად გიგლოვ გოდოლებთან კრემლის.

1935

2.

წყნარი დონის მირაკრაკებს წყალი,
ქარვისფერი მთვარე შედის სახლში,
დაუხურავს აღმაცერად ჩაჩი,
ქარვისფერი მთვარე ამჩნევს აჩრდილს.

სწეულ სახეს ხედავს მთვარის სხივი,
ეს ქალია მარტოხელა, ქვრივი,
ციხეშია შვილი, ქალი მოცდით
დაიტანჯა, ანუგეშეთ ლოცვით!

1938

3.

ეს მე არა ვარ, სხვა ეწამება.
წელში გამწყვეტდა ეს სატანჯველი,
დაე, თავზარი გლოვის ძაძებმა
დაფაროს, ჩაქრეს, დაე, კანდელიც...
ღამეა.

1939

4.

რა გადაგხდება თავს, რომ იცოდე -
ოხუნჯს, ნებიერს ამხანაგების,
„სამეფო სოფლის“ მხიარულ მცოდველს,
რა განსაცდელი გელის განგებით -
რომ მესამასე, ამანათებით,
რიგში იდგები „ჯვრების“ თაღებთან,
ახალ წელს შენი ცხარე ნაცრემლით
ფერხთით ყინული რარიგ გალღვება.
აღვა ირწევა იქვე სათუთად,
ო, რამდენია შიგნით ნაცემი,
კვდომამ რამდენი დაისაკუთრა...

1938

5.

ჩვიდმეტი თვეა ხვედრს ვუწევ ჯაათს,
შინისკენ გიხმობ სნეული დედა,
ფეხქვეშ გავეგე შენ გამო ჯალათს,
ჩემი შვილიც ხარ და ჩემი ელდაც.

უკვე რამდენჯერ პირკატა მეცა,
უცნაურობა აღარ მთავრდება -
ვის ვთვლიდე კაცად, ანდა ვის - მხეცად,
დიდხანს ველოდო კიდეც მსჯავრდებას?

შემრჩა დამჭკნარი ყვავილთა შეკვრა
და სასაკმევლის ზარების რეკა,
ნატერფალების კვალი არსაით.

მზერას იტაცებს კაშკაშა კრთომა,
მალი სიკვდილით მიქადის კვდომას
მიმოციაგე დიდი ვარსკვლავი.

1939

6.

უკვე გავიდა მრავალი კვირა
ამ უხალისო განწყობილების,
როგორ გიცქერდნენ საპყრობილეში,
თეთრი ღამენი, შვილო, მსურს მითხრა...

კვლავ მოგისჯიან ალბათ წვალეზას,
ქორული მზერა გაგქირდავს მკაცრად
და მოასწავებს უთუოდ ჯვარცმას,
შენს გარდაუვალ გარდაცვალებას.

გაზაფხული, 1939

7.

მსჯავრი

მკერდს მიეხალა როყო სიტყვა,
მოისურვილა ძალის წართმევა,
არა უშავს რა, რადგან მზად ვიყავ,
როგორღაც შევძლებ თავის გართმევას.

უნდა გავუძლო დღეს მკაცრ გამოცდას:
მომიწევს ხსოვნის ბოლომდე ჩაკვლა,
ხამს, სული მექცეს უგრძნობ ქვალოდად,
ახლად მომიწევს ცხოვრების სწავლაც.

თორემ... დარაბის მიღმა ახლანდელ
ზეიმს შევიგრძნობ ზაფხულის ალხის,
მე ხომ წინმხედი ფიქრით დავლანდე
ეს ნათელი დღე, დაცლილი სახლი.

ზაფხული, 1939.

შადრევნის სახლი

8.

სიკვდილს

შენ მაინც მოხვალ და მოდი, მტკბარი,
ძალიან მიჭირს, მოგელი, სად ხარ?
შუქი ჩავაქრე, გაგიღე კარი,
მოგელოდები საოცარს, სადას.

მოდი აშკარად, თუ გინდა - ბუნდში,
მეგობრულ სახით, ან თუნდაც ყიფი,
აღმხოცე ტყვიით, ბებუთით ქურდის,
ანდა დამგესლე შხამიან ტიფით.

ან მონაჩმახის შემბოჭე ხუნდით
გულისრევამდე ნაცნობი ამბის,
ვნახო კოკარდა ცისფერი ქუდის
შიშით დაზაფრულ კორპუსის გამგის.

აწ სულერთია. ჩანს ენისეი,
პოლარულ ვარსკვლავს შევცქერი წმინდას,
უკანასკნელი ზაფრის ნისლებით
საყვარელ ლურჯ თვალს უქრება ბრწყინვა.

1939 წლის 19 აგვისტო,
შადრევნის სახლი,
ლენინგრადი

9.

გონებას მირევს დამაწყლულები
უგუნურების მომფენი ჩრდილი,
მისი ცეცხლოვან ღვინით ვრწყულდები,
ბნელი ხევისკენ მიმიხმობს ხიბლით.

ის სასიკვდილო ჭრილობით მკოდავს,
სჯობს გამარჯვება დავუთმო ნებსით
და ყური ვუგდო საკუთარ ბოდვას,
თითქოსდა უცხოს სიშლეგე მესმის.

არ დაიშურებს მხოლოდ სუდარას,
იმედი არ მაქვს მისი შეწევნის
(არ გაჭრის მასთან ხვეწნა-მუდარა,
ვერც დავითანხმებ თავის შეწყენით):

არ მეხსომება შავდღეთა წნეხი
და მზერა შვილის დაზაფრულ თვალთა,
არც დღე, როდესაც დამეცა მეხი,
ვერც ციხის ამბებს წავიღებ საგზლად

და ვერც საამო სიგრილეს ხელის,
ვერც მოცახცახე ცაცხვების ლანდებს,
ან თანაგრძნობას შორეულ ხმების -
უკანასკნელი ნუგეშის თანმდევს.

4 მაისი, 1940
შადრევნის სახლი

10

ჯვარცმა

„ნუ მტირი მე, დედაო, მხილველი საფლავისა შინა ძისა“

I.

ღიადი ჟამი განადიდა ღვთიურმა დასმა,
ცის კაბადონი მინასავით გადნა სახმილით;
„რად მიმატოვე?“ - შეჰლადა ზეციურ მამას,
„ნუ მტირი...“ - დედა ანუგეშა ჯვრიდან ძახილით.

1938

II.

გულს უმსჭვალავდა მაგდალინელს უშქარი ნემსი,
უსაყვარლესი მოწაფე კი ჯავრით გახევდა,
სადაც ჯვარმცულის დედა იდგა უჩუმრად მკვნესი,
მათგან ვერავის გაებედა იქით გახედვა.

1940, შადრევნის სახლი

ეპილოგი

I.

გავიგე, სახეს თუ რა აბერებს,
თვალთაგან შიში ვით იმზირება,
ვით ამოკაწრავს ლურსმულ წარწერებს
დაუზოგავად ღაწვზე კირთება,

როგორ ათეთრებს გიშრის დალალებს
უბედურების სასტიკი ხვედრი,
ღიმილის მერე რარიგ ვალალებს
მორჩილი ბაგე უეცარ ელდით.

მხოლოდ ჩემ გამო ღმერთს როდი ვვედრი -
მსურს, რომ მოიღოს მათზეც წყალობა,
ყინვაშიც, ხვატშიც ვინც მედგა გვერდით
წითელ უსახურ კედლის მახლობლად.

II.

მიცვალეულთა პანაშვიდის ჟამია ისევ,
მაშინდელ ნაცნობთ კვლავ შეგიგრძნობთ, გხედავთ და გისმენთ:

მახსოვს ის, ვისაც თვითმკვლელობის ჰქონდა მცდელობა,
ისიც, ვისთვისაც საყუდელი მკვდართა მდელია,

გამახსენდება მშვენიერი დაღლილი ქალიც,
რომ ჩურჩულებდა: „აქ მოვდივარ ისე, ვით სახლში“.

მოხსენიება სუყველასი ცალ-ცალკე მსურდა,
სია წამართვეს, ვერ ვიხსენებ სახელებს სრულად.

ფართო საფარველს უძვირფასესს მივუძღვნი, ნაქსოვს
მწირი სიტყვებით, რაც მსმენია მათგან და მახსოვს.

მათ გავიხსენებ ყველგან, სადაც ვივლი მარადის,
ვერ დავივიწყებ, რომც დამატყდეს თავს სხვა ვარამიც.

თუ დამიმუწეს მტარვალეზმა ტანჯული პირი,
რომლითაც ასი მილიონი მცხოვრები ყვირის,

ყოველ წლისთავზე გამიხსენეთ მხევალი, როცა,
სული აღმომხდა, აღმივლინეთ საოხად ლოცვა

და თუ როდისმე მოინდომეს ჟამის ქადაგის
გაუკვდავება და აღმართვა ჩემი ქანდაკის,

მე წინასწარვე მოვიწონებ ხალხის განზრახვას,
ოღონდ აღმართონ ძეგლი ჩემი ნების თანახმად:

სადაც მე ვიშვი, მშობლიური არ მსურს ნაპირი,
რადგან გამიწყდა საბოლოოდ მასთან კავშირი,

არც მსურს სამეფო ბაღშიც, ახლოს სანუკვარ ჯირკის,
სადაც აჩრდილი უნუგეშო მეძებს და ტირის,

არამედ აქვე, სადაც დიდხანს ვიდექი რიგში,
სამას გრძელ საათს, არ გამეხვნა თუმც კარი ჭიმკრის.

რადგანაც ვშიშობ დამავიწყდეს მკვდართა დუმილში
„შავი მარია“ შემზარავი ძრავის ღმუილი,

გაჯახუნება კარების და ქცევა უგბილი,
დაჭრილ მხეცივით გააფთრებულ ბებრის ყმუილი.

დაე, ბრინჯაოს ქუთუთოებს ჩემსას ნიადაგ
დაბლა ჩამოჰყვეს მდნარი თოვლი ცრემლის ნიაღვრად,

ციხის მტრედებმა ილულონონ ირგვლივ, საწუთრო
გაგრძელდეს, ნევა ხომალდებმა წყნარად გაცურონ.

მარტი, 1940

შენიშვნები:

„შავი მარია“ - ჩეკას მანქანების თიკუნი.

მეამბოხე მსროლელები - პეტრე პირველს აუჯანყდნენ და სიკვდილით დასაჯეს კრემლთან, ერთ-ერთი ჯალათი პეტრე I იყო.

„ჯვრები“ - ლენინგრადის ცნობილი ციხე.

მარტი, 2023 წ.

Реквием

Нет, и не под чуждым небосводом,
И не под защитой чуждых крыл,-
Я была тогда с моим народом,
Там, где мой народ, к несчастью, был.

1961

Вместо предисловия

В страшные годы ежовщины я провела семнадцать месяцев в тюремных очередях в Ленинграде. Как-то раз кто-то "опознал" меня. Тогда стоящая за мной женщина, которая, конечно, никогда не слыхала моего имени, очнулась от свойственного нам всем оцепенения и спросила меня на ухо (там все говорили шепотом):

- А это вы можете описать?

И я сказала:

- Могу.

Тогда что-то вроде улыбки скользнуло по тому, что некогда было ее лицом.

1 апреля 1957, Ленинград

Посвящение

Перед этим горем гнутся горы,
Не течет великая река,
Но крепки тюремные затворы,
А за ними "каторжные норы"
И смертельная тоска.
Для кого-то веет ветер свежий,
Для кого-то нежится закат -
Мы не знаем, мы повсюду те же,
Слышим лишь ключей постылый скрежет
Да шаги тяжелые солдат.
Подымались как к обедне ранней,
По столице одичалой шли,
Там встречались, мертвых бездыханней,
Солнце ниже, и Нева туманней,
А надежда все поет вдали.

Приговор... И сразу слезы хлынут,
Ото всех уже отделена,
Словно с болью жизнь из сердца вынут,
Словно грубо навзничь опрокинут,
Но идет... Шатается... Одна...
Где теперь невольные подруги
Двух моих осатанелых лет?
Что им чудится в сибирской вьюге,
Что мерещится им в лунном круге?
Им я шлю прощальный свой привет.

Март 1940

Вступление

Это было, когда улыбался
Только мертвый, спокойствию рад.
И ненужным привеском качался
Возле тюрем своих Ленинград.
И когда, обезумев от муки,
Шли уже осужденных полки,
И короткую песню разлуки
Паровозные пели гудки,
Звезды смерти стояли над нами,
И безвинная корчилась Русь
Под кровавыми сапогами
И под шинами черных марушь.

1

Уводили тебя на рассвете,
За тобой, как на выносе, шла,
В темной горнице плакали дети,
У божницы свеча оплыла.
На губах твоих холод иконки,
Смертный пот на челе... Не забыть!
Буду я, как стрелецкие женки,
Под кремлевскими башнями выть.

[Ноябрь] 1935, Москва

Тихо льется тихий Дон,
Желтый месяц входит в дом.

Входит в шапке набекрень,
Видит желтый месяц тень.

Эта женщина больна,
Эта женщина одна.

Муж в могиле, сын в тюрьме,
Помолитесь обо мне.

1938

3

Нет, это не я, это кто-то другой страдает.
Я бы так не могла, а то, что случилось,
Пусть черные сукна покроют,
И пусть унесут фонари...
Ночь.

1939

4

Показать бы тебе, насмешнице
И любимице всех друзей,
Царскосельской веселой грешнице,
Что случится с жизнью твоей -
Как трехсотая, с передачею,
Под Крестами будешь стоять
И своею слезою горячею
Новогодний лед прожигать.
Там тюремный тополь качается,
И ни звука - а сколько там
Неповинных жизней кончается...

1938

Семнадцать месяцев кричу,
 Зову тебя домой,
 Кидалась в ноги палачу,
 Ты сын и ужас мой.
 Все перепуталось навек,
 И мне не разобрать
 Теперь, кто зверь, кто человек,
 И долго ль казни ждать.
 И только пыльные цветы,
 И звон кадилный, и следы
 Куда-то в никуда.
 И прямо мне в глаза глядит
 И скорой гибелью грозит
 Огромная звезда.

1939

Легкие летят недели,
 Что случилось, не пойму.
 Как тебе, сынок, в тюрьму
 Ночи белые глядели,
 Как они опять глядят
 Ястребиным жарким оком,
 О твоём кресте высоком
 И о смерти говорят.

Весна 1939

Приговор

И упало каменное слово
 На мою еще живую грудь.
 Ничего, ведь я была готова,
 Справлюсь с этим как-нибудь.

У меня сегодня много дела:
Надо память до конца убить,
Надо, чтоб душа окаменела,
Надо снова научиться жить.

А не то... Горячий шелест лета,
Словно праздник за моим окном.
Я давно предчувствовала этот
Светлый день и опустелый дом.

[22 июня] 1939, Фонтанный Дом

8

К смерти

Ты все равно придешь - зачем же не теперь?
Я жду тебя - мне очень трудно.
Я потушила свет и отворила дверь
Тебе, такой простой и чудной.
Прими для этого какой угодно вид,
Ворвись отравленным снарядам
Иль с гирькой подкрадись, как опытный бандит,
Иль отрави тифозным чадом.
Иль сказочкой, придуманной тобой
И всем до тошноты знакомой,-
Чтоб я увидела верх шапки голубой
И бледного от страха управдома.
Мне все равно теперь. Клубится Енисей,
Звезда Полярная сияет.
И синий блеск возлюбленных очей
Последний ужас застилает.

19 августа 1939, Фонтанный Дом

9

Уже безумие крылом
Души накрыло половину,
И поит огненным вином
И манит в черную долину.

И поняла я, что ему
Должна я уступить победу,
Прислушиваясь к своему
Уже как бы чужому бреду.

И не позволит ничего
Оно мне унести с собою
(Как ни упрашивай его
И как ни докучай мольбою):

Ни сына страшные глаза -
Окаменелое страданье,
Ни день, когда пришла гроза,
Ни час тюремного свиданья,

Ни милую прохладу рук,
Ни лип взволнованные тени,
Ни отдаленный легкий звук -
Слова последних утешений.

4 мая 1940, Фонтанный Дом

10

Распятие

*Не рыдай Мене, Мати,
во гробе зрящия.*

Хор ангелов великий час восславил,
И небеса расплавились в огне.
Отцу сказал: "Почто Меня оставил!"
А матери: "О, не рыдай Мене..."

1938

Магдалина билась и рыдала,
Ученик любимый каменел,

А туда, где молча Мать стояла,
Так никто взглянуть и не посмел.

1940, Фонтанный Дом

Эпилог

I

Узнала я, как опадают лица,
Как из-под век выглядывает страх,
Как клинописи жесткие страницы
Страдание выводит на щеках,
Как локоны из пепельных и черных
Серебряными делаются вдруг,
Улыбка вянет на губах покорных,
И в сухоньком смешке дрожит испуг.
И я молюсь не о себе одной,
А обо всех, кто там стоял со мною,
И в лютый холод, и в июльский зной
Под красною ослепшею стеною.

II

Опять поминальный приблизился час.
Я вижу, я слышу, я чувствую вас:

И ту, что едва до окна довели,
И ту, что родимой не топчет земли,

И ту, что красивой тряхнув головой,
Сказала: "Сюда прихожу, как домой".

Хотелось бы всех поименно назвать,
Да отняли список, и негде узнать.

Для них соткала я широкий покров
Из бедных, у них же подслушанных слов.

О них вспоминаю всегда и везде,
О них не забуду и в новой беде,

И если зажмут мой измученный рот,
Которым кричит стомиллионный народ,

Пусть так же они поминают меня
В канун моего поминального дня.

А если когда-нибудь в этой стране
Воздвигнуть задумают памятник мне,

Согласье на это даю торжество,
Но только с условием - не ставить его

Ни около моря, где я родилась:
Последняя с морем разорвана связь,

Ни в царском саду у заветного пня,
Где тень безутешная ищет меня,

А здесь, где стояла я триста часов
И где для меня не открыли засов.

Затем, что и в смерти блаженной боюсь
Забуть громыхание черных марусь,

Забуть, как постылая хлопала дверь
И выла старуха, как раненый зверь.

И пусть с неподвижных и бронзовых век
Как слезы, струится подтаявший снег,

И голубь тюремный пусть гулит вдали,
И тихо идут по Неве корабли.

Март, 1940

18. სიყვარული მოტყუებით იპყრობს

სიყვარული მოტყუებით იპყრობს,
უბრალო და უწესრიგო მღერით,
უნადვლობა სულ ახლახან იყო,
არ გერია თმაში თეთრი ღერიც.

გიღიმოდა სახლში, მინდვრად, ბაღში,
საკუთრებად რადგან დაგიგულა,
შენთვის ჩანდა, რომ იყავი ლალი
და ცხოვრობდი მყუდროდ, თავისუფლად.

შეპყრობილი მისით, კაშკაშებდი
და შესვამდი მოწოდებულ ბაღლამს,
უფრო მსხვილად კრთოდნენ ვარსკვლავები,
სხვა სურნელი ასდიოდა ბაღახს,
შემოდგომის ბაღახს.

4 თებერვალი, 2020 წ.

Любовь покоряет обманно

Любовь покоряет обманно,
Напевом простым, неискусным.
Еще так недавно-странно
Ты не был седым и грустным.

И когда она улыбалась
В садах твоих, в доме, в поле,
Повсюду тебе казалось,
Что вольный ты и на воле.

Был светел ты, взятый ею
И пивший ее отравы.
Ведь звезды были крупнее,
Ведь пахли иначе травы,
Осенние травы.

Осень 1911
Царское Село

19. არ მსურს თავი გაგრძნობინო მშვიდად

არ მსურს თავი გაგრძნობინო მშვიდად
და მწადია სუსტი ვჩანდე მძლავრიც,
ჩემს სიყვარულს გიწოდებდე მინდა,
სხვანაირად მოგკვდებოდი ჯავრით.

არანაკლებ ნახევარი საზრდოდ
მსურს მოგპარო ზრუნვის, საფიქრალის
და ვნატრულობ, უცებ გაიაზრო,
შენი ლხენა არის ჩემი ბრალი.

მსურს შენ იყო მხოლოდ მიჯნად მიზნის,
შენთვის ვღვრიდე სიხარულის კურცხალს,
მუდამ მთვლიდე საკითხავი წიგნის
თავფურცლად და უკანასკნელ ფურცლად!

5 თებერვალი, 2020 წ.

Хочу тебе покоя не давать

Хочу тебе покоя не давать,
Быть сильной, оставаться слабой.
Хочу тебя своей любовью звать,
Ведь я иначе жить и не могла бы.

Хочу из всех твоих забот и дум
Украсть, по крайней мере, половину.
Хочу, чтоб вдруг тебе пришло на ум,
Что счастлив ты, и в этом я повинна.

Хочу, чтоб для любой моей мечты
Ты был единственной границей.
Хочу в той книге, что читаешь ты,
Быть первой и последнею страницей.

20. გუგულს ვკითხე ბედისწერით...

გუგულს ვკითხე ბედისწერით
დარჩენილი წელთა რიცხვი...
მოიხარა ფიჭვის წვერი
და დაეცა ბალახს სხივი.

დუმს გუგული; საფიქრალით
გათანგული, გათიშული
შინ ვბრუნდები და პირქართ
მიგრილდება ცხელი შუბლი.

7 თებერვალი, წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველის ხს. დღე, 2020 წ.

Я спросила у кукушки...

Я спросила у кукушки,
Сколько лет я проживу...
Сосен дрогнули верхушки.
Желтый луч упал в траву.

Но ни звука в чаше свежей...
Я иду домой,
И прохладный ветер нежит
Лоб горячий мой.

1919 г.

21. თეთრ ღამეში

არ ჩამირაზავს კარი საკეტით,
არ ამინთია სახლში სანთელიც,
აზრზე არა ხარ, რომ ქანცაწყვეტილს
ვერ გამიბედავს გაშლაც სარეცლის.

შევყურებ, როგორ უქრება ნაძვნარს
მწუხრში ზოლები, მუქდება ხავსი,
გადამათრობს და ამირევს დავთარს,
როცა ხმა მესმის, შენი ხმის მსგავსი,

ვიცი, ყოველი უკვე დამთავრდა,
კრულ ჯოჯობეთად მექცა სიცოცხლე!
დაბრუნდებოდი მჯეროდა, მაგრამ,
არ მოხვედი და გულს ვერ ვიოხებ!

4 მარტი, 2020 წ.

Белой ночью

Ах, дверь не заперала я,
Не зажигала свеч,
Не знаешь, как, усталая,
Я не решалась лечь.

Смотреть, как гаснут полосы
В закатном мраке хвой,
Пьянея звуком голоса,
Похожего на твой.

И знать, что всё потеряно,
Что жизнь — проклятый ад!
О, я была уверена,
Что ты придешь назад.

6 февраля 1911
Царское Село

22. ღამით

მთვარე ღრუბელთა გროვის ფარაჯის
მოსაცილებლად ძალ-ღონეს იკრებს,
წყრომით შესცქერის კუმტი დარაჯი
სასახლის კოშკის საათის ისრებს.

სახლში ბრუნდება ორგული ცოლი
ფიქრიან სახით, წამხდარი ნირით,
ხოლო ერთგულ ცოლს ქენჯნის საწოლში
უქრობი შიში საზარელ სიზმრის.

მე რა ხელი მაქვს მათთან? იმ კვირას,
შენდობა ვთხოვე სამყაროს თრთოლით,
ბაღში შევალ და დავუკრავ ღირას,
მზერას დავიტკბობ ვარსკვლავთა ხომლით.

8 მარტი, მართლმადიდებლობის ზეიმი, 2020 წ.

Ночью

Стоит на небе месяц, чуть живой,
Средь облаков струящихся и мелких,
И у дворца угрюмый часовой
Глядит, сердясь, на башенные стрелки.

Идет домой неверная жена,
Ее лицо задумчиво и строго,
А верную в тугих объятьях сна
Сжигает негасимая тревога.

Что мне до них? Семь дней тому назад,
Вздыхнувши, я прости сказала миру,
Но душно там, и я пробралась в сад
Взглянуть на звезды и потрогать лиру.

Осень 1918

Москва

23. არც გვიან გავჩნდი ქვეყნად, არც ადრე...

არც გვიან გავჩნდი ქვეყნად, არც ადრე,
იმ დროს ვლოცავ და ვთვლი ბედნიერად
და თუ სიცრუეს თავი ვუყადრე -
ღმერთმა არ მომცა სხვა ბედისწერა...

ამიტომ არის სახლში სიბნელე
და მეგობრებსაც, ერთგულთ, უდრტვინველთ -
ვადრი მიმწუხრის მწუხარ ფრინველებს,
არარსებული ტრფობის მუტრიბებს.

9 მარტი, 2020 წ.

Родилась я ни поздно, ни рано...

Родилась я ни поздно, ни рано
Это время блаженно дно,
Только сердцу прожить без обмана
Было Господом не дано.

Оттого и темно в светлице
Оттого и друзья мои,
Как вечерние грустные птицы,
О небывшей поют любви.

1913

24. წადი, დამტოვე მუსიკის წყვილად

წადი, დამტოვე მუსიკის წყვილად,
უთანხმოება არ გვემუქრება,
ის უძირო ზღვად ღვთისგან შექმნილა,
მე კი ვარ ლანდი, ჩრდილი, მდურება.
მას არ შევურყვნი ჟღერის მშვენებას,
თანაც სიკვდილში შემეშველება.

11 მარტი, 2020 წ.

Оставь нас с музыкой вдвоем

Оставь нас с музыкой вдвоем,
Мы сговоримся скоро -
Она бездонный водоем -
Я призрак, тень, укора.
Я не мешаю ей звенеть, -
Она поможет - умереть.

1963

25. დიდხანს მდგომარე ჯოჯობეთის მასიურ კართან

დიდხანს მდგომარე ჯოჯობეთის მასიურ კართან
ყურს მივუგდებდი მდუმარებას, იდგა კუმეტი...
სადღა წავიდე, ბელზებელმაც კი მიუარა,
ვინმე თუ მეტყვის?!..

18 მარტი, 2020 წ.

Стояла долго я у врат тяжелых ада

Стояла долго я у врат тяжелых ада,
Но было тихо и темно в аду...
О, даже Дьяволу меня не надо,
Куда же я пойду?..

23 декабря 1910

Царско Село

26. შეყვარებულმა ახალმთვარობის

შეყვარებულმა ახალმთვარობის
დროს მიმატოვა, ჩაიქირქილა:
„თოკის ჯამბაზო, თვემდე ვარდობის
კიდევ შეგრჩება რამის სინსილა?“

თვინიერ ბრაზის, ხმაში კანკალის,
ვით ძმა დავინდე, ღირსი გაწირვის,
როგორ შემივსებს ასეთ დანაკლისს
ძღვნად მორთმეული ოთხი საწვიმრით?!

შიშისმგვრელია გაყრა მიჯნურის,
სევდაა ბევრად გულისწამლები...
შემრჩა წითელი ქოლგა ჩინური
და გაცარცული ძველი წალები!

ორკესტრის მსუბუქ მუსიკის ეშხით
ბრბო მხიარულად ატარებს დროჟამს,
წინასწარ ვიცი თუმც გულის რეჩხით -
ცარიელია მეხუთე ლოჟა!

22 მარტი, 2020 წ.

Меня покинул в новолунье

Меня покинул в новолунье
Мой друг любимый. Ну так что ж!
Шутил: «Канатная плясунья!
Как ты до мая доживёшь?»

Ему ответила, как брату,
Я, не ревнуя, не ропща,
Но не заменят мне утрату
Четыре новые плаща.

Пусть страшен путь мой, пусть опасен,
Ещё страшнее путь тоски...
Как мой китайский зонтик красен,
Натерты мелом башмачки!

Оркестр весёлое играет,
И улыбаются уста.
Но сердце знает, сердце знает,
Что ложа пятая пуста!

Ноябрь 1911
Царское Село

27. არ გთხოვ სიყვარულს, ვით დაგაძალო?!

არ გთხოვ სიყვარულს, ვით დაგაძალო?!

ის საიმედო ადგილზე მყოფობს...

და დამერწმუნე, არც საორჭოფო

ბარათს არ მივწერ შენს საპატარძლოს!

მიიღე ბრძნული რჩევა მუდართით:

მას წააკითხე ჩემი ლექსები,

შეანახვინე ჩემი სურათი -

ზრდილნი არიან მეუღლეები!

რადგან ნიადაგ ბრიყვის შეგნება

რაციფის სრულ მარცხს მგზნებარედ ითხოვს,

ვიდრე მეგობრულ საუბრის სითბოს,

ნაზი დღეებიც არ ახსენდება...

ბედნიერების დღეთა ხურდები

გაიხარჯება, სათნო ბანოვანს

მოიყირჭებ და დაემდურები -

ისიც სხვასავით ყელში ამოვა.

ჩემს საზეიმო ღამეს კარები

არ შემომიღო, ნუ მოხვალ სტუმრად,

რადგან ვერაფრით დაგეხმარები,

ნეტარებისგან ვერავის ვკურნავ!

26 მარტი, 2020 წ.

Я не любви твоей прошу

Я не любви твоей прошу.
Она теперь в надежном месте...
Поверь, что я твоей невесте
Ревнивых писем не пишу.

Но мудрые прими советы:
Дай ей читать мои стихи,
Дай ей хранить мои портреты —
Ведь так любезны женихи!

А этим дурочкам нужней
Сознание полное победы,
Чем дружбы светлые беседы
И память первых нежных дней...

Когда же счастья гроши
Ты проживешь с подругой милой
И для пресыщенной души
Все станет сразу так постыло —

В мою торжественную ночь
Не приходи. Тебя не знаю.
И чем могла б тебе помочь?
От счастья я не исцеляю.

1914

28. ო, უფლისწულო, თვალს ნუ იბრმავებ!

ო, უფლისწულო, თვალს ნუ იბრმავებ!
სულაც არ ვგავარ ქალს, შენთვის ნაცნობს,
კარგა ხანია, ჩემი პირბაგე
კოცნის მაგივრად, მომავალს ამცნობს.

ბოდვად ნუ ჩათვლი, რაც გეყურება,
არც ვუტანჯივარ მარტოხელობას,
დაღადით ვამცნობ უბედურებას,
რა ვქნა, ასეთი თუ მაქვს ხელობა?!

მე შეგასწავლი შეკვრას ბორკილით,
მოულოდნელის ახდენას ნატვრით,
საუკუნოდ რომ გახდეს მორჩილი,
შეიყვარებდი ვისაც კი - გაკვრით.

დიდება გინდა თავის დადაფნით?
აუცილებლად მე მთხოვე რჩევა,
მაგრამ უწყოდე, რომ ამ ხაფანგში
ლხენა, ნათელი - არც ერთი რჩევა!

ახლა კი წადი შინ ვალმოხდილი,
გადამივიწყე და ნუ ინანებ,
ჩემო ძვირფასო, შენი ცოდვისთვის,
პასუხს მე ვაგებ ღმერთის წინაშე!

30 მარტი, 2020 წ.

Нет, царевич, я не та

Нет, царевич, я не та,
Кем меня ты видеть хочешь,
И давно мои уста
Не целуют, а пророчат.

Не подумай, что в бреду
И замучена тоскою
Громко кличу я беду:
Ремесло мое такое.

А умею научить,
Чтоб нежданное случилось,
Как навеки приручить
Ту, что мельком полюбилась.

Славы хочешь? - у меня
Попроси тогда совета,
Только это - западня,
Где ни радости, ни света.

Ну, теперь иди домой
Да забудь про нашу встречу,
А за грех твой, милый мой,
Я пред Господом отвечу.

1915

29. დამქანცა შენმა დიდხანს ნამზერმა

დამქანცა შენმა დიდხანს ნამზერმა,
მასწავლა სხვისი ტანჯვა მძვინვარეს,
შენი ნეკნისგან შექმნილ არსებას
ვით შემიძლია, რომ არ მიყვარდე?!

ვყოფილიყავი შენს დად, განგებას
ალბათ ნებავდა, როცა მოგნახე,
თუმცა ვიქეცი ხარბ და თავნება,
შენს სიამისმგვრელ უტკბეს მოახლედ.

მაგრამ როდესაც ვარ თავჩარგული
შენს თეთრ გულმკერდში, წყნარად, დანდობით,
აღფრთოვანებას გამოსცემს გული -
ჩემი სამშობლოს მზე და მნათობი!

1 აპრილი, 2020 წ.

Долгим взглядом твоим истомленная

Долгим взглядом твоим истомленная,
И сама научилась томить.
Из ребра твоего сотворенная,
Как могу я тебя не любить?

Быть твоею сестрою отрадною
Мне завещано древней судьбой,
А я стала лукавой и жадною
И сладчайшей твоею рабой.

Но когда замираю, смиренная,
На груди твоей снега белей,
Как ликует твое умудренное
Сердце — солнце отчизны моей!

1921

30. წინ დაღმართია, შეღამებულია

წინ დაღმართია, შეღამებულია,
თავქვე ჩავდივარ ფრთხილად, მდუმარი,
ჯერ კიდევ გუშინ, შეყვარებულმა:
„არ დამივიწყო!“ - მითხრა მუდარით.

ახლა კი ქარში დავეხეტები,
ისმის მწყემსების განკარგულება
და ბობოქარი კედრის ხეების
შრიალი წმინდა ნაკადულებთან.

3 აპრილი, 2020 წ.

Разлука (Вечерний и наклонный)

Вечерний и наклонный
Передо мною путь.
Вчера еще, влюбленный,
Молил: "Не позабудь".

А нынче только ветры
Да крики пастухов,
Взволнованные кедры
У чистых родников.

Весна 1914, Петербург

31. ნუ შემაშინებ სასტიკი ხვედრით

ნუ შემაშინებ სასტიკი ხვედრით,
ნურც ჩრდილოეთის კაემნით მზარავ,
ახლა ჩვენს პირველ დღეობას ვხვდებით,
ამ დღესასწაულს კი ჰქვია - გაყრა.

რა ვუყოთ, თუ ვერ ვესწრებით სისხამს,
თუ არ სერავდა ჩვენ ზევით მანძილს
წუხელდამ მთვარე, მაინც ფრთებს ვისხამ -
დღეს გასაჩუქრებ არნახულ განძით:

ჩემი ნამდვილი იერის ნაცვლად
უძინარ ტბორში არეკლილ ლანდით,
მზერით, რომელიც მოწყვეტილ ვარსკვლავს
ველარ მიუჩენს მის კუთვნილ ადგილს;

ჩემი უძლური ნახმევით, ადრე
რაც მჭექარებდა, ამცნობდა მართალს,
რომ მოსმენისას არ დაეზაფრე
მოსკოვისპირა ყორნების ჭარტალს;

რათა ოქტომბრის დღედამის ნესტი,
მაისის დარად გექმნას ყოვლადვე...
უძვირფასესო, არ მინდა მეტი,
თუნდაც გახსოვდე პირველ თოვლამდე!

5 აპრილი, 2020 წ.

Не стращай меня грозной судьбой

Не стращай меня грозной судьбой
И великою северной скукой.
Нынче праздник наш первый с тобой,
И зовут этот праздник — разлукой.

Ничего, что не встретим зарю,
Что луна не блуждала над нами,
Я сегодня тебя одарю
Небывальыми в мире дарами:

Отраженьем моим на воде
В час, как речке вечерней не спится,
Взглядом тем, что падучей звезде
Не помог в небеса возвратиться,

Эхом голоса, что изнемог,
А тогда был и свежий, и летний, —
Чтоб ты слышать без трепета мог
Воронья подмосковного сплетни.

Чтобы сырость октябрьского дня
Стала слаще, чем майская нега...
Вспоминай же, мой ангел, меня,
Вспоминай хоть до первого снега.

32. სადამოს

ბაღში მოსმენილ მუსიკის ჰანგებს
თან ახლდა სევდა გამოუთქმელი,
სიქორფის და ზღვის მძაფრი სურნელი
აუდიოდა თეფშზე ხამანწყებს.

მიტხრა: „მიგულე ერთგულ მეგობრად!“
ხელი წამავლო გაუბედავად,
იმ ჩახუტებას სულაც არ ჰგავდა,
რასაც ველოდი და გამეგონა!

უთათუნებენ ასე ხელს ფრინველს,
უცქერენ ტანად, თხელ მხედარ ქალებს...
გამოუკრთოდა ღიმი მის თვალებს
ოდნავ ოქროსფერ წამწამთა ჩრდილქვეშ.

ჟღერს ვიოლინოს ჰანგი მკვნესარი
ახლოს, იქ სადაც ნისლი ირევა:
„აკურთხე ზეცა, რას მოესწარი -
სატრფოსთან მარტო დარჩი პირველად!“

7 აპრილი, ხარეზა, 2020 წ.

Вечером

Звенела музыка в саду
Таким невыразимым горем.
Свежо и остро пахли морем
На блюде устрицы во льду.

Он мне сказал: "Я верный друг!"
И моего коснулся платья...
Как не похожи на объятья
Прикосновенья этих рук.

Так глядят кошек или птиц,
Так на наездниц смотрят стройных...
Лишь смех в глазах его спокойных
Под легким золотом ресниц.

А скорбных скрипок голоса
Поют за стелющимся дымом:
"Благослови же небеса -
Ты первый раз одна с любимым".

Март 1913

33. სტუმარი

ძველებურად სასადილოს სარკმელს
ნამქრის წვრილი ფანტელები ბურავს,
კვლავაც ის ვარ, რაც ვიყავი ადრე,
თან ახლახან კაცი მყავდა სტუმრად.

ვკითხე: „რა გასურს? რითი გემსახურო?“
თქვა: „მსურს დაგვწვას ჯოჯობეთის ალმა!“
გამეცინა: „ბოროტად ნუ ხუმრობ!
არ დაგვატყდეს მწუხარება მართლაც!“

გაიწვდინა ხელი და მღიმარე,
ქოთნის ყვავილს მოეფერა კრძალვით:
„ვით გიყოფენ ამბორს, აღიარე,
მომიყევი, სხვას ვით კოცნი რძალი!“

ჩააშტერდა გაუღებლად ღუნთის
ჩემს ბეჭედს და ჰგავდა ავისმზრახველს,
წამითაც არ გაუტოვდა კუნთი
მის ბოროტ და განათებულ სახეს.

კარგად ვუწყი, განუზომელ შვებას
ღებულობდა ქედმაღლური ზრახვით:
არაფერი მას რომ არ ენება
და ვერაფრით მე რომ ხელს ვერ ვკრავდი.

10 აპრილი, 2020 წ.

Гость

Все как раньше: в окна столовой
Бьется мелкий метельный снег,
И сама я не стала новой,
А ко мне приходил человек.

Я спросила: «Чего ты хочешь?»
Он сказал: «Быть с тобой в аду».
Я смеялась: «Ах, напророчишь
Нам обоим, пожалуй, беду».

Но, поднявши руку сухую,
Он слегка потрогал цветы:
«Расскажи, как тебя целуют,
Расскажи, как целуешь ты».

И глаза, глядевшие тускло,
Не сводил с моего кольца.
Ни один не двинулся мускул
Просветленно-злого лица.

О, я знаю: его отрада —
Напряженно и страстно знать,
Что ему ничего не надо,
Что мне не в чем ему отказать.

1 января 1914

34. იშვიათად გიხსენებ და აღარც...

იშვიათად გიხსენებ და აღარც
დავტყვევებდი უკვე შენი ხვედრით,
ვერ წაშალა თუმცა სულმა დამლა
უმნიშვნელო, განვლილი შეხვედრის.

შენს წითელ სახლს ვერიდები განზრახ, -
რომ ჩაუდის წინ მდინარე მღვრიე,
ვიცი, ჩემზე გაფიქრება გზარავს,
მზით გამსჭვალულ მყუდროებას გირღვევს.

აღბათ სულ სხვა დამკოცნიდა მწუხრში
და სიყვარულს მთხოვდა მიკონებით,
აღბათ სულ სხვა ჩემს ტანჯვას და წუხილს,
უკვდავყოფდა ოქროს სტრიქონებით.

წინასწარ ვჭვრეტ გულთმისნობით მყოფადს,
მწუხრი თუ ფერს იღებს იასამნის,
გული მიგრძნობს გარდაუვლად მოვა
ხელმეორედ ჩვენი შეყრის ჟამი!

12 აპრილი, ბზობა, 2020 წ.

О тебе вспоминаю я редко

О тебе вспоминаю я редко
И твоей не пленяюсь судьбой,
Но с души не стирается метка
Незначительной встречи с тобой.

Красный дом твой нарочно миную,
Красный дом твой над мутной рекой,
Но я знаю, что горько волну
Твой пронизанный солнцем покой.

Пусть не ты над моими устами
Наклонялся, моля о любви,
Пусть не ты золотыми стихами
Обессмертил томленья мои,—

Я над будущим тайно колдую,
Если вечер совсем голубой,
И предчувствую встречу вторую,
Неизбежную встречу с тобой.

1913

35. სხვისო ტყვევ! სხვისი განა მსურს რამე?

სხვისო ტყვევ! სხვისი განა მსურს რამე?
ჩემი ტყვეების თვლითაც გავბეზრდი.
მაშ, რად ვღებულობ ესდენ სიამეს
მაგ ალუბლისფერ ბაგეთა მზერით?

შეურაცხმყოფდეს თუნდაც ლანძღვებით,
მის სიტყვებში ჩანს ფარული ურვა,
ვერ დამარწმუნებს ძალდატანებით,
თითქოს სხვა ვინმე მგზნებარედ უყვარს!

ვერ დავიჯერებ ციურ ტრფიალზე
ნებაყოფლობით უარს რომ ამბობს,
სხვისით იღელვებს და გაილაღებს
და შეაჩვენებს ჩემს მიძღვნილ ამბორთ.

14 აპრილი, 2020 წ.

Пленник чужой! Мне чужого не надо

Пленник чужой! Мне чужого не надо,
Я и своих-то устала считать.
Так отчего же такая отрада
Эти вишневые видеть уста?

Пусть он меня и хулит, и бесславит,
Слышу в словах его сдавленный стон.
Нет, он меня никогда не заставит
Думать, что страстно в другую влюблен.

И никогда не поверю, что можно
После небесной и тайной любви
Снова смеяться и плакать тревожно
И проклипать поцелуи мои.

1917

36. საათის გუგულს ვგავარ ცხოვრებით...

საათის გუგულს ვგავარ ცხოვრებით,
არ მშურს ტყის ჩიტთა სიამოვნების.
დამქოქავენ და ავგუგუნდები,
ასეთ ხვედრს მხოლოდ მტერს ვუსურვებდი!

16 აპრილი, 2020 წ.

Я живу, как кукушка в часах...

Я живу, как кукушка в часах,
Не завидую птицам в лесах.
Заведут — и кукую.
Знаешь, долю такую
Лишь врагу
Пожелать я могу.

1911

37. ეს მოედნები რარიგ ვრცელია...

ეს მოედნები რარიგ ვრცელია,
ხიდები - რარიგ მჟღერი, დამრეცი!
თავს ზევით მრუმე საფარველია
და უვარსკვლავო ღამე დაგვცქერის.

მოკვდავებისგან განურჩევლები
თოვლს ვკვალავთ და სვლა გაგვიგრძელდება,
ერთ საათს რომ ვართ განუყრელები,
ნუთუ არ არის საკვირველება?

მომეკვეთება მუხლი უნებლივ
და თითქოს, სულიც შემეხუთება...
ჩემი ლექსების მზე ხარ მკურნები,
ჩემი სიცოცხლის შენ ხარ კურთხევა!

აბარბაცდება შავი სახლები,
ძირს დამცემს ფეხქვეშ მიწაგამოცლილს,
აწ შიშით აღარ ავკანკალდები,
სოფლად ჩემს ბაღში გრძნობაზე მოსვლით.

20 აპრილი, 2020 წ.

Как площади эти обширны...

Как площади эти обширны,
Как гулки и круты мосты!
Тяжелый, беззвездный и мирный
Над нами покров темноты.

И мы, словно смертные люди,
По свежему снегу идем.
Не чудо ль, что нынче пробудем
Мы час неразлучный вдвоем?

Безвольно слабеют колени,
И кажется, нечем дышать...
Ты — солнце моих песнопений,
Ты — жизни моей благодать.

Вот черные зданья качнутся,
И на землю я упаду, —
Теперь мне не страшно очнуться
В моем деревенском саду.

10 марта 1917

Петербург

38. იცის დღეები ზამთრის მიწურულს...

იცის დღეები ზამთრის მიწურულს,
ვიდრე თოვლის ქვეშ ისვენებს ველი,
ხმელი ხეები მხიარულ ჩურჩულს
იწყებენ, როცა დაბერავს თელხი.

თვისი სიმჩატე აკვირვებს სხეულს
და ცნობა გიჭირს საკუთარ კერის,
მრავალჯერ ნამღერს და მოყირჭებულს,
ვით ახალთახალს, მღელვარედ მღერი.

21 აპრილი, 2020 წ.

Перед весной бывают дни такие

Перед весной бывают дни такие:
Под плотным снегом отдыхает луг,
Шумят деревья весело-сухие,
И теплый ветер нежен и упруг.

И легкости своей дивится тело,
И дома своего не узнаешь,
А песню ту, что прежде надоела,
Как новую, с волнением поешь.

Весна 1915

Слепнево

39. გულში მზის ხსოვნა იკლებს...

გულში მზის ხსოვნა იკლებს, ყვითელ
ფერს იღებს მოლი,
აბნევს ნაადრევ თოვლის ფთილებს
ავქარი ქროლვით.

ყინული წყალთა ნაკადს ფარავს
ვიწრო არხებში,
ალარ მოხდება რამე მარად
ამ სანახებში!

ავდარი ცაში გაშლილ ნერგებს
გაამეჩხერებს,
ეგებ ჯობია, რომ არ გერგე
თანამეცხედრედ.

გულში მზის ხსოვნა იკლებს, მრეში
ანაცვლებს ნათელს,
მგონი, მოასწრებს ერთ ღამეში
და დაიზამთრებს.

23 აპრილი, 2020 წ.

Память о солнце в сердце слабеет

Память о солнце в сердце слабеет,
Желтей трава.
Ветер снежинками ранними веет
Едва-едва.

В узких каналах уже не струится —
Стынет вода.
Здесь никогда ничего не случится,—
О, никогда!

Ива на небе пустом распластала
Веер сквозной.
Может быть, лучше, что я не стала
Вашей женой.

Память о солнце в сердце слабеет,
Что это? — тьма?
Может быть!.. За ночь прийти успеет
Зима.

30 января 1911
Киев

40. დავხეტიალობ და გემალები

დავხეტიალობ და გემალები,
ემალზე ჩემს ლანდს თულა შეხედავ...
განშორებისთვის შემრჩა ძალები,
თუმც ვერ გავუძლებ შენთან შეხვედრას.

25 აპრილი, 2020 წ.

По волнам блуждаю и прячусь в лесу

По волнам блуждаю и прячусь в лесу,
Мерещусь на чистой эмали,
Разлуку, наверно, неплохо снесу,
Но встречу с тобою - едва ли.

Лето 1963

41. დამვიწყებენ? - რა გამაკვირვებთ!..

დამვიწყებენ? - რა გამაკვირვებთ!..
გადავიწყება მრავალჯერ მახლდა,
მიწაში ასჯერ ჩამდეს, გამწირეს,
სადაც ვმარხივარ, ეგება, ახლაც.

დაბრმავდა, ჩაკვდა მუზა, შერბილდა,
თესლივით ჩალპა ხნულში ფენილი,
რომ აღმდგარიყო ისევ ფერფლიდან
ცისფერ ეთერში, როგორც ფენიქსი.

23 ივნისი, 2020 წ.

Забудут? - вот чем удивили!..

Забудут? - вот чем удивили!
Меня забывали не раз,
Сто раз я лежала в могиле,
Где, может быть, я и сейчас.

А Муза и глохла и слепла,
В земле истлевала зерном,
Чтоб после, как Феникс из пепла,
В эфире восстать голубом.

21 февраля 1957. Ленинград.

42. შეღებულია კარი...

შეღებულია კარი,
ვგრძნობ ცაცხვის სურნელს ნატიფს...
გდია დანავიწყარი
მერხზე თათმანი, ლახტი.

ლამპის ყვითელი რკალი...
წავიჩურჩულებ კიცხვით -
რად მიმატოვე მაღვით?
არ ვიცი, ჯერ ვერ მივხვდი...

ისევ ვიხილავ ცისკარს,
ზეცით ნაბოძი ხვედრით,
ცხოვრება წარმტაცია,
გულო, დაბრძენდი, გვედრი!

თუმცა შეგეტყო დაღლა -
ახლოა აღსასრული,
ამომიკითხავს სადღაც,
რომ უკვდავია სული.

1 სექტემბერი, 2020 წ.

Дверь полуоткрыта

Дверь полуоткрыта,
Веют липы сладко...
На столе забыты
Хлыстик и перчатка.

Круг от лампы желтый...
Шорохам внимаю.
Отчего ушел ты?
Я не понимаю...

Радостно и ясно
Завтра будет утро.
Эта жизнь прекрасна,
Сердце, будь же мудро.

Ты совсем устало,
Бьешься тише, глуше...
Знаешь, я читала,
Что бессмертны души.

1911

43. წყლისა და ტკბილი ღვინის დაღევას...

წყლისა და ტკბილი ღვინის დაღევას
ვერ ველირსებით ერთი სასმისით,
ვერც კოცნით შევძლებთ მზის მისალმებას,
ცალკე დადგება ჩვენთვის დაისიც.
მე მთვართ ვსუნთქავ, შენ მზის ციალით,
თუმც გვასულდგმულებს ერთი ტრფიალი.

მხიარულია შენი თანმხლები,
ჩემი - ერთგული მეგობარია,
ცხადად ვგრძნობ ძრწოლას რუხი თვალების
და ჩემი სნეზაც შენი ბრალია.
მცირე ხნით ვხვდებით და არცთუ ხშირად,
რამეთუ ასე უფრო ვართ მშვიდად.

ჩემს ლექსში ისმის შენი ხმა ნაცვლად,
ჩემს სულთქმას შენი ლექსი ეთნევა,
არის კოცონი, რასაც ვერ ნაცრავს
ვერც დავიწყება და ვერც ფეთება,
მომნატრებია რარიგ დამდაგი,
მშრალი, ვარდისფერ ზაგის ბადაგი!

4 სექტემბერი, 2020 წ.

Не будем пить из одного стакана

Не будем пить из одного стакана
Ни воду мы, ни сладкое вино,
Не поцелуемся мы утром рано,
А ввечеру не поглядим в окно.
Ты дышишь солнцем, я дышу луною,
Но живы мы любовью одною.

Со мной всегда мой верный, нежный друг,
С тобой твоя веселая подруга.
Но мне понятен серых глаз испуг,
И ты виновник моего недуга.
Коротких мы не учащаем встреч.
Так наш покой нам суждено беречь.

Лишь голос твой поет в моих стихах,
В твоих стихах мое дыханье веет.
О, есть костер, которого не смеет
Коснуться ни забвение, ни страх.
И если б знал ты, как сейчас мне любы
Твои сухие, розовые губы!

1913

44. გზააზნეულ და ღატაკ, ჭირმრავალ...

გზააზნეულ და ღატაკ, ჭირმრავალ,
დამაშვრალ სულზე ილოცე, გვედრი -
მუდამ თვითრწმენით გზებზე მიმავალს,
ნათლის დამნახველს დაბურულ ტევრშიც.

მადლობას გეტყვი ოდესღაც სადმე,
აწ ნაღვლიანი და გარიყული,
როგორ მტანჯავდა მხუთავი ღამე
და ვით სუნთქავდა დილა ყინულით.

მე ვერ მიგუა საწუთროს სულმა -
ვმღეროდი, ხან თავს ლოდინით ვღლიდი,
ის მაინც ვუწყი: მმა რომ არ მძულდა,
არც დობილებთან ვყოფილვარ ფლიდი.

არ ვიცი ღმერთი, რის გამო მსჯიდა,
ყოველ ცისმარე მისი განგებით,
თუ მომივლინა მფარველი ციდან -
ფარულ ნათლისკენ კვალის გამგნები?

6 სექტემბერი, 2020 წ.

Помолись о нищей, о потерянной

Помолись о нищей, о потерянной,
О моей живой душе,
Ты в своих путях всегда уверенный,
Свет узревший в шалаше.

И тебе, печально-благодарная,
Я за это расскажу потом,
Как меня томила ночь угарная,
Как дышало утро льдом.

В этой жизни я немного видела,
Только пела и ждала.
Знаю: брата я не ненавидела
И сестры не предала.

Отчего же Бог меня наказывал
Каждый день и каждый час?
Или это ангел мне указывал
Свет, невидимый для нас?

Май 1912. Флоренция

45. ტრფობაც წამერთვა და საფანელიც

ტრფობაც წამერთვა და საფანელიც,
სხეულს - სამულველ ქალაქის ტყვედქმნილს -
მზეც ვერ ახარებს. ვგრძნობ სადარდელით
სისხლი დამიზრა და თავბედს ვყვედრი.

ველარ ვცნობ მუზას - მომლხენს, არხეინს,
უტყვია, არ სურს თავისუფლება...
დადაფნულ თავს ხრის, ჩაიმუხლება,
სახეს მომადებს მკერდზე დარცხვენით.

ჭირთათმენისგან განაწვალები,
ვგავარ სინდისის მოხარვე მაშვრალს,
ვზღე სახის მალვით მისი ვალები...
თავს ვერ ვიმართლებ აწ, ცრემლიც დაშრა.

9 სექტემბერი, 2020 წ.

Все отнято: и сила, и любовь

Все отнято: и сила, и любовь.
В немилый город брошенное тело
Не радо солнцу. Чувствую, что кровь
Во мне уже совсем похолодела.

Веселой Музы нрав не узнаю:
Она глядит и слова не проронит,
А голову в веночке темном клонит,
Изнеможенная, на грудь мою.

И только совесть с каждым днем страшней
Беснуется: великой хочет дани.
Закрыв лицо, я отвечала ей...
Но больше нет ни слез, ни оправданий.

24 октября 1916,
Севастополь

46. რატომ მოწამლეთ ჩემი სასმელი

რატომ მოწამლეთ ჩემი სასმელი,
პური ტალახით რად გამიცუდეთ?
თავისუფლება უკანასკნელი
რატომ აქციეთ ქურდების ბუდედ?

რომ არ დავცინე მსჯავრდადებული
ამხანაგების დალუპვას ქენჯნით?
რადგან ბოლომდე დავრჩი ერთგული
სევდამოსილი მშობელი ქვეყნის?

დიახ, ჯალათის და საქონდაქრეს
გარეშე ყოფნა არ გვიწევს მგოსნებს,
დრო მონანულის ჯვალოს მოგვარებს,
ანთებულ სანთლით დავალთ და ვგოდებთ.

6 ნოემბერი, 2020 წ.

Зачем вы отравили воду

Зачем вы отравили воду
И с грязью мой смешали хлеб?
Зачем последнюю свободу
Вы превращаете в вертеп?

За то, что я не издевалась
Над горькой гибелью друзей?
За то, что я верна осталась
Печальной родине моей?

Пусть так. Без палача и плахи
Поэту на земле не быть.
Нам покаянные рубахи,
Нам со свечой идти и выть.

1935

47. საიასალო სიტყვა ფრთოსანი...

საიასალო სიტყვა ფრთოსანი
მსხვერპლის გაღებით ითქმის მეტყველის.
ქვეყნად მარტოდენ ცამრგვლის სოსანი
და ღვთის მადლია დაუშრეტელი.

16 ივლისი, 2021 წ.

О, есть неповторимые слова...

О, есть неповторимые слова,
Кто их сказал — истратил слишком много.
Неисто щима только синева
Небесная и милосердье Бога.

1916 г.

48. აგვისტო

უმწიკვლოა და თანაც ავთვალობს,
თვეებში სჯობნის ყველას სიცბილით,
ო, რა ბევრია, ღმერთო მართალო,
ამ დროს ზეიმიც, უღვთო სიკვდილიც!

კურთხევა ღვინის, ზეთის, წანდილის...
ფერიცვალება... ვარსკვლავთ ცამრგვალი...
დაბლა ჩამოდის, ვით ტყის საჩრდილი,
სადაც წითლდება ბინდის ნაწილი,
უსაზღვრო ჯანდის, თოვლის ტრამალში,
საფეხურებად მოჩანს აღსავლის.

თავს ჯადოსნურ ტყედ წარმოაჩენდა,
თუმცა თილისმას ძალა წაერთვა,
თვლიდნენ იმედის „მკურნალ ნაყენად“
პოლარულ დღეთა მდუმარ ნარებთან...

ახალი დარდის ორომტრიალი
მგუდავ გველივით ბედმა მასტუმრა...
მესმის შავი ზღვის ღელვის ღრიალი,
როცა იპოვის ძეხნილ სასთუმალს.

5 აგვისტო, 2022 წ.

Август

Он и праведный, и лукавый,
И всех месяцев он страшней:
В каждом Августе, Боже правый,
Столько праздников и смертей.

Разрешенье вина и еля...
Спас, Успение... Звездный свод!..
Вниз уходит, как та аллея,
Где остаток зари алеет,
В беспредельный туман и лёд
Вверх, как лестница, он ведёт.

Притворялся лесом волшебным,
Но своих он лишился чар.
Был надежды «напитком целебным»
В тишине заполярных нар...

А теперь! Ты, новое горе,
Душишь грудь мою, как удав...
И грохочет Чёрное Море,
Изголовье моё разыскав.

27 августа 1957

Комарово

49. ბოლო შეხვედრის სიმღერა

მიცივდებოდა უმწეოდ მკერდი,
ვუმკლავდებოდი თუმც თავბრუსხვევას,
მარჯვენა მტევანს რომ დავაცქერდი,
მარცხენა ხელის თათმანი მეცვა.

ხის საფეხური ძალიან ბევრი
მეჩვენა, იყო თუმც სამიოდე,
ხმამ შემოდგომის ნეკერჩხლის ტევრის
წამიჩურჩულა: „გთხოვ, ერთად მოვკვდეთ!“

ბოროტი ხვედრი ჩემზე კისკასობს,
ამის გამო ვარ ესდენ მწუხარი“.
„გვერდით მიგულე, ჩემო ძვირფასო,
მეც მინდა ერთად მოვკვდეთ“ - ვუთხარი.

ბოლო შეხვედრის ეს არის ჰანგი.
მზერა მოვავლე მოღუშულ ოდას,
საძინებელში სინათლე სანთლის
უხალისოდ და თაფლისფრად კრთოდა.

15 იანვარი, წმ. სერაფიმ საროველის ხს. დღე, 2023 წ.

Песня последней встречи

Так беспомощно грудь холодела,
Но шаги мои были легки.
Я на правую руку надела
Перчатку с левой руки.

Показалось, что много ступеней,
А я знала — их только три!
Между кленов шепот осенний
Попросил: «Со мною умри!

Я обманут моей унылой,
Переменчивой, злой судьбой».
Я ответила: «Милый, милый!
И я тоже. Умру с тобой...»

Это песня последней встречи.
Я взглянула на темный дом.
Только в спальне горели свечи
Равнодушно-желтым огнем.

1911 г.

50. მუშტს მიფარავდა მუქი მანდილი...

მუშტს მიფარავდა მუქი მანდილი ...

„რატომ ხარ ასე მკრთალი, დამფრთხალი?“

- გამეპასუხა ჩხუბის წადილის

მწარე ნაღველით ჩემგან დამთვრალი.

რა დამავიწყებს არდარიდებით,

რისხვით, ტორტმანით გასულს ბინიდან,

კიბის მოაჯირს ხელს არ ვკიდებდი,

ვსდევდი, ჭიშკრამდე ვიდრე მივიდა.

„გეხუმრე, ჟინმა წამომიარა,

თუ წახვალ, მომკლავ“ - ვიძახდი ქშინვით,

მითხრა საზარლად, მშვიდად მლიმარმა:

„შინ შედი, გავნებს გამჭოლი ქსინი“.

16 იანვარი, 2023 წ.

Сжала руки под темной вуалью...

Сжала руки под темной вуалью...

«Отчего ты сегодня бледна?»

— Оттого, что я терпкой печалью

Напоила его допьяна.

Как забуду? Он вышел, шатаясь,

Искривился мучительно рот...

Я сбежала, перил не касаясь,

Я бежала за ним до ворот.

Задыхаясь, я крикнула: «Шутка

Все, что было. Уйдешь, я умру».

Улыбнулся спокойно и жутко

И сказал мне: «Не стой на ветру».

8 января 1911, Киев

51. კვლავ გვთენთავდა გაზაფხული იდუმალი...

კვლავ გვთენთავდა გაზაფხული იდუმალი,
გამჭვირვალე ქარი ბორცვებს შეესია
და მუქლურჯად დაიფერა ღრმა ტბის წყალი -
ნათლისმცემლის ხელთუქმნელი ეკლესია.

ერთმანეთთან პირველ შეყრას შეუშინდი,
მე მეორე შეხვედრისთვის წარვთქვი ლოცვა,
სადამოა, როგორც მაშინ - ცხელი, მშვიდი,
რა ახლოა ჩამავალი მზე იმ ბორცვთან!

თუმც აქ არ ხარ, ეს არაა განშორება,
ყველა წამი საზეიმო ამბავს იტევს,
ისიც ვიცი, სატანჯველი არ გშორდება
და დუმილი გირჩევნია ახლა სიტყვებს.

18 იანვარი, 2023 წ.

Еще весна таинственная млела...

Еще весна таинственная млела,
Блуждал прозрачный ветер по горам
И озеро глубокое синело —
Крестителя нерукотворный храм.

Ты был испуган нашей первой встречей,
А я уже молилась о второй, —
И вот сегодня снова жаркий вечер...
Как низко солнце стало над горой...

Ты не со мной, но это не разлука,
Мне каждый миг — торжественная весть.
Я знаю, что в тебе такая мука,
Что ты не можешь слова произнести.

Summer 1914

52. მოტყუება

მ.ა. ზმუნჩილა

I.

გაზაფხულის მზით დამთვრალა დილა,
ტერასას ვარდის სურნელი ავსებს,
ცა ლურჯ ქაშანურს აჭარბებს ნათლით,
ტყავისყდიან წიგნს ავიღებ ფრთხილად,
ვკითხულობ ელეგიებს და სტანსებს,
დაწერილს სათნო ბებიის ხათრით.

ვხედავ ჭიშკრამდე გზას და ქათქათა
ბოდების წყებას ზურმუხტის კორდში,
ბრმა სიყვარულით გულია ლაღი!
ყვავილთა კლუმბი ნათობს ათასფრად,
ყრანტალებს ყვავი და მოჩანს სწორი
ხეივნის ბოლოს აკლდამის თაღი.

2 ნოემბერი, 1910, კიევი

II.

ხორშაკი დაქრის, თაკარა მზეა,
შიშველ მკლავებზე დამეტყო რუჯი,
ლაჟვარდოვანი ბრდღვიალა ზეცა,
თითქოს კამკამა მინაა ლურჯი.

მინდვრად იგრძნობა საკმაოდ მძაფრად
ოქროდაფერილ უკვდავას სუნი,
დაბრეცილ ნაძვის ღეროზე შარას
შევამჩნევ ჭიანჭველათა გუნდის.

ტბორს მზე მოვერცხლავს სხივმომფინარე...
სულს ჯერ იტაცებს ფრთონა, თამაში...
ნეტავ ვის ვნახავ სიზმრად მძინარე,
წამოწოლილი ჩემს ჭრელ ჰამაკში?

იანვარი, 1910, კიევი

III.

ლურჯი საღამო, ქარს დარი აქრობს,
შინისკენ მიხმობს ნათელი შუქი
და ვმარჩიელობ, დამხვდება საქმრო,
დამხვდება საქმრო, თუ ვიღაც უქმი...

პარმალზე ნაცნობ სილუეტს ვლანდავ,
სმენას ძლივს სწვდება ბაასი მშვიდი,
მოთენთილობის საამო განცდა
არცროს მქონია ესოდენ დიდი.

აშარიშურდნენ ალვები შფოთვით,
ნაზი სიზმრები მოჰგვრიდათ ცახცახს,
ცამ მარცვლისფერი მიიღო შოთხვის
და აციმციმდნენ ვარსკვლავნი ბაცად.

ლევკოიონის თაიგულს სპეტაკს
ვირჩევ, მგზნებარეს იდუმალ ცეცხლით,
ვინ გამომართმევს ყვავილებს ნეტავ
და შემეხება თბილ ნებზე ხელით.

სექტემბერი, 1910, ცარსკოე სელო

IV.

ვერ გავბედავდი რის თქმასაც ბაგით,
ხვაშიადები მივანდე წერილს,
თავი ყრუდ მტკივა, უეცარ თანგვით
გამიშეშდება დროდადრო წელი.

მიწყდა საყვირის ხმები სახლს იქით,
თავსატეხები გულს კვლავ არ ინდობს
და შემოდგომის პირველი ფიფქი
დაეფინება კროკეტის მინდორს.

ბოლო ფოთლების შრიალი ისმის,
ბოლო ფიქრებსაც წუხილი ქენჯნის,
მე არ მინდოდა ხელშეშლა მისთვის,
ვინც დაჩვეულა ცხოვრებას ლხენით.

მე ძვირფას ბაგეს შევუნდე მალე
მისი ნათქვამი ხუმრობა ბასრი,
მსურს უცილობლად გვეწვიოთ ხვალე,
გადათეთრდება როცა გზა ბარდნით.

სანთლებს დაგინთებთ, დავაგზნებთ ბუხარს,
დღისით ნაზია სანთელთა ფრთონა
და მოგართმევენ სასურველ სტუმარს
ორანჟერეის ვარდების კონას.

აგვისტო, 1910, ცარსკოე სელო.

მ.ა. ზმუნჩილა,
ანა ახმატოვას რძალი

19 იანვარი, ნათლისდება, 2023 წ.

Обман

М. А. Змунчила

I.

Весенним солнцем это утро пьяно,
И на террасе запах роз слышней,
А небо ярче синего фаянса.
Тетрадь в обложке мягкого сафьяна;
Читаю в ней элегии и стансы,
Написанные бабушке моей.

Дорогу вижу до ворот, и тумбы
Белеют четко в изумрудном дерне.
О, сердце любит сладостно и слепо!
И радуют пестреющие клумбы,
И резкий крик вороны в небе черной,
И в глубине аллеи арка склепа.

2 ноября 1910, Киев

II.

Жарко веет ветер душный,
Солнце руки обожгло,
Надо мною свод воздушный,
Словно синее стекло;

Сухо пахнут иммортели
В разметавшейся косе.
На стволе корявой ели
Муравьиное шоссе.

Пруд лениво серебрится,
Жизнь по новому легка...
Кто сегодня мне присниться
В пёстрой сетке гамака?

Январь 1910, Киев

III.

Синий вечер. Ветры кротко стихли,
Яркий свет зовёт меня домой.
Я гадаю. Кто там? — не жених ли,
Не жених ли это мой?..

На террасе силуэт знакомый,
Еле слышен тихий разговор.
О, такой пленительной истомы
Я не знала до сих пор.

Тополя тревожно прошуршали,
Нежные их посетили сны,
Небо цвета воронёной стали,
Звезды матово-бледны.

Я несю букет левкоев белых.
Для того в них тайный скрыт огонь,
Кто, беря цветы из рук несмелых,
Тронет теплую ладонь.

Сентябрь 1910
Царское Село

IV.

Я написала слова,
Что долго сказать не смела.
Тупо болит голова,
Странно немеет тело.

Смолк отдалённый рожок,
В сердце всё те же загадки,
Лёгкий осенний снежок
Лёг на крокетной площадке.

Листьям последним шуршать!
Мыслям последним томиться!
Я не хотела мешать
Тому, кто привык веселиться.

Милым простила губам
Я их жестокою шутку...
О, вы приедете к нам
Завтра по первопутку.

Свечи в гостинной зажгут,
Днём их мерцанье нежнее,
Целый букет принесут
Роз из оранжереи.

Август 1910
Царское Село

[↑](#) თავში

[↑](#) ავტორის დასაწყისი



ალექსანდრე პუშკინი - Александр Пушкин
(1799-1837)

[↑](#) თავში

1. მე თქვენ მიყვარდით

მე თქვენ მიყვარდით: მიყვარდით მძაფრად,
ეგებ არ ჩაქრა ტრფიალის ღველვი,
ამ სიყვარულით აღარ დაგზაფრავთ,
არ მსურს გაწვალდეთ ვნებათაღელვით.

მიყვარდით მალვით, გულისმომწყვლელად,
ხან ეჭვი მღრღნიდა, ხან სიმწუხარე,
მიყვარდით ისე ნაზად და წრფელად...
ღმერთს ვთხოვ ჩემსავით სხვასაც უყვარდეთ!

28 აპრილი, 2020 წ.

Я вас любил

Я вас любил: любовь еще, быть может,
В душе моей угасла не совсем;
Но пусть она вас больше не тревожит;
Я не хочу печалить вас ничем.

Я вас любил безмолвно, безнадежно,
То робостью, то ревностью томим;
Я вас любил так искренно, так нежно,
Как дай вам бог любимой быть другим.

1829

2. ნუ მღერ ლამაზო, ნუ მწვავ ნაღვერდლით...

ნუ მღერ ლამაზო, ნუ მწვავ ნაღვერდლით,
ქართულ ჰანგებით გულს ნუ დამიჭრი,
გამახსენდება შენი ნამღერით
სხვა ცხოვრება და შორი ნაპირი!

მომაგონდება ჰანგის ხავერდით,
გარდასული დრო სასოწარკვეთით -
სტეპი და ღამე, მთვარით ნაფერი
შორეულ საწყალ ქალის ნაკვთები!..

ძვირფასი ლანდი, ბედუკუღმართი,
დამავიწყდება შენი თვალთვალით,
თუ ამღერდები მისი სურათი
წარმომიდგება ისევ თვალნათლივ.

ნუ მღერ ლამაზო, ნუ მწვავ ნაღვერდლით,
ქართულ ჰანგებით გულს ნუ დამიჭრი,
გამახსენდება შენი ნამღერით
სხვა ცხოვრება და შორი ნაპირი!

30 აპრილი, 2020 წ.

Не пой, красавица, при мне...

Не пой, красавица, при мне
Ты песен Грузии печальной:
Напоминают мне оне
Другую жизнь и берег дальный.

Увы! напоминают мне
Твои жестокие напевы
И степь, и ночь — и при луне
Черты далекой, бедной девы!..

Я призрак милый, роковой,
Тебя увидев, забываю;
Но ты поешь — и предо мной
Его я вновь воображаю.

Не пой, красавица, при мне
Ты песен Грузии печальной:
Напоминают мне оне
Другую жизнь и берег дальный.

12 июня 1828 г.

3. საქართველოს მთებზე

საქართველოს მთებს დასწოლია ღამის წკვარამი,
ვისმენ მახლობლად არაგვის ღრიალს,
ნაღველი არ მდლის; ნათელია ჩემი ვარამი,
ეს სიმძიმელი შენით აღვსილა,

აღვსილა შენით, მხოლოდ შენით... და სხვა საწუხარს
არარა აღძრავს და ხვედრს ვყაბულობ,
მოგიზგიზე გულს ისევ ისე ძალუმად უყვარს,
რადგან ვერ გაძლებს უსიყვარულოდ.

5 მაისი, 2020 წ.

На холмах Грузии...

На холмах Грузии лежит ночная мгла;
Шумит Арагва предо мною.
Мне грустно и легко; печаль моя светла;
Печаль моя полна тобою,

Тобой, одной тобой... Унынья моего
Ничто не мучит, не тревожит,
И сердце вновь горит и любит - оттого,
Что не любить оно не может.

1829

4. კ-ს (მახსოვს ის წამი ნათილისმარი)

მახსოვს ის წამი ნათილისმარი,
როცა გიხილე თვალწინ მდგომელი,
როგორც ზმანება ნათლის მფინარი,
მშვენება თანაწარუხდომელი.

საწუთროს ალიაქოთით თრგუნვილს,
უნუგეშობით სასოწარკვეთილს,
მესმოდა ნაზი ჩურჩული ზრუნვის,
მესიზმრებოდა შენი ნაკვთები.

აურზაურში, წლების ხმაურში
აღარ შემომრჩა ძველი ნატვრები,
გადამავიწყდა ხმა საამური
და სილამაზე სანეტარები.

გადაკარგულში, წნეხში სიბნელის,
დრო გადიოდა შემალონებლად,
ჩაქრა ღვთაება, სიცოცხლე, ცრემლი,
სიყვარული და ზემთაგონება.

კვლავ გამოფხიზლდა სული მძინარი,
ისევ გიხილე თვალწინ მდგომელი,
როგორც ზმანება ნათლის მფინარი,
მშვენება თანაწარუხდომელი.

გული მოიცვა აღფრთოვანებამ
და აღორძინდა კვლავ, მინავლული -
მასში სიცოცხლე, ცრემლი, ღვთაება,
ზემთაგონება და სიყვარული.

9 მაისი, 2020 წ.

К* (Я помню чудное мгновенье)**

Я помню чудное мгновенье:
Передо мной явилась ты,
Как мимолетное виденье,
Как гений чистой красоты.

В томленьях грусти безнадежной,
В тревогах шумной суеты,
Звучал мне долго голос нежный
И снились милые черты.

Шли годы. Бурь порыв мятежный
Рассеял прежние мечты,
И я забыл твой голос нежный,
Твои небесные черты.

В глуши, во мраке заточенья
Тянулись тихо дни мои
Без божества, без вдохновенья,
Без слез, без жизни, без любви.

Душе настало пробужденье:
И вот опять явилась ты,
Как мимолетное виденье,
Как гений чистой красоты.

И сердце бьется в упоенье,
И для него воскресли вновь
И божество, и вдохновенье,
И жизнь, и слезы, и любовь.

5. ტუსალი

ცივ დილეგში წლობით ღამეს ვათევ
ნორჩ არწივად გამოზრდილი მართვე,
გისოსს მიღმა ნაღვლიანი დოსტი
ფრთის ფართხუნით სისხლიან მძორს კორტნის.

ძიძგნის, აგდებს, გისოსს აკვირდება,
იგივე გვაქვს, მგონი, ახირება;
თითქოს უნდა ყაშყაშით და ქშენით
ამოღერღოს: „დროა ჩვენი ფრენის!

ლალ ჩიტებად ვიშვით; ძმაო, დროა,
მივაშუროთ მოქათქათე გორაკს
და ზღვის ლურჯად მოლივლივე ნაპირს,
სადაც დავეკრით მხოლოდ მე და ქარი!“

6 მაისი, გიორგობა, 2020 წ.

УЗНИК

Сижу за решеткой в темнице сырой.
Вскормлённый в неволе орел молодой,
Мой грустный товарищ, махая крылом,
Кровавую пищу клюет под окном,

Клюет, и бросает, и смотрит в окно,
Как будто со мною задумал одно;
Зовет меня взглядом и криком своим
И вымолвить хочет: «Давай улетим!

Мы вольные птицы; пора, брат, пора!
Туда, где за тучей белеет гора,
Туда, где синеют морские края,
Туда, где гуляем лишь ветер... да я!...»

1822

6. დროა, ძვირფასო, დროა!...

დროა, ძვირფასო, დროა! – გული სიმშვიდეს ითხოვს,
დღეები დღეებს მისდევს, საათებს თითო-თითოდ
მიაქვთ არსობის წილი, ხოლო როდესაც წყვილი
ცხოვრებას დავაპირებთ... მოდის სიკვდილი წბილი.

ქვეყნად არ არის ლხენა; სიმშვიდეს, ნებას - ვხვდებით,
დიდი ხანია მინდა, გულით ნანატრი ხვედრი -
ვპოვო მაშვრალმა მონამ და წუთისოფლის მსხემმა,
შორი საუფლო გარჯის და ნეტარების მხსნელად.

1 მაისი, 2020 წ.

Пора, мой друг, пора!...

Пора, мой друг, пора! покоя сердце просит —
Летят за днями дни, и каждый час уносит
Частичку бытия, а мы с тобой вдвоем
Предполагаем жить... И глядь — как раз — умрем.

На свете счастья нет, но есть покой и воля.
Давно завидная мечтается мне доля —
Давно, усталый раб, замыслил я побег
В обитель дальнюю трудов и чистых нег.

1834

7. ანგელოსი

ღვთის ანგელოსი ნაზი, ნათელი,
თავდახრით იდგა სამოთხის კართან,
ხოლო მოჯანყე და სათაელი
გეჰენის მაღლა ირაოს ჰკრავდა.

სულმა ეჭვის და ღვთისმგმობელობის
მზერა მიაპყრო წმინდა ანგელოსს
და ცეცხლოვანი უნებურ ღმობით
დემონს პირველად სული აღევსო;

“შემინდე, - უთხრა – მნათო შემქმნელის,
ფუჭად არ მფენდი სხივებს სიცხადით:
ყველაფერი არ მძაგდა ზესკნელში,
ამქვეყნად ყოველს როდი ვკიცხავდი”.

25 აპრილი, 2020 წ.

Ангел

В дверях эдема ангел нежный
Главой поникшею сиял,
А демон мрачный и мятежный
Над адской бездною летал.

Дух отрицанья, дух сомненья
На духа чистого взирал
И жар невольный умиленья
Впервые смутно познавал.

«Прости,- он рек,- тебя я видел,
И ты недаром мне сиял:
Не все я в небе ненавидел,
Не все я в мире презирал».

1827

8. შემომეძარცვა ყველა სურვილი

შემომეძარცვა ყველა სურვილი,
ფუჭი ოცნებაც უკვე მოთავდა
და სატანჯველით გულშემუსვრილი
ვიმკი ცარიელ გულის მოსავალს.

ბედის ავქარით ნაამბორალი
დაჰკნა ხასხასა ჩემი კიდარი -
ვცხოვრობ მწუხარე და ამბოკარი
და სიკვდილს ვუცდი ალღომდიდარი,

ვით ყინვით მზრალი და მოწყენილი,
როცა ქარბუქი უსტვენს მომქროლი,
ხეზე ეულად შემორჩენილი,
დახანებული მთრთოლი ფოთოლი!..

3 მაისი, 2020 წ.

Я пережил свои желанья

Я пережил свои желанья,
Я разлюбил свои мечты;
Остались мне одни страданья,
Плоды сердечной пустоты.

Под бурями судьбы жестокой
Увял цветущий мой венец —
Живу печальный, одинокой,
И жду: придет ли мой конец?

Так, поздним хладом пораженный,
Как бури слышен зимний свист,
Один — на ветке обнаженной
Трепещет запоздалый лист!..

1821

9. აღორძინება

შლეგი მხატვარი სურათს გლესს ყალმით
და დიდოსტატის ქმნილებას ლახავს,
მიენიჭება იერი ყალბი
მისი ნათითხნით პირველქმნილ ნახატს.

ძველი ქერცლივით წლები ჩამოყრის
თუმც სურათიდან ახალ საღებავს
და გენიოსის გარჯის ნაყოფის
მშვენიერება ისევ აღდგება.

მსგავსად დაიფერთხს ხიბლს და საცდურებს
ეს ჩემი სულიც ნამარტვილევო
და მასში ისევ დაისადგურებს
უბიწო დღეთა ჟამის ხილვები.

4 მაისი, 2020 წ.

Возрождение

Художник-варвар кистью сонной
Картину гения чернит.
И свой рисунок беззаконный
Над ней бессмысленно чертит.

Но краски чуждые, с годами,
Спадают ветхой чешуей;
Созданье гения пред нами
Выходит с прежней красотой.

Так исчезают заблужденья
С измученной души моей,
И возникают в ней виденья
Первоначальных, чистых дней.

1819

10. ე.ი. ოგარიოვის ქალისადმი

რომელსაც მიტროპოლიტმა თავისი ბაღის ხილი გაუგზავნა

მიტროპოლიტმა - ურცხვმა, ფაფხურამ,
მოგიძღვნა ხილი თვალისწამლები,
როგორც ჩანს, ჩვენთვის იმის დასტურად,
თვით იყო ღმერთი მისი ბაღების.

ხელგეწიფება მშვენიერ ქარიტს
ყოველი - ძლევა ღიმილთა მბუნის,
ჭკუიდან შემლაც მოხუც მღვდელმთავრის -
თითქოს მგზნებარე იყოს ჭაბუკი...

გიმზერს და გულის გახალისებით,
ის თავის ჯვარსაც გადაივიწყებს,
ნაზად უგალობს პარაკლისებით,
შენს სილამაზეს არამიწიერს.

7 მაისი, 2020 წ.

**К ОГАРЕВОЙ,
КОТОРОЙ МИТРОПОЛИТ ПРИСЛАЛ ПЛОДОВ ИЗ СВОЕГО САДУ**

Митрополит, хвостун бесстыдный,
Тебе прислав своих плодов,
Хотел уверить нас, как видно,
Что сам он бог своих садов.

Возможно все тебе — харита
Улыбкой дряхлость победит,
С ума сведет митрополита
И пыл желаний в нем родит.

И он, твой встретив взор волшебный,
Забудет о своем кресте
И нежно станет петь молебны
Твоей небесной красоте.

11. ღამე

ჩემი ხმა შენი მოალერსე, ოდნავი ჩქამით
იდუმალეზას არღვევს ზნელი, გვიანი ღამის.
სარეცლის გვერდით ნაღვლიანი სანთელი ეღავს
და მოდუდუნებს ჩემი ლექსი წყნარად და ნელა.

დის სიყვარულის წყარო, შენით სავსე პირთამდე,
შენი თვალები მინათებენ ღამის ყიამეთს,
მიღიმინ და თან ჩამესმის სიტყვები ფრფუნის:
მიყვარხარ ჩემო სანატრელო, შენი ვარ... შენი.

23 მაისი, 2020 წ.

НОЧЬ

Мой голос для тебя и ласковый и томный
Тревожит позднее молчанье ночи темной.
Близ ложа моего печальная свеча
Горит; мои стихи, сливаясь и журча,

Текут, ручьи любви, текут, полны тобою.
Во тьме твои глаза блистают предо мною,
Мне улыбаются, и звуки слышу я:
Мой друг, мой нежный друг... люблю... твоя... твоя.

12. ღრუბელი

მრწემო ღრუბელო დამცხრალ ქარიშხლის,
მოწმენდილ ცაზე სრიალს არ იშლი,
მხოლოდ შენ მოჰყენ დაღვრემილ ნაგრილს
და მოზეიმე დღეს ხალისს წაგვრი!

ცას მოქუფრავდი წელან და მღელვარს
გარს გეხვეოდა მრისხანე ელვა,
გვზაფრავდი მეხთაცემით და ზავით
და ხახაგამშრალ ნიადაგს რწყავდი.

დროა დამთავრდეს იალკიალი!
მიწა გაგრილდა, ჩადგა გრიგალი,
ნიავი იწყებს ფოთლების ალერსს
და წყნარი ციდან გაგდევნის მალე!

8 მაისი, 2020 წ.

Туча

Последняя туча рассеянной бури!
Одна ты несешься по ясной лазури,
Одна ты наводишь унылую тень,
Одна ты печалишь ликующий день.

Ты небо недавно кругом облежала,
И молния грозно тебя обвивала;
И ты издавала таинственный гром
И алчную землю поила дождем.

Довольно, сокройся! Пора миновалась,
Земля освежилась, и буря промчалась,
И ветер, лаская листочки древес,
Тебя с успокоенных гонит небес.

1835

13. ბულბული და ვარდი

ღამის უკუნში, გაზაფხულზე, მდუმარე მტილში,
ვარდს ჩაკონილი უნაზესი ბულბული ტირის.
ვარდი ვერას გრძნობს და არ ესმის ნაზი ჰანგები,
თვლემს და ნანაობს სამიჯნურო ჰიმნის თანხლებით.

ცივ სილამაზეს შენც ხომ მსგავსად ეაღერსები?
პოეტო, ვისთვის მიგიძღვნია შენი ლექსები?
ის ყურს არ გიგდებს, ვერც გაიგებს შენს ხვაშიადებს;
ჭვრეტ ვარდად გაშლილს; შეღაღადებ - და არად გაგდებს.

10 მაისი, 2020 წ.

Соловей и роза

В безмолвии садов, весной, во мгле ночей,
Поет над розою восточный соловей.
Но роза милая не чувствует, не внимлет,
И под влюбленный гимн колеблется и дремлет.

Не так ли ты поешь для хладной красоты?
Опомнись, о поэт, к чему стремишься ты?
Она не слушает, не чувствует поэта;
Глядишь, она цветет; взываешь — нет ответа.

1827

14. კავშირი გაწყდა: ყოველივე უკვე დასრულდა

კავშირი გაწყდა: ყოველივე უკვე დასრულდა.
უკანასკნელად მოვეხვიე მუხლებს უნაზესს
და უნუგეშომ უნებლიედ დაგამუნათე;
მორჩა ყოველი - შენგანაც ეს მესმა დასტურად.

აღარასოდეს ოცნებებით თავს არ დავკარგავ,
არც შეგაწუხებ არასოდეს ჩემი ნაღველით,
დამავიწყდება ალბათ ნამყო სულისმდაღველი,
არ გაჩენილა სიყვარული ჩემთვის აშკარად.

ახალგაზრდა ხარ, მშვენიერი, შეუდარები
და სიცოცხლეში კიდევ მრავალს შეუყვარდები.

14 მაისი, თამარობა, 2020 წ.

Все кончено: меж нами связи нет...

Все кончено: меж нами связи нет.
В последний раз обняв твои колени,
Произносил я горестные пени.
Все кончено — я слышу твой ответ.

Обманывать себя не стану вновь,
Тебя тоской преследовать не буду,
Прошедшее, быть может, позабуду —
Не для меня сотворена любовь.

Ты молода: душа твоя прекрасна,
И многими любима будешь ты.

1824

15. ელეგია

გიჟური წლების დროსტარება საამურები,
მძიმეა ჩემთვის, ვით მშფოთვარე ნაბახურევი;
მაგრამ ვით ღვინოს - გარდასული ჟამის სინაღვლეს,
დაძველებისგან ემატება უფრო სიმძლავრე.
გზა მჭმუნვარეა; მემუქრება ჯაფით, შერისხვით,
დაუცხრომელი ოკეანე უცნობ მერმისის.

ჯერ ნაადრევად მიმაჩნია თუმცა შავეთი,
სიცოცხლე მიჯობს სადარდელით და სიავეთი;
ვუწყი, დროდადრო დამიბრუნებს ხალისს განცხრომა,
შეენაცვლება ზრუნვას, წყენას, ბედის გაწყრომას.

კვლავ აღვივსები ჰარმონიის ტკბილი ზარხოშით,
მდულარე ცრემლის ღვარში გავბან ფიქრებს წამომლილს
და შესაძლოა, ჩემს სევდიან მწუხრის ნათელში,
ღიმილით გაკრთეს სიყვარული უკანასკნელი.

13 მაისი, 2020 წ.

ЭЛЕГИЯ

Безумных лет угасшее веселье
Мне тяжело, как смутное похмелье.
Но, как вино — печаль минувших дней
В моей душе чем старе, тем сильней.
Мой путь уныл. Сулит мне труд и горе
Грядущего волнуемое море.

Но не хочу, о други, умирать;
Я жить хочу, чтоб мыслить и страдать;
И ведаю, мне будут наслажденья
Меж горестей, забот и тревоженья:
Порой опять гармонией упьюсь,
Над вымыслом слезами обольюсь,
И может быть — на мой закат печальный
Блеснет любовь улыбкою прощальной.

1830

16. პოეტს

ხალხის სიყვარულს, პოეტო ნუ ულოლიავებ,
ხოტბა დაცხრება და გიყელებს ყველა მქეზარი -
ბრიყვი განგსჯის და გულცივი ბრბო გიზამს სიავეს,
იყავი მუდამ პირქუში და დინჯი, მედგარი!

მეფე ხარ: და ვით გევალება ზვიად ბინადარს,
თავისუფლების გზას გაჰყევი გონის კარნახით,
საყვარელ ფიქრთა ნაყოფი კი სრულქმენ ნანახით,
სიქველის გამო ნუ მოელი ქვეყნად იადგარს;

ჯილდო შენშია. პირუთენელი, ხმალშემართული,
შენვე ხარ შენი თავისა და ღვაწლის მსაჯული.
მოგწონს ნაშრომი, თუ ეჭვიან მზერით დამეხავ?

კარგად მიიჩნევ? მაშინ დაე ბრბომ ქვეშ გათელოს,
ფურთხით წაბილწოს შენი წმინდა ცეცხლის სამსხვერპლო,
ბავშვურ სიფიცხით შეარყიოს მისი სამფეხა!

11 მაისი, 2020 წ.

ПОЭТУ

Поэт! не дорожи любовью народной.
Восторженных похвал пройдет минутный шум;
Услышишь суд глупца и смех толпы холодной,
Но ты останься тверд, спокоен и угрюм.

Ты царь: живи один. Дорогою свободной
Иди, куда влечет тебя свободный ум,
Усовершенствуя плоды любимых дум,
Не требуя наград за подвиг благородный.

Они в самом тебе. Ты сам свой высший суд;
Всех строже оценить умеешь ты свой труд.
Ты им доволен ли, взыскательный художник?

Доволен? Так пускай толпа его бранит
И плюет на алтарь, где твой огонь горит,
И в детской резвости колеблет твой треножник.

1830

17. პასუხი ფ. ტ.-ს

არა, ჩერქეზის ქალი არ არის,
თუმც საქართველოს ბარში ძველთაგან,
არ ჩამოსულა მსგავსი ნარნარი,
პირქუმ ყაზბეგის სიმადლეთაგან.

არც გუგები აქვს ასულს აქატის,
თუმც აღმოსავლის მთელი ავარი
მდარეა, ვიდრე ყალმით ნახატი
შუადღის თვალის იაჯავარი.

13 ივნისი, 2020 წ.

ОТВЕТ Ф. Т***

Нет, не черкешенка она;
Но в доли Грузии от века
Такая дева не сошла
С высот угрюмого Казбека.

Нет, не агат в глазах у ней,
Но все сокровища Востока
Не стоят сладостных лучей
Ее полуденного ока.

1826

18. ყვავილი

წიგნში ჩადებულს შევცქერი ყვავილს,
გადავიწყებულს, უსუნოს, მიმჭკნარს,
ფიქრი წამიღებს, მისი ამბავი
რამენაირად გავიგო მინდა:

რომელ გაზაფხულს და სად ხარობდა,
მინდორ-ველად თუ ბაღში, ან რა ხნით?
უცხომ მოწყვიტა ის თუ ნაცნობმა?
წიგნს მიაბარა მან რა განზრახვით?

სახსოვრად - ტკბილი მიმოხედვების,
თუ განშორების მომწყვლელ ჭრილობის,
ან მარტოდმარტო მიმოხეტების
მდუმარე ველზე და ტყის ჩრდილობში?

ცოცხლობს ის კაცი, ან ბანოვანი?
თუ ორივეა ახლა უგრძნობი?
განისვენებენ სამაროვანში,
დაჭკნენ, ვით ეს რტო გამოუცნობი?!

23 მაისი, 2020 წ.

ЦВЕТОК

Цветок засохший, безуханный,
Забывтый в книге вижу я;
И вот уже мечтою странной
Душа наполнилась моя:

Где цвел? когда? какой весною?
И долго ль цвел? и сорван кем,
Чужой, знакомой ли рукою?
И положен сюда зачем?

На память нежного ль свиданья,
Или разлуки роковой,
Иль одинокого гулянья
В тиши полей, в тени лесной?

И жив ли тот, и та жива ли?
И нынче где их уголок?
Или уже они увяли,
Как сей неведомый цветок?

1828

19. პოეტი

სანამ აპოლონს არ სურს პოეტი
წმინდა ტარიგად, ისიც ჩაფლულა
ყოფის ამაო მიეთ-მოეთში
გამაწბილებლად და სულმდაბლურად.

მდუმარებს მისი წმინდა საკრავი,
გასციებია სული მთვლემარი
და ეგებ ქვეყნის მდარე ნაგრამში
არის ყველაზე ქვეგამხედვარი.

მაგრამ ღვთის სიტყვა თუ არ გაწირავს,
მიეკარება როსმე ყურმახვილს,
შეფრთხილდება სული უძრავი,
გადაიქცევა მღვიმარ არწივად.

განერიდება მხიარულ კრებულს,
ალიაქოთს და კაცთა ყბედობას,
ქედს არ მოიდრეკს აღიარებულ
კერპის წინაშე, არც მიენდობა.

მირბის ველური და ქედუხრელი,
აღსავსე ხმებით, შფოთით, ღირსებით,
იქ, სადაც ისმის ზათქი ზვირთების
და შარიშური მძლავრ ბერმუხების.

15 მაისი, 2020 წ.

ПОЭТ

Пока не требует поэта
К священной жертве Аполлон,
В заботах суетного света
Он малодушно погружен;

Молчит его святая лира;
Душа вкушает хладный сон,
И меж детей ничтожных мира,
Быть может, всех ничтожней он.

Но лишь божественный глагол
До слуха чуткого коснется,
Душа поэта встрепенется,
Как пробудившийся орел.

Тоскует он в забавах мира,
Людской чуждается молвы,
К ногам народного кумира
Не клонит гордой головы;

Бежит он, дикий и суровый,
И звуков и смятенья полн,
На берега пустынных волн,
В широкошумные дубровы...

1827

20. პორტრეტი

მგზნებარე სულის, მშვენება ქვეყნის
და აყლილი ბობოქარ ვნებას
ო, ჩრდილოეთის ქალებო თქვენში
დროგამოშვებით მოგვევლინება.

დადგენილ წესებს აიგდებს მასხრად,
ქანცის გაცლამდე ნებას თარეში
მოხეტიალე კომეტის დარად
გათვლილი გეზის მნათობთა წრეში.

11 ივნისი, 2020 წ.

Портрет

С своей пылающей душой,
С своими бурными страстями,
О жены Севера, меж вами
Она является порой

И мимо всех условий света
Стремится до утраты сил,
Как беззаконная комета
В кругу расчисленном светил.

1828

21. ჭეშმარიტება

ძველთაგან ბრძენნი ეძებდნენ ნასახს
გადავიწყებულ ჭეშმარიტების
და გულმოდგინედ ცდილობდნენ ახსნას
მოხუცებულთა ნათქვამ სიტყვების.

ამბობდნენ: „ჭეშმარიტება ხასი,
გადაიმალა ჭის ღრმა ადგილას“,
წყალს ხაპავდნენ და შესვამდნენ თასით,
ყვიროდნენ: „აქვე ვპოვებთ ნამდვილად!“

თუმც, მოკვდავ კაცთა ერთ-ერთმა შემწემ,
(სავარაუდოდ იყო სილენი),
ამაო ალიაქოთის შემსწრემ,
შეწუხებულმა მათი სირეგვნით

შეწყვიტა ძებნა, პირველმა მათგან
ღვინის შესახებ გაივლო ფიქრი,
როცა ბოლომდე დაცალა კათხა,
ჭეშმარიტება იხილა ძირში.

31 მაისი, 2020 წ.

ИСТИНА

Издавна мудрые искали
Забывших истины следов
И долго, долго толковали
Давнишни толки стариков.

Твердили: «Истина святая
В колодез убралась тайком»,
И, дружно воду выпивая,
Кричали: «Здесь ее найдем!»

Но кто-то, смертных благодетель
(И чуть ли не старик Силен),
Их важной глупости свидетель,
Водой и криком утомлен,

Оставил невидимку нашу,
Подумал первый о вине
И, осушив до капли чашу,
Увидел истину на дне.

1816

В основу стихотворения положены изречение греческого философа Демокрита: «Истина — на дне колодца» и греко-римская пословица «Истина в вине».

22. შენ დამიცავი, ჩემო თილისმავ

შენ დამიცავი, ჩემო თილისმავ,
შენ დამიცავი დღეებში ჩაგვრის,
სინანულის ჟამს, გულისმღრნელ ჯავრში:
შენ ხომ მეზომე სიმძიმისას.

გამოფხიზლდება როს ზღვა ძილისგან,
ააბობოქრებს ზვირთებს გრიგალი,
ჩამოვარდება მეხი გრიალით,
შენ დამიცავი, ჩემო თილისმავ.

უცხო ქვეყნების მიმოხილვისას,
მყუდრო სავანის ჩრდილობში მთრთოლი,
ორომტრიალში სასტიკი ბრძოლის,
შენ დამიცავი, ჩემო თილისმავ.

აღარ მინათებს ბნელში ლიფლიფა,
სულის გრძნეული შუქურ-ვარსკვლავი
თვალს მიეფარა, არ ჩანს არსაით...
შენ დამიცავი, ჩემო თილისმავ.

არ გამახსენოს რაც განვლილია
მოგონებებმა, არ მწამლოს შხამით;
წადილო დაცხრი; შვებავ ნახვამდის,
შენ დამიცავი, ჩემო თილისმავ.

16 მაისი, 2020 წ.

Храни меня, мой талисман

Храни меня, мой талисман,
Храни меня во дни гоненья,
Во дни раскаянья, волненья:
Ты в день печали был мне дан.

Когда подымет океан
Вокруг меня валы ревучи,
Когда грозою грянут тучи, —
Храни меня, мой талисман.

В уединеньи чуждых стран,
На лоне скучного покоя,
В тревоге пламенного боя
Храни меня, мой талисман.

Священный сладостный обман,
Души волшебное светило...
Оно сокрылось, изменило...
Храни меня, мой талисман.

Пускай же ввек сердечных ран
Не растравит воспоминанье.
Прощай, надежда; спи, желанье;
Храни меня, мой талисман.

1825

23. თუ ვხეტილოვ ქუჩაბანდებში

თუ ვხეტილოვ ქუჩაბანდებში,
ან ვუერთდები საყდრის მლოცველებს,
ან შლეგ ჭაბუკთა შორის დავჯდები,
მსწრაფლ მივეცემი ყველგან ოცნებებს.

ვიტყვი: გავა დრო და ხელალებით,
თუმც გარს გვეხვევა ხალხი მილეთის,
მარადისობის გვშთანთქავს თაღები
და ახლაც განსვლის დროა ვიეთნის.

როცა შევცქერი ეულ ბერმუხას,
ვფიქრობ: გაუძლებს ტყის პატრიარქი,
ჩემს საუკუნეს, ვით ვერ შემუსრა,
ის საუკუნემ ჩემი წინაპრის.

თუ ვეფერები სათუთ პატარას,
თავს დავიტუქსავ გულაყრილობით,
გამოთხოვების ჟამი დამდგარა:
მე ხრწნის ჟამი მაქვს, შენ ყვავილობის.

ყოველ დღესა და ყველა წელიწადს
ვემშვიდობები, როგორც ტარიგი,
მინდა შევიტყო ბედისწერისგან
მის სამსხვერპლოზე ასვლის თარიღი.

ბოლოს მომიღებს ბედის ლახვარი
ბრძოლაში, ზღვაში, თუ ტყის ნაპირას?
ან მახლობელი გორასამარხი
გაყინულ ცხედარს გულში ჩაიკრავს?

გვამი იქნება თუმც უგრძნობელი
საბოლოოდ სად გაცამტვერდება, -
მე მირჩევნია მიწა მშობელი
ჩემს საუკუნო განსასვენებლად.

დე, სამარის წინ დატკბეს ყოველთვის
ნორჩი სიცოცხლე ბედნიერებით,
ხოლო ბუნება აღუშფოთველი
ბრწყინავდეს უჭკნობ მშვენიერებით!

28 მაისი, ამაღლება, 2020 წ.

Брожу ли я вдоль улиц шумных

Брожу ли я вдоль улиц шумных,
Вхожу ль во многолюдный храм,
Сижу ль меж юношей безумных,
Я предаюсь моим мечтам.

Я говорю: промчатся годы,
И сколько здесь ни видно нас,
Мы все сойдем под вечны своды -
И чей-нибудь уж близок час.

Гляжу ль на дуб уединенный,
Я мыслю: патриарх лесов
Переживет мой век забвенный,
Как пережил он век отцов.

Младенца ль милого ласкаю,
Уже я думаю; прости!
Тебе я место уступаю:
Мне время тлеть, тебе цвести.

День каждый, каждую минуту
Привык я думой провождать,
Грядущей смерти годовщину
Меж их стараясь угадать.

И где мне смерть пошлет судьбина?
В бою ли, в странствии, в волнах?
Или соседняя долина
Мой примет охладельный прах?

И хоть бесчувственному телу
Равно повсюду истлевать,
Но ближе к милому пределу
Мне все б хотелось почивать.

И пусть у гробового входа
Младая будет жизнь играть,
И равнодушная природа
Красою вечною сиять.

1829

24. ჩიტუნა

გაზაფხულის ჟამს უცხო მხარეში
ყოველთვის წმინდად ვიცავ რიტუალს,
დადგენილ ადათ-წესს წინაპრების -
ვათავისუფლებ ტყვედქმნილ ჩიტუნას.

ნუგეშინი ცვლის გულარძნილებას,
რად შევაწუხო უფალი დრტვინვით,
თუ შევძელი და თუნდ ერთ ქმნილებას
ჩამოვაცილე მონობის ტვირთი!

17 ივლისი, 2020 წ.

Птичка

В чужбине свято наблюдаю
Родной обычай старины:
На волю птичку выпускаю
При светлом празднике весны.

Я стал доступен утешенью;
За что на бога мне роптать,
Когда хоть одному творенью
Я мог свободу даровать!

1823

25. ჩემს მოკეთებებს

მტრებო, ვდუმვარ, მოთმენა მეხერხება...
დაცხრა მალი რისხვა და გათავხედდით,
თუმც არეში მყავხართ კვლავ თვალთახედვის
და აგირჩევთ ნებისმიერს ერთხელაც:

არ დაგინდობთ გარეშეს, თუ შინაურს,
დაგაცხრებით როცა ბრჭყალაღესილი,
ასე ხარბი ქორი, ცადაფრენილი -
უდარაჯებს ბატებსა და ინდაურთ.

27 ივნისი, 2020 წ.

Приятелям

Враги мои, покамест я ни слова...
И, кажется, мой быстрый гнев угас;
Но из виду не выпускаю вас
И выберу когда-нибудь любого:

Не избежит пронзительных когтей,
Как налечу нежданный, беспощадный.
Так в облаках кружится ястреб жадный
И сторожит индеек и гусей.

1825

26. წინასწარმეტყველი

“მაშინ ერთმა სერაფიმმა ზეციური საკურთხევილიდან მარწუხით ნაკვერცხალი აიღო, მის ბაგეებს შეახო და უთხრა: „აჰა, შევახე ესე ბაგეთა შენთა და მოგესპნეს უსჯულოებანი შენი და ცოდვანი შენი განწმინდნეს“.
(ზიზლია, ესაია წინასწარმეტყველი)

სულიერ სიმწყურვალით მღელვარე,
პირქუმ, უდაბურ ველისკენ მსწრაფი,
გზაჯვარედინთან გადავეყარე
ღმერთის ექვსფრთიან წმინდა სერაფიმს.

ძილივით მჩატე თითები ფრთხილად
გუგებს შეახო და ამეხილა
წინასწარმხედველ მზერით თვალები,
მფრთხალი არწივის მსგავსი კაკლებით.

ყურებს შეეხო ზენარი არსი,
სმენა ამევსო ხმაურით, ზარით:
მესმა ზეციურ თავანის რყევა,
ცის ანგელოზთა ფრთების ფარფატი,

ქვეწარმავალთა ზღვებში სხმარტალი,
ვით შეისხამდა ვაზის რტო მტევანს.
ბაგეს დააცხრა დაუზოგველი
და ამომგლიჯა ენა მცოდველი,

ზაკვის მოქმედი და შემარცხვენი,
ენის მაგივრად კი საწერტელი
ჩადგა გველური სიბრძნის მეტყველი,
სისხლით მოთხვრილი მისი მარჯვენით.

მკერდი გამიპო შემდეგ მახვილით,
ამომჭრა გული თრთოლვით ნამგერი
და ამომივსო ხვრელი სახმილის
ალმოდებული მწველი ნაღვერდლით.

ვეგდე მკვდარივით ცნობაწახდილი,
სანამ არ მესმა ღმერთის ძახილი:
„აღსდექ წინასწარმეტყველო, ჩემო,
გახდი ღვთის ნების აღმასრულები,

შემოუარე ქვეყნებს გარშემო,
სიტყვით დაშანთე კაცთა გულები!“

17 მაისი, 2020 წ.

ПРОРОК

Духовной жаждою томим,
В пустыне мрачной я влачился,
И шестикрылый серафим
На перепутье мне явился.

Перстами легкими как сон
Моих зениц коснулся он:
Отверзлись вещие зеницы,
Как у испуганной орлицы.

Моих ушей коснулся он,
И их наполнил шум и звон:
И внял я неба содроганье,
И горний ангелов полет,

И гад морских подводный ход,
И дольней лозы прозябанье.
И он к устам моим приник,
И вырвал грешный мой язык,

И празднословный и лукавый,
И жало мудрыя змеи
В уста замершие мои
Вложил десницею кровавой.

И он мне грудь рассек мечом,
И сердце трепетное вынул,
И угля, пылающий огнем,
Во грудь отверстую водвинул.

Как труп в пустыне я лежал,
И бога глас ко мне воззвал:
"Встань, пророк, и виждь, и внемли,
Исполнись волею моей

И, обходя моря и земли,
Глаголом жги сердца людей."

27. სიძვირფასით გვიანი ყვავილები

სიძვირფასით გვიანი ყვავილები
საუცხოო პირმშობს სჯობს მტილებს
და სევდიან ნატვრებს სულის ობლობის
აღგვიძრავენ უფრო ცხოვლად ლაზათით;
ვით ხანდახან განშორების საათი
ტკბილ შეხვედრას სჭარბობს ცხოველმყოფლობით.

1 ივნისი, ნინოზა, 2020 წ.

Цветы последние милей

Цветы последние милей
Роскошных первенцев полей.
Они унылые мечтанья
Живее пробуждают в нас.
Так иногда разлуки час
Живее сладкого свиданья.

16 октября 1825 г.

28. შენ და თქვენ

„შენ“ მითხრა „თქვენ“-ის ნაცვლად ალერსით,
შემიფრთხილა გული ორწილად
და ყველა ნატვრა უსაყვარლესი
მიძინებული ამიღორძინა,

გულიდან ჯანლი გადამიყარა
და დამიტყვევა მზერა სავსებით;
წავუჩურჩულე: „მეძვირფასებით“
და გავიფიქრე: „რარიგ მიყვარხარ!“

23 ივნისი, 2020 წ.

Ты и Вы

Пустое вы сердечным ты
Она, обмолвись, заменила
И все счастливые мечты
В отжившем сердце возбудила.

Пред ней задумчиво стою,
Свести очей с нее нет силы;
И говорю ей: как вы милы
И мыслю: как тебя люблю.

1828

29. რას ნიშნავს შენთვის ჩემი სახელი?

რას ნიშნავს შენთვის ჩემი სახელი?
გაქრება, როგორც ნაპირს დამტყდარი
ტალღის ხმაური, ანდა მალნარში
დამეულ ჩქამის შორი ნახმევი.

ხსოვნის დაფაზე გამოსახული
დარჩება, როგორც ამონაკაწრი
მარმარილოზე ძვირფას სამარის,
უცნობი ენის ასომთავრულით.

რა არის მასში? დიდი ხნის წინათ
გადაივიწყა მოჯანყე ღელვამ,
ვერ გამოდგება ნაზი და წმინდა
მოგონებების შენში აღმძვრელად.

თუ შეგიცვალა სევდამ განცხრომა,
მახსენე, შენთვის თუ ვარ საჭირო,
თქვი: არის გული, სადაც ვახსოვარ,
მომნიჭებია სადაც სამკვიდრო...

25 მაისი, 2020 წ.

Что в имени тебе моем?

Что в имени тебе моем?

Оно умрет, как шум печальный
Волны, плеснувшей в берег дальный,
Как звук ночной в лесу глухом.

Оно на памятном листке

Оставит мертвый след, подобный
Узору надписи надгробной
На непонятном языке.

Что в нем? Забытое давно

В волненьях новых и мятежных,
Твоей душе не даст оно
Воспоминаний чистых, нежных.

Но в день печали, в тишине,

Произнеси его тоскуя;
Скажи: есть память обо мне,
Есть в мире сердце, где живу я...

1830

30. შემთხვევითი და ფუჭი წყალობა

შემთხვევითი და ფუჭი წყალობა -
სიცოცხლე, რისთვის მებოძა ნეტავ?
ან ბედისწერის იდუმალობამ
სასიკვდილოდ რად გამოიმეტა?

რომელმა მტრულმა ძალამ ფადილით,
არარაიდან იხმო უდები,
სული აღმისო გულისწადილით,
გონი შემიკროთო ვარაუდებით?

გული დაცლილა, მიზანს ვერ ვხედავ,
მცონარე ჭკუა განსჯას გაურბის,
შემომწოლია მტანჯველი სევდა
ერთფერი ყოფის აურზაურში.

7 ივნისი, 2020 წ.

Дар напрасный, дар случайный

Дар напрасный, дар случайный,
Жизнь, зачем ты мне дана?
Иль зачем судьбою тайной
Ты на казнь осуждена?

Кто меня враждебной властью
Из ничтожества воззвал,
Душу мне наполнил страстью
Ум сомненьем взволновал?

Цели нет передо мною:
Сердце пусто, празден ум,
И томит меня тоскою
Однозвучный жизни шум.

26 мая 1828

31. გამომიცდია ბრძოლა, მიყვარს ხმალთაკვეთება

გამომიცდია ბრძოლა, მიყვარს ხმალთაკვეთება,
სიყრმიტგან ჩემთვის სიმამაცე იყო საქები,
მიყვარს ლაშქრობის სისხლიანი თავშესაქცევიც,
სიკვდილზე ფიქრით ჩემი სული არ დაფეთდება.

თავისუფლების მეომარო, სავსევე ჯანღონით,
თუ ერთხელ მაინც არ შეხედა სიკვდილს მხედარმა,
ვერ იგემებდა ნექარების უტკბეს ნექარსაც
და არც ღირსია ხვევნისა და კოცნის - ბანოვნის.

17 ივნისი, 2020 წ.

Мне бой знаком — люблю я звук мечей

Мне бой знаком — люблю я звук мечей:
От первых лет поклонник бранной славы,
Люблю войны кровавые забавы,
И смерти мысль мила душе моей.

Во цвете лет свободы верный воин,
Перед собой кто смерти не видал,
Тот полного веселья не вкушал
И милых жен лобзаний не достоин.

1820

32. პროზაიკოსი და პოეტი

პროზაიკოსო, რად წვალობ გარჯით?

გამიზიარე საჭირო აზრი:

წვერის წამახვა მომანდე მგოსანს,

თან დავაყოლებ რითმებსაც ფრთოსანს,

დაძაგრულ ლარზე გამოვდებ ისრად,

მშვილდს რკალად მოვხრი, გავისვრი პირბასრ

ლექსს ალაღბედზე, მოკრებით ძალის

და ვაი ჩვენი მტრის ტყავის ბრალი!

27 მაისი, 2020 წ.

Прозаик и поэт

О чём, прозаик, ты хлопочешь?

Давай мне мысль какую хочешь:

Её с конца я заострю,

Летучей рифмой оперю,

Вложу на тетиву тугую,

Послушный лук согну в дугу,

А там пошлю наудалую,

И горе нашему врагу!

1820

33. ძეგლი

Exegri monumentum!

ჰორაციუსი

ხელითუქმნელი საკუთარ თავს ავუგე ძეგლი,
არ მოაკლდება მისკენ სავალს ხალხის ნაკადი
და ალექსანდრეს სვეტზე მაღლა ქედმოუხრელი
ცად აზიდულა იგი მარადის.

ვიცი სავსებით არ მოვკვდები, იცოცხლებს სული
ხრწნად გვამზე დიდხანს, მძნობელი და გვირგვინოსანი,
მანამ ვიქნები ცისქვეშეთში სახელგანთქმული,
ვიდრე იცოცხლებს ერთი მგოსანიც.

ჩემი სახელი დიად რუსეთს მოეფინება,
ვეკოდინები ყველა ერის გლეხს თუ მეომარს,
ამაყი სლავის ბადიშს, ველურ ტუნგუსს, ფინელსაც,
აგრეთვე ყალმუხს - სტეპის მეგობარს.

ხალხის სიყვარულს არასოდეს შეცვლის ძულვება,
რადგან სიკეთეს აღვივებდა ჩემი კითარა
და განვადიდე სასტიკ დროში თავისუფლება,
დავუამებდი მაშვრალს იარას.

დაემორჩილე, ჩემო მუზავ, ღმერთის ბრძანებას
წყენას ნუ უფრთხი, საპატიო გვირგვინს ნუ ელი,
გულგრილად შეხვდი ხოტბის შესხმას და ცრუ ბრალდებას,
გადარწმუნება ნუ გსურს სულელის.

19 მაისი, 2020 წ.

Я памятник себе воздвиг нерукотворный

Exegi monumentum.*

Я памятник себе воздвиг нерукотворный,
К нему не зарастет народная тропа,
Вознесся выше он главою непокорной
Александрийского столпа.

Нет, весь я не умру - душа в заветной лире
Мой прах переживет и тленья убежит -
И славен буду я, доколь в подлунном мире
Жив будет хоть один пиит.

Слух обо мне пройдет по всей Руси великой,
И назовет меня всяк сущий в ней язык,
И гордый внук славян, и финн, и ныне дикой
Тунгус, и друг степей калмык.

И долго буду тем любезен я народу,
Что чувства добрые я лирой пробуждал,
Что в мой жестокий век восславил я Свободу
И милость к падшим призывал.

Веленью божию, о муза, будь послушна,
Обиды не страшась, не требуя венца,
Хвалу и клевету приемли равнодушно
И не оспаривай глупца.

1836

"Я воздвиг памятник" (лат.). Эпиграф взят из произведений Горация, знаменитого римского поэта (65-8 гг. до н. э.).

34. სტანსები

გართობის დროჟამს, ანდა გამთანგველ
სევდით პყრობილი, სიამოვნებით
ქნარს მივანდობდი უნაზეს ჰანგებს -
უგუნურების, სიზანტის, ვნების.

თავს ვანებებდი მის სიმებს ვერაგს
და მოვთოკავდი სიმღერის აზარტს,
როცა შენი ხმის დიადი ჟღერა
ანაზდეულად დამცემდა თავზარს.

ჩამომდიოდა ღვარი კურცხლების,
სინდისის ქენჯნით მოწყლულს და ძაბუნს,
შენი სიტყვების კეთილსურნელი
მრონს მცხებდა და მადებდა სალბუნს.

აღმატებული ზეგარდმო მადლით,
ახლა საშველად ხელს წამახმარებ,
მოსიყვარულე და სათნო ძალით
დამიშოშმინებ მშფოთვარე ნატვრებს.

სულს, შენი ცეცხლით დაგულს, შენაფიქრს,
აღარ იზიდავს სოფლის გაგანი,
უსმენს ებანის დამკვრელ სერაფიმს
პოეტი, სავსე წმინდა ზარგანხდით.

21 ივნისი, 2020 წ.

პუშკინმა ეს ლექსი მიუძღვნა მიტროპოლიტ ფილარეტს, როდესაც
მისგან ლექსზე "Дар напрасный, дар случайный" მიიღო პასუხი.

В часы забав иль праздной скуки

В часы забав иль праздной скуки,
Бывало, лире я моей
Вверял изнеженные звуки
Безумства, лени и страстей.

Но и тогда струны лукавой
Невольно звон я прерывал,
Когда твой голос величавый
Меня внезапно поражал.

Я лил потоки слез нежданных,
И ранам совести моей
Твоих речей благоуханных
Отраден чистый был елей.

И ныне с высоты духовной
Мне руку простираешь ты,
И силой кроткой и любовной
Смиряешь буйные мечты.

Твоим огнем душа палима
Отвергла мрак земных сует,
И внемлет арфе серафима
В священном ужасе поэт.

1830

35. ნუ მეკითხები მჭმუნვარე ფიქრი...

ნუ მეკითხები მჭმუნვარე ფიქრი
რად ჩამიმწარებს ხშირად გასართობს,
რად არ მწამს ტკბილი ცხოვრების სიზმრის,
მასთან ამრეზით რატომ ვკამათობ;

ნუ მეკითხები, რატომ თვლის ტვირთად
მხიარულ ტრფიალს სული მყინვარე,
რად აღარ ვარქმევ ვიღაცას ძვირფასს -
ვისაც უყვარდა, კვლავ ვერ იყვარებს;

ერთ დროს სვიანი, ვერ ისვიანებს,
ბედნიერების წამი გაქრება,
გაივლის ყრმობა, ვნება, სიამე
და დაგვიტოვებს სასოწარკვეთას...

20 ივნისი, 2020 წ.

Не спрашивай, зачем унылой думой

Не спрашивай, зачем унылой думой
Среди забав я часто омрачен,
Зачем на всё подъямлю взор угрюмый,
Зачем не мил мне сладкой жизни сон;

Не спрашивай, зачем душой остылой
Я разлюбил веселую любовь
И никого не называю милой —
Кто раз любил, уж не полюбит вновь;

Кто счастье знал, уж не узнает счастья.
На краткий миг блаженство нам дано:
От юности, от нег и сладострастья
Останется уныние одно...

1817

36. თუ გაგიმწარა ყოფამ გუნება...

თუ გაგიმწარა ყოფამ გუნება,
არ მოგერიოს შავი ნალველი!
ითმინე ჟამი შენი დამღლელი:
კვლავ მოვა, გწამდეს, მხიარულება!

გულს იმედი აქვს მაინც გაისის,
ამჟამინდელით თუა ჩაგრული:
ყოვლი წამია, მალე გაივლის,
გვეძვირფასება მერე წარსული.

19 იანვარი, ნათლისღება, 2020 წ.

Если жизнь тебя обманет...

Если жизнь тебя обманет,
Не печалься, не сердись!
В день уныния смирись:
День веселья, верь, настанет.

Сердце в будущем живет;
Настоящее уныло:
Все мгновенно, все пройдет;
Что пройдет, то будет мило.

1825

37. რაც ნაკლებ ვყვარობთ დიაცს სასურველს (ეგგენი ონეგინიდან)

რაც ნაკლებ ვყვარობთ დიაცს სასურველს,
მით უფრო მეტად შევუყვარდებით,
უფრო იოლად გავხვევთ დამღუპველ
სასიყვარულო მაცდურ ხლართებში.
გულდინჯად გარყვნას ქვეყნიერება
თვლიდა ტრფიალის მეცნიერებად,
არმოთაკილეს სამრახ ქადილის,
უსიყვარულო გულისწადილის.
აწ ამ გართობის მოგვერიდება -
უწინდებური ბებერ გონჯების
შესაბამისი გამოგონების:
ლოველასების გაქრა დიდება,
ვით მოდა წითელძირა ქოშების
და თმის პარიკით გარიოშების.

28 აპრილი, 2020 წ.

Чем меньше женщину мы любим...

Чем меньше женщину мы любим,
Тем легче нравимся мы ей,
И тем ее вернее губим
Средь обольстительных сетей.
Разврат, бывало, хладнокровный
Наукой славился любовной,
Сам о себе везде трубя
И наслаждаясь не любя.
Но эта важная забава
Достойна старых обезьян
Хваленых дедовских времен:
Ловласов обветшала слава
Со славой красных каблуков
И величавых париков.

38. ესპანური რომანსი

ლამის ზეფირი,
მდინარისპირი,
ღრიალებს, მირზის
გვადალკივირი.

სხივებს აფენს მთვარე მშვიდი,
გიტარის ხმამ გამარეტა...
ესპანელი ქალიშვილი
დამდგარია პარაპეტთან.

ლამის ზეფირი,
მდინარისპირი,
ღრიალებს, მირზის
გვადალკივირი.

მანტილია განიძარცვე,
ცხად დღესავით გამონათდი,
გამოყავი ფეხი გარეთ
რიკულთ შორის, ჩემი ხატრით!

ლამის ზეფირი,
მდინარისპირი,
ღრიალებს, მირზის
გვადალკივირი.

8 ივნისი, 2020 წ.

Испанский романс

Ночной зефир

Струит эфир.

Шумит,

Бежит

Гвадалквивир.

Вот вошла луна золотая,

Тише... чу... гитары звон...

Вот испанка молодая

Оперлася на балкон.

Ночной зефир

Струит эфир.

Шумит,

Бежит

Гвадалквивир.

Скинь мантилью, ангел милый,

И явись как яркий день!

Сквозь чугунные перилы

Ножку дивную продень!

Ночной зефир

Струит эфир.

Шумит,

Бежит

Гвадалквивир.

1824 г.

39. ყორანი ყორნისკენ მიქრის

ყორანი ყორნისკენ მიქრის,
სად გაძღეს - იმაზე ფიქრით:
ყორანო! სად ვნახავთ სადილს?
მითხარი, მოისხი მადლი!

მიუგებს ყორანი ყორანს:
მუცელს ჩვენ ამოვიყორავთ
ველ-მინდვრად, ჩრდილის ქვეშ წნორის,
იქ გდია დევგმირის მძორი.

ვინ მოკლა, რითი და რისად,
უწყის შევარდენმა მისმა,
აგრეთვე ყორანა ხრდალმა,
გმირის საყვარელმა ქალმაც.

გავაზი შეფრინდა ტევრში,
შავრაზე შემოჯდა მტერი,
დიასახლისი კი ოხრავს,
ქმარს ელის განა მკვდარს, - ცოცხალს.

26 ივნისი, 2020 წ.

Ворон к ворону летит

Ворон к ворону летит,
Ворон ворону кричит:
Ворон! где б нам отобедать?
Как бы нам о том проведать?

Ворон ворону в ответ:
Знаю, будет нам обед;
В чистом поле под ракитой
Богатырь лежит убитый.

Кем убит и отчего,
Знает сокол лишь его,
Да кобылка вороная,
Да хозяйка молодая.

Сокол в рощу улетел,
На кобылку недруг сел,
А хозяйка ждет милого
Не убитого, живого.

1828

40. ზამთრის საღამო

წაფარვია ცას ყურყუმი,
ნამქერს ფანტავს ქარიშხალი,
ის ხან ნადირივით ყმუის,
ხან ქვითინებს, როგორც ბალდი,

ძველ სახურავს ახმიანებს,
ისმის რაკა-რუკი ნამჯის,
მოჰგავს სტუმარს ნაგვიანევს,
აზრიალებს მინას ფანჯრის.

ჩვენს ძველ ქოხში მოხუცს ღვიძავს,
ბნელს ანათებს ოდნავ კვარი,
რად მიყუჩდი, ჩემო ძიძა,
ფანჯარასთან ჩამომჯდარი?

დაიღალე ეგებ ქარის,
მეგობარო, ღრიალისგან,
ან წაგთვლიმა ჯარატარის
მოზუზუნე ბზრიალისას?

მეგობარო სიყრმის ჟამის,
ნუ გადავდებთ სახვალიოდ,
გამოვცალოთ ღვინის ჯამი,
რათა გული ვახალისოთ.

წამიმღერე, თუ ერთ ფრინველს
ზღვის გაღმა ვით უსტვენია,
ხოლო წყალთან მისვლა ნინველს
ვით უყვარდა უთენია.

წაფარვია ცას ყურყუმი,
ნამქერს ფანტავს ქარიშხალი,
ის ხან ნადირივით ყმუის,
ხან ქვითინებს, როგორც ბალდი,

მეგობარო სიყრმის ჟამის,
ნუ გადავდებთ სახვალიოდ,
გამოვცალოთ ღვინის ჯამი,
რათა გული ვახალისოთ.

28 ივნისი, 2020 წ.

ЗИМНИЙ ВЕЧЕР

Буря мглою небо кроет,
Вихри снежные крутя;
То, как зверь, она завоет,
То заплачет, как дитя,

То по кровле обветшалой
Вдруг соломой зашумит,
То, как путник запоздалый,
К нам в окошко застучит.

Наша ветхая лачужка
И печальна и темна.
Что же ты, моя старушка,
Приумолкла у окна?

Или бури завываньем
Ты, мой друг, утомлена,
Или дремлешь под жужжаньем
Своего веретена?

Выпьем, добрая подружка
Бедной юности моей,
Выпьем с горя; где же кружка?
Сердцу будет веселей.

Спой мне песню, как синица
Тихо за морем жила;
Спой мне песню, как девица
За водой поутру шла.

Буря мглою небо кроет,
Вихри снежные крутя;
То, как зверь, она завоет,
То заплачет, как дитя.

Выпьем, добрая подружка
Бедной юности моей,
Выпьем с горя: где же кружка?
Сердцу будет веселей.

1825

41. თავისუფლების მთესი ნარჩევი

სახარება ლუკასაგან (8, 5)

„თქვა უფალმან იგავი ესე: გამოვიდა მთესვარი თესვად თესლისა თვისისა“

თავისუფლების მთესი ნარჩევი
სისხამს წავედი ხოდაბუნებში;
უბღალავი და წმინდა მარჯვენით
დამონებულთა გულთა ხნულებში
ვაბნევი მაცხოველებელ მარცვალთ -
მაგრამ მივიღე ნაჯაფის ნაცვლად,
სარეველების მყრალი სურნელი.

ნუ გსურს დამწყემსვა მორჩილი ხალხის! -
ღირსების ძახილს ჩააგდებს არად,
თავისუფლება რად უნდა ნახირს?
უნდა პარსავდნენ და წყლავდნენ მარად,
მემკვიდრეობით იღებდეს ჯახირს -
ზანზალაკიან უღელს და მათრახს!

4 ოქტომბერი, 2020 წ.

Свободы сеятель пустынный

Изыде сеятель сеяти семена своя

Свободы сеятель пустынный,
Я вышел рано, до звезды;
Рукою чистой и безвинной
В порабощенные бразды
Бросал живительное семя —
Но потерял я только время,
Благие мысли и труды...

Паситесь, мирные народы!
Вас не разбудит чести клич.
К чему стадам дары свободы?
Их должно резать или стричь.
Наследство их из рода в роды
Ярмо с гремушками да бич.

Ноябрь, 1823

[↑](#) თავში

[↑](#) ავტორის დასაწყისი



მარინა ცვეტაევა - Марина Цветаева
(1892-1941)

[↑](#) თავში

1. ახალ წელს შევხვდი მიტოვებული

ახალ წელს შევხვდი მიტოვებული,
ალქატად ვიქეც მირონცხებული,
ფრთებგამოსხმული - ვიქემენ წყეული!
სადღაც ძველ ღვინოს სვამდა კრებული
და ხელს ართმევდნენ ერთურთს წვეულნი,
ფრთებგამოსხმული - ვიქემენ წყეული!
ერთ დროს მთლიანი - მიტოვებული,
ვით სარკმლის შიგნით მთვარე ეული.

5 ივლისი, 2020 წ.

Новый год я встретила одна...

Новый год я встретила одна.
Я, богатая, была бедна,
Я, крылатая, была проклятой.
Где-то было много-много сжатых
Рук — и много старого вина.
А крылатая была — проклятой!
А единая была — одна!
Как луна — одна, в глазу окна.

31 декабря 1917

2. გაყრის ბოშური ჟინი...

გაყრის ბოშური ჟინი - შემხვედრის
მოყირჭება და... ჰაიდა! მიქრი!
თავი მკლავებში ჩავრგე, შევცქერი
კუნაპეტ ღამეს აღსავსე ფიქრით:

ვერვინ მიმხვდარა ბოლომდე იმას
ამ მიმოწერის ჩხრეკით და ნახვით -
რა მზაკვარნი ვართ ერთურთის მიმართ
და რა ერთგულნი - საკუთარ თავის.

9 ივლისი, 2020 წ.

Цыганская страсть разлуки!..

Цыганская страсть разлуки!
Чуть встретишь — уж рвёшься прочь!
Я лоб уронила в руки
И думаю, глядя в ночь:

Никто, в наших письмах роясь,
Не понял до глубины,
Как мы вероломны, то есть —
Как сами себе верны.

1915

3. ვაცქერდები მღვრიე სარკეს

ვაცქერდები მღვრიე სარკეს,
ძილ-ბურანით გამსუდრავს,
საით მიხვალ, გამოვარკვევ,
დავძებნი შენს საყუდარს.

ვხედავ: გემის ანძის დვირეს,
გემბანზე ხარ... რონოდის
კვამლში... ვატყობ ბინდში მინდვრებს
რალაც ცუდის მოლოდინს...

დაცვარულან ველნი მწუხრის,
მაღლა ფრენენ ყორნები...
გზას გიკურთხებ ოთხივ კუთხით,
თუკი განმეშორები!

10 ივლისი, 2020 წ.

Хочу у зеркала, где мать

Хочу у зеркала, где мать
И сон туманящий,
Я выпытать -- куда вам путь
И где пристанище.

Я вижу: мачты корабля,
И вы -- на палубе...
Вы -- в дыме поезда... Поля
В вечерней жалобе...

Вечерние поля в росе,
Над ними -- вороны...
-- Благославляю вас на все
Четыре стороны!

4. მე - ფურცელი ვარ, შენ კი - კალამი

მე ფურცელი ვარ, შენ კი - კალამი,
ყველაფერს ვიშრობ თეთრი ფურცელი,
მე ვარ სარანგი შენი დავლათის:
ასწილ გიბრუნებ ნირშეუცვლელი.

მე ვარ სოფელი და ვარ შავმიწა;
შენ - ნათლის სხივი, ნამი, ჩხაპალი,
უფლად მიგიჩნევ და ჩემს საფიცრად -
შავი მიწა და თეთრი ქალღი!

11 ივლისი, 2020 წ.

Я - страница твоему перу

Я — страница твоему перу.
Всё приму. Я белая страница.
Я — хранитель твоему добру:
Возращу и возвращу сторицей.

Я — деревня, черная земля.
Ты мне — луч и дождевая влага.
Ты — Господь и Господин, а я —
Чернозем — и белая бумага!

10 июля 1918

5. მეზღვაური

მანანავე, ვარსკვლავურო ნავო!
თავბრუ მესხმის, როცა ზვირთი ავობს!

დიდხანს ვლამობ ნავსადგურში შესვლას, -
ილაჯს მაცლის ეს ვნებათაღელვა:

ყველა ჰიმნი, დაფნა, გმირი, ჰიდრა, -
დავიღალე, არც თამაში მინდა!

დამაწვინეთ, სადაც არის ხვიფლი, -
დავიღალე ომებით და სისხლით!

13 ივლისი, ათორმეტი მოციქულის ხსენების დღე, 2020 წ.

Мореплаватель

Закачай меня, звездный челн!
Голова устала от волн!

Слишком долго причалить тщусь, -
Голова устала от чувств:

Гимнов - лавров - героев - гидр, -
Голова устала от игр!

Положите меж трав и хвой, -
Голова устала от войн...

1923

6. მხეცს - სამალი (ალექსანდრე ბლოკს)

მხეცს - სამალი,
მგზავრს - სავალი,
მკვდარს - საფლავი,
განაწესით.

ქალი - ქლესვით,
მეფე - ძლევით,
მე - შემსხმელი
შენი - ლექსით.

14 ივლისი, 2020 წ.

Зверю — берлога (Из цикла «Стихи к Блоку»)

Зверю — берлога,
Страннику — дорога,
Мертвому — дроги.
Каждому — свое.

Женщине — лукавить,
Царю — править,
Мне — славить
Имя твое.

2 мая 1916

7. შეცდომა

როცა ფაფუკი, ნაზი ფანტელი,
შეშვერილ პეშვში ჩაგეკონება,
ცრემლად დადნება და წინანდელი
დაეკარგება ჰაეროვნება.

მჭვირვალ მედუზით მონუსხულები,
როცა მას ვსინჯავთ ხელის წავლებით,
ის ვით ტყვედქმნილი მძიმე ხუნდებით,
გაფითრდება და კვდება წვალებით.

თუ ფარვანაში ნაცვლად ნატვრების
მიწიერების ხილვას დავჯერდით,
მაშინ თითებში, ფრთების დამტვრევით,
მტვერი შეგვრჩება მწუხრით ნაფერი.

ფრენა ანებე - ფანტელებს, პეპლებს,
ნუ გასურს მედუზაც გასაოცებლად!
რადგან ვერასდროს წაატან ხელებს
და ვერც დაიჭერ მუჭში ოცნებას!

შენ ვერ უბრძანებ სევდას ცვალებადს,
ვნებად აენტოს, იბორგნეულოს;
შეცდომა იყო ეგ შეყვარება,
უყვარულობა თუმც გვკლავს, გრძნეულო!

16 ივლისი, 2020 წ.

Чародей - Элис, настоящее имя Лев Львович Кобылинский
მან ხელი სთხოვა მარინას. საპასუხოდ მარინამ ეს ლექსი მიუძღვნა.
ცვეტაევა მას ამ მეტსახელით - „გრძნეული“, „ჯადოქარი“ - მოიხსენიებს.

Ошибка

Когда снежинку, что легко летает,
Как звездочка упавшая скользя,
Берешь рукой - она слезинкой тает,
И возвратить воздушность ей нельзя.

Когда пленясь прозрачностью медузы,
Ее коснемся мы капризом рук,
Она, как пленник, заключенный в узы,
Вдруг побледнеет и погибнет вдруг.

Когда хотим мы в мотыльках-скитальцах
Видать не грезу, а земную быль:
Где их наряд? От них на наших пальцах
Одна зарей раскрашенная пыль!

Оставь полет снежинкам с мотыльками
И не губи медузу на песках!
Нельзя мечту свою хватать руками,
Нельзя мечту свою держать в руках!

Нельзя тому, что было грустью зыбкой,
Сказать: "Будь страсть! Горя безумствуй, рдей!"
Твоя любовь была такой ошибкой,
Но без любви мы гибнем. Чародей!

8. მომწონს, რომ ჩემით თქვენ არ ავადობთ

მომწონს, რომ ჩემით თქვენ არ ავადობთ
და რომ არც მე ვარ სნეული თქვენით,
რომ დედამიწის სფეროს არასდროს
არ გამოგვაცლის ფეხქვეშ გამჩენი.
მომწონს, თამამი, დაცინვის ღირსი -
სიტყვებით რომ არ გეთამაშებით
და ვერ მაწითლებს მხუთავი ზვირთი,
როცა ვეხებით ოდნავ მაჯებით.

ასევე მომწონს, ჩემი დასწრებით
როდესაც სულ სხვას ელამუნებით,
საჯოჯოხეთოდ რომ არ დამწყევლით,
დაგემსგავსებით როცა ბუნებით.
რომ ჩემს ნაზ სახელს უკუნისამდე
აღარ ახსენებთ, წაშლით სრულიად,
ისიც, რომ საყდრის დუმილში სადმე
არ გვიგალობენ: ალილუია!

სულით და გულით მადლობას გიხდით,
იმის გამო, რომ - არ უწყით თავად! –
ასე გიყვარვარ: მავსებ სიმშვიდით,
შეხვედრები რომ გაიშვიათდა;
რომ ვერ ვატარებთ გადანაჩვევნი
ერთად დღე-ღამეს, შევეშვით ნავარდს,-
იმად, რომ არ ხართ, ეჰ, ავად ჩემით,
იმად, რომ არ ვარ, ეჰ, თქვენით ავად!

19 ივლისი, 2020 წ.

Мне нравится, что вы больны не мной

Мне нравится, что вы больны не мной,
Мне нравится, что я больна не вами,
Что никогда тяжелый шар земной
Не уплывет под нашими ногами.
Мне нравится, что можно быть смешной —
Распущенной — и не играть словами,
И не краснеть удушливой волной,
Слегка соприкоснувшись рукавами.

Мне нравится еще, что вы при мне
Спокойно обнимаете другую,
Не прочтите мне в адовом огне
Гореть за то, что я не вас целую.
Что имя нежное мое, мой нежный, не
Упоминаете ни днем, ни ночью — всуе...
Что никогда в церковной тишине
Не пропоют над нами: аллилуйя!

Спасибо вам и сердцем и рукой
За то, что вы меня — не зная сами! —
Так любите: за мой ночной покой,
За редкость встреч закатными часами,
За наши не-гулянья под луной,
За солнце, не у нас над головами,-
За то, что вы больны — увы! — не мной,
За то, что я больна — увы! — не вами!

3 мая 1915

Стихотворение обращено к Маврикию Александровичу Минцу (1886 — 1917), впоследствии мужу А. И. Цветаевой.

9. ყოველი ლექსი ტრფობით იშობა

ყოველი ლექსი ტრფობით იშობა,
ლატაკია და კანონგარეშე.
ის ბორბლის კვალთან მწოლი პირმშოა,
თაყვანი რომ სცეს ქარს მოთარეშეს.

სამსხვერპლოცაა გულის, ქვესკნელიც,
სამოთხის ბაღიც, მისი მძრახველიც.
ნეტავ, ვინაა მისი შემქმნელი?
ეგებ - მეფეა, ეგებ - ავხელი.

21 ივლისი, 2020 წ.

Каждый стих — дитя любви...

Каждый стих — дитя любви,
Нищий незаконнорожденный.
Первенец — у колеи
На поклон ветрам — положенный.

Сердцу — ад и алтарь,
Сердцу — рай и позор.
Кто — отец? Может — царь,
Может — царь, может — вор.

14 августа 1918

10. გალურსმული

ვარ სამარცხვინო ძელზე გაკრული
სლავურ სინდისის ძველი სამართლით,
გულმოშხამული, დამლადასმული,
თავს ბრალეულად თუმცა არა ვთვლი.

ზიარების წინ ვით მოზიარე -
მშვიდი ვარ, განა ნერვებაშლილი,
ბრალი არ მიძღვის, თუ ვემებ გარეთ
ბედნიერებას ხელეზგაწვდილი.

გადართვალეთ ჩემი ზინათი,
ეგებ დავბრმავდი, ფუჭად გავცხარდი?
ხედავთ ოქრო-ვერცხლს თვალის სინათლით?
მუჭში შემომრჩა მხოლოდ ნაცარი!

ბედნიერთაგან - ლიქნმა, მუდარამ,
ეს მამათხოვრა უპოვარებით,
ამას წავიღებ საგზლად მდუმართა
ამბორისყოფის უცხო მხარეში.

24 ივლისი, 2020 წ.

Пригвождена

Пригвождена к позорному столбу
Славянской совести старинной,
С змеею в сердце и с клеймом на лбу,
Я утверждаю, что — невинна.

Я утверждаю, что во мне покой
Причастницы перед причастьем.
Что не моя вина, что я с рукой
По площадям стою — за счастьем.

Пересмотрите всё мое добро,
Скажите — или я ослепла?
Где золото мое? Где серебро?
В моей руке — лишь горстка пепла!

И это всё, что лестью и мольбой
Я выпросила у счастливых.
И это всё, что я возьму с собой
В край целований молчаливых.

19 мая 1920

11. მაშინდელ ლექსებს...

მაშინდელ ლექსებს, ჯერ ნაადრევი
ჩემთვის რომ იყო მგოსნის სახელი,
როგორც ანასხლექტ წინწკლებს შადრევნის,
ანდა ნაპერწკლებს აჭრილ მაშხლების,

ჭინკებად შეჭრილთ საყდრის სიღრმეში,
არეში თვლემის და ლადანონის,
სიკვდილის, ყრმობის შემსხმელთ სიმღერით,
მსმენელს რომ არ აქვს ჯერ განაგონიც,

მაღაზიათა მტვერი რომ ფარავთ
და მოელიან მკითხველს მუდარით,
დრო მოვა, ძვირფას ღვინოთა დარად,
გამოუჩნდება თვისი მუმტარი.

26 ივლისი, 2020 წ.

Моим стихам, написанным так рано

Моим стихам, написанным так рано,
Что и не знала я, что я - поэт,
Сорвавшимся, как брызги из фонтана,
Как искры из ракет,

Ворвавшимся, как маленькие черти,
В святилище, где сон и фимиам,
Моим стихам о юности и смерти,
- Нечитанным стихам! -

Разбросанным в пыли по магазинам,
(Где их никто не брал и не берет!),
Моим стихам, как драгоценным винам,
Настанет свой черед.

Коктебель, 13 мая 1913

12. სული და სახელი

სანამ მეჯლისი ლაღობს ნათელით,
სულს ბობოქარი გზნება თაოსნობს;
სხვა დამანათლა ღმერთმა სახელი:
საზღვაოსნოა ის, საზღვაოსნო!..

ვალსის ტრიალს სდევს ნაზი ოხვრები,
თავს არ მანებებს სევდა სამგოსნო,
ღმერთმა სხვა ნატვრა მომცა ცხოვრების:
საზღვაოსნოა ის, საზღვაოსნო!..

დარბაზი ხალხით შემონაჯარი
ზიმზიმებს, მღერის, ელავს, ჯადოსნობს:
ღმერთმა ჩამიდგა სული სხვაგვარი,
საზღვაოსნოა ის, საზღვაოსნო!..

28 ივლისი, 2020 წ.

Душа и имя

Пока огнями смеется бал,
Душа не уснет в покое.
Но имя Бог мне иное дал:
Морское оно, морское!..

В круженье вальса, под нежный вздох
Забуть не могу тоски я.
Мечты иные мне подал Бог:
Морские они, морские!..

Поет огнями манящий зал,
Поет и зовет, сверкая.
Но душу Бог мне иную дал:
Морская она, морская!..

1911–1912

13. ორი მზე ნელდება, - ღმერთო, გვიმოხე!

ორი მზე ნელდება, - ღმერთო, გვიმოხე!
პირველი - ცის თაღზე, ჩემს მკერდში - მეორე.

მზეებო, შევუნდობ ნუთუ თავს მცირედით?
მზეებო, გონებას რარიგად მირევდით!

ნელდება ორივე - ვერ მდაგავს სიცხელით
და უმხურვალესი ჩაქრება პირველი.

29 ივლისი, 2020 წ.

Два солнца стынут,- о Господи, пощади!

Два солнца стынут,- о Господи, пощади!-
Одно - на небе, другое - в моей груди.

Как эти солнца,- прощу ли себе сама?-
Как эти солнца сводили меня с ума!

И оба стынут - не больно от их лучей!
И то остынет первым, что горячей.

6 октября 1915

14. ვერ იცურებს გემი მუდამ

ვერ იცურებს გემი მუდამ,
მიწყვი ვერც ბულბული მდერის,
ო, რამდენჯერ მსურდა სულდგმა
და ვნატრობდი სიკვდილს ბღვერით!

ლოტო მლლიდა ვით სიყრმეში,
თამაშს დავამთავრებ ადრე,
ბედნიერი იმის რწმენით -
სულდგმა არ ჩქეფს ცაში სადმე.

31 ივლისი, 2020 წ.

Бессрочно кораблю не плыть

Бессрочно кораблю не плыть
И соловью не петь.
Я столько раз хотела жить
И столько умереть!

Устав, как в детстве от лото,
Я встану от игры,
Счастливая не верить в то,
Что есть еще миры.

9 мая 1915

15. თუ დაიბადა ფრთასხმული სული

თუ დაიბადა ფრთასხმული სული,
მისთვის ერთია სრა-სახლიც, ხულიც!
ყაენის ურდოც ვერ ავსებს ბორგვით!
თუმც ქვეყნად მეც მყავს მემტერე ორი -
მარტოდენ ვუფრთხი განუყრელ მარჩვიბს:
მშიერის შიმშილს, სიმამდრეს მამდრის!

1 აგვისტო, წმ. სერაფიმ საროველის ხს. დღე, 2020 წ.

Если душа родилась крылатой

Если душа родилась крылатой —
Что ей хоромы и что ей хаты!
Что Чингисхан ей — и что — Орда!
Два на миру у меня врага,
Два близнеца, неразрывно-слитых:
Голод голодных — и сытость сытых!

18 августа 1918

16. გხედავ იერთ ჩემგვარს

გხედავ იერთ ჩემგვარს,
მავალს დახრილი მზერით,
მეც მქონდა მსგავსი ჩვევა,
გამვლელი, გამიჩერდი!

ქათმის სიბრმავეთ ძეგლზე,
ყაყაჩოებით ირგვლივ,
„მარინას“ კითხვას შეძლებ
და ჩემს წლებს გადაითვლი.

დაგზაფრო - არ მაქვს აზრად,
არც მოლანდებას ვცდილობ...
მიყვარდა მეც ანაზღად,
სიცილი უადგილოდ.

ლოყებლაჟღაჟა ყმაწვილს
მშვენიოდა ღულამბარი...
გამვლელი მეც ვიყავი!
შეჩერდი, გიხმობ მკვდარი!

მოწყვიტე ღერო ნერგის,
გემო გასინჯე მარწყვის,
მჯობი სამარის კენკრის
რადგან სხვაგან არ ყვავის.

ნუ სწუხ - აქ დგახარ ვიდრე,
თავს ნუ ჩაქინდრავ დაბლა,
ზერელედ გამიფიქრე,
გადამივიწყე მსწრაფლად!

მოგფენს ოქროსფერ ცახეს,
გაგაცისკროვნებს სხივი...
არ მსურს რომ აცახცახდე
მიწიდან მკვდრის ძახილით.

3 აგვისტო, 2020 წ.

Идешь, на меня похожий

Идешь, на меня похожий,
Глаза устремляя вниз.
Я их опускала — тоже!
Прохожий, остановись!

Прочти — слепоты куриной
И маков набрав букет,
Что звали меня Мариной
И сколько мне было лет.

Не думай, что здесь — могила,
Что я появлюсь, грозя...
Я слишком сама любила
Смеяться, когда нельзя!

И кровь прилиwała к коже,
И кудри мои вились...
Я тоже была прохожий!
Прохожий, остановись!

Сорви себе стебель дикий
И ягоду ему вслед, -
Кладбищенской земляники
Крупнее и слаще нет.

Но только не стой угрюмо,
Главу опустив на грудь,
Легко обо мне подумай,
Легко обо мне забудь.

Как луч тебя освещает!
Ты весь в золотой пыли...
- И пусть тебя не смущает
Мой голос из под земли.

Коктебель, 3 мая 1913

17. აგვისტო

აგვისტო - ასტრა პირველი,
აგვისტო - ვარსკვლავთ ზეობა,
წითელლოყევა ცირცელი,
ყურძენი - პირიმზეობა.

მწიფე და მადისამშლელი
იმპერიული ვაშლებით,
ბავშვისმაგვარად ერთობი;
მტლად დაედები გასენილ
გულს იმპერიულ სახელით,
თვეო გულისაგ - ქველთობის!

თვეო გვიანი ამბორის,
გვიან ვარდის და ელვისა,
ხარ თვეთა იმპერატორი
აგვისტოვ, ვარსკვლავთ დელგმისა!

5 აგვისტო, 2020 წ.

Август

Август - астры,
Август - звезды,
Август - грозди
Винограда и рябины
Ржавой - август!

Полновесным, благосклонным
Яблоком своим имперским,
Как дитя, играешь, август.
Как ладонью, гладишь сердце
Именем своим имперским:
Август!- Сердце!

Месяц поздних поцелуев,
Поздних роз и молний поздних!
Ливней звездных -
Август!- Месяц
Ливней звездных!

7 февраля 1917

18. ოთხიდან შვიდ საათამდე...

გულში ჩრდილია, მახვრალი
ვარ ხალხშიც და ჩემს თავთანვეც...
ნელია დღეთა სავალი
ოთხიდან შვიდ საათამდე!

მძულს ჯამათის ლაყაფი,
მწუხრში გულქვაა ყოველი,
კუთხეებს ვკვანძავ თავსაფრის
და სატირალსაც მოველი.

შეგინდობ, არას გაბრალი,
ოღონდაც ნუ გამაწამებ!
ვარ უსასრულოდ მაშვრალი
ოთხიდან შვიდ საათამდე.

7 აგვისტო, 2020 წ.

От четырех до семи

В сердце, как в зеркале, тень,
Скучно одной — и с людьми...
Медленно тянется день
От четырех до семи!

К людям не надо — солгут,
В сумерках каждый жесток.
Хочется плакать мне. В жгут
Пальцы скрутили платок.

Если обидишь — прощу,
Только меня не томи!
— Я бесконечно грущу
От четырех до семи.

19. ლოცვა

ქრისტევ და ღმერთო! ნიშანს საკვირველს
გვედრი, სანამდე ეს დღეც მორჩება,
ტანჯული სული მიირქვი, ვიდრე
წიგნია მთელი ჩემი ცხოვრება.

მკაცრად არ მეტყვი, რადგან ხარ ბრძენი:
„ითმინე, ჟამი ჯერაც არაა“;
ისედაც უხვი მიბოძე ძღვენი,
მე ერთბაშად მსურს ყველა შარაგზა!

ყოველი მინდა: სულით ყარაჩის
სიმღერ-სიმღერით გამომძალვობა,
ორგანის ჰანგზე სხვისთვის ვარამიც,
სახელოვანი ამორძალობაც.

მისნობაც, როცა ვარსკვლავთ შევხედავ,
ბავშვთა გაძლოლაც გარიჟრაჟებთან,
გუშინდელი დღის ქცევაც ლეგენდად
და ყოველი დღის გაგიჟმაჟებაც!

ვევარობ ჩაფხუტებს, ჯვარცმას და ზარბაზს,
ნაკვალეგია სული მიღმეთის,
მე ბავშვობაში ვცხოვრობდი ზღაპრად
და აღმასრულე, შეგთხოვ, ჩვიდმეტის!

9 აგვისტო, წმ. პანტელეიმონ მკურნალის ხს. დღე, 2020 წ.

МОЛИТВА

Христос и Бог! Я жажду чуда
Теперь, сейчас, в начале дня!
О, дай мне умереть, покуда
Вся жизнь как книга для меня.

Ты мудрый, Ты не скажешь строго:
- "Терпи, еще не кончен срок".
Ты сам мне подал - слишком много!
Я жажду сразу - всех дорог!

Всего хочу: с душой цыгана
Идти под песни на разбой,
За всех страдать под звук органа
и амазонкой мчаться в бой;

Гадать по звездам в черной башне,
Вести детей вперед, сквозь тень...
Чтоб был легендой - день вчерашний,
Чтоб был безумьем - каждый день!

Люблю и крест, и шелк, и каски,
Моя душа мгновений след...
Ты дал мне детство - лучше сказки
И дай мне смерть - в семнадцать лет!

20. ქალაქში ღამე მრუმე ფრთებს შლის

ქალაქში ღამე მრუმე ფრთებს შლის,
გარეთ გავდივარ, ვეღარ ვძლებ შინ,
ზოგი მამგვანებს ცოლს, ზოგი - შვილს,
ღამის სიბნელეც ვეღარ მგვრის შიშს.

ხორშაკი გზიდან გახვეტავს მტვერს,
სადღაც შორიდან მუსიკა ჟღერს,
ქარი დილით თუ ამიქცევს გვერდს,
მანამ გაჭოლავს სუსტ და თხელ მკერდს.

ვხედავ შავ ჩინარს, სარკმლის შუქს მკრთალს,
კოშკზე ზარს რეკენ, ჩავბლუჯავ ვარდს,
ბიჯი მიჰყვება არავის კვალს,
ღანდი ჩანს, თუმცა მე არა ვარ.

სინათლე - სირმის ძაფს მოჰგავს წვრილს,
ჩავიტკბარუნებ ძირტკბილით პირს,
მარიდეთ ზრუნვას და დღეთა ტვირთს,
დოსტებო, სიზმრად ხედავთ ჩემს ჩრდილს.

14 აგვისტო, 2020 წ.

В огромном городе моём – ночь

В огромном городе моём – ночь.
Из дома сонного иду – прочь
И люди думают: жена, дочь,-
А я запомнила одно: ночь.

Июльский ветер мне метет – путь,
И где-то музыка в окне – чуть.
Ах, нынче ветру до зари – дуть
Сквозь стенки тонкие груди – в грудь.

Есть черный тополь, и в окне – свет,
И звон на башне, и в руке – цвет,
И шаг вот этот – никому – вслед,
И тень вот эта, а меня – нет.

Огни – как нити золотых бус,
Ночного листика во рту – вкус.
Освободите от дневных уз,
Друзья, поймите, что я вам – снюсь.

17 июля 1916. Москва

21. წადი! – უკვე არ ვინანებ

წადი! – უკვე არ ვინანებ,
კრინტს არ ვძრავ, არას გაბრალი;
თუმც გარეშეთა წინაშე
არ გამოვჩნდები მართალი.

ეს ბრძოლა მე არ მამდარებს,
პირმშვენიერო ლაჩარო!
ძალაუფლების სადავე
არ მდომებია არასდროს.

არც სურვილი მაქვს ცილობის
სახელმოხვეჭილ ლექსებით,
არ დაგლი გულარძნილობით,
თუკი სხვას ეალერსები;

ეგ გული თუ სხვას ემონვის,
რა საჭიროა ღაღადი...
ჩემში მცხოვრები დემონი
რარიგი შერთე მარადისს!

თუმცა, გახსოვდეს მსჯავრდების,
რომ მოწყლავს, როგორც ბოძალი, -
როცა შენ ზევით გავკრთები
ცეცხლოვან ფრთებით, მომწყრალი.

16 აგვისტო, 2020 წ.

Идите же! - Мой голос нем

Идите же! - Мой голос нем
И тщетны все слова.
Я знаю, что ни перед кем
Не буду я права.

Я знаю: в этой битве пасть
Не мне, прелестный трус!
Но, милый юноша, за власть
Я в мире не борюсь.

И не оспаривает Вас
Высокородный стих.
Вы можете - из-за других -
Моих не видеть глаз,

Не слепнуть на моем огне,
Моих не чуют сил...
Какого демона во мне
Ты в вечность упустил!

Но помните, что будет суд,
Разящий, как стрела,
Когда над головой блеснут
Два пламенных крыла.

11июля 1913

22. ბნელეთი - გრიგალი - სოდომი

ბნელეთი - გრიგალი - სოდომი,
მიხედეთ საცხოვრისს მონდობილს.
ერთგულო, პირმტკიცე ჩაუქო,
იფხიზლე, ნუ გძინავს ჭაბუკო!
კარიბჭეს ღვთის სიტყვად სჭირდება,
თეთრ მცველად ჩამდგარი ღირსება!

სახლ-კარს შემოავლეთ წნულღობე
და უცხოს გზა გადაუღობეთ.
არიდეთ ზვირთები მძვინვარი
ვაჟის ბაღს და გორაკს წინაპრის.
პაპათა მუხნარო, თუ ბედმა
გიმუხბოლა, დაუხვდი მას მედგრად!

19 აგვისტო, ფერიცვალება, 2020 წ.

Мракобесие. - Смерч. - Содом

Мракобесие. — Смерч. — Содом.
Берегите Гнездо и Дом.
Долг и Верность спустив с цепи,
Человек молодой — не спи!
В воротах, как Благая Весть,
Белым стражем да встанет — Честь.

Обведите свой дом — межой,
Да не внидет в него — Чужой.
Берегите от злобы волн
Садик сына и дедов холм.
Под ударами злой судьбы —
Выше — прадедовы дубы!

6 июня 1918

23. ქარაოცობა - საამო ბრალი

ქარაოცობა - საამო ბრალი,
მტერი, თანმხლები - ანდამატური!
შემომამხეფე სიცილი თვალში
და ამიჩქროლე სისხლი მაზურკით.

მასწავლე ბეჭდის არად ჩაგდება, -
თუკი ჯვრისწერას თავი მივანდე,
საქმის ბოლოდან ანდედ დაწყება
და დამთავრება დასაწყისამდე;

ვიყო, ვით წველი და ჯავარდენი,
ყოფაში, სადაც ძალგვიძს მცირედი...
- შოკოლადებით ვფანტო დარდები
და შევცინოდე გამვლელთ მიღეთის!

22 აგვისტო, 2020 წ.

Легкомыслие! — Милый грех

Легкомыслие! — Милый грех,
Милый спутник и враг мой милый!
Ты в глаза мои вбрызнул смех,
И мазурку мне вбрызнул в жилы.

Научив не хранить кольца, —
С кем бы жизнь меня ни венчала!
Начинать наугад с конца,
И кончать ещё до начала.

Быть, как стебель, и быть, как сталь,
В жизни, где мы так мало можем...
— Шоколадом лечить печаль
И смеяться в лицо прохожим!

3 марта 1915

24. შობის ქალბატონი

შენს რუხ ჩოჩორს აქეთ მავალს ვხედავ -
არ აშინებს უფსკრული და ჩქერი...
შობის სათნო ქალბატონო, ბედრანგს,
გამიძეხი ღრუბლებისკენ, გვედრი!

ჩოკინასთვის გამოვნახავ კვერებს...
(ფეხმარდი ვარ, თვალს ვერ მომკრავს ვერვინ),
თოჯინებით გული მოვიჯერე...
გამიძეხი ღრუბლებისკენ, გვედრი!

სათავსოდან, როცა ჩათვლემს დედა,
წამოვუღებ რძეს შენს ჩოჩორს დერგით;
შობის სათნო ქალბატონო, ბედრანგს,
გამიძეხი ღრუბლებისკენ, გვედრი!

25 აგვისტო, 2020 წ.

Рождественская дама

Серый ослик твой ступает прямо,
Не страшны ему ни бездна, ни река...
Милая Рождественская дама,
Увези меня с собою в облака!

Я для ослика достану хлеба,...
(Не увидят, не услышат, - я легка!)
Я игрушек не возьму на небо...
Увези меня с собою в облака!

Из кладовки, чуть задремлет мама,
Я для ослика достану молока.
Милая Рождественская дама,
Увези меня с собою в облака!

1909-1910

25. ახალგაზრდობა

ფრთამერცხალა სანამ ვიქეც გრძნეულად,
სიყმაწვილევ, ვიდრე მთლად გაქცეულხარ,
მოდი, დავდგეთ ქარში გადაჭდობილნი,
შავგვრემანო, მანუგეშე დობილი!

ბოლოკაბა მიდი, ააღაჟღაჟე,
ჩემო მტრედო, შესციცინე ლაჟვარდებს,
სულის ქურდო საქციელით უგეშით,
იცეკვე და კვლავ მომგვარე ნუგეში!

ლილისფერი თავშალი და გამაში,
გაატოკე, ამაცეტე თამაშით,
გულს ვიჯერებ - ოდეს ცეკვით გამართობ!
გეთხოვები ჩემო ოქროვ, ამარტო!

დრო თავდება ჩვენი შემჭიდროების,
ვით ნანდაურს, ისე გემშვიდობები,
წასვლის დროა, გულმკერდიდან მოგლეჯილს,
სიყმაწვილევ, ახლა სულ სხვა მოგელის.

29 აგვისტო, ანჩისხატობა, 2020 წ.

Скоро уж из ласточек — в колдуньи!

Скоро уж из ласточек — в колдуньи!

Молодость! Простимся накануне...

Постоим с тобою на ветру!

Смуглая моя! Утешь сестру!

Полыхни малиновою юбкой,

Молодость моя! Моя голубка

Смуглая! Раззор моей души!

Молодость моя! Утешь, спляши!

Полосни лазоревою шалью,

Шалая моя! Пошалевали

Досыта с тобой! — Спляши, ошпарь!

Золотце мое-прощай-янтарь!

Неспроста руки твоей касаюсь,

Как с любовником с тобой прощаюсь.

Вырванная из грудных глубин —

Молодость моя! — Иди к другим!

26. ანა ახმატოვას

გოდების მუზავ, მუზებს შორის ულამაზესო!
შენ, შლეგო წულო თეთრი ღამის, გვწახვავ ორძალით,
თავს დაატყდები შავ ქარბუქად ქვეყნის სამზეოს
და შენი გლოვა გულის ესობა, როგორც ბოძალი.

შეგბარბაცდებით, დაგვეცაო თითქოს თავზარი,
ასიათასებს აჯადოებ შენი არილით,
ამოხვრავა ეგ სახელი უზარმაზარი,
სახელდაუდებ ღრმა უფსკრულში უჩინარქმნილი.

კურთხეულია ბედ-იღბალი რადგან იმათი,
ვინც შენთან ერთად ცას შესცქერის, უძლებს წვალებას
და ვინც დაჭრილა სასიკვდილო შენი ყისმათით,
გაუკვდავებით ეგებება გარდაცვალებას.

გუმბათებს ცეცხლი უკიდია აელვარებით,
ბრმა მათხოვარი განადიდებს სულმნათ მაცხოვარს,
აჰა, საჩუქრად ეს ქალაქი ურიცხვ ზარებით
და ჩემი გულიც დაიმატე სართად სახსოვრად.

7 აგვისტო, 2022 წ.

მარინა ცვეტაევა და ანა ახმატოვა ერთადერთხელ შეხვდნენ 1941 წლის
7-8 ივლისს მოსკოვში.

Ахматовой (О, Муза плача, прекраснейшая из муз!..)

О, Муза плача, прекраснейшая из муз!
О ты, шальное исчадие ночи белой!
Ты чёрную насылаешь метель на Русь,
И вопли твои вонзаются в нас, как стрелы.

И мы шарахаемся и глухое: ох! —
Стотысячное — тебе присягает: Анна
Ахматова! Это имя — огромный вздох,
И в глубь он падает, которая безымянна.

Мы коронованы тем, что одну с тобой
Мы землю топчем, что небо над нами — то же!
И тот, кто ранен смертельной твоей судьбой,
Уже бессмертным на смертное сходит ложе.

В певучем граде моём купола горят,
И Спаса светлого славит слепец бродячий...
И я дарю тебе свой колокольный град,
— Ахматова! — и сердце своё в придачу.

June 19, 1916

[↑](#) თავში

[↑](#) ავტორის დასაწყისი



მიხეილ ლერმონტოვი - Михаил Лермонтов
(1814-1841)

[↑](#) თავში

1. ლოცვა (დედაო ღვთისავ, წრფელი ლოცვებით)

დედაო ღვთისავ, წრფელი ლოცვებით,
შენს პირმნათ ხატთან საწყალობელი,
არ გთხოვ შენდობას ჩემი ცოდვების
და არც ბრძოლის წინ სამადლობელით,

ან სინანულით ჩემი დაცლილი,
ყარიბ სულის ხსნას, ვიდრე მომწყლავენ;
თუმც გევედრები წმინდა წადილით,
ექმენ უმანკო ასულს მოწყალე;

თანამეგზურით აბედნიერე,
არ შეახვედრო ვინმე იბედივ,
ნათელი სიყრმე, მყუდრო სიბერე
მიმადლე, სათნო გულში - იმედი!

და როცა სული ხორცს გაეცლება
დილით, ან ღამის საგანმგებლოში,
გთხოვ მიავლინო მის სარეცელთან,
გამორჩეული ღვთის ანგელოსი!

18 აპრილი, 2020 წ.

Я, мать божия, ныне с молитвою

Я, мать божия, ныне с молитвою
Пред твоим образом, ярким сиянием,
Не о спасении, не перед битвою,
Не с благодарностью, иль покаянием,

Не за свою молю душу пустынную,
За душу странника в свете безродного;
Но я вручить хочу деву невинную
Теплой заступнице мира холодного.

Окружи счастьем душу достойную;
Дай ей спутников, полных внимания,
Молодость светлую, старость покойную,
Сердцу незлобному мир упования.

Срок ли приблизится часу прощальному
В утро ли шумное, в ночь ли безгласную,
Ты воспрять пошли к ложу печальному
Лучшего ангела душу прекрасную.

написано в 1837 году

2. მე შენ წინაშე არ დავმდაბლდები

მე შენ წინაშე არ დავმდაბლდები,
ვერ იმბრძანებლებ ჩემზე ვერც თხოვნით,
ვერც მისალმებით და ვერც ბრალდებით;
იცოდე: სრულად გამიუცხოვდი.

შენ დაგავიწყდა: თავისუფლებას
რომ ვერ ვაქცევდი ცთუნების მძევლად,
მთელი ეს წლები ისეც, უკლებლად,
მაგ თვალეზს, ღიმილს შევწირე მსხვერპლად.

ისედაც დიდხანს გთვლიდი მოუშლელ
იმედად ჩემი ყმაწვილურ წლების,
მთელი სამყაროს გავხდი მოშულლე,
რომ მყვარებოდი თავდავიწყებით.

10 სექტემბერი, 2020 წ.

Я не унижусь пред тобою...

Я не унижусь пред тобою;
Ни твой привет, ни твой укор
Не властны над моей душою.
Знай: мы чужие с этих пор.

Ты позабыла: я свободы
Для заблужденья не отдам,
И так пожертвовал я годы
Твоей улыбке и глазам,

И так я слишком долго видел
В тебе надежду юных дней,
И целый мир возненавидел,
Чтобы тебя любить сильнее.

3. აფრა

ლაჟვარდოვან ზღვის ნისლის მორევში
თეთრად ქათქათებს აფრა მარტოკა,
ნეტავ რას ეძებს იგი შორეთში,
ანდა სამშობლო რად მიატოვა?..

ზღვას ააღელვებს ქარის დაბერვა,
ისმის მოხრილი ნაქვის ხმაური,
ვაგლახ, არ მიდის ბედის საძებრად,
ბედნიერებას ის არ გაურბის!

მის ქვეშ ლაჟვარდის ჭავლი ციალებს,
ზევით სხივია მზის მონატები...
მოუსვენარი ლამობს გრიგალებს,
თითქოს სიმშვიდე მოაქვთ ქარტეხილთ!

12 სექტემბერი, 2020 წ.

Парус

Белеет парус одинокий
В тумане моря голубом!..
Что ищет он в стране далекой?
Что кинул он в краю родном?..

Играют волны - ветер свищет,
И мачта гнется и скрипит...
Увы, - он счастья не ищет
И не от счастья бежит!

Под ним струя светлей лазури,
Над ним луч солнца золотой...
А он, мятежный, просит бури,
Как будто в бурях есть покой!

1832

4. მე ბაირონი არ ვარ...

მე ბაირონი არ ვარ, მკითხველი
ნაკლებად მიცნობს, რჩეულს განგების,
საწუთრო მისებრ მდევნის განდეგილს,
ოღონდ ვარ რუსულ სულის მტვირთველი.

ადრე დავიწყე და დავასრულებ,
გონსაც მოუწევს ღვაწლი მცირედი;
ავსებს სულს, როგორც ზღვათა ქვაბულებს
ტვირთი უამრავ ნამსხვრევ იმედის.

იდუმალემა შენი რაშია,
ზღვაო, ჩასწვდება როსმე მზვერავი?
ან ვინ გაუნდობს ბრბოს ჩემს ხვაშიადს?
მე - იქნებ ღმერთი - ეგებ ვერავინ!

14 სექტემბერი, 2020 წ.

Нет, я не Байрон, я другой

Нет, я не Байрон, я другой,
Еще неведомый избранник,
Как он гонимый миром странник,
Но только с русскою душой.

Я раньше начал, кончу ране,
Мой ум немного совершит;
В душе моей как в океане
Надежд разбитых груз лежит.

Кто может, океан угрюмый,
Твои изведать тайны? кто
Толпе мои расскажет думы?
Я - или бог - или никто!

написано в 1832 году

5. ცხოვრების თასი

თვალხუჭულნი ვცლით გავსებულ
ცხოვრების თასის სასმელებს,
კიდეებს მოვარაყებულს
ჩვენი ცრემლებით ვასველებთ.

სიკვდილი როცა ჩვენს თვალებს
მოხსნის შემოკრულ შესახვევთ,
მაშინ გავიგებთ სიმართლეს
მაცდურ საწუთროს შესახებ;

დაცლილი იყო ცხოვრების
თასი - გაგვიმხელს საქვეყნოდ,
ვსვამდით იმ ნაყენს ოცნების -
რომ არ ყოფილა საჩვენო!

18 სექტემბერი, 2020 წ.

Чаша жизни

Мы пьем из чаши бытия
С закрытыми очами,
Златые омочив края
Своими же слезами;

Когда же перед смертью с глаз
Завязка упадает,
И всё, что обольщало нас,
С завязкой исчезает;

Тогда мы видим, что пуста
Была золотая чаша,
Что в ней напиток был — мечта,
И что она — не наша!

1831

6. ჩემი დემონი

ბოროტებაა მისი ბუნება;
მუქ ღრუბელთ შორის ქროლა უხარის,
უყვარს გრიგალთა აგუგუნება,
ჩქერების ქაფი, გრგვინვა მუხნარის,
ბინდიანი ცა, ღამის ბურუსი,
ფერმკრთალი მთვარე, ელვის ტეხილი,
მწველი ღიმილი, მზერა ქურუხი,
უცრემლო თვალი - ძილგატეხილი.

უქმადმეტყველი უგნურ ბრიყვების
მიყურადების ფრიად მოსურნეს,
აახარხარებს სალმის სიტყვები
და სიცილს მოჰგვრის ყველა მორწმუნე.
მისთვის უცხოა ნანვა, ტრფიალი,
ხარბად შესანსლავს თუკი მოშივდა,
შეტაკებების ორომტრიალის
კვამლს და დაღვრილი სისხლის ოხშივარს.

თუ გამარტვილდა ვინმე სიკვდილით,
არ ერიდება ღმერთსაც თავნება -
ამჰარტავნული, მქირდავ ღიმილით
გამომეტყველი გვამთან გაჩნდება.
თუ ვინმეს ჟამი გაასავათებს
და სიკვდილს ელის ათრთოლებული,
მასთან ატარებს ბოლო საათებს,
მაგრამ ვერ იღებს ნუგეშს სნეული.

და ვიდრე ვცოცხლობ, მებატონება
მანამ დემონი ამჰარტავანი,
გამიცისკროვნებს ხშირად გონებას
ელვარე სხივით უცხო სავანის;
მომაჯადოებს სრულქმნილ ხატებით,
უმაღვე წამგვრის თუმც დანაპირებს,
მატკობს წინასწარ ნაგემ ნატვრებით,
ბედნიერებას კი არ მაღირსებს.

19 სექტემბერი, მიქაელ მთავარანგელოზის ხს. დღე, 2020 წ.

Мой демон

Собранье зол его стихия;
Носясь меж тёмных облаков,
Он любит бури роковые
И пену рек и шум дубров;
Он любит пасмурные ночи,
Туманы, бледную луну,
Улыбки горькие и очи
Безвестные слезам и сну.

К ничтожным хладным толкам света
Привык прислушиваться он,
Ему смешны слова привета
И всякий верящий смешон;
Он чужд любви и сожаленья,
Живет он пищею земной,
Глощает жадно дым сраженья
И пар от крови пролитой.

Родится ли страдалец новый,
Он беспокоит дух отца,
Он тут с насмешкою суровой
И с дикой важностью лица;
Когда же кто-нибудь нисходит
В могилу с трепетной душой,
Он час последний с ним проводит,
Но не утешен им больной.

И гордый демон не отстанет,
Пока живу я, от меня
И ум мой озарять он станет
Лучем чудесного огня;
Покажет образ совершенства
И вдруг отнимет навсегда
И, дав предчувствия блаженства,
Не даст мне счастья никогда.

1830-1831

7. არც სამოთხის და არც ცის დასების...

არც სამოთხის და არც ცის დასების
სართად არ შემქმნა გამჩენის ნებამ;
რისთვის ვცხოვრობ და დავიდაგები,
მას ჩემზე უკეთ მოეხსენება;

მეც ვარ ბოროტი ამონაყარი,
ზნე დემონივით გამიარჯლდება
და კაცთა შორის არხეინ ყარიბს
სამყარო მრაცხავს გარმიანელად;

წაიკითხე და მის სვე-ბედს მერე
ჩემი ადარე მეხსიერებით,
ულმობელ სულით კი დაიჯერე -
ბოლოს ორივე მას რომ შევრჩებით.

22 სექტემბერი, 2020 წ.

Я не для ангелов и рая

Я не для ангелов и рая
Всесильным богом сотворен;
Но для чего живу, страдая,
Про это больше знает он,

Как демон мой, я зла избранник,
Как демон, с гордою душой,
Я меж людей беспечный странник,
Для мира и небес чужой;

Прочти, мою с его судьбою
Воспоминанием сравни
И верь безжалостной душою,
Что мы на свете с ним одни.

1831

8. ვარსკვლავი

შორი ვარსკვლავო, გაიკამკამე,
რათა ნიადაგ გხედავდე ღამე;
ყიამეთს ებრძვი, ჰფენ მკრთალ სინათლეს,
გთხოვ ჩემს სნეულ სულს ნატვრა მიმადლე!
რომ მიელტვოდეს მარად სიმაღლეს
და შენკენ ფრენით იგრძნოს სილაღე...

ერთ დროს მალხენდა მზერა მდაგველი,
სხვისკენ წარმართა თუმცა ნათელი,
მაგრამ როგორც შენ, მას კვლავ ვესწრაფი
და ვერ ვივიწყებ ჯერაც ვერაფრით...

23 სექტემბერი, 2020 წ.

Звезда

Светись, светись, далекая звезда,
Чтоб я в ночи встречал тебя всегда;
Твой слабый луч, сражаясь с темнотой,
Несет мечты душе моей больной;
Она к тебе летает высоко;
И груди сей свободно и легко...

Я видел взгляд, исполненный огня
(Уж он давно закрылся для меня),
Но, как к тебе, к нему еще лечу,
И хоть нельзя — смотреть его хочу...

1830

9. წინასწარმეტყველება

დადგება წელი, რუსეთისთვის დუხჭირი წელი, -
როცა სამეფო ტახტს დაამხოვს ავჟამი მხრწნელი;
ბრბო აღივსება სიყვარულის მაგივრად რისხვით
და უამრავი დანაყრდება სიკვდილით, სისხლით;

როცა უცოდველ ქალებსა და უმანკო ყმაწვილთ
თემიდა ველარ წაშველებს სასწორს და მახვილს;
როდესაც ჭირი წამხდარ ჰაერს ველ-მინდვრებს მოფენს
და ხეტიალით ჩამოივლის ნაღვლიან სოფლებს -

ქობმახებიდან რათა იხმოს ღარიბი ხალხი,
შიმშილით ტანჯოს და ჩააცვას უბედურთ თალხი
და მდინარეებს დაფიონის შეფერავს ქარცი,
მოევლინება იმ დღეს რუსეთს ძლიერი კაცი;

როცა შეხედავ, არ გჭირდება ვიღაცის ახსნა,
რად ეჭირება იმ სასტიკ კაცს ფოლადის დანა:
იგლოვე მაშინ! - შენი ცრემლით, დარდით და ოხვრით,
რამეთუ გულს ვერ მოუღობო და ღიმილსდა მოგვრი!

მასში ყოველი საზარელი იქნება, კრული,
მრუმე ლაბადაც, აწეული, ამაყი შუბლიც.

26 სექტემბერი, წმ. ქეთევან დედოფლის ხს. დღე, 2020 წ.

Предсказание

Настанет год, России черный год,
Когда царей корона упадет;
Забудет чернь к ним прежнюю любовь,
И пища многих будет смерть и кровь;

Когда детей, когда невинных жен
Низвергнутый не защитит закон;
Когда чума от смрадных, мертвых тел
Начнет бродить среди печальных сел,

Чтобы платком из хижин вызывать,
И станет глад сей бедный край терзать;
И зарево окрасит волны рек:
В тот день явится мощный человек,

И ты его узнаешь - и поймешь,
Зачем в руке его булатный нож:
И горе для тебя! - твой плач, твой стон
Ему тогда покажется смешон;

И будет все ужасно, мрачно в нем,
Как плащ его с возвышенным челом.

написано в 1830 году

10. სიზმარი

მესიზმრა რომ ვიწექ, შუადღისის ალხში
დალესტნის ღრანტეში, მკერდში ნატყვიართ,
ღრმა იარას ჯერაც ასდიოდა კვამლი,
სხეულიდან სისხლის მოწვეთავდა ღვარი.

მარტოდმარტო ვეგდე ცხელ ქვიშაზე სადღაც,
მთების კალთებს ირგვლივ მოფენოდა ჩრდილი,
ზერდაგ მთების მწვერვალთ მცხუნვარე მზე წვავდა
და ჩემს გვამსაც - მძინარს სამუდამო ძილით.

სიზმრად შევცქეროდი მოჩახჩახე პალატს
და მიმწუხრის ნადიმს მშობლიური მხარის,
ყვავილებით მორთულ ახლგაზრდა ქალთა
დასში ჩამოვარდა ჩემზე საუბარი.

აარიდა თავი მათ ლაპარაკს განზრახ
ერთადერთმა ქალმა და წაიღო ფიქრმა,
მწარე მონაზმანში სული ახალგაზრდა,
მხოლოდ ღმერთმა უწყის, რარიგ ჩაიძირა;

მან დალესტნის ღრანტე დაინახა ხილვით,
ცხელ ქვიშაზე ეგდო მახლობელი მისი,
შავდებოდა უკვე გვამის მკერდზე ბრძვილი,
ცივდებოდა ღვარი დადენილი სისხლის.

28 სექტემბერი, 2020 წ.

Сон

В полдневный жар в долине Дагестана
С свинцом в груди лежал недвижим я;
Глубокая еще дымилась рана,
По капле кровь точилась моя.

Лежал один я на песке долины;
Уступы скал теснились кругом,
И солнце жгло их желтые вершины
И жгло меня — но спал я мертвым сном.

И снился мне сияющий огнями
Вечерний пир в родимой стороне.
Меж юных жен, увенчанных цветами,
Шел разговор веселый обо мне.

Но в разговор веселый не вступая,
Сидела там задумчиво одна,
И в грустный сон душа ее младая
Бог знает чем была погружена;

И снилась ей долина Дагестана;
Знакомый труп лежал в долине той;
В его груди, дымясь, чернела рана,
И кровь лилась хладеющей струей.

1841

11. ლოცვა

გულს ძნელბედობა სანადვლელს
როცა შეჰყრის და გამოხრავს,
საკვირველ ლოცვას ადვავლენ
ზეპირად სულის საოხად.

მის ცოცხალ სიტყვებს ღვთის მაღლი
მოჰყვება იმქვეყნიერი
და სუნთქავს ის იდუმალი,
სპეტაკი სიმშვენიერით.

იცილებს ნამარტვილები
სული ეჭვების საპალნეს,
თან მწამს და თან ავტირდები,
გულს სიმსუბუქე დააღებენს...

30 სექტემბერი, 2020 წ.

Молитва

В минуту жизни трудную
Теснится ль в сердце грусть,
Одну молитву чудную
Твержу я наизусть.

Есть сила благодатная
В созвучьи слов живых,
И дышит непонятная,
Святая прелесть в них.

С души как бремя скатится,
Сомненье далеко —
И верится, и плачется,
И так легко, легко...

1839

12. ქნარი

როდესაც დავტოვებ საწუთროს მნახველი
და საფლავს დაფარავს ხავსი და ლიქენი,
მარტოდენ ენაზე მომდგარი სახელი,
ხსოვნაში აჩრდილად შთენილი ვიქნები;

როდესაც არცერთი უმცროსი ძმობილი
კვლავ აღარ მახსენებს ხელადით ხადილში,
აიღე უბრალო ეს ქნარი, წყობილი,
ერთგული ოცნების, მოყვასი ნამდვილი.

დაკიდე საკრავი დარაბის პირდაპირ -
სიმებზე დაუკრან ქსინებმა ჭანგებით,
რომ თუნდაც ნახმევით კარგა ხნის მიმწყდარი,
აჟღერდეს გარდასულ დროების ჰანგები!

ვერ აახმიანებ უწინდელ წკრიალით
თოვლისფერ თითებით ძველ ლარებს პირქუში,
რადგან ვინც იმღერა შენდამი ტრფიალი,
მიწისქვეშ იძინებს მარადი ძილქუშით.

9 ოქტომბერი, წმ. იოანე ღვთისმეტყველის ხს. დღე, 2020 წ.

Арфа

Когда зеленый дёрн мой скроет прах,
Когда, простясь с недолгим бытиём,
Я буду только звук в твоих устах,
Лишь тень в воображении твоём;

Когда друзья молодые на пирах
Меня не станут поминать вином,
Тогда возьми простую арфу ты,
Она была мой друг и друг мечты.

Повесь ее в доме против окна,
Чтоб ветер осени играл над ней,
И чтоб ему ответила она
Хоть отголоском песен прошлых дней;

Но не проснется звонкая струна
Под белоснежною рукой твоей,
Затем что тот, кто пел твою любовь,
Уж будет спать, чтоб не проснуться вновь.

1830-1831

13. საღამო

როდესაც ლურჯი ცისკიდის გაღმით
მიიმალევა დღე ალისფერი,
დაიჩრდილება დაწოლილ ჯანდით
სუყველაფერი დასალიერის, -

ჩავუფიქრებდი წარუვლის საზრისს,
ვჭვრეტ სიყვარულის სიმშვენსიერეს
და ჩამესმება ჩურჩულით მსჯავრი:
„ველარასოდეს იბედნიერებ“!

ზეცას ავხედავ მაშინ ვედრებით,
მიმგებს მდაბალი გულის მიხედვით,
მომხდენს ურიცხვი საკვირველების,
თუმც მეწურება ბოლო იმედიც,

არ შეეწევა უგნურს, უმაქნისს,
ვისთვისაც შენი თვალთა კიაფი
იქნება ბოლო ამოსუნთქვამდის
ყოველგვარ ციურ ნიჭზე ძვირფასი.

17 ოქტომბერი, 2020 წ.

Вечер

Когда садится алый день
За синий край земли,
Когда туман встает и тень
Скрывает всё вдали, —

Тогда я мыслю в тишине
Про вечность и любовь
И чей-то голос шепчет мне:
«Не будешь счастлив вновь».

И я гляжу на небеса
С покорною душой,
Они свершали чудеса,
Но не для нас с тобой,

Не для ничтожного глупца,
Которому твой взгляд
Дороже будет до конца
Небесных всех наград.

написано в 1830-1831 годах

14. შეთხელდებიან ნისლის ქულები

შეთხელდებიან ნისლის ქულები,
სიკვდილის ბედით ხრამის თავზევით,
კვლავ დადგებიან ბუმბერაზები
ჩემ წინ გარდასულ ასწლეულების.

მესმის შელოცვა ძნელმისახვედრი,
ავყვები, როცა ამღერდებიან,
ცოცხალ გრძნობებით აღვსილს, გზნებიანს,
შემემინდება უკან გახედვის, -

რათა ვარიდო ახალ გალობას
ამქვეყნიური ჰანგის აღრევა
და უკეთესი ყოფის კარებთან,
არ გამახსენდეს ხალხი, სალმოზა;

გადამავიწყდეს ქვეყნიერება,
დამლადასმული კრულვის ბეჭედით,
ალერსი - სავსე შხამით, ეჭვებით,
ტყუილნარევი ბედნიერება.

3 იანვარი, 2021 წ.

Редеют бледные туманы

Редеют бледные туманы
Над бездной смерти роковой,
И вновь стоят передо мной
Веков протекших великаны.

Они зовут, они манят,
Поют, и я пою за ними,
И, полный чувствами живыми,
Страшуся поглядеть назад,—

Чтоб бытия земного звуки
Не замешались в песнь мою,
Чтоб лучшей жизни на краю
Не вспомнил я людей и муки,

Чтоб я не вспомнил этот свет,
Где носит всё печать проклятья,
Где полны ядом все объятая,
Где счастья без обмана нет.

1831-го января

[↑](#) თავში

[↑](#) ავტორის დასაწყისი



ალექსანდრე ბლოკი - Александр Блок
(1880-1921)

[↑](#) თავში

1. როცა დღის გაგანს ღამე განდევნის

როცა დღის გაგანს ღამე განდევნის
და ქალაქს ბნელი შავად დაფერავს -
ისმის ღვთის ჰანგი, ჰოი, რამდენი,
მიწას მოიცავს, ო, რა თანჟღერა!

რას მავნებს ყოფის ორომტრიალი,
როს ყვავილობენ შენი კვირტები!
რა ბედენაა ცრემლიც მტირალის,
დროჟამს დაისის გავარდისფრების!

ქვეყნის დედოფალს, ჭირთა მნახველი,
შეგვედრები ამბიონიდან,
მიიღო თასი, უკანასკნელი
ვნებით აღვსილი - უღირს მონისგან!

24 ოქტომბერი, 2020 წ.

В ночи, когда уснет тревога...

В ночи, когда уснет тревога,
И город скроется во мгле —
О, сколько музыки у бога,
Какие звуки на земле!

Что буря жизни, если розы
Твои цветут мне и горят!
Что человеческие слезы,
Когда румянится закат!

Прими, Владычица вселенной,
Сквозь кровь, сквозь муки, сквозь гроба —
Последней страсти кубок пенный
От недостойного раба!

1898

2. ზაფხულის საღამო

ჰვენს ბოლო სხივებს მწუხრი ალერსით
ფართო მინდორზე მომკილი სვილის,
გარემოცულა ირგვლივ ალერდი
უთიბ სინორის ვარდისფერ ძილით.

ჩიტი არ ჟივის და არ ქრის ქარი,
წითელი მთვარე დანათის კორომს,
შეწყდა სიმღერა მომკელი ქალის
და დაადუმა ბინდბუნდმა ქოროც.

გადაივიწყე დარდი, ხლაფორთი,
აღვირმიშვებულ ცხენს დეზი ჰკარი,
გაშორდი ბურუსს, ველსაც გაშორდი,
მისაგებებლად ღამის და მთვარის!

25 ოქტომბერი, 2020 წ.

Летний вечер

Последние лучи заката
Лежат на поле сжатой ржи.
Дремотой розовой объята
Трава некошеной межи.

Ни ветерка, ни крика птицы,
Над рощей - красный диск луны,
И замирает песня жницы
Среди вечерней тишины.

Забудь заботы и печали,
Умчись без цели на коне
В туман и в луговые дали,
Навстречу ночи и луне!

13 декабря 1898

3. დღის ყველა მრუდი აჩრდილი მირზის

დღის ყველა მრუდი აჩრდილი მირზის,
რეკენ ზარები მკაფიოდ, გაბმით,
საფეხურები ბრწყინდება კიბის
და ქვა ცოცხალი ელის შენს ნაბიჯთ.

ცივ ლოდს ხელს ახლებ და მიემთხვევი -
იგრძნობ სიწმინდეს უძველეს კედლის
და ძირს დააგდებ ყვავილს შემთხვევით
პირქუმ ხატებთან წამდგარი ბნელში.

გაზრდილ ვარდისფერ ჩრდილებს შევყურებ,
რეკენ ზარები მკაფიოდ, გაბმით,
ბინდი ედება ძველ საფეხურებს...
გაცისკრებული ველი შენს ნაბიჯთ.

31 ოქტომბერი, 2020 წ.

Бегут неверные дневные тени

Бегут неверные дневные тени.
Высок и внятен колокольный зов.
Озарены церковные ступени,
Их камень жив - и ждет твоих шагов.

Ты здесь пройдешь, холодный камень тронешь,
Одетый страшной святостью веков,
И, может быть, цветок весны уронишь
Здесь, в этой мгле, у строгих образов.

Растут невнятно розовые тени,
Высок и внятен колокольный зов,
Ложится мгла на старые ступени....
Я озарен - я жду твоих шагов.

4 января 1902

4. არის წუთები, ციებ-ცხელებით...

არის წუთები, ციებ-ცხელებით
როცა ვერ გვაზრობს ყოფის ნამქერი;
ვიღაც გვეხება მხრებზე ხელებით,
ვიღაც თვალებში ცხადლივ ჩაგვცქერის...

და ყოველდღიურ ზრუნვას ჩამარხავს
ჩაუწვდენელი სიღრმის სიმრუმე,
გადაევლება უფსკრულს კამარად,
შვიდფერ ცის მშვილდად ნელა სიჩუმე...

ჰანგი დახშული, ნორჩი, მღელვარე
მდუმარებაში კვლავ გაისმება
და გააჟღერებს ყოფით მთვლემარე
სულებს დაჭიმულთ ქნარის სიმებად.

4 ნოემბერი, ყაზანის ღვთისმშობლის ხატის ხს. დღე, 2020 წ.

Есть минуты, когда не тревожит

Есть минуты, когда не тревожит
Роковая нас жизни гроза.
Кто-то на плечи руки положит,
Кто-то ясно заглянет в глаза...

И мгновенно житейское канет,
Словно в тёмную пропасть без дна.
И над пропастью медленно встанет
Семицветной дугой тишина...

И напев заглушённый и юный
В затаённой затронет тиши
Усыпленные жизнью струны
Напряженной, как арфа, души...

Июль 1912

5. განათდეს ღამე მთვარის არილით

განათდეს ღამე მთვარის არილით,
ლხენას ეღირსეთ სამოთხის სადარს,
ველარ შემიცვლის ტრფობის აპრილიც
სულში ჩამომდგარ ბობოქარ ავდარს!

შუმის თვალებით დაუწყებს ზვერვას
ცას გადართხმული სიბნელე ღამის
ავადმყოფ სულის ფერგამკრთალ მზერას,
გაჟღენთილს ცხარე და ტკბილი შხამით.

მიჩქმალულ ვნებით ქუჩებს დავივლი
რიბირაბომდე უსაქმოდ, მახვრალს
ამედევნება მწველი სახმილით
ეს ერთადერთი სანუკვი ზრახვა:

განათდეს ღამე მთვარის არილით,
ლხენას ეღირსეთ სამოთხის სადარს,
ველარ შემიცვლის ტრფობის აპრილიც
სულში ჩამომდგარ ბობოქარ ავდარს!

12 ნოემბერი, 2020 წ.

Пусть светит месяц — ночь темна

Пусть светит месяц — ночь темна.
Пусть жизнь приносит людям счастье, —
В моей душе любви весна
Не сменил бурного ненастья.

Ночь распростерлась надо мной
И отвечает мертвым взглядом
На тусклый взор души больной,
Облитой острым, сладким ядом.

И тщетно, страсти затая,
В холодной мгле передрагсветной
Среди толпы блуждаю я
С одной лишь думою заветной:

Пусть светит месяц — ночь темна.
Пусть жизнь приносит людям счастье, —
В моей душе любви весна
Не сменил бурного ненастья.

Январь 1898. С.-Петербург

6. გაზაფხულია მინდვრად, რეკს ზარი...

გაზაფხულია მინდვრად, რეკს ზარი
და გამოაღებ დარაბებს ფართოდ,
მიიწურება დღე მოცინარი,
ვარდისფერ ღრუბლებს შესცქერი მარტო.

ღიმილი მოგდის და ქრება მყისვე,
შეცბუნებული კარგავ სიმშვიდეს,
გავემართები ვარდისფერ ტყისკენ
და მიტევებულს გადამივიწყებ.

15 ნოემბერი, 2020 წ.

Слышу колокол. В поле весна...

Слышу колокол. В поле весна.
Ты открыла веселые окна.
День смеялся и гас. Ты следила одна
Облаков розоватых волокна.

Смех прошел по лицу, но замолк и исчез...
Что же мимо прошло и смутило?
Ухожу в розовеющий лес...
Ты забудешь меня, как простила.

Апрель 1902

7. უქმად გავიდა დღე გაზაფხულის

უქმად გავიდა დღე გაზაფხულის
გაუწმენდავი სარკმლის მახლობლად,
გვერდით ოთახში კი დაზაფრული,
ტყვედმქნილ ჩიტვით ცოლი გალობდა.

შევკრიბე მშვიდად, აუჩქარებლივ
ღირსსახსოვარი და ნაჯაფარი
და უმოწყალოდ გახდა ნათელი:
გაიჯახუნა ცხოვრებამ კარი.

კვლავ არაერთხელ შევკამათდებით
და ვერ შეგვიცვლის ლხენა დაღვრემას;
რად დავაფართო ფანჯრებს ფარდები,
თუ რახანია სულში ღამეა?!

17 ნოემბერი, 2020 წ.

Весенний день прошел без дела

Весенний день прошел без дела
У неумытого окна;
Скучала за стеной и пела,
Как птица пленная, жена.

Я, не спеша, собрал бесстрастно
Воспоминанья и дела;
И стало беспощадно ясно:
Жизнь прошумела и ушла.

Еще вернутся мысли, споры,
Но будет скучно и темно;
К чему спускать на окнах шторы?
День догорел в душе давно.

Март 1909

8. შენ მეტს ცხოვრობდი, მე კი - ვგალობდი

შენ მეტს ცხოვრობდი, მე კი - ვგალობდი...
ბევრჯერ გაჭირვა ცხოვრებამ თანგვით,
მე უხილავმა ღირსმყო წყალობის -
აურაცხელი გამანდო ჰანგი.

შენი სულია ბორკილგაყრილი -
თავსდატეხილი გრიგალით, შიშით;
ჩემი - ზვირთია: ასე ქარიშხლით
ლაჟვარდში მიქრის მარცვალი ქვიშის.

ვგრძნობ, მეგობარო, მერმისს სახილავს -
მეც შემეხება ცხოვრება მალე...
თუმც მკვდარი გული უკვე მარხია,
ველარ მოიკრებს ძგერისთვის ძალებს!

როცა სიბნელე ჩამოეშვება
და გადაგვფარავს ბურუსი მყრალი,
ჩემთან წამოდი, რომ ჰპოვო შვება,
ან სანატრელო, მე მოვალ მსწრაფლივ!

19 ნოემბერი, 2020 წ.

Ты много жил, я больше пел

Ты много жил, я больше пел...
Ты испытал и жизнь и горе,
Ко мне незримый дух слетел,
Открывший полных звуков море...

Твоя душа уже в цепях;
Ее коснулись вихрь и бури,
Моя - вольна: так тонкий прах
По ветру носится в лазури.

Мой друг, я чувствую давно,
Что скоро жизнь меня коснется...
Но сердце в землю снесено
И никогда не встрепенется!

Когда устанем на пути,
И нас покроет смрад туманный,
Ты отдохнуть ко мне приди,
А я - к тебе, мой друг желанный!

9. შეხე - ჩრდილისკენ მივემართები

შეხე - ჩრდილისკენ მივემართები,
თუმც გამკლავება გიჭირს ეჭვებთან,
კვლავ ვერ შეხვდები დღეს შემართებით,
ვერ გრძნობ, თუ ღამე რარიგ ეშვება.

ფრთიან გამოთქმებს თავი ანებე,
ნაოცნებარი არ ჩანს სამანი,
მშვიდად დავუცდი ბოლო ზმანებებს,
გადავიწყებულთ მიწის საკანში.

განა რაიმეს უნდა ვნატრობდე,
ხილვის მოსავი განა ვიქნები,
თუ შენ არ გჯერა ქვეყნად მარტოდენ
სიკვდილისწინა ჩემი ჰიმნების?

წრეს შემომარტყამს ბნელი შუალამ
და სულს წარმავალ ტკივილს დაუცხრობს,
ულრუბლო ნათელს მოჰფენ, თუმცაღა, -
მარადისობას - განა საწუთროს!

27 ნოემბერი, 2020 წ.

Смотри — я отступаю в тень

Смотри — я отступаю в тень,
А ты по-прежнему в сомненья
И всё боишься встретить день,
Не чуя ночи приближенья.

Не жди ты вдохновенных слов —
Я, запоздалый на границе,
Спокойно жду последних снов,
Забытых здесь, в земной темнице.

Могу ли я хранить мечты
И верить в здешние виденья,
Когда единственная ты
Не веришь смертным песнопеньям?

Но предо мной кружится мгла,
Не чуя мимолетней боли,
И ты безоблачно светла,
Но лишь в бессмертьи,— не в юдоли.

20 сентября 1901

10. როცა გადამღლის დღე ჩამომქრალი...

როცა გადამღლის დღე ჩამომქრალი
და ბნელ ტამარში ლოცვად დავდგები,
ველი შემოსვლას მშვენიერ ქალის
ფერმკრთალ ციალში წითელ კანდლებს.

მაღალი სვეტის ჩრდილში მიმდგარი
ვკრთები, როდესაც კარი ჭრიალებს,
თუმცა მარტოდენ სხივმომფინარი
ლანდი შემცქერის მოზორიალუ.

შეჩვეული ვარ ამგვარ სტიქარებს
მარადიული დიად მეუღლის!
ლაგვარდნებისკენ გადაიქარებს
ღიმიც, ზღაპარიც, სიზმარეულიც.

შევხარი იერს დამატყვევებელს,
კრთიან სანთლები შენთვის ნანთები,
არ მესმის სულთქმა და რას მეტყველებს,
თუმც მწამს, ძვირფასო, შენ მეღანდები!

3 დეკემბერი, 2020 წ.

Вхожу я в темные храмы

Вхожу я в темные храмы,
Совершаю бедный обряд.
Там жду я Прекрасной Дамы
В мерцаньи красных лампад.

В тени у высокой колонны
Дрожу от скрипа дверей.
А в лицо мне глядит, озаренный,
Только образ, лишь сон о Ней.

О, я привык к этим ризам
Величавой Вечной Жены!
Высоко бегут по карнизам
Улыбки, сказки и сны.

О, Святая, как ласковы свечи,
Как отрадны Твои черты!
Мне не слышны ни вздохи, ни речи,
Но я верю: Милая - Ты.

25 октября 1902

11. მე მეშინია შენთან შეხვედრის

მე მეშინია შენთან შეხვედრის,
არშეხვედრას დანაშაული,
გაოცებული ყოველს შევცქერი,
ყველაფერზე ჩანს დამლა დასმული.

დაბორიალობს ჩრდილთა კრებული,
ქმნადობს თუ სძინავს, მიჭირს გარჩევა,
ტაძრის საფეხურს მიყუდებული,
მოვერიდები უკან გახედვას.

ხელებს მახებენ მხარზე დუმლით,
სახელებია ჩემთვის ნამალი,
ყურში ხმაური ისმის შხუილით
ამასწინდელი დიდი დაკრძალვის.

ჩამოწოლილა ცა მოქუფრული,
ნისლი დაფარავს ტაძარს თვალთაგან,
ვიცი: აქა ხარ, ახლოს კუნჭულში,
თუმცა აქ არ ხარ, ხარ სხვა ალაგას.

7 დეკემბერი, 2020 წ.

Мне страшно с Тобой встречаться

Мне страшно с Тобой встречаться.
Страшнее Тебя не встречать.
Я стал всему удивляться,
На всем уловил печать.

По улице ходят тени,
Не пойму — живут, или спят.
Прильнув к церковной ступени,
Боюсь оглянуться назад.

Кладут мне на плечи руки,
Но я не помню имен.
В ушах раздаются звуки
Недавних больших похорон.

А хмурое небо низко —
Покрыло и самый храм.
Я знаю: Ты здесь. Ты близко.
Тебя здесь нет. Ты — там.

5 ноября 1902

12. თავს ველარ ვიქცევ გემების მოსვლით...

თავს ველარ ვიქცევ გემების მოსვლით,
კონცხის სიბნელე წამიხდენს ნიშატს,
ცივ სუდარაზე ცისფერი თოვლის
ვკითხულობ მე შენს პირობით ნიშანს.

ნამქერში მესმის ძახილი შენი,
ვარსკვლავნი ცრიან თოვლიან ნაცარს,
თვალს მიეფარნენ ნავები ფრენით,
არხში ყინულის გროვა ჩანს ნაცვლად.

არც ხვედრი მერგო, ნანატრი ფრიად -
არხსოვნის თოვლში დანთება სანთლად
და სანაპიროს დათოვლილ მინდვრად
მძვინვარ ქარბუქში ხორცთაგან განსვლა;

რამეთუ წყვდიადს - სხეულზე დამდგარს,
ვერ ვხსნი რად ჰგუობ რაღაცა მიზნით,
მიზეზის წვდომაც არ მინდა, რადგან,
არ მსურს წახდენა თოვლიან სიზმრის.

9 დეკემბერი, 2020 წ.

Не надо

Не надо кораблей из дали,
Над мысом почивает мрак.
На снежно-синем покрывале
Читаю твой условный знак.

Твой голос слышен сквозь метели,
И звезды сыплют снежный прах.
Ладьи ночные пролетели,
Нырря в ледяных струях.

И нет моей завидней доли —
В снегах забвенья догореть,
И на прибрежном снежном поле
Под звонкой вьюгой умереть.

Не разгадать живого мрака,
Которым стан твой окружен.
И не понять земного знака,
Чтоб не нарушить снежный сон.

1907 г.

13. ჩემი ან სხვისი არ იქნები როდისმე, მედგრად...
(ნაწყვეტი პოემიდან „კარმენი“)

ჩემი ან სხვისი არ იქნები როდისმე, მედგრად
გადავლახავდი ამით წელთა უფსკრულ ხეობებს,
ცარიელ დღეთა ტვირთი ქედზე მუდმივად მედგა
და ამიტომ ვარ შენი მეტრფე, ლექსით მეხოტბე!

აქაა ქალურ უკუგდების საზარი დამლა,
გადაფარვია სილამაზე გასაკვირალი,
მსოფლიო სულის ნაწილია უჩინრად სადღაც,
სუფევს მნათობთა ჰარმონიით ანატირალი.

ბნელი დარბაზი მახსენდება - მზერა მზვერელი!
აი, ამიტომ გიფრთხილდები და მებრალები
და ერთი ნახვით სიყვარულის მიუხვედრელი,
ვით მაცილებდი განშორებულს მწველი თვალებით!

თვითრჯულო, მიფრენ და გაფრენას არ უჩანს ბოლო,
სხვა ვარსკვლავედებს მიაშურებ კვალარეული,
სამყარო შენთვის წითელ კვამლის ფთილაა მხოლოდ,
სადაც გაისმის ჟრიამული გამალეებული.

იმ დაფიონში ხატი ბრწყინავს ყმაწვილი ქალის,
ისმის მუსიკა, არც ლხენაა და არც სიმზაკვრე,
საერთო ჰანგი გააჟღერებს სევდას და ხალისს...
კარმენ, შენგვარი არასოდეს გადაგიყვარებ!

13 დეკემბერი, ანდრია პირველწოდებულის ხს. დღე, 2020 წ.

Нет, никогда моей, и ты ничьей не будешь

Нет, никогда моей, и ты ничьей не будешь.
Так вот что так влекло сквозь бездну грустных лет,
Сквозь бездну дней пустых, чьё бремя не избудешь.
Вот почему я — твой поклонник и поэт!

Здесь — страшная печать отверженности женской
За прелесть дивную — постичь её нет сил.
Там — дикий сплав миров, где часть души вселенской
Рыдает, исходя гармонией светил.

Вот — мой восторг, мой страх в тот вечер в тёмном зале!
Вот, бедная, зачем тревожусь за тебя!
Вот чьи глаза меня так странно провожали,
Ещё не угадав, не зная... не любя!

Сама себе закон — летишь, летишь ты мимо,
К созвездиям иным, не ведая орбит,
И этот мир тебе — лишь красный облак дыма,
Где что-то жжёт, поёт, тревожит и горит!

И в зареве его — твоя безумна младость...
Всё — музыка и свет: нет счастья, нет измен...
Мелодией одной звучат печаль и радость...
Но я люблю тебя: я сам такой, Кармен.

31 марта 1914

14. შევფარებივარ ბნელ ეკვდერს, ვიდრე

შევფარებივარ ბნელ ეკვდერს, ვიდრე,
შესხმული ფრთები გახდება მძლავრი
და განათდება მჭვირვალი სივრცე,
სხეულზე გამქრალ ფიქრით და მსჯავრით,

დაემსგავსება დღე გასულ სიყრმის
მხიარულ შეყრას, ოცნებით ნაგებს,
ისევ დატკბები დათაფლულ სიტყვით,
აგიყვავდება ხელახლა ბაგე.

ვერ მოვასწარით აფრენა ზევით,
ცეცხლი მოედო რადგანაც დარაკს,
მარტოკა იწვის ავბედით ეკვდრის
შიგნით, ჩემს გულში ზვარაკის დარად.

შეგეგებები ახალი ფარით,
აღორძინებულ გულით და რწმენით,
შემოგესმება კვლავ ხმები მტკბარი
და უპასუხებ სიყვარულს ფრფენით

და გაზაფხულის ხასხასა მოლი,
გადაგვავიწყებს ქარბუქებს ავდრის,
შევფარებივარ ბნელ ეკვდერს, რომლის
სიღრმეში ფრთები მეზრდება მძლავრი.

15 დეკემბერი, 2020 წ.

Я укрыт до времени в приделе

Я укрыт до времени в приделе,
Но растут великие крыла.
Час придет - исчезнет мысль о теле,
Станет высь прозрачна и светла.

Так светла, как в день веселой встречи,
Так прозрачна, как твоя мечта.
Ты услышишь сладостные речи,
Новой силой расцветут уста

Мы с тобой подняться не успели, -
Загорелся мой тяжелый щит.
Пусть же ныне в роковом приделе,
Одинокий, в сердце догорит.

Новый щит я подниму для встречи,
Вознесу живое сердце вновь.
Ты услышишь сладостные речи,
Ты ответишь на мою любовь.

Час придет - в холодные мятели
Даль весны заглянет, весела.
Я укрыт до времени в приделе,
Но растут всемошные крыла.

29 января 1902

15. წლები გადის და აღარ ბრუნდება

წლები გადის და აღარ ბრუნდება,
ზმანებისაგან თავდახსნას ვცდილობ,
რათა ვუცქირო ხალხს და ბუნებას,
დროის მიმწუხრის გავფანტო ჩრდილო.

იქ ვიღაც მოჩანს ანთებულ კანდლით
(ზამთრის ღამეში, პარმალთან მისებრ
წარმომიდგება ვიღაცის ლანდი
და მომარიდებს პირსახეს მყისვე).

აი, მახვილი შექმული ჟანგით,
ჩემს სისუსტეში ვის უძღვის ბრალი?
დამამახსოვრდა: წვრილ-წვრილი მანგი,
ბნელი ღამე და მთოვარე მცხრალი,

ძვლებში გამჯდარი ქარბუქი, ტეხვრა,
ზღვა დაფარული ლიპიან საფრით,
შიშვეპარული, დამფრთხალი მზერა,
ვგონებ, აღსავსე ძველთაძველ ზაფრით...

სიტყვები? - არა, არ იყო. - ზამთრის
ზმანება იყო ნეტა, თუ ცხადი?
შორეთში რაღაც ციმციმით, ზათქით
ამაღლდებოდა მიწიდან ცამდის...

მოკვდა. მღეროდა თუმცაღა ბაგით.
გარდასულ წლების არ მახსოვს რიცხვი
(და ტელეგრაფის მავთულთა ჰანგი
ყიამეთ ცაში ისმოდა რიხით...)

მივაყურადე შორიდან მომხმობ
ძახილს ანაზდად, გაგებულს ძველად,
გაისმა მჭექი ხმა: Ecce homo!
გავაგდე ხმალი, მიმტყუნა ხელმა...

და შევიხვიე ატლასის ბანდით
(არ დაცლილიყო სისხლისგან ძარღვი),
მხიარული და მორჩილი ვჩანდი,
რომ მემსახურა იარაღაყრილს.

მოვიდა ჟამი გამოსარკვევი.
მსახურის ადგილს რა თავში ვიხლი!
შემოვიხსენი ჭრელი სახვევი,
თოვლი გაწითლდეს გადმომსკდარ სისხლით!

18 დეკემბერი, წმინდა საბა განწმენდილის ხსენების დღე, 2020 წ.

Ecce homo! (ლათინური) - აჰა, კაცი!
იოანეს სახარება, 19:5

Идут часы, и дни, и годы

Идут часы, и дни, и годы.
Хочу стряхнуть какой-то сон,
Взглянуть в лицо людей, природы,
Рассеять сумерки времен...

Там кто-то машет, дразнит светом
(Так зимней ночью, на крыльцо
Тень чья-то глянет силуэтом,
И быстро спрячется лицо).

Вот меч. Он — был. Но он — не нужен.
Кто обессилил руку мне? —
Я помню: мелкий ряд жемчужин
Однажды ночью, при луне,

Больная, жалобная стужа,
И моря снеговая гладь...
Из-под ресниц сверкнувший ужас —
Старинный ужас (дай понять)...

Слова? — Их не было. — Что ж было? —
Ни сон, ни явь. Вдали, вдали
Звенело, гасло, уходило
И отделялось от земли...

И умерло. А губы пели.
Прошли часы, или года...
(Лишь телеграфные звенели
На черном небе провода...)

И вдруг (как памятно, знакомо!)
Отчетливо, издалека
Раздался голос: Ессе homo!
Меч выпал. Дрогнула рука...

И перевязан шелком душным
(Чтоб кровь не шла из черных жил),
Я был веселым и послушным,
Обезоруженный — служил.

Но час настал. Припоминая,
Я вспомнил: Нет, я не слуга.
Так падай, перевязь цветная!
Хлынь, кровь, и обagri снега!

4 октября 1910

Esse homo! - Се - человек! (лат.).

16. ცხოვრება მოლოდინში განვლილი

ცხოვრება მოლოდინში განვლილი,
სიმწრის ღიმილი გულდათუთქულის.
წელში მოხრა და მხარზე დაყრილი
ჩამოშლილი თმის გიშრის კულული.

ქვეყანა ისე ვრცელი როდია -
არ გახდეს შავი მზეერთ სამზერი,
ნუ ერწმუნები ნათქვამს ოდითგან -
ხამს დალოდება, ნება დამჯერი...

ისმის სტვირის ხმა ნაცნობ სავანის,
ვიღაც სევდიან მოტივს ასრულებს:
„არწიე სხვისი შვილის აკვანი,
მიუნანავე ჩვილ ბავშვს სამულველს...“

მეც მახლობლად ვარ ჩემი ბედ-იღბლით,
ქნარი ხელცულად მექცა, წამიხდა,
დამცირებული, ქედდადრეკილი,
ამაოების ვგავარ დახლიდარს.

მწამს შენი თმის და თან მრავალმხრივი
მშვენიერებით ვტკბები შეფარვით
და ჩემი სული ერთგულ ძალლივით
ჯაჭვს აჩხრიალებს შენთან, მყეფარი.

მინდა ხელახლა შენთან შეხვედრილს,
მატყვევებელი მზერა მუდამდღე,
ხმობა სახელით, ყოფნა შენ გვერდით
ჩემს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე...

ოცნების ყავლი ნუთუ გავიდა,
შხამს შეენაცვლა შხამი საგმობი?
დაგალალატებ მხოლოდ ყასიდად,
ულალატოდ და უვერაგობით...

მართობს ცოდნა, რომ რამე ახალი
აღარ მოხდება ამა სოფელში!
და მიეცემა ძალა გარდაცვლილს
დაბადოს სიტყვა ცხოველყოფელი!

რა ესაქმება აქ რომელიმეს -
თუ რას მიძღვნიდი ბრბოსგან მოწყვეტილს,
სიკვდილის მერე ჩემს ობელისკზე
ამოტვიფრავენ თიკუნს - პოეტი!

20 დეკემბერი, 2020 წ.

Всю жизнь ждала. Устала ждать...

Всю жизнь ждала. Устала ждать.
И улыбнулась. И склонилась.
Волос распущенная прядь
На плечи темные спустилась.

Мир не велик и не богат —
И не глядеть бы взором черным!
Ведь только люди говорят,
Что надо ждать и быть покорным...

А здесь — какая-то свирель
Поет надрывно, жалко, тонко:
«Качай чужую колыбель,
Ласкай немилого ребенка...»

Я тоже — здесь. С моей судьбой,
Над лирой, гневной, как секира,
Такой приниженный и злой,
Торгуюсь на базарах мира...

Я верю мгле твоих волос
И твоему великолепию.
Мой сирый дух — твой верный пес,
У ног твоих грохочет цепью...

И вот опять, и вот опять,
Встречаясь с этим темным взглядом,
Хочу по имени назвать,
Дышать и жить с тобою рядом...

Мечта! Что? жизни сон глухой?
Отрава — вслед иной отраве...
Я изменю тебе, как той,
Не изменяя, не лукавя...

Забавно жить! Забавно знать,
Что под луной ничто не ново!
Что мертвому дано рождать
Бушующее жизнью слово!

И никому заботы нет,
Что? людям дам, что? ты дала мне,
А люди — на могильном камне
Начертят прозвище: Поэт.

13 января 1908

17. კლეოპატრა

სამი წელია მასპინძლობს მნახველს
პანოპტიკუმი სევდისმომგვრელი,
მისკენ მივყვები ბრბოს მთვრალს და თავხედს,
იქ დედოფალი კუბოში გველის.

ბინადარია შუშის სასახლის,
არ ჩათვლება არც მკვდრად, არც ცოცხლად,
ისმის სიტყვები რიგში სამრახი,
მისი ზეობის დროს თუ რა მოხდა.

გაწოლილია ზანტად სხეული,
მარადიული ძილის მსურველი,
მასზე გველია გადახვეული,
ცვილის გულ-მკერდის შხამით მმუსვრელი.

მეც შერცხვენილი, პირგაოფლილი,
ჩალურჯებული უპით, მთრთოლვარი,
მოვედ საცქერლად ცვილის პროფილი
რათა მენახა ნადედოფლარის.

შენ შემოგცქერის ყველა სტუმარი
და რომ ესვენოს ნაღდი ცხედარი,
მომესმებოდა დიდხანს მღუმარი
ჩაფერფლილ ბაგის სუნთქვა მგზნებარი:

„მომართვით შტახსი, ვარდი მილეთის,
ხოტბას მასხამდა მთელი სამყარო,
გვირგვინოსანი ვიყავ მისრეთის,
ახლა ვარ ცვილი, ხრწნილი, აყალო“.

„ო, დედოფალო ვარ მონუსხული!
მისრეთში ვიყავ მონა ჩაგრული,
აწი ღვთის ნებით ფრთებგამოსხმული
გავხდი მგოსანი ჯილადადგმული!

კუბოდან გვიცქერ და კარგად ხვდები,
რომივით ათრობ ახლა რუსეთსაც!
მეც, კეისარიც გავთანაბრდებით,
ტოლად შევრჩებით საუკუნეთაც!“

დადუმებულა ტკბილმოუბარი,
თუმც მკერდი ოდნავ აუდ-ჩაუდის,
სუნთქვას ვგრძნობ მიღმა მჭვირვალ სუდარის,
წაიჩურჩულებს ბაგე სათუთი:

„ვიყავი ერთ დროს მეხთამცემელი,
ახლა მომეცა ძალა საოცი -
რომ დავადინო პოეტს ცრემლები
და გავაცინო მთვრალი ავხორცი“.

21 დეკემბერი, 2020 წ.

Клеопатра

Открыт паноптикум печальный
Один, другой и третий год.
Толпою пьяной и нахальной
Спешим... В гробу царица ждет.

Она лежит в гробу стеклянном,
И не мертва и не жива,
А люди шепчут неустанно
О ней бесстыдные слова.

Она раскинулась лениво —
Навек забыть, навек уснуть...
Змея легко, неторопливо
Ей жалит восковую грудь...

Я сам, позорный и продажный,
С кругами синими у глаз,
Пришел взглянуть на профиль важный,
На воск, открытый напоказ...

Тебя рассматривает каждый,
Но, если б гроб твой не был пуст,
Я услышал бы не однажды
Надменный вздох истлевших уст:

«Кадите мне. Цветы рассыпьте.
Я в незапамятных веках
Была царицею в Египте.
Теперь — я воск. Я тлен. Я прах». —

«Царица! Я пленен тобою!
Я был в Египте лишь рабом,
А ныне суждено судьбою
Мне быть поэтом и царем!

Ты видишь ли теперь из гроба,
Что Русь, как Рим, пьяна тобой?
Что я и Цезарь — будем оба
В веках равны перед судьбой?»

Замолк. Смотрю. Она не слышит.
Но грудь колыхается едва
И за прозрачной тканью дышит...
И слышу тихие слова:

«Тогда я исторгала грозы.
Теперь исторгну жгучей всех
У пьяного поэта — слезы,
У пьяной проститутки — смех».

1907 г.

18. გაზაფხულის მწუხრი, ტალღის ხმაური...

გაზაფხულის მწუხრი, ტალღის ხმაური
და ფეხების გაგრილება სისოვლით,
ოცნებები გულში არაქაური,
ზვირთი, ქვიშის ნაპირისკენ მიმქროლი.

მეყურება შორეული ნამღერის
მელოდია და სიტყვები წყვეტილი,
მარტოსული და აღსავსე ნაღველით,
გაღმა ტირის ვიღაც გულდაწყვეტილი.

მისრულდება ხვაშიადი სანატრო,
შენ მომიხმობ სიშორიდან მგზნებარედ?
ყვინთავს ნავი და ტალღებზე ნანაობს,
რადაც მირბის მდინარეზე ელვარე.

ოცნებები გულში არაქაური,
ვიღაც მოდის, მისკენ წასვლას ვაპირებ...
გაზაფხულის მწუხრი, ხმა საცნაური,
შეკვივლება სუსტი - გაღმა ნაპირზე.

23 დეკემბერი, 2020 წ.

Сумерки, сумерки вешние...

Сумерки, сумерки вешние,
Хладные волны у ног,
В сердце – надежды нездешние,
Волны бегут на песок.

Отзвуки, песня далекая,
Но различить – не могу.
Плачет душа одинокая
Там, на другом берегу.

Тайна ль моя совершается,
Ты ли зовешь вдалеке?
Лодка ныряет, качается,
Что-то бежит по реке.

В сердце – надежды нездешние,
Кто-то навстречу – бегу...
Отблески, сумерки вешние,
Клики на том берегу.

16 августа 1901

19. ძნელია თავი მოაჩვენო არდაღუპულად

იქ ჩაინავლა ადამიანი (ათანასე ფეტი)

ძნელია თავი მოაჩვენო არდაღუპულად
ადამიანებს და იცხოვრო ვითომ მოლხენით,
ტრაგიკულ ვნების თამაშს თუკი გადაუფურცლავ
და სამახსოვროდ დაუტოვებ ჯერ არ მოვლენილთ;

საზარელ სიზმრის ნახვის შემდეგ, თვალის ახილვით
წესრიგს თუ პოვებ აშლილ გრძნობის სასტიკ გრიგალშიც,
რომ ხელოვნების გარიჟრაჟის ფერმკრთალ ბრკიალში
იცნონ ცხოვრების დამღუპველი ძალის სახმილი!

25 დეკემბერი, წმ. სპირიდონ ტრიმიფუნტელის ხს. დღე, 2020 წ.

Как тяжело ходить среди людей

Там человек сторел

Фет

Как тяжело ходить среди людей
И притворяться непогибшим,
И об игре трагической страстей
Повествовать ещё не жившим.

И, взглядываясь в свой ночной кошмар,
Строй находить в нестройном вихре чувства,
Чтобы по бледным заревам искусства
Узнали жизни гибельной пожар!

10 мая 1910 (27 февраля 1914)

20. როცა კაცთაგან დევნილს, დალახვრილს

როცა კაცთაგან დევნილს, დალახვრილს
და შეჭირვებულს ზრუნვით, სადარდით,
წაგართმევს ყველა ძვირფასს სამარხის
სამარადისო თავშესაფარი;

უკაცრიელი გზებით ქალაქის -
სნებაშეყრილი, განაწამები,
თრთვილდადებული თმით, წამწამებით,
როცა ბრუნდები სახლში ლასლასით;

მაშინ მგლოვარე, წამით შეჩერდი,
ისმინე ღამის სიმყუდროება,
სმენით ჩასწვდები სხვაგვარ ცხოვრებას,
რასაც ვერ სწვდება დღისით ვერცერთი;

ახლებურ მზერით ნახავ იმავე
დათოვლილ ქუჩებს, ცაში ავარდნილ
კოცონის კვამლს და ბაღნარს დაბარდნილს
და გათენების მომცდელ ყიამეთს,

წიგნთა შორის წიგნს - ლურჯ ცად გადაშლილს;
შენს დაცლილ სულში კვლავ განათდება
მივიწყებული დედის ხატება,
ჩაუკვირდები წამით ავდარში -

ჭირხლით მინების მოარშიებას,
შეკრთები მკაცრი ყინვით დამზრალი
და სიყვარული დანახანძრალი
მადლიერ გულში ისევ იშვება, -

დალოცავ ყოველს ამასოფელში,
იგრძნობ, სიცოცხლე კმაყოფილებით
ტკბობას ბევრად სჯობს და რომ მიღეთი
მშვენიერია, როგორც ყოველთვის!

27 დეკემბერი, 2020 წ.

Когда ты загнан и забит...

Когда ты загнан и забит
Людьми, заботой иль тоскою;
Когда под гробовой доскою
Все, что тебя пленяло, спит;

Когда по городской пустыне,
Отчаявшийся и больной,
Ты возвращаешься домой,
И тяжелит ресницы иней,-

Тогда - остановись на миг
Послушать тишину ночную:
Постигнешь слухом жизнь иную,
Которой днем ты не постиг;

По-новому окинешь взглядом
Даль снежных улиц, дым костра,
Ночь, тихо ждущую утра
Над белым запушенным садом,

И небо - книгу между книг;
Найдешь в душе опустошенной
Вновь образ матери склоненный,
И в этот несравненный миг –

Узоры на стекле фонарном,
Мороз, оледенивший кровь,
Твоя холодная любовь -
Все вспыхнет в сердце благодарном,

Ты все благословишь тогда,
Поняв, что жизнь - безмерно боле,
Чем *quantum satis** Бранда воли,
А мир - прекрасен, как всегда.

*В полную меру (лат.) - лозунг Бранда,
героя одноименной драмы Генрика Ибсена.

1911 г.

21. გამოკრთებოდა სევდა, ვიდოდით...

გამოკრთებოდა სევდა, ვიდოდით
უსწორმასწორო, მოლიპულ შარით,
ბედნიერების წუთებს - მშვიდობის,
ვერ გავუფრთხილდით და ხელი ვკარით.

დავშორიშორდით, მეხსიერებას
გადაავიწყდა წარსული ძვირი,
ვსვამთ ფიალიდან ბედნიერებას,
მოიხილვება ვიდრემდე ძირი;

როდისმე ბოლო მტკბარი წვეთებით
ერთმანეთს შეგვეყრის ჯიუტად ხვედრი,
ერთ სიყვარულად კვლავ შევერთდებით
და გავატარებთ საათებს სევდის.

31 დეკემბერი, 2020 წ.

Ловя мгновенья сумрачной печали...

Ловя мгновенья сумрачной печали,
Мы шли неровной, скользкою стезей.
Минуты счастья, радости нас ждали,
Презрели их, отвергли мы с тобой.

Мы разошлись. Свободны жизни наши,
Забыли мы былые времена,
И, думаю, из полной, светлой чаши
Мы счастье пьем, пока не видя дна.

Когда-нибудь, с последней каплей сладкой,
Судьба опять столкнет упрямо нас,
Опять в одну любовь сольет загадкой,
И мы пойдём, ловя печали час.

21 июля 1898

22. არარსებობის ბნელ უფსკრულებში

არარსებობის ბნელ უფსკრულებში
რატომ მიმათრევს ბედი მტანჯველი?
ჩემი სიცოცხლე ნუთუ სრულებით
არის წამები ხანგრძლივ სასჯელის?

სიცოცხლე მინდა, ბედნიერება
თუმცა ჩემს გულში ვეღარ იმეფებს,
რადაც სინათლე შორს ძლიერდება,
თითქოს მეც მაქცევს სხივ-მოიფედე!

თუნდ ლანდი იყოს შუქი სანდომი -
ფუჭი ოცნების სხივი თანმდევი,
მაგრამ შორეულ ცაში გაკრთომილს,
ადგას საამო შარავანდედი!

6 იანვარი, 2021 წ.

Зачем, зачем во мрак небытия

Зачем, зачем во мрак небытия
Меня влекут судьбы удары?
Ужели всё, и даже жизнь моя -
Одни мгновенья долгой кары?

Я жить хочу, хоть здесь и счастья нет,
И нечем сердцу веселиться,
Но всё вперед влечет какой-то свет,
И будто им могу светиться!

Пусть призрак он, желанный свет вдали!
Пускай надежды все напрасны!
Но там, - далёко суетной земли,-
Его лучи горят прекрасно!

29 июня 1899

[↑](#) თავში

[↑](#) ავტორის დასაწყისი



ოსიპ მანდელშტამი - Осип Мандельштам
(1891-1938)

[↑](#) თავში

1. შენს მტანჯველ სახეს, მერყევს საოცრად

შენს მტანჯველ სახეს, მერყევს საოცრად,
ჯანღში ვეძებდი ხელის ფათურით,
„ღმერთო!“ - შეცდომით ესლა წამომცდა,
არ მიმიცია თუმცა დასტური.

ღმერთის სახელი ჩემუნებურად
მკერდიდან მოწყდა, როგორც გავაზი,
წინ არემარეს ჯანღი ეხურა,
დაცარიელდა უკან ყაფაზი...

1 აგვისტო, წმ. სერაფიმ საროველის ხს. დღე, 2020 წ.

Образ твой, мучительный и зыбкий

Образ твой, мучительный и зыбкий,
Я не мог в тумане осязать.
«Господи!» — сказал я по ошибке,
Сам того не думая сказать.

Божье имя, как большая птица,
Вылетело из моей груди!
Впереди густой туман клубится,
И пустая клетка позади...

Апрель 1912

2. ო, როგორ გვიყვარს მამებლობა

ო, როგორ გვიყვარს მამებლობა
და გვავიწყდება, როცა ვიზრდებით,
ბევრად ახლოა კვდომა მეზობლად,
ვიდრე, როდესაც ვხდებით დიდები.

უძილო ბავშვი სვამდა ზედიზედ
მწარე სამსალას საყვედურების,
მარტო ვარ ყველა გზაჯვარედინზე
და ველარავის დავემდურები.

თევზივით არ ვარ თვლემას ნაჩვევი -
ვიწვე უგრძნობლად, ძირქვეშ ფიქალის,
თავისუფლება მიჯობს არჩევნის
ჩემს სატანჯველშიც და საფიქრალშიც!

8 იანვარი, 2021 წ.

О, как мы любим лицемерить

О, как мы любим лицемерить
И забываем без труда
То, что мы в детстве ближе к смерти,
Чем в наши зрелые года.

Ещё обиду тянет с блюда
Невыспавшееся дитя,
А мне уж не на кого дуться
И я один на всех путях.

Но не хочу уснуть, как рыба,
В глубоком обмороке вод,
И дорог мне свободный выбор
Моих страданий и забот.

1932

3. მოცემულ სხეულს ცუდს რას შევკადრებ

მოცემულ სხეულს ცუდს რას შევკადრებ,
ასე ჩემიანს, ასე ერთადერთს?

სიცოცხლის, სუნთქვის რომ ვარ მფლობელი,
ვის მოვახსენო სამადლობელი?

მებაღეც მე ვარ, ნერგიც მტილების,
მარტო არა ვარ ქვეყნის დილეგში.

მარადისობის მინებს დაცრემლილს,
შერჩება ჩემი სუნთქვის ნამცვრევი,

ალიბეჭდება მასზე ზარნიში -
აზრმიუწვდომის უცხო სანიშნი.

არ შეეძლება დრო-ჟამს უკულმართს,
ლაფით წაშალოს მშვენი ჩუქურთმა!

9 იანვარი, 2021 წ.

Дано мне тело — что мне делать с ним

Дано мне тело — что мне делать с ним,
Таким единым и таким моим?

За радость тихую дышать и жить
Кого, скажите, мне благодарить?

Я и садовник, я же и цветок,
В темнице мира я не одинок.

На стекла вечности уже легло
Мое дыхание, мое тепло.

Запечатлется на нем узор,
Неузнаваемый с недавних пор.

Пускай мгновения стекает муть
Узора милого не зачеркнуть.

1909 г.

4. ლენინგრადი

მე დავუბრუნდი ქალაქს, ნაცნობს ხსოვნის ლანდებით -
ვიხსენებ ცრემლებს სიყმაწვილის, ტკივილს გლანდების,
აქ, ლენინგრადში ძველებურად დავეხარბები,
თევზის ქონის სუნს არხისპირა ღამის ფარნების.

უწინდებურად დეკემბრის დღე ცივი, მყუდროა
და კვერცხის გული არეულა წყეულ გუდრონთან.
ო, პეტერბურგო, ჯერ არ მინდა კვდომა მომსრველი,
არ წაგიშლია ტელეფონის ჩემი ნომრებიც.

მისამართები, პეტერბურგო, მახსოვს სავსებით,
სადაც მოვისმენ ხმებს გარდაცვლილ ნათესავების.
დაკრული ზარი შავი კიბის მცხოვრებს საფეთქლის
ცემას მიხშირებს ამოგლეჯილ ხორცის ნაფლეთით.

სტუმრებს მოველი მთელი ღამე გულათრთოლებით
და შეირხევა ხშირად კარის ჯაჭვის რგოლები.

10 იანვარი, 2021 წ.

Ленинград

Я вернулся в мой город, знакомый до слез,
До прожилок, до детских припухлых желез.
Ты вернулся сюда, так глотай же скорей
Рыбий жир ленинградских речных фонарей,

Узнавай же скорее декабрьский денек,
Где к зловещему дегтю подмешан желток.
Петербург! я еще не хочу умирать:
У тебя телефонов моих номера.

Петербург! У меня еще есть адреса,
По которым найду мертвецов голоса.
Я на лестнице черной живу, и в висок
Ударяет мне вырванный с мясом звонок,

И всю ночь напролет жду гостей дорогих,
Шевеля кандалами цепочек дверных.

Декабрь 1930

5. გამოუთქმელი სევდისგან თრთოლვით

გამოუთქმელი სევდისგან თრთოლვით
მან გაახილა თვალები მსხვილი,
ყვავილის ლარნაკს გაუტყდა ძილი
და გადმოღვარა სხივები ბროლის.

დასწაფებია ოთახი ისევ
მოთენთილობის საამო ნექტარს!
ასეთი მცირე სამეფო ნეტავ
ესოდენ ბევრ ძილს რაგვარად იტევს?!

მცირე ფიალა წითელი ღვინის,
ცოტაოდენი მასი თბილი -
უნატიფესი თითები თლილი
ვაფუკი ნამცხვრის მონაჭერს ციცქნის.

12 იანვარი, 2021 წ.

Невыразимая печаль

Невыразимая печаль
Открыла два огромных глаза,—
Цветочная проснулась ваза
И выплеснула свой хрусталь.

Вся комната напоена
Истомой — сладкое лекарство!
Такое маленькое царство
Так много поглотило сна.

Немного красного вина,
Немного солнечного мая —
И, тоненький бисквит ломая,
Тончайших пальцев белизна.

1909 г.

6. სიზმრად ვხედავ თბილისს ზურგაზნექილს

სიზმრად ვხედავ თბილისს ზურგაზნექილს,
მჭექარებს და კვნესის საზანდარი,
მოჩანს ხალხი სამამაცო ზნენით,
მოფენილა ხიდი სუზანებით,
ხოლო ქვევით მიდუდუნებს მტკვარი.

დუქნებია მტკვართან გაფანტული,
მოგართმევენ სადაც ფლავს და სასმელს
და მედუქნე ლოყებდაბრაწული,
სუფრას გიშლის შემწვარ-ჩაქაფულით,
დაცლილ ჭურჭელს დაუზარლად ავსებს.

კახურ ბლანტი, მაგარ ღვინის ხმევა
სარდაფშია კარგი, ნაკლებ გათრობს,
სიგრილეში ვერ გრძნობ თავბრუხვევას,
მოიჯერე გული, სმა სჯობს ბევრთან,
არასოდეს არ დალიო მარტომ!

თუმც გახსოვდეს - არ ელევა მიღლილს
ამ დუქნებში მისი საცდურები,
„თელიანს“ თუ სრულად დაცლი, ხიბლით,
მსწრაფლ თბილისი გაცურდება ნისლში,
ხოლო შენ კი ბოთლში გაცურდები.

მეინახედ ხნიერი სჯობს ამლიკს,
ბატკნის ხორცი უფრო ქორვა გვწადის,
იქით, სადაც მოჩანს მთვარე მცხრალი,
ავა ღვინის ვარდისფერი კვამლი,
მადისაღმძვრელ სუნთან ერთად მწვადის...

13 იანვარი, 2021 წ.

Мне Тифлис горбатый снится...

Мне Тифлис горбатый снится,
Сазандарей стон звенит,
На мосту народ толпится,
Вся ковровая столица,
А внизу Кура шумит.

Над Курюю есть духаны,
Где вино и милый плов,
И духанщик там румяный
Подает гостям стаканы
И служить тебе готов.

Кахетинское густое
Хорошо в подвале пить,—
Там в прохладе, там в покое
Пейте вдоволь, пейте двое,—
Одному не надо пить!

В самом маленьком духане
Ты обманщика найдешь,
Если спросишь «Телиане» —
Поплывет Тифлис в тумане,
Ты в бутылке поплывешь.

Человек бывает старым,
А барашек молодым,
И под месяцем поджарым
С розоватым винным паром
Полетит шашлычный дым...

1920 г.

7. როდესაც დილით რვაჯერ ჩამოჰკრავს

როდესაც დილით რვაჯერ ჩამოჰკრავს
გოლიათური ტაძრის საათი,
უცხო ქალაქის ფართო აგორას
მაშინ მილ-ღვიძლში ვლანდავთ თვალნათლივ.

ჩანს კალათები, გაცხარებული
დავობს მუშტარი მავან ნოქართან,
შეფრთხილდება მტრედთა კრებული,
ქვაფენილს ისევ ლურჯად მოქარგავს.

პურის კვერები, თევზი ფაცერში,
ხილი, თუ კენკრა: მარწყვი, მოცხარი,
ქვის ლოდებს ჰგვანან გლეხიკაცები,
ათასი ფერი - მუქი, ცოცხალი.

შევცქერი აღმოსავლურ კოლორიტს,
ჯანღის ქსელში რომ გადახლართულა,
დილაადრიან თითქოს ფოლორცი
იქცა ვაჭრობის წმინდა ფარდულად.

14 იანვარი, უფლის წინადაცვეთის დღე, 2021 წ.

Когда показывают восемь

Когда показывают восемь
Часы собора-исполина,
Мы в полусне твой призрак носим,
Чужого города картина.

В руках плетеные корзинки,
Служанки спорят с продавцами,
Воркуют голуби на рынке
И плещут сизыми крылами.

Хлеба, серебряные рыбы,
Плоды и овощи простые,
Крестьяне — каменные глыбы,
И краски темные, живые.

А в сетке пестрого тумана
Сгрудилась ласковая стая,
Как будто площадь утром рано —
Торговли скиния святая.

1912

8. ქარი თხელ რტოებს არხევს, ორწილად

ქარი თხელ რტოებს არხევს, ორწილად
თითბრის მავთული ჭექს არეული,
ლილოჭრელივით ჩამოდონძილა
და დაფლეთილა სრულად რვეული.

დამესიზმრები ცაო ლადლადით,
ვერ წარმოგიდგენ თვალებდაშრეტილს!
დღე დაიხანძრა, როგორც ქალაქი,
მცირე კვამლით და მცირე ნალვერდლით.

ფუჭი გამოდგა - ხელრთვა მომრთველი
და მურდახილის აზრი ნამალი,
მხოლოდ სპილენძი - ძრწოლისმომგვრელი -
სივრცეს კვეთს, ასხამს შავ-შავ მარგალიტს.

რატომ შემიპყრო ამ ვაი-ვიშმა?
- პასუხი არ მაქვს შემთხვევებს ლექსების,
ნუ მტანჯავ, რადგან არაფერს ვნიშნავ,
სიზმრებში ქაოსს ვეაღერებ!

16 იანვარი, 2021 წ.

Качает ветер тоненькие прутья

Качает ветер тоненькие прутья,
И крепнет голос проволоки медной,
И пятна снега — яркие лоскутья —
Все, что осталось от тетради бедной...

О, небо, небо, ты мне будешь сниться;
Не может быть, чтоб ты совсем ослепло,
И день сгорел, как белая страница:
Немного дыма и немного пепла!

Жемчужный почерк оказался ложью,
И кружева не нужен смысл узорный;
И только медь — непобедимой дрожью —
Пространство режет, ниже бисер черный.

Разве я знаю, отчего я плачу?
Я только петь и умирать умею.
Не мучь меня: я ничего не значу
И черный хаос в черных снах лелею!

24 ноября 1911

9. მძულს უამრავი ვარსკვლავის...

მძულს უამრავი ვარსკვლავის
ერთფეროვანი სინათლე,
შენ, ძველო ბოდვავ, სალამი -
ცადაჭრილ კოშკის სიმაღლე!

ქვაო, გამშვენდი უშვერი,
მოაჩუქურთმე გოდოლი,
ცის ცარიელი გულმკერდი
დალახვრე შენი ჰოროლით!

მეც ამიხდება ოცნება -
ცისკენ გაფრენას ვიჩქარი,
საითკენ გაიტყორცნება
ცინცხალი აზრის ისარი?

თუ ამოვწურავ ჩემს ვადას
და დავბრუნდები მაშინვე:
იქ - სიყვარული არ მწადდა,
აქ - სიყვარული მაშინებს...

20 იანვარი, 2021 წ.

Я ненавижу свет...

Я ненавижу свет
Однообразных звезд.
Здравствуй, мой давний бред,-
Башни стрельчатый рост!

Кружевом, камень, будь
И паутиной стань,
Неба пустую грудь
Тонкой иглою рань!

Будет и мой черед -
Чую размах крыла.
Так – но куда уйдет
Мысли живой стрела?

Или свой путь и срок
Я, исчерпав, вернусь:
Там – я любить не мог,
Здесь – я любить боюсь...

1912 г.

[↑](#) თავში

[↑](#) ავტორის დასაწყისი



ტატიანა სნეჟინა (პეჩენკინა) – Татьяна Снежина (Печенкина)
(1972-1995)

[↑](#) თავში

1. თუ ეს სიცოცხლე ადრე შეწყდება

თუ ეს სიცოცხლე ადრე შეწყდება,
დაე, წამიღონ თეთრმა გედებმა
და ბუმბულებში ამოგანგლული
წავყვე იქ, სადაც ცაა აღთქმული!

სახლში მამაო ნუ მომადგება,
არ მსურს ტაძარშიც წესის აგება.
თავისუფალ ქარს შევთხოვ სანაცვლოდ,
წესი აუგოს ჩემს სულს საბრალოს.

ნოტიო მიწა გვამს დააყარეთ,
უბრალო იყოს ჩემი სამარე,
უნათლავს ჯვარი თავით და მადგით -
ღმერთმა შემინდოს ცოდვა დამდაგი!

არ მსურს საფლავზე ვარდთა ალერსი,
დე, დაიფაროს ველურ ალერდით
და გაზაფხულის ტურფა ცისანით,
ზამთარში თოვლის საბნით - მცივანით.

თუ ეს სიცოცხლე ადრე შეწყდება,
დაე, წამიღონ თეთრმა გედებმა,
რომ მივეახლოთ უცხო სამანებს,
მაღლა, იქ სადაც ზეცა კამკამებს...

22 იანვარი, 2021 წ.

Если я умру раньше времени

Если я умру раньше времени,
Вы отдайте меня белым лебедям,
Между перьев их крыл я запутаюсь
И умчусь с ними в мечту свою.

И не надо священника в дом мой звать,
Да и в церкви не надо меня отпевать.
Пусть меня отпоют ветры вольные,
Отпоют мою душу обездоленную.

Ну а тело моё опустевшее
Забросайте землёй отсыревшей,
Да поставьте ему, некрещёному,
Крест, чтоб Богом была я прощённая.

На могилку мою не кладите цветов,
Пусть она зарастёт буйной травой.
Пусть весной незабудки распустятся,
Да зима белым снегом опустится.

Если я умру раньше времени,
Пусть меня унесут белы лебеди,
Далеко, далеко в край неведомый,
Высоко, высоко в небо светлое...

29 сентября 1991 года, Москва

2. არ გამომლანძლოთ...

არ გამომლანძლოთ დაუდევარი
და ნუ გახდებით ჩემი მძლევალი,
ნუგეში მეცით, თანამიგრძენით,
მაბედნიერეთ თუნდაც მცირედით.

ზეცის მიწვდენა მსურდა პეშვებით,
მცირე ხნით ლხენა ნანუგეშების,
ცა შორი იყო, არ მხვდა პატივი,
ძლიერ მბოჭავდა მიწა სასტიკი.

მსურდა ჩიტვით ცაში ნავარდი,
ზღაპარს მოჰგავდა ჩემი ნანატრი,
ღმერთს არ ენება ფრთების მოცემა,
თვალს მიეფარა მაღლა ოცნება.

დედამიწაზე ვცხოვრობ ეული,
გარიყული და ხელფეხშეკრული.
ვიცი ლივლივით მფრენი ფრთოსნებიც
კუზიან მიწას ჩაეკონებით.

დამეხუჭება ერთ დროს თვალები,
ქვეყნის პატივით დავიკრძალები,
სულს ცისკენ ფრენა დაევალება...
მანამ ნუ მლანძღავთ, გთხოვთ შებრალებას...

არ გამომლანძლოთ დაუდევარი
და ნუ გახდებით ჩემი მძლევალი,
ნუგეში მეცით, თანამიგრძენით,
მაბედნიერეთ თუნდაც მცირედით.

24 იანვარი, 2021 წ.

НЕ РУГАЙТЕ МЕНЯ...

Не ругайте меня, нерадивую,
Пожалейте меня, несчастливую,
Вы утешьте меня вашей жалостью,
Осчастливьте меня этой малостью.

Я хотела до неба ладошкой
Дотянуться, побыть хоть немножко там,
Только небо уж слишком высокое,
А земля крепко держит жестокая.

Я хотела взлететь вместе с птицею,
Полетать за мечтой-небылицею,
Только крыльев совсем мне не дал Господь,
И мечта улетела до дальних высот.

Вот живу на Земле я совсем одна,
По рукам, по ногам крепко связана,
Знаю – в небе есть птицы крылатые,
Только все лягут в землю горбатую.

И я тоже когда-нибудь вдруг умру.
Похоронят меня с честью на миру.
Вот тогда полетает душа моя...
А пока не ругайте, прошу, меня...

Не ругайте меня, нерадивую,
Пожалейте меня, несчастливую,
Вы утешьте меня вашей жалостью,
Осчастливьте меня этой малостью.

30 июня 1991 года, Москва

3. იყავი ჩემთან

ო, რაოდენი ცარიელი წელი გაქროლდა,
მოჰგავდნენ ბედის საფეხურებს შენკენ დაფენილს,
მე შენ გიპოვე, საყვარელო და გთვლი ახლობლად,
როგორ მომინდა დღესვე გითხრა გულის სათქმელი:

იყავი ჩემთან, საყვარელო, შუალამეში
შუქურვარსკვლავი, ზღვის ხმაური, გულის ნაჭდევი,
იყავი ჩემთან, მანუგეშე, მდუმარ კაეშნის
გასაქარვებლად, სული გახდი ჩემი თანმდევი!

იყავი ჩემთან, სიყვარულო, უცნაურობავ,
გაუფლანგველო სამყაროვ და მიწის სამოთხევე
და შენ გარეშე - ცარიელი უსასრულობა
გამანადგურებს, სულს დამინგრევს, სისხლსაც ამოვთხევ.

იყავი ჩემთან, საყვარელო, შუალამეში
შუქურვარსკვლავი, ზღვის ხმაური, გულის ნაჭდევი,
იყავი ჩემთან, მანუგეშე, მდუმარ კაეშნის
გასაქარვებლად, სული გახდი ჩემი თანმდევი!

იყავი ჩემთან და პასუხსაც შენ გამიმზადებ:
თუ რატომ გავჩნდი, სამყაროში რისთვის მოვედი,
მხოლოდ იმიტომ, შენ რომ ცხოვრობ დედამიწაზე,
შენს სახელს ვარქმევ მთელ ქვეყანას. ოღონდ ყოველთვის:

იყავი ჩემთან, საყვარელო, შუალამეში
შუქურვარსკვლავი, ზღვის ხმაური, მხსნელი ბედნავსის,
იყავი ჩემთან, მანუგეშე, მდუმარ კაეშნის
გასაქარვებლად, სული გახდი ჩემი ერთარსი!

24 იანვარი, 2021 წ.

Будь со мной

Сколько лет пустых промчалось мимо,
Словно ступеньки судьбы в пути к тебе.
Я теперь нашла тебя, любимый,
И так хочу в этот день сказать тебе:

Будь со мной, любимый мой,
Звездой ночной, морской волной.
Я прошу, будь со мной в тоске немой,
Моей душой ты будь со мной.

Будь со мной, любовь моя и нежность,
Мой нерастраченный свет, мой рай земной.
Без тебя — пустая бесконечность
Душу разрушит мою, возьмёт с собой.

Будь со мной, любимый мой,
Звездой ночной, морской волной.
Я прошу, будь со мной в тоске немой,
Моей душой ты будь со мной.

Будь со мной, и я смогу ответить
Миру всему на вопрос: «Зачем живу?»
Лишь за то, что ты живёшь на свете,
Именем теплым твоим мир назову. Ты только

Будь со мной, любимый мой,
Звездой ночной, морской волной.
Я прошу, будь со мной в тоске немой,
Моей душой ты будь со мной. Будь со мной...

1994 год, Новосибирск.

4. მიხმე და შენთან მოვალ

ავი ცვლილების ქარით
ჩემგან ხელახლა მიხვალ,
არც დამიტოვებ აჩრდილს,
რათა დამისვას კითხვა:
შენთან თუ მინდა ქროლა
სთველის ქარვისფერ ფოთლად,
ლურჯი ოცნების ფრთოსნად?..

მიხმე და შენთან მოვალ
ავლამის არდამრიდი,
მუდამ ვეცდები პოვნას,
ბედიც რომ მცდიდეს ფლიდი.
მოვალ იქ, სადაც მკვეთრი
შუქით ცაზე მზეს ხატავ,
სადაც აღდგება მკვდრეთით
ფრთადამსხვრეული ნატვრა.

რამდენი წელიწადი
გძებნე გამვლელთა ბრბოში.
მარადის ჩემად მწამდი...
თუმცა სიყვარულს მოშლი.
ველარასოდეს მერე,
ბრბოში ვერ მიცნობ მეტრფეს,
მიყვარხარ, მაგრამ - წადი!

მიხმე და შენთან მოვალ
ავლამის არდამრიდი,
მუდამ ვეცდები პოვნას,
ბედიც რომ მცდიდეს ფლიდი.
მოვალ იქ, სადაც მკვეთრი
შუქით ცაზე მზეს ხატავ,
სადაც აღდგება მკვდრეთით
ფრთადამსხვრეული ნატვრა.

როდესაც ღამის ფარდა
ქალაქს ძილქუშში გახვევს
სახლიდან მივრბი, სადაც
ვნადვლობ, ვეძებ შენს სახეს,
ხშირად სიზმრებში ვცდილვარ,

მომლანდებოდი ჩრდილად,
უშენოდ ვხვდები დილას.

მიხმე და შენთან მოვალ
ავლამის არდამრიდი,
მუდამ ვეცდები პოვნას,
ბედიც რომ მცდიდეს ფლიდი.
მოვალ იქ, სადაც მკვეთრი
შუქით ცაზე მზეს ხატავ,
სადაც აღდგება მკვდრეთით
ფრთადამსხვრეული ნატვრა.

26 იანვარი, 2021 წ.

Позови меня с собой

Снова от меня ветер злых перемен
Тебя уносит,
Не оставив мне даже тени взамен,
И он не спросит,
Может быть, хочу улететь я с тобой
Желтой осенней листвой,
Птицей за синей мечтой.

Позови меня с собой,
Я пройду сквозь злые ночи,
Я отправлюсь за тобой,
Что бы путь мне ни пророчил.
Я приду туда, где ты
Нарисуешь в небе солнце,
Где разбитые мечты
Обретают снова силу высоты.

Сколько я искала тебя сквозь года
В толпе прохожих.
Думала, ты будешь со мной навсегда,
Но ты уходишь.
Ты теперь в толпе не узнаешь меня,
Только, как прежде, любя,
Я отпускаю тебя.

Позови меня с собой,
Я пройду сквозь злые ночи,
Я отправлюсь за тобой,
Что бы путь мне ни пророчил.
Я приду туда, где ты
Нарисуешь в небе солнце,
Где разбитые мечты
Обретают снова силу высоты.

Каждый раз, как только спускается ночь
На спящий город,
Я бегу из дома бессонного прочь
В тоску и холод.

Я ищущи среди снов безликих тебя,
Но в двери нового дня
Я вновь иду без тебя.

Позови меня с собой,
Я пройду сквозь злые ночи,
Я отправлюсь за тобой,
Что бы путь мне ни пророчил.
Я приду туда, где ты
Нарисуешь в небе солнце,
Где разбитые мечты
Обретают снова силу высоты.

5. სიყვარული არ დაგავიწყდეთ

ჩემს სახლში ბნელა დარაბის მიღმა,
ვიღაცამ ახლოს წაიზუზუნა,
ჩასახლებულა ბინაში ვიღაც,
ვიღაც დამდგარა ვგრძნობ, ჩემ ზურგსუკან.

ვინ, ანდა რაა, არ ვიმკითხავებ!
დატოვება მსურს ამჟამად ბინის
და გავაგრძელებ გარეთ იმავეს -
ჩემს ჩანაწერებს ცხოვრების წიგნში.

დილაადრიან ავდგები, მარტო
აუცილებელს ჩავდებ აბაში,
წავიღებ ტუფლებს, სიყვარულს, პალტოს,
სახლში დამრჩება მხოლოდ განგაში,

გზად გავიყოლებ მხნეობას ნაცვლად,
შიშთან ის „ვიღაც“ დარჩეს მავნები,
გაადვილდება უშიშრად წასვლა,
სადაც არ ფრენენ თვითმფრინავები.

არ ესმით ბარგის აზრი, ნიშანი,
თუმც გაგებაა ძალზე მარტივი,
ავბედში - პალტო, ტუფლი - ნიშაგში,
ტრფობა? უმისოდ არ ღირს პატივი!

მე სიყვარულის შველას ვაპირებ,
პალტოში ვფუთნი გათოშილ მუშტით,
რომ არ დაიზრას გაღმა ნაპირზე
თვალაუხილავ კნუტივით სუსტი.

ტრფობა - სითბოთი შეძლიერდება.
ტუფლებს მოვირგებ ქორწილ-ლხინებში,
უცილოდ მოვა ბედნიერება,
ჯერი დადგება მერე სიძნელის.

არ ვარ ჩვეული დარდის მძევლობას,
ჩავიცვამ პალტოს, სხვაგან შევივლი,
ცხოვრების შიშით - უცხოვრებლობა
არ მსურს, მძულდება ყოფა შერყვნილი.

პალტო ცრეცილი, ტუფლი გამცვდარი...
ალბათ სიკვდილის ჟამი დამდგარა,
მთის ჩანჩქერით გრგვინავს ცამრგვალი,
ციურ ძალების ჰიმნის მაგვარად.

თუმც სიყვარული, ნიადაგ მხსნელი,
ნასათუთარი კმაყოფილებით,
კვლავ გამომტაცებს გეენას ცეცხლის,
უშველებელი ძალმოსილებით!

თუ სისხლი გიდულთ, ყოფას სამიწეს
ზურგი აქციეთ კარგის იმედად
და სიყვარული არ დაგავიწყდეთ!
მასში ყოველი განსახიერდა!

28 იანვარი, 2021 წ.

Не забудьте любовь

В доме моем темно за окном,
Кто-то шумит за стеною.
Что-то такое вселилось в мой дом,
Кто-то стоит за спиною.

Кто ты и что ты, не буду гадать!
Просто оставлю свой домик,
Буду вне дома я продолжать
Записи в жизненный томик.

Встану, покуда не видит никто,
Начну собираться в дорогу.
Возьму с собой туфли, любовь и пальто,
А дома оставлю тревогу.

С тревогою нечего делать в пути,
Пусть с нею живет этот Кто-то.
Когда нет тревоги, чуть легче идти
Куда не летят самолеты.

Поклажи значенья не знает никто,
Хотя догадаться несложно,
Что туфли — на праздник, а в беды — пальто.
Любовь? Без нее невозможно!

Бегу от кого-то, любовь берегу,
В пальто ее кутаю, прячу!
Чтоб ей не замерзнуть на том берегу,
Еще, как котенку, незрячей.

А станет теплее — любовь расцветет.
На праздник я туфли надену,
И счастье ко мне несомненно придет,
И трудность ему будет сменой.

Но жизнь меня не учила тужить.
Накинув пальто, двинусь дальше,
Ведь жизни бояться — значит не жить.
А жизнь не приемлет злой фальши.

Вот туфли сносились, порвалось пальто,
И кажется, вот-вот погибну.
Грохочет все небо, как горный поток,
Подобно небесных сил гимну.

Но то, что спасала я день ото дня,
Любовь, что с собою носила,
Меня вырывает из злого огня
Своею огромною силой!

И, если у вас закипит в жилах кровь,
Бегите со мной что есть силы.
Но, главное, вы не забудьте Любовь!
Она все в себе воплотила!

1988 г., Москва

[↑](#) თავში

[↑](#) ავტორის დასაწყისი



სერგეი ესენოვი – Сергей Есенин
(1895-1925)

[↑](#) თავში

1. თეთრი არყის ხეა...

თეთრი არყის ხეა
ჩემი სარკმლის გვერდით,
მისკენ გავიხედავ -
დაბურულა ვერცხლით.

ხის ტოტები მსხვილი
და ყლორტებიც ნორჩი
მოქობილა ირგვლივ
თოვლიანი ფოჩით.

მდუმარებას თვლემის
მისცემია არყი,
იწვის ფანტელები
მზის ოქროვან ხანძრით.

ცისკარი როს ზანტად
შემოუვლის გარე,
თოვლს ზედ დააფანტავს -
ახალ ვერცხლით აბრწყენს.

29 იანვარი, 2021 წ.

Белая береза

Белая береза
Под моим окном
Принакрылась снегом,
Точно серебром.

На пушистых ветках
Снежною каймой
Распустились кисти
Белой бахромой.

И стоит береза
В сонной тишине,
И горят снежинки
В золотом огне.

А заря, лениво
Обходя кругом,
Обсыпает ветки
Новым серебром.

1913 г.

2. შოთხვი

გამოზაფხულდა, შოთხვი
ყვავილობს მშვენიერი,
მოუოქროვდა ოხრით
გრუზათმიანი ჟვერი.

თაფლშენარევი ცვარით
გაჟღენთილია ქერქი,
ქვეშ მწვანე ბალახნარი
მოციაგა ვერცხლით.

ლილოჭრელების გვერდით,
ბალახში, ფესვთა შორის,
პაწაწკინტელა ჩქერის
ვერცხლის ნაკადი მორბის.

შოთხვს აუყრია ტანი,
აფრქვევს საამო სურნელს,
მზის შუქი ოქროვანი
ფერით უფარავს ფურცლებს.

რბის ნიაღვარი მძლავრი
და ხეს უსველებს ღეროს,
გაისმის შემპარავი
ჰანგები სასიმღერო.

31 იანვარი, 2021 წ.

Черемуха

Черемуха душистая
С весною расцвела
И ветки золотистые,
Что кудри, завила.

Кругом роса медвяная
Сползает по коре,
Под нею зелень пряная
Сияет в серебре.

А рядом, у проталинки,
В траве, между корней,
Бежит, струится маленький
Серебряный ручей.

Черемуха душистая
Развесившись, стоит,
А зелень золотистая
На солнышке горит.

Ручей волной гремячу
Все ветки обдает
И вкрадчиво под кручею
Ей песенки поет.

1915 г.

3. შენ მითხარი, რომ საადი

შენ მითხარი, რომ საადი
უკოცნიდა მკერდს მარტოდენ,
მეც ვისწავლი დანაზადი
ასეთ კოცნას, თუ მადროვებ!

შენ თქვი: „შორს, ევფრატის პირას
ქალს ვარდი სჯობს მშვენიერი“,
რომ მაქცევდეს ბედი მდიდრად,
დაგატკობდი სხვა სიმღერით.

იმ ვარდს მოვსრავ დაუნდობლად -
სამოთხეს რომ მიაგვანე,
რათა ვერრა სჯობდეს სოფლად
სილამაზით ჩემს შაგანეს.

აღთქმას ნუ მთხოვ დამატებით,
არ მსურს ვჩანდე პირუმტკიცი,
პოეტი ვარ დაბადებით,
პოეტივით კოცნა ვიცი.

2 თებერვალი, 2021 წ.

Ты сказала, что Саади

Ты сказала, что Саади
Целовал лишь только в грудь.
Подожди ты, Бога ради,
Обучусь когда-нибудь!

Ты пропела: «За Ефратом
Розы лучше смертных дев».
Если был бы я богатым,
То другой сложил напев.

Я б порезал розы эти,
Ведь одна отрада мне —
Чтобы не было на свете
Лучше милой Шаганэ.

И не мучь меня заветом,
У меня заветов нет.
Коль родился я поэтом,
То целуюсь, как поэт.

19 декабря 1924

4. ცისფერი კოფთა და ლურჯ თვალთა სინათლე

ცისფერი კოფთა და ლურჯ თვალთა სინათლე.
არ მითქვამს სატრფოსთვის წუხელის სიმართლე.

მან მკითხა: „მვირფასო, არ ჩადგა ქარ-თოვლი?
დავანთო ქურა და გავაწყო საწოლი?“

მივუგე: „შეხედე საკვირველ სახილველს,
ვიღაცა დაგვაყრის ქათქათა ყვავილებს.

დაანთე ქურა და გააწყე საწოლი,
გულში უშენოდაც პარპაშებს ქარ-თოვლი“.

4 თებერვალი, 2021 წ.

Голубая кофта. Синие глаза

Голубая кофта. Синие глаза.
Никакой я правды милой не сказал.

Милая спросила: "Крутит ли метель?
Затопить бы печку, постелить постель".

Я ответил милой: "Нынче с высоты
Кто-то осыпает белые цветы.

Затопи ты печку, постели постель,
У меня на сердце без тебя метель".

3 октября 1925

5. ტბაზე დაფიონი ალისფერად ელავს

ტბაზე დაფიონი ალისფერად ელავს,
ტყეში აქვითქვითდა მძლავრად ყრუანჩელა,

მფრთხალი მოლალური ტირის გულამოსკვნით,
მე არ მეტირება - ნათლის მადლით მოსილს.

ვიცი, საღამოჟამს მოადგები მინდორს,
ზვინთან ჩამოვსხდებით, ჩაგიხუტებ მიმნდობს.

დავითრობი კოცნით, გაგთელავ ვით ალერდს,
ნეტარებით დამთვრალს, ვინ მომკითხავს ალერსს?!

თავად შემოიხსნი აბრეშუმის მანდილს,
ავისრულებთ ერთად ტყეში გულისწადილს.

იქვითქვითოს დაე, ყრუანჩელამ მძლავრად,
დაფიონის სევდაც სიხალისეს აღძრავს!

5 თებერვალი, 2021 წ.

Выткался на озере алый свет зари

Выткался на озере алый свет зари.
На бору со звонами плачут глухари.

Плачет где-то иволга, схоронясь в дупло.
Только мне не плачется - на душе светло.

Знаю, выйдешь к вечеру за кольцо дорог,
Сядем в копны свежие под соседний стог.

Зацелую допьяна, изомну, как цвет,
Хмельному от радости пересуду нет.

Ты сама под ласками сбросишь шелк фаты,
Унесу я пьяную до утра в кусты.

И пускай со звонами плачут глухари.
Есть тоска веселая в алостях зари.

1910

6. მთვარიან ბინდში, ლურჯფერ საღამოს

მთვარიან ბინდში, ლურჯფერ საღამოს,
ვიყავი ერთ დროს ყრმა, თვალსაამო.

შეუკავებლად, შეუქცევადად,
გაქრა ძვირფასი რაც რამ მეზადა...

გული გაცივდა, თვალს იაკამი
ველარ ახარებს მისი კამკამით!

8 თებერვალი, 2021 წ.

Вечером синим, вечером лунным

Вечером синим, вечером лунным
Был я когда-то красивым и юным.

Неудержимо, неповторимо
Все пролетело... далече... мимо...

Сердце остыло, и выцвели очи...
Синее счастье! Лунные ночи!

1925 год

7. გზა მშვიდობისა, მეგობარო, გზა მშვიდობისა!
(ესენინის ბოლო ლექსი, სისხლით დაწერილი)

გზა მშვიდობისა, მეგობარო, გზა მშვიდობისა!
სამარადისოდ დაიმკვიდრე ადგილი მკერდში,
რაკი განგებით დაცილება წილად გვხდომია,
ეს განშორება კვლავ გვპირდება შეხვედრას მერმისს.

ხელგაუწვდენლად და უსიტყვოდ მივდივარ შენგან,
წარბებს ნუ შეკრავ, ნუ გაღონებს ბედი მსახვრალი,
არახალია, ჩემო კარგო, სიკვდილი ქვეყნად,
არც სიცოცხლეა, რა თქმა უნდა, უფრო ახალი.

11 თებერვალი, 2021 წ.

До свиданья, друг мой, до свиданья

До свиданья, друг мой, до свиданья.
Милый мой, ты у меня в груди.
Предназначенное расставанье
Обещает встречу впереди.

До свиданья, друг мой, без руки, без слова,
Не грусти и не печаль бровей,-
В этой жизни умирать не ново,
Но и жить, конечно, не новей.

1924

8. ნანატრო მხარევ, გულს ესიზმრება

ნანატრო მხარევ, გულს ესიზმრება
მზის ზვინთა წყება წყალსატევებში
და მოუთმენლად მსურს შეხიზნება
საჩრდილობლებში შენი ტევრების.

მოჩანს რეზედა, მოლი სამყურის
სინორთა რიგში, ყანის მოსაზღვრედ,
ფსკვნილებს მარცვლავენ აურზაურით
წნორები - ჰგვანან მორჩილ მონაზვნებს.

არეს ახრჩოლებს კვამლი ლამპალის,
ალმური ასდის ზეცის მხარიხეს,
მავანზე ფიქრი გულში ჩავფალი,
ზარი საჯაროდ არ დავარისხე.

მატკობს სიცოცხლის წამი ყოველი,
განსაცდელების ვარ არ დამრიდე;
იმიტომ გავჩნდი ამასოფელში,
რათა აქედან სწრაფად წავიდე.

13 თებერვალი, 2021 წ.

Край любимый! Сердцу снятся

Край любимый! Сердцу снятся
Скирды солнца в водах лонных.
Я хотел бы затеряться
В зелени твоих стозвонных.

По меже, на переметке,
Резеда и риза кашки.
И вызванивают в четки
Ивы – кроткие монашки.

Курит облаком болото,
Гарь в небесном коромысле.
С тихой тайной для кого-то
Затаил я в сердце мысли.

Все встречаю, все приемлю,
Рад и счастлив душу вынуть.
Я пришел на эту землю,
Чтоб скорей ее покинуть.

1914

9. მინათე ჩემო ვარსკვლავო ბნელი

მინათე ჩემო ვარსკვლავო ბნელი,
მომფინე ცივი სხივების წნული,
რადგანაც ვიცი, სამარის სკნელში
არასდროს ფეთქავს ცოცხალი გული.

ანათებ აგვისტოთი და სვილით,
სიმშვიდეს არღვევ წყნარ ხოდაბუნის
გულგამგმირავი გადამახილით
გაუფრენელი წეროთა გუნდის.

როცა თავს ავწევ, გალმიდან ტევრის,
ან მთის კალთიდან - მომესმის ჟღერა
საამო ჰანგის, ვილაცა მღერის,
უგალობს მშობელ მხარეს და კერას.

დადგება სთველი ოქრონაფერი,
შეუმცირდება წვენი ხეს არყის,
ვინც მიყვარდა და დავთმე საფერი,
გამოიტირებს მათ ფოთლის დაყრით.

ვიცი, ჩემი დროც მოაწევს მსწრაფლად
და უცილობლად მერგება ხვედრად -
სამგლოვიარო მესერის დაბლა
დაასვენებენ დროებით ცხედარს.

ალერსიანი ჩაქრება ცეცხლი
და დამადგამენ გრანიტის ლორფინს,
გახალისებს წამკითხველს ძეგლი
ამხანაგების მოძღვნილი სტროფით.

არც ვისურვებდი ხანას საგლოვოს
და ავირჩევდი შაირს სამასხროს:
„ისე უყვარდა ამ კაცს სამშობლო,
როგორც მემთვრალეს უყვარს სახამრო!“

16 თებერვალი, 2021 წ.

ლორფინი - ქვის ფილა
ხანა - კუპლეტი, სტროფი
სახამრო - დუქანი

Гори, звезда моя, не падай

Гори, звезда моя, не падай.
Роняй холодные лучи.
Ведь за кладбищенской оградой
Живое сердце не стучит.

Ты светишь августом и рожью
И наполняешь тишь полей
Такой рыдалистою дрожью
Неотлетевших журавлей.

И, голову вздымая выше,
Не то за рощей - за холмом
Я снова чью-то песню слышу
Про отчий край и отчий дом.

И золотеющая осень,
В березах убавляя сок,
За всех, кого любил и бросил,
Листовою плачет на песок.

Я знаю, знаю. Скоро, скоро
Ни по моей, ни чьей вине
Под низким траурным забором
Лежать придется так же мне.

Погаснет ласковое пламя,
И сердце превратится в прах.
Друзья поставят серый камень
С веселой надписью в стихах.

Но, погребальной грусти внемля,
Я для себя сложил бы так:
Любил он родину и землю,
Как любит пьяница кабак.

Август 1925

10. ვერცხლისხმიანო ზარო, დარეკვით...

ვერცხლისხმიანო ზარო დარეკვით
მიხმობ, თუ სიზმრად მესმის სიმღერა?
ვარდისფერ ხატის ამონარეკლის
შუქი ოქროსფერ წამწამთ მიფერავს.

თუმცა აღარ ვარ ის ყრმა აზიზი
უმანკო მტრედის მსგავსად ფრთასხმული,
თვალსაამოა ჩემი ნასიზმრი
ცის ყვავილებით მიმოქარგული.

საფლავის სუნთქვის ვარ მომდურავი,
სიტყვა იდუმალს ვერ ეკონება,
მასწავლე, დავრჩე ხიზნად ბურანის,
არ გამოფხიზლდეს ჩემი გონება.

17 თებერვალი, 2021 წ.

Колокольчик среброзвонный

Колокольчик среброзвонный,
Ты поешь? Иль сердцу снится?
Свет от розовой иконы
На золотых моих ресницах.

Пусть не я тот нежный отрок
В голубином крыльев плеске,
Сон мой радостен и кроток
О нездешнем перелеске.

Мне не нужен вздох могилы,
Слову с тайной не обняться.
Научи, чтоб можно было
Никогда не просыпаться.

1917

11. ლურჯი ნისლი და თოვლის ტრამალი

ლურჯი ნისლი და თოვლის ტრამალი,
ნამგალა მთვარის კრთოლვა-ღიმილი,
გულს სიამოვნებს თავსგადამხდარი
რომ გაიხსენოს ჩუმი ტკივილით.

კართან დაყრილი ფხვიერი თოვლი.
ამდაგვარ ღამეს - უსიტყვოდ, მალვით,
ჩამოფხატული ფაფახით, თრთოლით,
მამისეული დავტოვე სახლი.

კვლავ დავუბრუნდი მშობლიურ მხარეს.
ნეტავი ვინმე მიხსენებს ოხვრით?
დევნილ მწირივით სახემწუხარე
ვდგავარ პარმალთან საკუთარ ქოხის.

მდუმარე ვჭმუჭნი ქუდს ახალთახალს,
ყარყუმის ფაფახს ვუცქერ მოწყენით,
ვიხსენებ ბებოს, პაპას, სამარხავს
გაფაშრებული თოვლით მოფენილს.

ზედ დაგვეყრება სუყველას ბელტი
და გაგვსუდრავენ მოკვდავებს თალხით,
ადამიანებს ამიტომ ველტვი,
ამიტომ მიყვარს ესოდენ ხალხი.

ნირწამხდარს ცრემლი მადგება თვალში,
ვიღიმი, სულში თუმც მზე განელდა -
თითქოსდა ქოხმახს, პარმალთან ძალლით,
ვათვალთვლებ უკანასკნელად.

21 თებერვალი, 2021 წ.

Синий туман. Снеговое раздолье...

Синий туман. Снеговое раздолье,
Тонкий лимонный лунный свет.
Сердцу приятно с тихой болью
Что-нибудь вспомнить из ранних лет.

Снег у крыльца как песок зыбучий.
Вот при такой же луне без слов,
Шапку из кошки на лоб нахлобучив,
Тайно покинул я отчий кров.

Снова вернулся я в край родимый.
Кто меня помнит? Кто позабыл?
Грустно стою я, как странник гонимый, —
Старый хозяин своей избы.

Молча я комкаю новую шапку,
Не по душе мне соболий мех.
Вспомнил я дедушку, вспомнил я бабку,
Вспомнил кладбищенский рыхлый снег.

Все успокоились, все там будем,
Как в этой жизни радей не радей, —
Вот почему так тянусь я к людям,
Вот почему так люблю людей.

Вот отчего я чуть-чуть не заплакал
И, улыбаясь, душой погас, —
Эту избу на крыльце с собакой
Словно я вижу в последний раз.

1925 г.

12. ქათქათა პერანგი, ყირმიზი ზოსტერი

ქათქათა პერანგი, ყირმიზი ზოსტერი,
კვლებში ვკრეფ ყაყაჩოს ალისფრად მოფერილს.
ფერხული მჭეპარებს მახლობლად სოფელში,
იქაა ნაცნობიც - მღერალი, მროკველი.

მახსოვს, ვით იყვირა ჯარგვალში უნდილად:
„თუმცა ხარ თვალადი, გულს შენ არ უნდიხარ.
შენი თმის დაღალნი ქარებმა დახანძრეს
და სხვისთვის გადავდეგ ჩემს პირბასრ სავარცხელს“.

ვიცი, თუ რის გამო არ მეტრფიალება:
რადგანაც ვსვამდი და ვროკავდი ნაკლებად.
მორჩილად ვიდექი კედელთან მაშვრალი,
მღეროდა სუყველა - სასმელით გამტყვრალი.

ურცხვობით მაჯობებს ყოველთვის რაყიფი,
ქალს წვერით ყელზე ჩხვლეტს, მისია ზარიფი.
ჩაღდება შუშპარი და სიცილს დამაყრის
თავხედის დამჯერი, ჩემთან კი - ამაყი.

ქათქათა პერანგი, ყირმიზი ზოსტერი,
კვლებში ვკრეფ ყაყაჩოს ალისფრად მოფერილს.
ჩემს გულში ხასხასებს ხაშხაში მზიური,
მაგრამ სხვას უმღერის, შეხარის მიჯნური.

24 თებერვალი, 2021 წ.

Белая свитка и алый кушак

Белая свитка и алый кушак,
Рву я по грядкам зардевшийся мак.
Громко звенит за селом хоровод,
Там она, там она песни поет.

Помню, как крикнула, шигая в сруб:
"Что же, красив ты, да сердцу не люб.
Кольца кудрей твоих ветрами жжет,
Гребень мой острый другой бережет".

Знаю, чем чужд ей и чем я не мил:
Меньше плясал я и меньше всех пил.
Кротко я с грустью стоял у стены,
Все они пели и были пьяны.

Счастье его, что в нем меньше стыда,
В шею ей лезла его борода.
Свившись с ним в жгучее пляски кольцо,
Брызнула смехом она мне в лицо.

Белая свитка и алый кушак,
Рву я по грядкам зардевшийся мак.
Маком влюбленное сердце цветет,
Только не мне она песни поет.

1915 г.

13. ახანძრდა ლურჯი დასალიერი

ახანძრდა ლურჯი დასალიერი,
სამშობლოს მიჯნა უკვე გადავვლე,
სიყვარულს ვამკობ პირველ სიმღერით
და აღარ ავტებ წყეულ სკანდალებს.

ველურ ბაღს ვგავდი გაუმამღარი
მექალთანობით, ამოებით,
გადამიყვარდა სმა, ხმა ნაღარის,
ფუჭად გაფლანგვა არ მსურს ცხოვრების.

მინდა მაგ თვალთა შუქი მომფინო,
მუდამ მატკობდეს მისი დავლათი,
რათა წარსულის უკმაყოფილომ
გულს არ გაივლო ჩემი ღალატი.

მონარნარე ხარ და ტანკენარი;
ნეტავ იცოდე სულით ძლიერმა,
თუ ხულიგანი ვითარ შეგხარის,
როგორ მოლბა და მოთვინიერდა.

დავთმობ მარადის მათრობ დასალევს,
თავს არ შეგაწყენ აღარც ლექსწერით,
მივეალერსო ოღონდ დალალებს
შემოდგომისფრად ნაზად შეფერილს.

აგედევნები დასალიერშიც
მოსიყვარულე ერთგულ დარაჯად,
სიყვარულს ვამკობ პირველ სიმღერით
და აღარ ავტებ დავიდარაბას.

28 თებერვალი, 2021 წ.

Заметался пожар голубой

Заметался пожар голубой,
Позабылись родимые дали.
В первый раз я запел про любовь,
В первый раз отрекаюсь скандалить.

Был я весь - как запущенный сад,
Был на женщин и зелие падкий.
Разонравилось пить и плясать
И терять свою жизнь без оглядки.

Мне бы только смотреть на тебя,
Видеть глаз злато-карий омут,
И чтоб, прошлое не любя,
Ты уйти не смогла к другому.

Поступь нежная, легкий стан,
Если б знала ты сердцем упорным,
Как умеет любить хулиган,
Как умеет он быть покорным.

Я б навеки забыл кабаки
И стихи бы писать забросил.
Только б тонко касаться руки
И волос твоих цветом в осень.

Я б навеки пошел за тобой
Хоть в свои, хоть в чужие дали...
В первый раз я запел про любовь,
В первый раз отрекаюсь скандалить.

1923

14. მოსალამოვდა...

მოსალამოვდა, ცვარი
ბრწყინავს ფოთლებზე ჭინჭრის,
შარაგზის პირას მდგარი,
მივყუდებივარ ტირიფს.

მთვარის დიდრონი შუქი
სახლის სახურავს ფერავს,
ისმის ტოტიდან ბუჩქის
ბულბულის ტკბილი მღერა.

თბილა, ვით ახლოს ბუხრის
ზამთარში, ვნეტარდები,
ჩანან არყები მწუხრში
მაგვარად კელაპტრების.

შორს კი, მდინარის გაღმით,
იქ, სადაც ტყისპირს ვხედავ,
დაარაკუნებს ღამის
დარაჯი დუნედ ხვედას.

1 მარტი, 2021 წ.

Вот уж вечер...

Вот уж вечер. Роса
Блестит на крапиве.
Я стою у дороги,
Прислонившись к иве.

От луны свет большой
Прямо на нашу крышу.
Где-то песнь соловья
Вдалеке я слышу.

Хорошо и тепло,
Как зимой у печки.
И берёзы стоят,
Как большие свечки.

И вдали за рекой,
Видно, за опушкой,
Сонный сторож стучит
Мёртвой колотушкой.

1910 г.

15. მითხარი, ვერცხლისფერო თემშარავ...

მითხარი, ვერცხლისფერო თემშარავ,
საითკენ მიხმობს შენი გზა-კვალი?
დიდ ოთხშაბათის წმინდა კელაპტრად
თავზე დაგნათის შუქურვარსკვლავი.

ილხენ, თუ დარდობ შესაბრალისი?
თუ სიშლეგისკენ წამიყვან სრბოლით?
გთხოვ, გაზაფხულის გულის ხალისით
მიყვარდეს შენი ხეშეში თოვლიც.

მარხილი მწუხრის ნათლით განზანე,
ბზის ტოტით მორთე აღვირი რაშის
და, შესაძლოა, ღმერთის სავანეს
მივუახლოვდე თავადვე მაშინ.

3 მარტი, 2021 წ.

Серебристая дорога...

Серебристая дорога,
Ты зовешь меня куда?
Свечкой чисточетверговой
Над тобой горит звезда.

Грусть ты или радость теплишь?
Иль к безумью правишь бег?
Помоги мне сердцем вешним
Долюбить твой жесткий снег.

Дай ты мне зарю на дровни,
Ветку вербы на узду.
Может быть, к вратам господним
Сам себя я приведу.

1918

16. სიმღერა

სარკმლის ქვემოთ - ქარი, მთვარე - სარკმლის მაღლა,
ნათლით შევერცხლილა ტანშიშველი ალვა.

შორს გარმონი ტირის, ისმის ხმა ეული,
ასე მშობლიური, ასე შორეული.

ხან ქვითინებს ჰანგი, ხან კი სევდას აცხრობს,
სად ხარ ჩემო ცაცხვო, ასწლოვანო ცაცხვო?

მახსოვს შეხვედრები დილაადრიანი,
ვუმღეროდი მიჯნურს ჰანგზე ტალიანკის.

ჩემი ნდომა, ხათრი გაუქარწყლდა სატრფოს,
სხვათა დანამღერი მატირებს და მართობს.

5 მარტი, 2021 წ.

ПЕСНЯ

Над окошком месяц. Под окошком ветер.
Облетевший тополь серебрист и светел.

Дальний плач тальянки, голос одинокий,
И такой родимый, и такой далёкий.

Плачет и смеётся песня лиховая,
Где ты, моя липа, липа вековая?

Я и сам когда-то в праздник спозаранку
Выходил к любимой, развернув тальянку.

А теперь я милой ничего не значу.
Под чужую песню и смеюсь, и плачу.

Август 1925

17. მიდი, მაკოცე მწველი ამბორით...

მიდი, მაკოცე მწველი ამბორით,
თუნდ სისხლი წამსკდეს, მტანჯოს წყლულებმა,
რადგან არ მოსწონს ცხელ გულს აბორგილს
გულცივი ნების განკარგულება.

გადაყირავდა კათხა, ვცოდვილობთ,
ვერ ველირსებით სხვათებრ განცხრომას,
წუთისოფელში, ჩემო დობილო,
ერთხელ მოვდივართ მხოლოდ საცხოვრად!

გაქრა ღრუბელთა ჯგუფი ყომრალი,
მშვიდად ახედე ზეცის კამარას,
მთვარე ვითარცა ქარცი ყორანი,
თავს დასტრიალებს მიწას ნარნარად.

მიდი, მაკოცე მთელი ძალ-ღონით,
სიმღერა მიძღვნა უკვე ხრწნადობამ,
ჩემი სიკვდილი ალბათ ალლოთი
იგრძნო კამკამა ღამის მნათობმა.

ძალა ყოველთა მჭკნობი, წარმხოცი!
ვერ შემაშინებს კვდომის ნაბათი!
აღსასრულამდე მინდა დალოცვილ
ბაგეთა კოცნა, მათი შარბათი!

რათა ბურანის ნისლში მოხვედრილს,
სმენას მიტკობდეს აღთქმა ნაჩვევი
ნაზ შარიშურში ღამაზ შოთხვების:
„შენი ვარ, მარად შენად დავრჩები“!

სანამ დაგიცლის კათხას სიბერე,
სანამ აქედან აიბარგები,
ჩემო დობილო, სვი და იმღერე,
ქვეყნად სულ ერთხელ დავიბადებით!

7 მარტი, 2021 წ.

Ну, целуй меня, целуй...

Ну, целуй меня, целуй,
Хоть до крови, хоть до боли.
Не в ладу с холодной волей
Кипяток сердечных струй.

Опрокинутая кружка
Средь веселых не для нас.
Понимай, моя подружка,
На земле живут лишь раз!

Оглядись спокойным взором,
Посмотри: во мгле сырой
Месяц, словно желтый ворон,
Кружит, вьется над землей.

Ну, целуй же! Так хочу я.
Песню тлен пропел и мне.
Видно, смерть мою почувал
Тот, кто вьется в вышине.

Увядающая сила!
Умирать – так умирать!
До кончины губы милой
Я хотел бы целовать.

Чтоб все время в синих дремах,
Не стыдись и не тая,
В нежном шелесте черемух
Раздавалось: «Я твоя».

И чтоб свет над полной кружкой
Легкой пеной не погас –
Пей и пой, моя подружка:
На земле живут лишь раз!

1925

18. ნეკერჩხალო ჩემო, ტანშიშველო, მზრალო

ნეკერჩხალო ჩემო, ტანშიშველო, მზრალო,
წელმოხრილი ბუქში რად დგახარ და წვალობ?

რა ისმინე? ან რა ნახე სასეირო?
თითქოს სოფლის გარეთ წახველ სასეირნოდ.

მთვრალი გუშაგივით მოზარბაცეს, ტეხვრით,
წანამქრულში ჩაფლულს მოგეყინა ფეხი.

ვაგლახ, შენნაირი გავხდი დარდიმანდი,
სახლ-კარს ველარ ვაგნებ მთვრალი არიფანით.

გადავაწყდი ტირიფს, შევეჩეხე ურთხელს,
ზაფხულს ვუმდეროდი, ქარბუქს შევეუკურთხე.

ნეკერჩხლის ხეს თავი უცებ მივამსგავსე,
განა შიშველს - მწვანე ფოთოლნარით სავსეს.

კრძალვადაკარგული და გამტყვრალი არყით,
როგორც სხვის ცოლს, ცივ ხეს ჩავეკარი არყის.

10 მარტი, 2021 წ.

Клен ты мой опавший, клен заледенелый

Клен ты мой опавший, клен заледенелый,
Что стоишь нагнувшись под метелью белой?

Или что увидел? Или что услышал?
Словно за деревню погулять ты вышел.

И, как пьяный сторож, выйдя на дорогу,
Утонул в сугробе, приморозил ногу.

Ах, и сам я нынче чтой-то стал нестойкий,
Не дойду до дома с дружеской попойки.

Там вон встретил вербу, там сосну приметил,
Распевал им песни под метель о лете.

Сам себе казался я таким же кленом,
Только не опавшим, а вовсю зеленым.

И, утратив скромность, одуревши в доску,
Как жену чужую, обнимал березку.

1925

19. როკაპი

თმაგაწეწილი, თეთრი, საზარი,
დარბის მხნე, მარდი, არამწყაზარი.

უჩუმრად კრთება ღამის წკვარამი,
მთვარეს დაფარავს ღრუბლის ჩარსავი.

მყვირალი ქარი სტვენა-სიმღერით,
მიქრის უღრანი ტევრის სიღრმეში.

ტყე იმუქრება ნაძვთა შუბებით,
იმალებიან შიშით ბუები.

ძვალტყავა ხელებს იქნევს სავსავით,
მუხნარს დანათის უმტი ვარსკვლავი.

თმაში ჩაწვნია სარქად უნასი,
ბუქში ტრიალებს შმაგი, უხამსი.

როკავს ტყის ჩქამში თავგამეტებით,
ცაში ღრუბლები სრბიან ფეთებით.

12 მარტი, 2021 წ.

Колдунья

Косы растрепаны, страшная, белая,
Бегаёт, бегаёт, резвая, смелая.

Темная ночь молчаливо пугается,
Шалями тучек луна закрывается.

Ветер-певун с завываньем кликуш
Мчится в лесную дремучую глушь.

Роща грозит еловыми пиками,
Прячутся совы с пугливыми криками.

Машет колдунья руками костлявыми.
Звезды моргают из туч над дубравами.

Серьгами змеи под космы привешены,
Кружится с вьюгою страшно и бешено.

Пляшет колдунья под звон сосняка.
С черною дрожью плывут облака.

1915

20. წიწიბურების თაველთა ცქერამ...

წიწიბურების თაველთა ცქერამ
მშობელ მხარეში სევდით დამღალა,
ჩუმად დავტოვებ ღარიბულ კერას,
წავალ ჯიბგირად და მაწანწალად.

დღისით მოვივლი თემშარებს ფიცხი,
შევეფარები მიგდებულ ფაცხებს,
წალის ყელზე კი ძმადშენაფიცი
დანას ალესავს, მკერდში რომ ჩამცეს.

გაზაფხულით და მზით მოქარგული
ქარცი ბილიკი გასერავს მინდორს,
ვისიც ესოდენ ვარ მონატრული,
კარს მომიკეტავს, აღარ შემინდობს.

დავუბრუნდები კვლავ ჩემს სახლობას,
წუთიერ შევებას ვპოვებ მგლოველი,
მწვანე სადამოს, სარკმლის მახლობლად,
თავს ჩამოვიხრჩობ შესამოსელით.

მესერის გასწვრივ მდგარი მდგნალები
ჭაღარა თავებს დახრიან ნაღვლით...
წესაუგებლად, განაწვალეები,
ჩავიმარხები, წკავწკავში ძაღლის.

მთვარე იცურებს უსასრულეთში,
ტბებზე ჩამოყრის ხოფებს ჩაუქად,
ისევ იცხოვრებს მსგავსად რუსეთი -
სხლტესთან ცრემლს დაღვრის, მძლავრად ჩაბუქნავს.

15 მარტი, 2021 წ.

Устал я жить в родном краю

Устал я жить в родном краю
В тоске по гречневым просторам,
Покину хижину мою,
Уйду бродягою и вором.

Пойду по белым кудрям дня
Искать убогое жилище.
И друг любимый на меня
Наточит нож за голенище.

Весной и солнцем на лугу
Обвита желтая дорога,
И та, чье имя берегу,
Меня прогонит от порога.

И вновь вернуся в отчий дом,
Чужою радостью утешусь,
В зеленый вечер под окном
На рукаве своем повешусь.

Седые вербы у плетня
Нежнее головы наклонят.
И необмытого меня
Под лай собачий похоронят.

А месяц будет плыть и плыть,
Роняя весла по озерам...
И Русь все так же будет жить,
Плясать и плакать у забора.

1915

21. ო, რა ღამეა განსაკვირველი!

ო, რა ღამეა განსაკვირველი!
პირბადრი მთვარე ცაზე აცოცდა,
თითქოს დაბრუნდა სულში ძირძველი,
გადაკარგული ყმაწვილკაცობა.

ო, მეგობარო უკვე განვლილის,
ტრფობად ნუ რაცხავ თავის შექცევას,
უმჯობესია მთვარის არილი
ჩემს სასთუმალზე თუ მოექცევა.

რათა მნათობმა, შუქის მფინარემ
გამხადოს მრუდე ნაკვთთა მზირველი, -
რომც ცადო, ვეღარ გადამიყვარებ,
ვით შეყვარება ვერ შეიძელი.

ტრფობით ერთხელ ვართ მირონნაცხებნი,
ჩემად ვერ ჩაგთვლი, სხვისი მლოცავი;
მსგავსად გვიხმობენ მათკენ ცაცხვები
ნამქერმიყრილნი ხელისმოცარვით.

მშვენივრად ვუწყით ახლა ორთავემ
მთვარის ლილისფერ ამონარეკლში,
ცაცხვებს ყვავილთა ნაცვლად მორთავენ
მარახული და თოვლის ფანტელი.

შენ სხვა დათმე და მე - სხვა ადვილად,
დავრჩით საკუთარ თავის ამარა
და ორივესთვის ვითომ ნამდვილმა
ტრფობის თამაშმა აზრი დაკარგა.

მაინც დამკოცნე, გული გამითბე,
ნებას გრთავ ცბიერ ბაგით მადიდო,
რათა მესიზმროს მუდამ ვარდისთვე
და ის, ვინც მიყვარს სამარადისოდ!

17 მარტი, 2021 წ.

Какая ночь! Я не могу

Какая ночь! Я не могу.
Не спится мне. Такая лунность.
Еще как будто берегу
В душе утраченную юность.

Подруга охладевших лет,
Не называй игру любовью,
Пусть лучше этот лунный свет
Ко мне струится к изголовью.

Пусть искаженные черты
Он обрисовывает смело, -
Ведь разлюбить не сможешь ты,
Как полюбить ты не сумела.

Любить лишь можно только раз,
Вот оттого ты мне чужая,
Что липы тщетно манят нас,
В сугробы ноги погружая.

Ведь знаю я и знаешь ты,
Что в этот отсвет лунный, синий
На этих липах не цветы -
На этих липах снег да иней.

Что отлюбили мы давно,
Ты не меня, а я - другую,
И нам обоим все равно
Играть в любовь недорогую.

Но все ж ласкай и обнимай
В лукавой страсти поцелуя,
Пусть сердцу вечно снится май
И та, что навсегда люблю я.

30 ноября 1925

22. ნუ მიღიმი ცალებად, ხელისგულთა ფშვნეტით

ნუ მიღიმი ცალებად, ხელისგულთა ფშვნეტით,-
არ მიყვარხარ, ახლა სხვა ლამაზმანს ვეტრფი.

თავადაც ხომ ხვდები, იცი ძალზე კარგად,
აქ შენს სანახავად არ მოვსულვარ განზრახ.

ვინაიდან აქეთ გამომიჩნდა საქმე,
მოარული ამ გზით, მოვაშტერდი სარკმელს.

18 მარტი, 2021 წ.

Не криви улыбку, руки теребя

Не криви улыбку, руки теребя,-
Я люблю другую, только не тебя.

Ты сама ведь знаешь, знаешь хорошо -
Не тебя я вижу, не к тебе пришел.

Проходил я мимо, сердцу все равно -
Просто захотелось заглянуть в окно.

1925 г.

23. ადრეულადვე ყველა, განგებით

ადრეულადვე ყველა, განგებით
დაჯილდოვდება რაღაც სარისტით,
თუკი პოეტად ვერ ვივარგებდი,
გამოვიდოდი ქურდი, სარიდი.

ხორცგალეული და ტანდაბალი,
ჩხუბში ბოლომდე გმირად შთენილი,
ხშირად მივსულვარ აყალმყალით,
სახლში ნაცემი, ცხვირგატეხილი.

შიშს ვუქარწყლებდი სახეგაცრეცილ
დედას, კბილებში ვცრიდი უდებად:
„არა უშავს რა, ქვაზე დავეცი,
წყლული დილამდე მომიშუმდება!“

დაცხრა დრო-ჟამის დასალიერში
ყმაწვილკაცობა, როგორც ლენქერი,
ძალა მშფოთვარე და კადნიერი,
ამოჩუხჩუხდა ახლა ლექსებში.

ოქრომდინარი ენამზეობა
ლექსთა სტრიქონებს ამკობს ზენარი,
იქ უწინდელი სჭვივის მხნეობა
ჩხუბისთავის და დაუდეგარის.

ძველებურად ვარ სავსე ღირსებით,
დროის მონაბერს მივდეგ ფეხდაფეხ...
ცხვირპირში მცემდნენ ადრე მჯიღებით,
აწ ჩემი სული სისხლით შეთხვარეს.

დედის მაგივრად სახედაბრეცილ
ბრბოს ვუმეორებ უკვე იმავს:
„არა უშავს რა, ქვაზე დავეცი,
მომიშუმდება წყლული დილამდე!“

21 მარტი, 2021 წ.

Все живое особой метой

Все живое особой метой
Отмечается с ранних пор.
Если не был бы я поэтом,
То, наверно, был мошенник и вор.

Худощавый и низкорослый,
Средь мальчишек всегда герой,
Часто, часто с разбитым носом
Приходил я к себе домой.

И навстречу испуганной маме
Я цедил сквозь кровавый рот:
"Ничего! Я споткнулся о камень,
Это к завтраму все заживет".

И теперь вот, когда простыла
Этих дней кипяtkовая вязь,
Беспокойная, дерзкая сила
На поэмы мои пролилась.

Золотая, словесная гряда,
И над каждой строкой без конца
Отражается прежняя удаль
Забияки и сорванца.

Как тогда, я отважный и гордый,
Только новью мой брызжет шаг...
Если раньше мне били в морду,
То теперь вся в крови душа.

И уже говорю я не маме,
А в чужой и хохочущий сброд:
"Ничего! Я споткнулся о камень,
Это к завтраму все заживет!"

1922

24. ატარებ მწვანე ნაწნავთ

ატარებ მწვანე ნაწნავთ
და ქალწულებრივ გულმკერდს...
არყის ხევ, ლერწამტანავ,
წყალსატევს რისად უმზერ?

ქარი რას ამბობს ჩურჩნით,
ქვიშა რას მღერის მთბარი?
ეგებ კულულთა ბუჩქში
გსურს სავარცხელი მთვარის?

თქვი საიდუმლო შენი,
ნაფიქრი დღედაღამით,
მიყვარს ეგ ნაღვლის მფენი
სთველის წინმსწრები ჩქამი.

არყმა მომიგო რიდით:
„ცნობისმოყვარევ, გესმის?
ამ ვარსკვლავიან ბინდში,
ცხარედ ტიროდა მწყემსი,

ჩრდილებს მოჰფენდა მთვარე,
აკიაფებდა ნარგავთ,
ჩემს შიშველ მუხლისთავებს
კაცი კოცნიდა ხარზად.

ღრმად ჩასუნთქების შემდგომ,
წართქვა: „ჩემი კვლავ გწამდეს,
მშვიდობით, ჩემო მტრედო,
წეროთა მოფრენამდე“.

26 მარტი, 2021 წ.

Зелёная причёска

Зелёная причёска,
Девическая грудь,
О тонкая берёзка,
Что загляделась в пруд?

Что шепчет тебе ветер?
О чем звенит песок?
Иль хочешь в косы-ветви
Ты лунный гребешок?

Открой, открой мне тайну
Твоих древесных дум,
Я полюбил печальный
Твой предосенний шум.

И мне в ответ берёзка:
"О любопытный друг,
Сегодня ночью звездной
Здесь слезы лил пастух.

Луна стелила тени,
Сияли зеленыя.
За голые колени
Он обнимал меня.

И так, вдохнувши глубоко,
Сказал под звон ветвей:
"Прощай, моя голубка,
До новых журавлей".

1918 г.

25. ისევ ვესტუმრე მშობლიურ მხარეს

ისევ ვესტუმრე მშობლიურ მხარეს,
ოდნავ ვყოვნდები ნაცნობ სახლებთან,
თმაგრუზა მწუხრი რძისფერ ხელს არხევს
და მთის გაღმიდან მომესალმება.

ცრიატი დღეა, ჭადაროსანი,
ნიავი ბერავს ღრუბლის იალქნებს,
გულს დამიმძიმებს საღამოხანი,
ჩაუხშობ სევდით მაფორიაქებს.

საყდრის მიდამოს მწუხრის დიელომ
გუმბათის ჩრდილი მიმოაფინა,
ყმაწვილკაცობის ძმადშეზრდილებო
ველარ გიხილავთ ასე საფიცართ!

გადავიწყების ხრამში დანთქმული
გაქრა ის ჟამი და თქვენც განქარდით,
უწინდებურად მირბის დგაფუნით
მხოლოდ წისქვილის ჩქერის ნაკადი.

მწუხრის ბინდბუნდში უკვე მალიმალ,
როცა მწუხარედ სტვენენ ლერწმები,
ლოცვის აღვლენით მიწას კვამლიანს
გარდასულებზე შევევედრები.

27 მარტი, 2021 წ.

Я снова здесь, в семье родной

Я снова здесь, в семье родной,
Мой край, задумчивый и нежный!
Кудрявый сумрак за горой
Рукою машет белоснежной.

Седины пасмурного дня
Плывут всклокоченные мимо,
И грусть вечерняя меня
Волнует непреодолимо.

Над куполом церковных глав
Тень от зари упала ниже.
О други игрищ и забав,
Уж я вас больше не увижу!

В забвенье канули года,
Вослед и вы ушли куда-то.
И лишь по-прежнему вода
Шумит за мельницей крылатой.

И часто я в вечерней мгле,
Под звон надломленной осоки,
Молюсь дымящейся земле
О невозвратных и далеких.

1916

26. ვინ ვარ? რა ვარ? - მეოცნებე მხოლოდ...

ვინ ვარ? რა ვარ? - მეოცნებე მხოლოდ,
ნეტარების ბეჭდის ბნელში მძებნი,
თითქოს ქვეყნად მეც შემთხვევით ვცოცხლობ
და ცხოვრებას განვლევ სხვათებრ თმენით.

შენც დაგკოცნი ჩვეულების ძალით,
ვით შენამდე სხვას ვუძღვნიდი ამბორს,
ვითომც ასანთს ავანთებდე, ქალის
საალერსო სიტყვებს ისე ვამბობ:

„საყვარელო“, „შენთანა ვარ მარად“,
ვიმეორებ ერთსა და იმავეს,
თუკი კაცში გინდა ვნების აღძვრა,
ვერ მოძებნი, ცხადია, სიმართლეს.

ამიტომაც სული განა მაღავს,
სიყვარულის ცეცხლის უშრეტ წადილს,
შენ ხარ ჩემი მოარული ალვა,
თუმცა ქვეყნად მრავალთათვის გაჩნდი.

მაძებარი მუდამ ჩემიანის,
უამური ტყვევებით დატანჯულიც,
ოდნავადაც არ ვარ ეჭვიანი,
არ გახსენებ აუგით და კრულვით.

ვინ ვარ? რა ვარ? - მეოცნებე ბარდი,
ბნელში ვკარგე თვალთა სილაჟვარდე,
შენც შემთხვევით ისე შემიყვარდი,
ვით მრავალი ქალი ქვეყნად - ანდედ.

31 მარტი, 2021 წ.

Кто я? Что я? Только лишь мечтатель...

Кто я? Что я? Только лишь мечтатель,
Перстень счастья ищущий во мгле,
Эту жизнь живу я словно кстати,
Заодно с другими на земле.

И с тобой целуюсь по привычке,
Потому что многих целовал,
И, как будто зажигая спички,
Говорю любовные слова.

«Дорогая», «милая», «навек»,
А в уме всегда одно и то ж,
Если тронуть страсти в человеке,
То, конечно, правды не найдешь.

Оттого душе моей не жестко
Ни желать, ни требовать огня,
Ты, моя ходячая березка,
Создана для многих и меня.

Но, всегда ища себе родную
И томясь в неласковом плену,
Я тебя нисколько не ревную,
Я тебя нисколько не кляню.

Кто я? Что я? Только лишь мечтатель,
Синь очей утративший во мгле,
И тебя любил я только кстати,
Заодно с другими на земле.

1925 г.

27. ველად თოვლბუქი ტრიალებს მკვირცხლი

ველად თოვლბუქი ტრიალებს მკვირცხლი,
სხვისი სამცხენა მარხილი მიქრის,

მისდევს ვიღაცის ახალგაზრდობა,
სად არის ჩემი ლხენა, განცხრომა?

გაქრა ყოველი ბუქის ძახილში
ამგვარი შმაგი სწრაფი მარხილით.

2 აპრილი, 2021 წ.

Снежная замять крутит бойко...

Снежная замять крутит бойко,
По полю мчится чужая тройка.

Мчится на тройке чужая младость.
Где мое счастье? Где моя радость?

Все укатилось под вихрем бойким
Вот на такой же бешеной тройке.

Октябрь, 1925

28. უკვე არ ვნანობ, აღარ ვუხმობ და აღარც ვტირი

უკვე არ ვნანობ, აღარ ვუხმობ და აღარც ვტირი,
ყოველი ვაშლის ყვავილივით გადიყვავილებს,
შემეპარება ჭკნობისფერი ათასნაირი
და ვერასოდეს დავიბრუნებ ჩემს სიყმაწვილეს.

გულო ვერ შეძლებ ძველებური ცეცხლი წამკიდო
ძალუმი ძგერით, რადგან უკვე ყინვამ შეგსუდრა,
ვერ შემიტყუებს ვერც მოჩითულ არყთა სამკვიდრო,
ფეხშიშველამ რომ ვიწანწალო უწინდებურად.

მოხეტე სულო, ვედარ შეძლებ შეხვდე იალონს
ბაგეთა ცეცხლით, მოგიზგიზე ტრფობის აღმურით,
ო, დაკარგულო: სიხასხასევ, თვალთა ბრიალო,
ჭარბო გრძნობებო - გარდასულა დრო საამური!

აღარც წადილი შემრჩენია გულში გიჟმაჟი,
ჩემო ცხოვრებავ, სიზმარში ვარ შენი მზერალი?
თითქოს გნისაში გაზაფხულის ლამაზ რიჟრაჟის,
გადაგიქროლე ვარდისფერი ჩქარი მერანით.

დაგვემუქრება ყოველ ჩვენგანს ჭკნობით სიხრწნადე,
ფოთლები ცვივა ნეკერჩხლის ხეს მდოვრედ რვალებად,
კურთხეულ იყოს უკუნითი უკუნისამდე -
ის, რაც ამქვეყნად ყვავილობს და მიიცვალება!

4 აპრილი, 2021 წ.

Не жалею, не зову, не плачу

Не жалею, не зову, не плачу,
Все пройдет, как с белых яблонь дым.
Увяданья золотом охваченный,
Я не буду больше молодым.

Ты теперь не так уж будешь биться,
Сердце, тронутое холодком,
И страна березового ситца
Не заманит шляться босиком.

Дух бродяжий! ты все реже, реже
Расшевеливаешь пламень уст
О, моя утраченная свежесть,
Буйство глаз и половодье чувств!

Я теперь скупее стал в желаньях,
Жизнь моя, иль ты приснилась мне?
Словно я весенней гулкой ранью
Проскакал на розовом коне.

Все мы, все мы в этом мире тленны,
Тихо льется с кленов листьев медь...
Будь же ты вовек благословенно,
Что пришло процветать и умереть.

1921

29. შენი შეხედვით დარდით ვილევო

შენი შეხედვით დარდით ვილევო!
რა ტკივილია, რა საწუხარი!
ჩანს, სექტემბერში წნორის სპილენძი
გადმოგვყვა მხოლოდ განახუნარი.

სხვისმა ტუჩებმა შენი სხეულის
შეიგრძნეს სითბო, ჟრჟოლა, მოთენთვა,
თითქოსდა ოდნავ გამკვდარებული
სულიდან გარეთ ჟინჯლი მოწვეთავს.

არ მეშინია ავდრის თქორების,
სხვაგვარ სიხარულს რადგან მივაგნე.
მხოლოდ შემომრჩა ამათრთოლები
ამარტისფერი ხრწნა და სიჟანტე.

არ მიველტვოდი - ღიმილს, სიწყნარეს,
თავგზას მიბნევედა უცაბედობა,
რაოდენ მცირე გზა გავიარე,
თუმც რა ბევრია მძიმე შეცდომა!

მუდამ იქნება ამაოების
დავიდარაბა ყოფა ნაყვარი,
ეს ბალიც, მსგავსად სამაროვნების
სავსეა ძვლებით დაღრღნილ არყნარის.

ჩვენც გავხუნდებით მსგავსი მზაკვრობით,
გავიხმაურებთ ბალის სტუმრები...
თუ არ ყვავიან კვირტნი ზამთრობით,
უყვავილობით ნუ დავმწუხრდებით.

8 აპრილი, 2021 წ.

Мне грустно на тебя смотреть

Мне грустно на тебя смотреть,
Какая боль, какая жалость!
Знать, только ивовая медь
Нам в сентябре с тобой осталась.

Чужие губы разнесли
Твое тепло и трепет тела.
Как будто дождик моросит
С души, немного омертвелой.

Ну что ж! Я не боюсь его.
Иная радость мне открылась.
Ведь не осталось ничего,
Как только желтый тлен и сырость.

Ведь и себя я не сберег
Для тихой жизни, для улыбок.
Так мало пройдено дорог,
Так много сделано ошибок.

Смешная жизнь, смешной разлад.
Так было и так будет после.
Как кладбище, усеян сад
В берез изглоданные кости.

Вот так же отцветем и мы
И отшумим, как гости сада...
Коль нет цветов среди зимы,
Так и грустить о них не надо.

1923

30. ბედნიერება უგნური

ბედნიერება უგნური -
თეთრ შუშაბანდით ბაღაში,
ალისფერ გედად გუბურში
ცურავს მიმწუხრი ჩახჩახით.

სალამი, ოქროს სიწყნარევ,
წყალზე არყის ხის აჩრდილით!
მწუხრის ლოცვა აქვთ ჭილყვავებს,
მთიებს ხვდებიან ჩხავილით.

შორი-ახლოდან ბაღნარის,
იქ, სადაც ყვავის მახველი,
მღერის ასული ნარნარით,
მოსილი თეთრი საცმელით.

იშლება ლურჯფერ ხალენად
და სიგრილეს ჰფენს საღამო...
უგნურო, ტკბილო დალხენავ,
ქორფა ღაწვების ღაჟღაჟო!

12 აპრილი, 2021 წ.

Вот оно, глупое счастье

Вот оно, глупое счастье
С белыми окнами в сад!
По пруду лебедем красным
Плавает тихий закат.

Здравствуй, золотое затишье,
С тенью березы в воде!
Галочья стая на крыше
Служит вечерню звезде.

Где-то за садом несмело,
Там, где калина цветет,
Нежная девушка в белом
Нежную песню поет.

Стелется синею рясой
С поля ночной холодок...
Глупое, милое счастье,
Свежая розовость щек!

1918 г.

31. ვერ დაიბრუნებ ვერასდროს განვლილს

არ დაბრუნდება ის გრილი ღამე,
ამიერიდან ვერ ვნახავ სატრფოს,
ველარ მოვისმენ ბულბულის ნამღერს
სიამის მომგვრელს და გულის გამთბობს!

ის გაზაფხული არ მოჩანს არსით,
ვერც ღამეს ეტყვი: დაბრუნდი ისევ;
შემოდგომაა - ჟამია ავდრის,
ბოლო არ უჩანს თქორებს და ნისლებს.

სატრფოს საფლავში ღრმა ძილით სძინავს
და წართმევია ამური ფხიზლის,
ის ვერ შეიგრძნობს ქარბუქებს მძვინვართ,
არ უჩქროლდება წადილით სისხლი.

მიწყდა ბულბულის ძახილი ბინდში,
რადგან გაფრინდა ვრცელი ზღვის გაღმით,
აღარ გაისმის მგალობლის კრინი,
იმ გრილ ღამეში სმენილი ბაღში.

ცხოვრების ღებენა მეცვალა ცრემლით,
ბედნიერება ვერ ვპოვე ხანგრძლივ,
სულში განელდა გრძნობათა ცეცხლი;
ვერ დაიბრუნებ ვერასდროს განვლილს.

16 მაისი, 2021 წ.

ЧТО ПРОШЛО - НЕ ВЕРНУТЬ

Не вернуть мне ту ночку прохладную,
Не видать мне подруги своей,
Не слышать мне ту песню отрадную,
Что в саду распевал соловей!

Унеслася та ночка весенняя,
Ей не скажешь: Вернись, подожди.
Наступила погода осенняя,
Бесконечные льются дожди.

Крепким сном спит в могиле подруга,
Схороня в своем сердце любовь.
Не разбудит осенняя вьюга
Крепкий сон, не взволнует и кровь.

И замолкла та песнь соловьиная,
За моря соловей улетел,
Не звучит уже более, сильная,
Что он ночью прохладною пел.

Пролетели и радости милые,
Что испытывал в жизни тогда.
На душе уже чувства остывшие.
Что прошло - не вернуть никогда.

1911-1912

32. ნუ მიყურებ საყვედურით - მწყრალი

ნუ მიყურებ საყვედურით - მწყრალი,
ვნებას ზიზღით არასოდეს ვცვლიდი,
მიყვარს შენი მიზნედილი თვალი,
მორჩილება მზაკვრული და ფლიდი.

ოსტატურად წარმოდგენას მართავ,
ხარ გაშხლართულ მელაკუდას მსგავსი -
როდესაც თავს იმკვდარუნებს, რათა,
მოიხელთოს ბახალა ან ყვავი.

ჩემზეც სცადე, ნუ გგონია - შევდრკე,
არ განელდეს ოღონდ შენი ალი!
გაციებულ სულს შენამდეც ბევრჯერ
წასწყდომია არაერთი ქალი!

რადგან სულ სხვას ვყვარობ, ჩემო კარგო,
შენ ხარ მხოლოდ ნახმევი და ჩრდილი,
შენი მზერით მეზმანება სატრფო,
თვალეში აქვს ვისაც ლაჟვარდივით.

თუმც არაა თვინიერი, წყრება,
ცივია და თანაც სიტყვაძვირი,
მაგრამ მისმა მედიდურმა რებამ,
შემირხია სულის ბნელი ძირი.

აი, ასეთს ვერ აუბნევ თავგზას,
გაიძულეებს - დამორჩილდე მალე;
შენ ლიქნითაც გულს ვერ დამიბანგავ,
როცა სიცბილს შეუზავებ ალერსს.

მაინც გეტყვი შმუშვნით გულისნადებს,
გამქირდავი და მსაჯული მკაცრი:
თუ სამოთხეს და ჯოჯოხეთს სადმე
არ შექმნიდნენ - მათ შეთხზავდა კაცი.

22 მაისი, წმ. ნიკოლოზის ხს. დღე, 2021 წ.

Не гляди на меня с упреком

Не гляди на меня с упреком,
Я презренья к тебе не таю,
Но люблю я твой взор с поволокой
И лукавую кротость твою.

Да, ты кажешься мне распростертой,
И, пожалуй, увидеть я рад,
Как лиса, притворившись мертвой,
Ловит воронов и воронят.

Ну, и что же, лови, я не струшу.
Только как бы твой пыл не погас?
На мою охладевшую душу
Натыкались такие не раз.

Не тебя я люблю, дорогая,
Ты лишь отзвук, лишь только тень.
Мне в лице твоём снится другая,
У которой глаза - голубень.

Пусть она и не выглядит кроткой
И, пожалуй, на вид холодна,
Но она величавой походкой
Всколыхнула мне душу до дна.

Вот такую едва ль отуманишь,
И не хочешь пойти, да пойдешь,
Ну, а ты даже в сердце не вранишь
Напоенную ласкою ложь.

Но и все же, тебя презирая,
Я смущенно откроюсь навек:
Если б не было ада и рая,
Их бы выдумал сам человек.

1 декабря 1925

33. ბედნიერება არსებობს, მჯერა

ბედნიერება არსებობს, მჯერა!

მზე არ ჩასულა, ჯერაც ცაზეა.

სასიხარულო ამბის მაცნეა

მეწამულ მწუხრის წინმხედი მზერა,

ბედნიერება არსებობს, მჯერა.

ოქროს რუსეთო, აღდექ, აჟღერდი,

მსურს ბობოქარი ქარის დაბერვა!

ნეტარ არს, ვინაც ლხენით აღწერა

პასტორალური შენი ნაღველი.

ოქროს რუსეთო, აღდექ, აჟღერდი.

მიყვარს ლიკლიკი მღელვარე ჩქერის,

აკიაფება ტბორზე ვარსკვლავის,

ღვთივკურთხეული ტანჯვა-ვარამი,

მაკურთხებელი მშობელი ერი.

მიყვარს ლიკლიკი მღელვარე ჩქერის.

27 მაისი, 2021 წ.

О верю, верю, счастье есть

О верю, верю, счастье есть!
Еще и солнце не погасло.
Заря молитвенником красным
Пророчит благодатную весть.
О верю, верю, счастье есть.

Звени, звени, золотая Русь,
Волнуйся, неумный ветер!
Блажен, кто радостью отметил
Твою пастушескую грусть.
Звени, звени, золотая Русь.

Люблю я ропот буйных вод
И на волне звезды сиянье.
Благословенное страданье,
Благословляющий народ.
Люблю я ропот буйных вод.

1917

34. შოთხვს ყვავილები თოვლივით სცვივა

შოთხვს ყვავილები თოვლივით სცვივა,
სიმწვანე ნაცვარს სიამით იღებს,
შევცქერი ხნულში დაშვებულ ჭილყვავთ,
ეტანებიან ამოსულ ღივებს.

გადაზნექილა ალერდი დიბის,
ფიჭვნარი დღვილის სუნს აფრქვევს სათნოს,
ო, მუხნარებო, ველებო, ხიბლით
მე გაზაფხული მზანგავს და მათრობს.

საამო ამბით მესხმება რეტი,
სულს ხალისი და ნათელი ავსებს,
თვალწინ მიდგება ხატება მეტრფის
და ავმღერდები მარტოდენ მასზე.

აფრქვიე, შოთხვო, ფანტელი ირგვლივ,
უსტვინეთ ჩიტნო, შეეშვით ცქნაფვას,
ველზე ბარბაცით დავიწყებ სირბილს
და მიმოვაზნევ ყვავილებს ქაფად.

6 ივნისი, 2021 წ.

Сыплет черемуха снегом

Сыплет черемуха снегом,
Зелень в цвету и росе.
В поле, склоняясь к побегам,
Ходят грачи в полосе.

Никнут шелковые травы,
Пахнет смолистой сосной.
Ой вы, луга и дубравы,-
Я одурманен весной.

Радуют тайные вести,
Светятся в душу мою.
Думаю я о невесте,
Только о ней лишь пою.

Сыпь ты, черемуха, снегом,
Пойте вы, птахи, в лесу.
По полю зыбистым бегом
Пеной я цвет разнесу.

1910

35. შაგანე ჩემო, ჩემო შაგანე!

შაგანე ჩემო, ჩემო შაგანე!
ჩრდილოეთშია ჩემი მამული
და როცა ქარი ჭკავებს ჩაუვლის,
მთვარის ნათელში ბზინავს საყანე.
შაგანე ჩემო, ჩემო შაგანე!

ჩრდილოეთშია ჩემი მამული,
მთვარე დიდია ჩვენთან მრავალგზის,
რაგინდ შირაზი იყოს ლამაზი,
მე რიაზანის ვარ მოყვარული.
ჩრდილოეთშია ჩემი მამული

და როცა ქარი ჭკავებს ჩაუვლის,
ოქროვანია ეს თმა იმათებრ,
თუნდაც თითებზე გადაიხლართე,
არ დავიკვნესებ შენგან ტანჯულიც
და როცა ქარი ჭკავებს ჩაუვლის,

მთვარის ნათელში ბზინავს საყანე,
სვილის ელფერით მაქვს თმა ნაფერი,
გამანებივრე უხვი ალერსით,
ნუ გამახსენებ ოღონდ საყვარელ
მთვარის ნათელში მზინავ საყანეს.

შაგანე ჩემო, ჩემო შაგანე!
იქ, ჩრდილოეთში ერთი ასული,
ძალიან მოგგავს ჩემი წარსულის,
ეგებ, ფიქრები აქ მოაქანებს ...
შაგანე ჩემო, ჩემო შაგანე!

1 აგვისტო, წმ. სერაფიმ საროველის ხს. დღე, 2021 წ.

Шаганэ ты моя, Шаганэ!

Шаганэ ты моя, Шаганэ!
Потому, что я с севера, что ли,
Я готов рассказать тебе поле,
Про волнистую рожь при луне.
Шаганэ ты моя, Шаганэ.

Потому, что я с севера, что ли,
Что луна там огромней в сто раз,
Как бы ни был красив Шираз,
Он не лучше рязанских раздолий.
Потому, что я с севера, что ли.

Я готов рассказать тебе поле,
Эти волосы взял я у ржи,
Если хочешь, на палец вяжи —
Я нисколько не чувствую боли.
Я готов рассказать тебе поле.

Про волнистую рожь при луне
По кудрям ты моим догадайся.
Дорогая, шути, улыбайся,
Не буди только память во мне
Про волнистую рожь при луне.

Шаганэ ты моя, Шаганэ!
Там, на севере, девушка тоже,
На тебя она страшно похожа,
Может, думает обо мне...
Шаганэ ты моя, Шаганэ.

1924 г.

36. განა იქროლეს ფუჭად ქარებმა

განა იქროლეს ფუჭად ქარებმა,
განა ელჭეეი ატყდა ამაოდ,
წყნარი სინათლით უცხო არსებამ,
ჩამიკლა თვალთა წყურტი საკმაოდ.

გაზაფხულური მოალერსებით
სოსნისფერ მწუხრში დარდი გამიქრა,
გამოუცნობი ქვეყნის სერების
წარმომსახველს და მათზე მაფიქრალს.

ველარ დამთრგუნავს ჩუმი სალმოზა,
ვარსკვლავთა ყამი აღარ მაშინებს,
მიყვარს სამყარო, მარადჟამოზა,
ვით მშობლიური კერა მასპინძელს.

იქ ნათლი მოსავს შიშის მომგვრელსაც,
ყველაფერია შეუმწიკველი,
მწუხრის აღისფერ ყაყაჩოჭრელას
ტბის ზედაპირზე სცვივა წინწკლები.

თავთუხთა ზღვაში გზად მიმავალმა
ხატი შევნიშნე რძეშეუშრობი:
თითქოს ხბო შობა მაკე ცამრგვალმა
და ტლევკა იწყო წითელ უშობლის.

8 აგვისტო, 2022 წ.

Не напрасно дули ветры

Не напрасно дули ветры,
Не напрасно шла гроза.
Кто-то тайный тихим светом
Напоил мои глаза.

С чьей-то ласковости вешней
Отгрустил я в синей мгле
О прекрасной, но нездешней,
Неразгаданной земле.

Не гнетет немая млечность
Не тревожит звездный страх.
Полюбил я мир и вечность
Как родительский очаг.

Все в них благостно и свято,
Все тревожное светло.
Плещет рдяный мак заката
На озерное стекло.

И невольно в море хлеба
Рвется образ с языка:
Отелившееся небо
Лижет красного телка.

1917 г.

[↑](#) თავში

[↑](#) ავტორის დასაწყისი



ოსებ ბროდსკი – Иосиф Бродский
(1940-1996)

[↑](#) თავში

1. ზამთრის საღამო იალტაში

ლევანტიური სახე პირხმელი,
ბაკებით მალავს ნაყვავილარებს,
როცა კოლოფში ეძებს სიგარეტს
მის არათითზე ბეჭდის სიელვით

კრთება ორასი ვატის სიმძლავრე,
ველარ გაუძლებს თვალების ბროლი,
ვჭუტავ, ნაფაზის ნაყლაპი ბოლით
იტყვის „შემინდეთ!“ - თავს არ იმართლებს.

იანვარია. აქ ზამთრის როლი
თავისშექცევის არის ნამსგავსი:
და ვერასოდეს ჩერდება თოვლი
პირბასრ ეკლებზე ჭრელი აგავის.

ხალხი აკლიათ დუქნებს. სდით კვამლი
იქთიოზავრებს ლემანთან მიმდგართ,
დამპალ დაფნების სუნი დგას მყრალი.
„ეს სისამაგლე დაგისხათ?“ – „მინდა!“

ღიმილი, მწუხრი, გულხელდაკრეფით
მედუქნე, ბედს რომ მუშტარს ენუკვის,
წრეზე მავალი ჰგავს მოზარდ დელფინს
ირგვლივ ხამსებით სავსე ფელუკის.

ქოთნებში ჟაბო. ფანჯრის კვადრატი.
სუსტი თოვლი და თავის კანტური.
შეჩერდი, წამო! ისე წარმტაცი
არა ხარ, ვით ხარ უნიკალური!

30 იანვარი, 2021 წ.

ბოლო სტროფის II ვარიანტი

ფანჯრის კვადრატი. ქოთნებში ჟაბო,
ნიავი ფიფქთა ფანტვით ერთობა,
შეჩერდი წამო, რადგანაც სჭარბობს
შენს სილამაზეს, ერთადერთობა!

Зимним вечером в Ялте

Сухое левантинское лицо,
упрятанное оспинками в бачки.
Когда он ищет сигарету в пачке,
на безымянном тусклое кольцо

внезапно преломляет двести ватт,
и мой хрусталик вспышки не выносит:
я щурюсь; и тогда он произносит,
глота дым при этом, «виноват».

Январь в Крыму. На черноморский брег
зима приходит как бы для забавы:
не в состояньи удержаться снег
на лезвиях и остриях агавы.

Пустуют рестораны. Дымят
ихтиозавры грязные на рейде.
И прелых лавров слышен аромат.
«Налить вам этой мерзости?» «Налейте».

Итак – улыбка, сумерки, графин.
Вдали буфетчик, стискивая руки,
дает круги, как молодой дельфин
вокруг хамсой заполненной фелюки.

Квадрат окна. В горшках – желтофиоль.
Снежинки, проносящиеся мимо.
Остановись, мгновенье! Ты не столь
прекрасно, сколько ты неповторимо.

январь 1969

2. ფხვნის ჩრდილოეთი მეტალს, თუმცა დაზოგავს მინას (ციკლიდან „მეტყველების ნაწილი“)

ფხვნის ჩრდილოეთი მეტალს, თუმცა დაზოგავს მინას,
ხორხს დაასწავლის, რომ წარმოთქვას „შემიშვი“ მხსნელი.
მე ხომ აღმზარდა და კალამი ჩამიღო ყინვამ
თითებში, რათა შემთბარიყვნენ მომუჭვით ხელის.

არავინაა გარეშემო, გათოშილს სუსხით,
ვრცელი ზღვის იქით ჩამავალი მზის ცქერა მართობს,
მომეჩვენება ლიპზე სხლტება ფეხსაცმლის ქუსლი,
ან დედამიწა დამრგვალდება ჩემ ქუსლქვეშ მარტო.

ხორხი, სიცილის სამყოფელი, ანდა სამღერის,
მეტყველების და ცხელი ჩაის, უამინდობით
თანდათანობით გაცივდება, თოვლის ნამქერი
გადაშავდება, ვით სედოვი შენი, „მშვიდობით!“

3 თებერვალი, 2021 წ.

სედოვი -

Седов, Георгий Яковлевич

რუსი პოლარული მკვლევარი, მისი სახელობისაა ცნობილი იალქნიანი
გემი „სედოვი“.

Север крошит металл, но щадит стекло (Из цикла «Часть речи»)

Север крошит металл, но щадит стекло.
Учит гортань проговаривать "впусти".
Холод меня воспитал и вложил перо
в пальцы, чтоб их согреть в горсти.

Замерзая, я вижу, как за моря
солнце садится и никого кругом.
То ли по льду каблук скользит, то ли сама земля
закругляется под каблуком.

И в гортани моей, где положен смех
или речь, или горячий чай,
все отчетливей раздается снег
и чернеет, что твой Седов, "прощай".

1976

3. წრფის ბოლოს მუდამ თვალსაჩინოდ მოჩანს წერტილი

წრფის ბოლოს მუდამ თვალსაჩინოდ მოჩანს წერტილი, ქუთუთო სივრცეს იჭერს, როგორც ლაყუჩი - ჟანგბადს და ყველა სიტყვა წარმოთქმული, ამოხეთქილი, „უფალო ჩემოს“ გარდა, მოჰგავს აბრაკადაბრას.

ჩიკორის ბრუნვა, მისი გვერდზე გადაბრუნებით აღჩუს ნიშანი, დრეიდლში რომ წესით შემოდის და კუთხეები დაქსელილი აბლაბუდებით, რაც სახლის ოთახს მიანიჭებს იერს ჩემოდნის.

გზაა არსაით. ვერ გავარჩევ აწი უგბილი ოქროპირისგან, იერსახეს ბოგანო გლახის; ისე წიკწიკებს მალვიძარა ბედით დუმილში, თითქოს ათ წუთში აფეთქდება ნამდვილად სახლი.

6 თებერვალი, 2021 წ.

დრეიდლი - რელიგიური დანიშნულების ბზრიალა ებრაელებში
золоторотец - 1. Босьяк, оборванец. 2. Употребляется как порицающее или бранное слово.

Точка всегда обозримей в конце прямой

Точка всегда обозримей в конце прямой.
Веко хватает пространство, как воздух - жабра.
Изо рта, сказавшего все, кроме "Боже мой",
вырывается с шумом абракадабра.

Вычитанье, начавшееся с юлы
и т. п., подбирается к внешним данным;
паутиной окованные углы
придают сходство комнате с чемоданом.

Дальше ехать некуда. Дальше не
отличить златоуста от златоротца.
И будильник так тикает в тишине,
точно дом через десять минут взорвется.

1982

4. რამდენ ხანს ვქელავ მიწას - ქუსლი გვიჩვენებს ხამლის

რამდენ ხანს ვქელავ მიწას - ქუსლი გვიჩვენებს ხამლის,
შუბლიდან თითით ვერ ვიცილებ ვერც აბლაბუდას,
სასიამოვნო იმით არის ყივილი მამლის,
გუმინდელივით რადგან ჟღერს მუდამ.

ხეირიანად ბნელი აზრიც აღარ კავდება,
ვით არ ჩერდება ჩამოშლილი შუბლზე ნაწნავი,
არც არაფერი გესიზმრება - იყო ნაკლებად,
ხანდახან ახდე, დრო არ სვარო რათა ნაგავით.

ხედი სარკმლიდან - ღატაკური, გაუღიმარი
კვარტლის სურათი თვალს ესობა, როგორც ეკალი,
დამახსოვრებას ცდილობ სახის უცნობ ბინადრის,
არ გასურს პირიქით დაგიხსომოს იმ სხვამ, შემკრთალი.

ვიწრო ოთახში შამანივით ვტრიალებ ბორგვით
და შევეცდები მიღმიერთან გონებით შერწყმას -
სიცარიელის შემოეჭდოს რათა სულს მორგვი,
ის გაემხილოს, მარტოოდენ რაც იცის ღმერთმა.

17 აპრილი, 2021 წ.

Как давно я топчу, видно по каблuku

Как давно я топчу, видно по каблuku.
Паутинку тоже пальцем не снять с чела.
То и приятно в громком кукареку,
что звучит как вчера.

Но и черной мысли толком не закрепить,
как на лоб упавшую косо прядь.
И уже ничего не снится, чтоб меньше быть,
реже сбываться, не засорять

времени. Нищий квартал в окне
глаз мозолит, чтоб, в свой черед,
в лицо запомнить жильца, а не
как тот считает, наоборот.

И по комнате точно шаман кружа,
я наматываю, как клубок,
на себя пустоту ее, чтоб душа
знала что-то, что знает Бог.

5. ოთახში დარჩი, გარეთ გასვლა არ დააპირო

ოთახში დარჩი, გარეთ გასვლა არ დააპირო,
მზეზე რა გინდა, თუ ეწევი „შიპკა“ პაპიროსს?
კარს მიღმა აზრი არაფერს აქვს, თუა საჭირო,
მხოლოდ მცირე ხნით მიაშურე სათავენაპიროს!

ოთახში დარჩი, მანქანების გამომრიცხველი,
სივრცე წინკარით იწყება და ბოლოს მრიცხველით
სრულდება, ხოლო თუ შემოვა შენს საყუდელში
ტურფა - უყვირე და გააგდე ტანგაუხდელი.

ოთახში დარჩი, ჩათვალე რომ შეგხვდა ციება,
სკამზე, კედელზე ძვირფასია რამ საძიებლად?
რისთვის ღირს წასვლა ადგილიდან, სადაც ბინდბუნდში
კვლავ დაბრუნდები, მით უმეტეს - გადაბინტული?

ოთახში დარჩი, ბოსა-ნოვას ჰანგზე აცმუკდი,
ფეხზე ხამლით და შიშველ ტანზე პალტოჩაცმული,
მყრალი სუნი აქვს დერეფანში საცხს და გამაშებს,
იმდენი წერე, ერთი ასოც გადაამლაშებს.

ოთახში დარჩი, გარეგნობა შენი მიანდე,
ფარულ ერგო სუმს უნარჩუნებს ადამიანებს,
სანახაობა სუბსტანციის გამფლანგველია,
ჩაი გსურს გარეთ? ქუჩაბანდში საფრანგეთია?!

არ გასულელდე! მუდამ იყავ სხვისგან რჩეული,
გაერთე შენი საცხოვრისის ავეჯეულით,
კედელს შეერწყე, ჩაიკეტე ბარიკადებით
და ქრონოსს, ვირუსს, კოსმოსს, ეროსს ნუ მიაკვდები!

18 აპრილი, 2021 წ.

Не выходи из комнаты, не совершай ошибку...

Не выходи из комнаты, не совершай ошибку.
Зачем тебе Солнце, если ты куришь Шипку?
За дверью бессмысленно всё, особенно — возглас счастья.
Только в уборную — и сразу же возвращайся.

О, не выходи из комнаты, не вызывай мотора.
Потому что пространство сделано из коридора
и кончается счётчиком. А если войдёт живая
милка, пасть разевая, выгони не раздевая.

Не выходи из комнаты; считай, что тебя продуло.
Что интересней на свете стены и стула?
Зачем выходить оттуда, куда вернёшься вечером
таким же, каким ты был, тем более — изувеченным?

О, не выходи из комнаты. Танцуй, поймав, боссанову
в пальто на голое тело, в туфлях на босу ногу.
В прихожей пахнет капустой и мазью лыжной.
Ты написал много букв; ещё одна будет лишней.

Не выходи из комнаты. О, пускай только комната
догадывается, как ты выглядишь. И вообще инкогнито
эрго сум, как заметила форме в сердцах субстанция.
Не выходи из комнаты! На улице, чай, не Франция.

Не будь дураком! Будь тем, чем другие не были.
Не выходи из комнаты! То есть дай волю мебели,
слейся лицом с обоями. Запрись и забаррикадируйся
шкафом от хроноса, космоса, эроса, расы, вируса.

6. ურანიასადმი

ზღვარი აქვს ყოველს, სასრულია ქვეყნად ნაღველიც,
სარკმელს ეკვრება მზერა, როგორც ფოთლები როგვებს,
წყლის დასხმა ძალგამს და ჩხარუნი კარის საღების,
ადამიანი კვადრატშია - ეს სიმარტოვე.

ასე აქლემი რელსებს ყნოსავს კოპებშეკრული,
სიცარიელე გაიხსნება, ვით კარის ფარდა,
რა არის სივრცე - ნებისმიერ ფორმის, სხეულის
ყოველ წერტილში გამორიცხვის, არყოფნის გარდა?

ამად, კლიოზე ურანია არის ხნიერი,
დღისით, თუ ღამით - მოპარპალე ჭრაქების ალშიც,
არ დაგიმაღავს ოდნავადაც რამეს ციერის,
მის კეფას ხედავ, როცა გლობუსს მოძებნის თვალი.

აი ტყეები, გავსებული კენკრით, მოცვებით,
მდინარეები, სადაც ხელით იჭერენ ზუთხებს,
ქალაქი, სადაც საკუთარ თავს ვეღარ მოძებნი
ტელეფონების წიგნში. მერე - სამხრეთის კუთხე,

სადაც ზეგანი შეფერილა მუქი ყომრალით,
პრჟევალსკის ცხენი გადაირბენს ლელქაშებს, მინდვრებს,
სახე ყვითლდება და შევცქერი გემებს ორთქმავლის
და თეთრეულის მაქმანივით ცისფრდება სივრცე.

25 აპრილი, ბზობა, 2021 წ.

К Урании

И. К.

У всего есть предел: в том числе у печали.
Взгляд застревает в окне, точно лист — в ограде.
Можно налить воды. Позвенеть ключами.
Одиночество есть человек в квадрате.

Так дромадер нюхает, морщась, рельсы.
Пустота раздвигается, как портьера.
Да и что вообще есть пространство, если
не отсутствие в каждой точке тела?

Оттого-то Урания старше Клио.
Днем, и при свете слепых коптилок,
видишь: она ничего не скрыла,
и, глядя на глобус, глядишь в затылок.

Вон они, те леса, где полно черники,
реки, где ловят рукой белугу,
либо — город, в чьей телефонной книге
ты уже не числишься. Дальше, к югу,

то есть к юго-востоку, коричневеют горы,
бродят в осоке лошади-пржевали;
лица желтеют. А дальше — плывут линкоры,
и простор голубеет, как белье с кружевами.

1981 г.

7. ბოლოსიტყვაობა იგავისთვის

„თქვი, ებრაელო ჩიტუნავ - ყვავო,
რაში გჭირდება ყველის ნათალი?
მისი დავარდნით წამოიჩხავლო -
დამზრალი ტვერი ტანჯო ყრანტალით?“

„მას იფანს, ან ბზას ვერ შევადარებ,
მხოლოდ გაზრდაა ხეთა წადილი,
ყველის ნაჭერი მოჰგავს მცხრალ მთვარეს,
მის პროფილზე ვარ გულშევარდნილი!“

„ვარსკვლავთმრიცხველი უფრო ყოფილხარ,
ვიდრე მელიის მსხვერპლი არიფი,
თუ შევადარებთ მთვარის პროფილთან,
შენიც არაა ნაკლებ ნატიფი“.

„ქორწილი იყო ჩემი სანატრი,
სანამ მაცდუნა მელამ ამებით,
ჩემი პროფილის მსურდა ნამატი
ცრემლიან ყველზე - ლუსკუმ ღამეში“.

29 აპრილი, 2021 წ.

Послесловие к басне

" Еврейская птица ворона ,
зачем тебе сыра кусок?
Чтоб каркать во время урона,
терзая продрогший лесок?"

"Нет! Чуждый ольхе или вербе,
чье главное свойство -- длина,
сыр с месяцем схож на ущербе.
Я в профиль его влюблена".

"Точней, ты скорее астроном,
ворона, чем жертва лисы.
Но профиль, присущий воронам,
пожалуй не меньшей красы".

"Я просто мечтала о браке,
пока не столкнулась с лисой,
пытаясь помножить во мраке
свой профиль на сыр со слезой".

1993

8. ვემშვიდობები წაჩურჩულებით...

ვემშვიდობები წაჩურჩულებით
სამარადისოდ შენს საბინადროს,
ველარ შეაკრთობს ქალაქს სრულებით
ხმა ჩახშობილი.
ღმერთმა გიფაროს!
მოგელის კიბე, ქუჩა, წკვარამი...
გარეუბნების ნისლთა საზღვრები,
ლამპალთა სივრცე, მწუხრი მცვარავი;
ვერ გამოვდგები ზღუდედ სამზერის,
დამაბრკოლებლად სიტყვით მქარგავის.
დაისაკუთრებ ბოლო საფარველს
მორთულს ლარიქსით, ვარდით, ურთხელით,
შენ ვერ გალხენს და ვერც მე ამავსებს
უკაცრიელი არე კურთხევით.

1 მაისი, 2021 წ.

ლექსი ეძღვნება ანა ახმატოვას, იგი 1966 წელს მიიცვალა.

Вполголоса - конечно, не во весь...

Вполголоса - конечно, не во весь -
прощаюсь навсегда с твоим порогом.
Не шелохнется град, не встрепенется весь
от голоса приглушенного.
С Богом!
По лестнице, на улицу, во тьму...
Перед тобой - окраины в дыму,
простор болот, вечерняя прохлада.
Я не преграда взору твоему,
словам твоим печальным - не преграда.
И что он - отсюда не видать.
Пучки травы... и лиственниц убранство...
Тебе не в радость, мне не в благодать
безлюдное, доступное пространство.

1966 г.

9. ოდისევსი ტელემაქეს

ჩემო ტელემაქე, ტროას ომი უკვე დამთავრდა.
გამარჯვებულის თუმც არ მახსოვს ვის ერგო ხვედრი,
აღბათ ელინებს, ვინაიდან უღვთოდ დაფანტვა
სამშობლოს გარეთ მათ სჩვევიათ ამდენი ცხედრის.

შინისკენ ჩვენი გემი სწრაფად ველარ ვილოდა,
ველარ გვშველოდა ნაოსნობის ჩვეული ხერხი,
თითქოს გამწყრალმა, რისხვით სავსე პოსეიდონმა
სივრცე გაწელა ჯადოსნური სამკაპა კვერთხით.

არ ვიცი სად ვარ, თუმცა ცხადში განცდილს გიყვები,
რადაც კუნძული უნდა იყოს ბინძური, ნავსი:
კოლტის ტრუხუნით, შენობებით, ხშირი ჩირგვებით,
ველური ბალით და ვიღაცა დედოფლის მსგავსით,

ჩემო ტელემაქე, ლოდებია აქ, სარეველა...
ყველა კუნძული ერთმანეთს ჰგავს, როდესაც ხანგრძლივ
დახეტიალობ და გონებაც უკვე მერევა
ზღვისკენ ყურებით, უამრავი გადათვლილ ტალღით.

თვალი, ხერგილი ჰორიზონტით - ცრემლებს გადმოყრის
და ყურთასმენს წაიღებენ სხეულნი წყლების;
გადამავიწყდა შედეგები ჩვენი ნაომრის
და აღარ მახსოვს - შეგისრულდა რამდენი წელი.

ჩემო ტელემაქე, გაიზარდე ბრგე, გულგახსნილი,
კვლავ თუ შევხვდებით, ეს ღმერთებმა უწყიან კარგად,
ახლა აღარ ხარ ის უძლური, ტურფა ყმაწვილი,
რომლის წინაშეც დავიურვე მარტოკამ ხარგა.

რომ არა ხრიკი პალამედის - ჭკუამახვილის,
მანდ ვიცხოვრებდი, მაგრამ ეგებ ეს წასვლა ღირდა:
ოიდიპოსის ვნებათაგან შენ ხარ დახსნილი
და სიზმრებია შენი ახლა უმანკო, წმინდა.

3 მაისი, 2021 წ.

ტელემაქე - ტროას ომის გმირის - ოდისევსის შვილი.
პალამედი - ოდისევსმა თავი მოიგიჟიანა, რომ ტროას ომში არ
წასულიყო. ცბიერმა პალამედმა ოდისევსის ჩვილი ტელემაქე ხარებს
ხნულში ჩაუგდო. ოდისევსმა, როდესაც ხარებს შვილის გადაქელვა არ
დაანება, გაამჟღავნა თავისი ჭკუათმყოფლობა.

Одиссей Телемаку

Мой Телемак,
Троянская война
окончена. Кто победил — не помню.
Должно быть, греки: столько мертвецов
вне дома бросить могут только греки...

И все-таки ведущая домой
дорога оказалась слишком длинной,
как будто Посейдон, пока мы там
теряли время, растянул пространство.

Мне неизвестно, где я нахожусь,
что предо мной. Какой-то грязный остров,
кусты, постройки, хрюканье свиней,
заросший сад, какая-то царица,

трава да камни... Милый Телемак,
все острова похожи друг на друга,
когда так долго странствуешь; и мозг
уже сбивается, считая волны,

глаз, засоренный горизонтом, плачет,
и водяное мясо застит слух.
Не помню я, чем кончилась война,
и сколько лет тебе сейчас, не помню.

Расти большой, мой Телемак, расти.
Лишь боги знают, свидимся ли снова.
Ты и сейчас уже не тот младенец,
перед которым я сдержал быков.

Когда б не Паламед, мы жили вместе.
Но может быть и прав он: без меня
ты от страстей Эдиповых избавлен,
и сны твои, мой Телемак, безгрешны.

10. ჭკუიდან კი არ შევიშლები, ზაფხული დამდღის...

ჭკუიდან კი არ შევიშლები, ზაფხული დამდღის,
კომოდში პერანგს დამებნი და კარგავ შუადღეს.
სწრაფად მოვიდეს ზამთარი და დაფაროს ხალხი,
ეს ქალაქები, სიმწვანე კი - მათზე უადრეს.

ტანგაუხდელი მივწვები და უცნობ წიგნს გავშლი,
კითხვას შუიდან დავიწყებ და დროს ასე განვლევ,
მსგავსად ბრმისაგან გაქცეული გაწვრთნილი ძაღლის -
გზას რომ გადაჭრის, თუ ინთება შუქნიშნის მწვანე.

თავისუფლდები - როცა აღარ გახსოვს სახელი
ტირანის მამის და ჰალვაზე ტკბილია - ნერწყვი;
გადაგრეხილი ტვინი თუმც ჰგავს ვერძის რქაგრებილს,
ცისფერი თვალი არ ცრემლდება და აღარ მეწვის.

5 მაისი, 2021 წ.

Я не то что схожу с ума, но устал за лето...

Я не то что схожу с ума, но устал за лето.
За рубашкой в комод полезешь, и день потеряян.
Поскорей бы, что ли, пришла зима и занесла всё это —
города, человеков, но для начала зелень.

Стану спать не раздевшись или читать с любого
места чужую книгу, покамест остатки года,
как собака, сбежавшая от слепого,
переходят в положенном месте асфальт.

Свобода —
это когда забываешь отчество у тирана,
а слюна во рту слаще халвы Шираза,
и, хотя твой мозг перекручен, как рог барана,
ничего не каплет из голубого глаза.

1976 г.

11. რომაული ელეგები - I

ბენედეტა კრავერის

I

დატყვევებული მაკაგონი ბინაში რომის,
ჭერქვეშ - მტვრიანი ბროლის ჭალი მოჩანს კუნძულად,
ჩამავალ მზის ჟამს იმ თევზს მოჰგავს შტორები, რომლის
ქერცლი და ფხები ერთმანეთში გადაბურდულა.

შიშველი ფეხით მარმარილოს ფიცრებს გავივლი,
ერთი ნაბიჯიც მომავლისკენ - მოცმა ხალენის,
თქვი „გახევდი“ და გავხევდები შენი ძახილით,
ვით ამ ქალაქმა ეს ყრმობისას შეძლო დალხენით.

სიშიშვლეა და ნაოჭები სამყაროს ხიბლი,
იქ დავინახავთ სახეებზე მეტ ტრფიალებას,
ვით ტენორია ოპერაში ძვირფასი, ტკბილი,
რადგან კულისებს მიღმა მუდამ მიიმალება.

შევყურებ ღამეს, ვარსკვლავებით ცარგვლის მოჭედვას,
ცრემლიან გუგის ლურჯი ბროლი დაიწყებს ციგლივს,
თავებში მთვარე ემსგავსება დაცლილ მოედანს:
უშადრევნოს, თუმც ნაქანდაკევს იმავე ფიქლით.

7 მაისი, 2021 წ.

Римские элегии

Бенедетте Кравиери

I

Пленное красное дерево частной квартиры в Риме.
Под потолком — пыльный хрустальный остров.
Жалюзи в час заката подобны рыбе,
перепутавшей чешую и остов.

Ставя босую ногу на красный мрамор,
тело делает шаг в будущее — одеться.
Крикни сейчас «замри» — я бы тотчас замер,
как этот город сделал от счастья в детстве.

Мир состоит из наготы и складок.
В этих последних больше любви, чем в лицах.
Как и тенор в опере тем и сладок,
что исчезает навек в кулисах.

На ночь глядя, синий зрачок полощет
свой хрусталик слезой, доводя его до сверканья.
И луна в головах, точно пустая площадь:
без фонтана. Но из того же камня.

12. რომაული ელეგები - II

ბენედეტა კრავერის

II

თვე გახევებულ ქანქარების (ამ თვის სიცხეში
მხოლოდ ბუზია მშრალ გრაფინის ყელში ფეხსწრაფი).
ჯვარედინდება ციფერბლატზე ისე რიცხვები,
პროჟექტორებით დაეძებენ თითქოს სერაფიმს.

ავვისტოს თვეში აფარებენ ავეჯს ჩარსავებს,
ფანჯრებს - მუქ ფარდებს და სარკეში ხედავ ოფლიან
ორეულს, ხოლო ფუტკრები კი სკის გეზს კარგავენ,
ზღვისკენ მიქრიან და ნექტარში ჩაეფლობიან.

თეთრ, დუნე კუნთებს გადაევლე ჭავლო მთრთოლვარევ,
წაეთამაშე ძენძს შერუჯულს - ჩემს თმას შევერცხლილს;
მიუსაფარ ტანს და ფოცხივით ხელებს - მცონარეთ,
ყველაზე მეტად ნანგრევების ხედი შეშვენით.

თუ ებრაელი გამართულ „რ“-ს თქმას ვერ ახერხებს -
თავის თავს ცნობენ; შენ შეჰყურებ ჟამით გათქერილს
და გაამთელე ნერწყვის ხსნარით ქვათა ნამსხვრევებს,
დრო ბარბაროსის თვალით ვიდრე ფორუმს გასცქერის.

10 მაისი, 2021 წ.

Римские элегии

Бенедетте Кравиери

II

Месяц замерших маятников (в августе расторопна
только муха в гортани высохшего графина).
Цифры на циферблатах скрещиваются, подобно
прожекторам ПВО в поисках серафима.

Месяц спущенных штор и зачехленных стульев,
потного двойника в зеркале над комодом,
пчел, позабывших расположение ульев
и улетевших к морю покрыться медом.

Хлопчи же, струя, над белоснежной, дряблой
мышцей, играй куделью седых подпалин.
Для бездомного торса и праздных граблей
ничего нет ближе, чем вид развалин.

Да и они в ломаном «р» еврея
узнают себя тоже; только слюнным раствором
и скрепляешь осколки, покамест Время
варварским взглядом обводит форум.

13. რომაული ელეგები - III

ბენედეტა კრავერის

III

აღმური ასდის გაცხელებულ კრამიტს ბეჭების.
ანგელოზს მოჰგავს ჩრდილისმფენი თეთრი ღრუბელი.
გრძელფეხა სატრფოს ცისფერ საცვლებს ჟინით შესცქერის
სვებედნიერი ქვაფენილი. თავმოუბმელი,

ვუმდერ ფუჰ აზრებს, ტეხილ წირებს; ავერიდები
მარადიული ძველ ქალაქის მნათობს თაკარას,
კეისართ დამსჯელს სიბრძავით და გაბედიტებით
(ერთ სამყაროსაც გაათბობდა შუქით აშკარად).

გაყვითლებული მოედანი. თავბრუ, ზმორება.
„ვესპას“ მფლობელის მტანჯველი ხმა და სიმძიმით
გულთან ხელს ვიდებ, გადავხედავ განვლილ ცხოვრებას
შორიახლოდან და მორჩენილ ხურდას მივითვლი.

მსგავსად ერთბამად გადაშლილი წიგნის ფურცლების,
დაფნა შრიალებს რიკულებთან, სუნს ჰფენს საცხოვარს,
კოლიზეუმში, ვით არგუსის თვალთა ღრმულებში
ქრიან ღრუბლები - ოდინდელი ფარის სახსოვრად.

12 მაისი, ანდრიაობა, 2021 წ.

„ვესპა“ - იტალიური წარმოების სკუტერის სახელი,
ფილმში „რომაული არდადეგები“ - მთავარი გმირები ქალაქის ქუჩებში
ამ სკუტერით მგზავრობენ.
არგუსი - მრავალთვალა გოლიათი.

Римские элегии

Бенедетте Кравиери

III

Черепица холмов, раскаленная летним полднем.
Облака вроде ангелов — в силу летучей тени.
Так счастливый булыжник грешит с голубым исподним
длинноногой подруги. Я, певец дребедени,

лишних мыслей, ломаных линий, прячусь
в недрах вечного города от светила,
навязавшего цезарям их незрячесть
(этих лучей за глаза б хватило

на вторую вселенную). Желтая площадь; одурь
полдня. Владелец «веспы» мучает передачу.
Я, хватаясь рукою за грудь, поодаль
считаю с прожитой жизни сдачу.

И как книга, раскрытая сразу на всех страницах,
лавр шелестит на выжженной балюстраде.
И Колизей — точно череп Аргуса, в чьих глазницах
облака проплывают как память о бывшем стаде.

[↑](#) თავში

[↑](#) ავტორის დასაწყისი



ათანასე ფეტო – Афанасий Фет
(1820-1892)

[↑](#) თავში

1. სიკვდილი

„სიცოცხლე მნებავს! - გაიძახის კადნიერებით -
იყოს ტყუილი! დაე, იყოს თუნდაც ზმანება!“
აზრზეც არაა, ყინულია წამიერების,
მისი ფენის ქვეშ - ბობოქარი ოკეანეა.

სად გადვიხვეწო? ვით შევიცნო ყალბი, ნამდვილი?
წუთისოფელში სად მოვნახო მტკიცე საყრდენი? -
ყველა ღიმილი, გაფურჩქნილი ყველა ყვავილი
თუკი სიკვდილით დალდასმულა, ქრება წახდენით.

თუ აირჩიეს მესვეურად ბრმა მათხოვრებმა
თვალეზდავსილი, ვერ გაიგნებს გზას წინამძღვარი;
ღვთის მყვირალ ბაზარს თუ შევადრით ქვეყნად ცხოვრებას,
მაშ, სიკვდილია საუკუნო მისი ტამარი!

30 მაისი, 2021 წ.

СМЕРТЬ

"Я жить хочу! - кричит он, дерзновенный. -
Пускай обман! О, дайте мне обман!"
И в мыслях нет, что это лед мгновенный,
А там, под ним, - бездонный океан.

Бежать? Куда? Где правда, где ошибка?
Опора где, чтоб руки к ней простерть?
Что ни расцвет живой, что ни улыбка, -
Уже под ними торжествует смерть.

Слепцы напрасно ищут, где дорога,
Доверясь чувств слепым поводьям;
Но если жизнь - базар крикливый бога,
То только смерть - его бессмертный храм.

1878

2. გაზაფხულის წვიმა

ჯერაც დღეა სარკმლის იქით,
ღრუბლებს შორის მზე კაშკაშებს,
ვაცქერდები ჭივჭავს - ქვიშით
ფრთამოგანგლულს, მოთამაშეს.

ვუმზერ ციდან ჩამოშვერილ
მოლივლივე მოძრავ რიდეს,
ფერავს ოქროსფერი მტვერი
მინდორ-ველებს და ტყის კიდეს.

შუმას წვეთი მიესხურა,
თაფლის სურნელს მოჰფენს ცაცხვი,
ნებავს ბადის ციურ სტუმარს
ნორჩ ფოთოლთა წუწვა თავსხმით.

1 ივნისი, ნინოზა, 2021 წ.

Весенний дождь

Еще светло перед окном,
В разрывы облак солнце блещет,
И воробей своим крылом,
В песке купаяся, трепещет.

А уж от неба до земли,
Качаясь, движется завеса,
И будто в золотой пыли
Стоит за ней опушка леса.

Две капли брызнули в стекло,
От лип душистым медом тянет,
И что-то к саду подошло,
По свежим листьям барабанит.

1840

3. ავე მარია

ავე მარია - ბაზმაა წყნარი,
გულში მომწიფდა ეს ოთხი პწკარი:

წმინდა ქალწულო, დედავ მაშვრალთა,
შენმა კურთხევამ სული გამსჭვალა.
გთხოვ არ ეჩვენო სხივმომფინარი,
გამოეცხადე მას წყნარ სიზმარში!

ავე მარია - ბაზმაა წყნარი,
წავიხურჩულე ოთხივე პწკარი.

2 ივნისი, 2021 წ.

ავე მარია! (ლათ.) - გიხაროდენ, მარიამ!

Ave Maria

Ave Maria - лампада тиха,
В сердце готовы четыре стиха:

Чистая дева, скорбящего мать,
Душу проникла твоя благодать.
Неба царица, не в блеске лучей,
В тихом предстань сновидении ей!

Ave Maria - лампада тиха,
Я прошептал все четыре стиха.

* Привет тебе, Мария! (Лат.)

1842

4. რა ღამეა, რა კამკამა ჰაერი!

რა ღამეა, რა კამკამა ჰაერი!

სძინავს ფოთოლს ვერცხლისფერად დაფერილს,
ძეწნის ჩრდილი შავია და პირქუში,
მშვიდ ყურეს კი დასცემია ძილქუში,

გარეშემო ტალღის ხმაა მიმწყდარი,
მკერდი რარიგ ავსებულა სიწყნარით!
ღამის შუქო, ცხად დღეს სჭარბობ ნათების
სისპეტაკით და სიმუქით ლანდების.

ნატიფია სურნელება ჯეჯილის,
ნათელია გონი, ქცევა - კეთილი
და თუნდ გულმკერდს ჟინის მოკვლა აღუთქვან,
ურჩევნია ამ ჰაერის ჩასუნთქვა!

4 ივნისი, 2021 წ.

Какая ночь! Как воздух чист

Какая ночь! Как воздух чист,
Как серебристый дремлет лист,
Как тень черна прибрежных ив,
Как безмятежно спит залив,

Как не вздохнет нигде волна,
Как тишиною грудь полна!
Полночный свет, ты тот же день:
Белей лишь блеск, чернее тень,

Лишь тоньше запах сочных трав,
Лишь ум светлей, мирнее нрав,
Да вместо страсти хочет грудь
Вот этим воздухом вздохнуть

1857

5. დაუნდობარ ბრბოს, მბრწყინავ ნათურებს

დაუნდობარ ბრბოს, მბრწყინავ ნათურებს
ორივემ თავი გამოვარიდეთ,
ჩრდილში მესამეც დაისადგურებს,
ღამე - მიჯნურთა საქმის გამრიგე.

ფანცქალებს გული და ნეტარების
მიძღვნის და მირქმის ჟინი აღავსებს,
კაცის თვალს სადმე მოვეფარებით,
ვერას ვუმაღავთ თუმცა ვარსკვლავებს.

ჭკრეტს შუაღამე ვერცხლით ქარგული
მიღმა ფოშფოშის მჭკირვალ ფარდაგის,
რაც არის წმინდა, მარადჟამული,
მისივე გარჯით ნაწვავ-ნადაგი.

9 ივნისი, 2021 წ.

От огней, от толпы беспощадной

От огней, от толпы беспощадной
Незаметно бежали мы прочь;
Лишь вдвоем мы в тени здесь прохладной,
Третья с нами лазурная ночь.

Сердце робкое бьется тревожно,
Жаждет счастье и дать и хранить;
От людей утаиться возможно,
Но от звезд ничего не сокрыть.

И безмолвна, кротка, серебриста,
Эта полночь за дымкой сквозной
Видит только что вечно и чисто,
Что навеяно ею самой.

7 февраля 1889

6. გაზაფხულის მთვარე გამოცურდა ჯანღში

გაზაფხულის მთვარე
გამოცურდა ჯანღში,
ასდით ხეხილნარებს
სუნი ბლის და ვაშლის.
გკოცნის, გეკონება,
კადნიერად, მალვით.
ვერ გრძნობ შეღონებას?
არ წუხდები ნაღვლით?

სტვენს ბულბული გლოვით,
ნატრობს ვარდის სურნელს,
მომტირალი ლოდი
ტბორში აფრქვევს კურცხლებს.
ჩამოგშლია მხრებთან
დაწნული თმის ჭავლი.
არაფერი გთენთავს?
არ გადგია ჭვალი?

11 ივნისი, 2021 წ.

В дымке-невидимке

В дымке-невидимке
Выплыл месяц вешний,
Цвет садовый дышит
Яблонью, черешней.
Так и льнет, целуя
Тайно и нескромно.
И тебе не грустно?
И тебе не томно?

Истерзался песней
Соловей без розы.
Плачет старый камень,
В пруд роняя слезы.
Уронила косы
Голова невольно.
И тебе не томно?
И тебе не больно?

1873

7. ჩინარი

გულგასენილი მივაპყრობ მზერას
მდუმარე ბაღთა ტანშიშველ ნარგავთ,
ბოლო ფოთოლი განიცდის ზერგნას,
გაცისკრებული ბოლო დღე ჩაქრა.

ჩინარო, ველად მხოლოდ შენ დარჩი
აჭრელებული ფარჩით მოსილი,
წამიჩურჩულებ ფოთლების ჯარით
წარსულ ზაფხულზე, როგორც ძმობილი

და შემოდგომის პირქუში ავდრით
ამოვარდნილი ცივი ქარშეთით,
შენ ცადაზიდულს რტომრავალ ვარჯით,
გაგახსენდება თბილი სამხრეთი.

13 ივნისი, 2021 წ.

Тополь

Сады молчат. Унылыми глазами
С унынием в душе гляжу вокруг;
Последний лист размётан под ногами.
Последний лучезарный день потух.

Лишь ты один над мёртвыми степями
Таишь, мой тополь, смертный свой недуг
И, трепеща по-прежнему листьями,
О вешних днях лепечешь мне как друг.

Пускай мрачней, мрачнее дни за днями
И осени тлетворный веет дух;
С подъятыми ты к небесам ветвями
Стоишь один и помнишь тёплый юг.

1859

8. მცირე ჩქამი განაბულის

მცირე ჩქამი განაბულის,
იადონის ტრელი
და მთვლემარე ნაკადულის
მოლივლივე ვერცხლი.

ღამის შუქი და ლანდები
მრუმის მონაჩმახი,
ჯადოსნური გარდაქმნები
საყვარელი სახის.

ღრუბლის ფთილა - მეწამული,
ქარვის ათინათი,
ცრემლის თხევა და ლამუნი,
აგერ, განთიადიც!

16 ივნისი, 2021 წ.

Шепот, робкое дыханье

Шёпот, робкое дыханье,
Трели соловья,
Серебро и колыханье
Сонного ручья,

Свет ночной, ночные тени,
Тени без конца,
Ряд волшебных изменений
Милого лица,

В дымных тучках пурпур розы,
Отблеск янтаря,
И лобзания, и слёзы,
И заря, заря!..

1850

9. მაისის ღამე

უკანასკნელი ღრუბლის არვე
შემორჩა ტატნობს,
მჭვირვალე ფთილებს მცხრალი მთვარე
მახლობლად ადნობს.

შუბლს გაზაფხულის - საფარველი
ვარსკვლავთა შვენის,
ბედნიერება სანატრელი
აღმითქვი ქვეყნის.

დანაპირები არ ჩანს შვება
- გაქრა ნისლივით,
ხამს მარადისში ადევნება
ციურ ბილიკით!

18 ივნისი, 2021 წ.

Майская ночь

Отсталых туч над нами пролетает
Последняя толпа.
Прозрачный их отрезок мягко тает
У лунного серпа.

Царит весны таинственная сила
С звездами на челе. —
Ты, нежная! Ты счастье мне сулила
На суетной земле.

А счастье где? Не здесь, в среде убогой,
А вон оно — как дым.
За ним! за ним! воздушною дорогой —
И в вечность улетим!

1870

10. ისევ მაისის ღამე

ო, რა ღამეა სიხარულის და ნეტარების!
ჩემო სამშობლოვ, სამადლობელს გეტყვი ამისთვის!
სამფლობელოდან ყინულების, თოვლის, ნამქრების,
გამოფრენილა ფრთაქათათა წმინდა მაისი!

ო, რა ღამეა! მოჩახჩახე ყველა ვარსკვლავი
სულში ჩაგცქერის, მის წიაღში აელვარდება,
სტვენს იადონი ხმატკბილი და დაულალავი,
მოეფინება არეს ტრფობა და მღელვარება.

ნახევრადმჭვირვალ ფოთოლნარით მხმობი არყნარი
მზერას ატკობს და ევლინება შვებად გუნებას,
ცახცახებს, თითქოს მორთულობა მსგავსად პატარძლის
თან ახარებს და ერთდროულად, ეხამუშება.

ღამევ, ამაზე ფაქიზი და არმიწიერი,
შენ არ ყოფილხარ, არც ასეთი ამო მთანგველი!
კვლავ შენთან მოვალ, უნებლიე მოძღვნილ სიმღერით,
ვინ იცის, ეგებ ეს აღმოჩნდეს უკანასკნელი!

19 ივნისი, 2021 წ.

Еще майская ночь

Какая ночь! На всём какая нега!
Благодарю, родной полночный край!
Из царства льдов, из царства вьюг и снега
Как свеж и чист твой вылетает май!

Какая ночь! Все звезды до единой
Тепло и кротко в душу смотрят вновь,
И в воздухе за песнью соловьиной
Разносится тревога и любовь.

Березы ждут. Их лист полупрозрачный
Застенчиво манит и тешит взор.
Они дрожат. Так дева новобрачной
И радостен и чужд ее убор.

Нет, никогда нежней и бестелестней
Твой лик, о ночь, не мог меня томить!
Опять к тебе иду с невольной песней,
Невольной — и последней, может быть.

1857 г.

11. მე მოვედი შენთან საღმით

მე მოვედი შენთან საღმით,
რათა გამცნო მზის ამოსვლა,
გითხრა, მნათის სხივთა ალი
ნორჩ ფოთლებზე ვით ათრთოლდა,

მდელი რარიგ მოიჩითა,
აყვავილდნენ ტყენარგები
და აღივსო არე ჩიტთა
გაზაფხულის მჩქეფარებით,

რომ არ არის მინავლული
ჩემში გზნება სათანადო,
ისევ მზად ვარ სიყვარულის
სამსახუროდ, სათაყვანოდ,

გითხრა, შენით ბედნიერი
ვგრძნობ - ადრეა შებინდება
და მღერა მსურს იმ სიმღერის,
გულში ჯერაც რომ მწიფდება.

22 ივნისი, 2021 წ.

Я пришел к тебе с приветом

Я пришел к тебе с приветом,
Рассказать, что солнце встало,
Что оно горячим светом
По листам затрепетало;

Рассказать, что лес проснулся,
Весь проснулся, веткой каждой,
Каждой птицей встрепенулся
И весенней полон жаждой;


Рассказать, что с той же страстью,
Как вчера, пришел я снова,
Что душа все так же счастью
И тебе служить готова;

Рассказать, что отовсюду
На меня весельем веет,
Что не знаю сам, что буду
Петь - но только песня зреет.

1843

[↑](#) თავში

[↑](#) ავტორის დასაწყისი



თედორე ტიუტჩევი –Фёдор Тютчев
(1803-1873)

[↑](#) თავში

1. Silentium*

ნურაფერს იტყვი, არ გათქვას ენამ
შენი გრძნობები და აღმაფრენა, -
სულის სიღრმეში აღიდრან მხოლოდ,
მის უფსკრულებში ჩასვენდნენ ბოლოს
ჩუმად, ღამეში ვარსკვლავთა დარად -
დატკბი, გაყუჩდი, კრინტი არ დაძრა!

კარგია, თუკი განდობას უფრთხი,
გაიზიარებს სხვა შენს დარდს, წუხილს?
სწორად გაიგებს გამხელილ ზრახვას?
ნათქვამი ფიქრი იქცევა ჩმახვად;
წყაროს აამღვრევ როყო სიტყვით,
მხოლოდ იხმიე - არ დაძრა კრინტი!

საკუთარ თავთან მწირივით დარჩი,
სულში ეძიე სამყაროს არსი
იდუმალი და მისნური აზრით;
თორემ აყრუებს გნასი ზარიფს,
ფანტავს მზის სხივი შერყვნილს და ნაძრახს, -
ყური დაუგდე - კრინტი არ დაძრა!..

24 ივნისი, 2021 წ.

* Silentium - მდუმარება (ლათ.)

Silentium!

Молчи, скрывайся и таи
И чувства и мечты свои –
Пусть в душевной глубине
Встают и заходят оне
Безмолвно, как звезды в ночи, –
Любуясь ими – и молчи.

Как сердцу высказать себя?
Другому как понять тебя?
Поймет ли он, чем ты живешь?
Мысль изреченная есть ложь.
Взрывая, возмутишь ключи, –
Питайся ими – и молчи.

Лишь жить в себе самом умей –
Есть целый мир в душе твоей
Таинственно-волшебных дум;
Их оглушит наружный шум,
Дневные разгонят лучи, –
Внимай их пенью – и молчи!..

1829-30

Silentium - Молчание (лат.)

2. გაზაფხულის ელჭექი

ჭექა-ქუხილი მიყვარს მაისის,
საგაზაფხულო გადამახილით,
როცა თამაშით ის მეხს გაისვრის
და ცას ანათებს ელვის კლაკნილი.

გრუხუნებს მეხი მგვრგვინავ ჰანგებით,
წამოვა თავსხმა, მიფრინავს ბდღვირი,
ეკიდებიან წვიმის მანგები,
მოაოქროვებს მზე ძაფებს სირმით.

მთიდან წყლის ღვარი ჩამორბის ჩქარი,
ულრანში ჩიტთა სტვენა გაისმის,
ტყის ღრიანცელი, მაღლობის ჩქამი
ეხმიანება ელჭექს ხალისით.

შენ კი დაასკვნი: ჰებემ ცანცარამ
ზევისის მძლავრ არწივს მსხვერპლი მიჰგვარა,
მდულარე თასი მეხთა დაცალა
და არემარე მორწყო მცინარმა.

27 ივნისი 2021 წ.

ჰებე (ძვ. ბერძნ. Ἥβη) — მარადიული სიჭაბუკის ქალღმერთი.

Весенняя гроза

Люблю грозу в начале мая,
Когда весенний, первый гром,
как бы резвяся и играя,
Грохочет в небе голубом.

Гремят раскаты молодые,
Вот дождик брызнул, пыль летит,
Повисли перлы дождевые,
И солнце нити золотит.

С горы бежит поток проворный,
В лесу не молкнет птичий гам,
И гам лесной и шум нагорный -
Все вторит весело громам.

Ты скажешь: ветреная Геба,
Кормя Зевесова орла,
Громокипящий кубок с неба,
Смеясь, на землю пролила.

<1828>, начало 1850-х годов

3. უკანასკნელი სიყვარული

როცა ვბერდებით, რა მალაღია
სიყვარული, თან მიამიტური...
გამოთხოვების შუქით აღისფრად
ბრწყინავდეს ბოლო ტრფობის მიმწუხრი!

ჩრდილმა მოიცვა მთელი ცარგვალი,
სინათლე ბჟუტავს დასალიერში,
სადამოხანო, ოდნავ გაჯანჯლდი,
მოჯადოებავ, გახანიერდი!

თუმც სისხლის ჩქროლა გახდა საძნელო,
არ ეკარება გულს უხეშობა...
ო, სიყვარულო უკანასკნელო,
შენ ხარ განცხრომაც, უნუგეშობაც!

30 ივნისი, 2021 წ.

ПОСЛЕДНЯЯ ЛЮБОВЬ

О, как на склоне наших лет
Нежней мы любим и суеверней...
Сияй, сияй, прощальный свет
Любви последней, зари вечерней!

Полнеба обхватила тень,
Лишь там, на западе, бродит сиянье,
Помедли, помедли, вечерний день,
Продлись, продлись, очарованье.

Пускай скудеет в жилах кровь,
Но в сердце не скудеет нежность...
О ты, последняя любовь!
Ты и блаженство, и безнадежность.

Между серединой 1851 и началом 1854

4. ო, ეს სამხრეთი, ოი, ეს ნიცა!..

ო, ეს სამხრეთი, ოი, ეს ნიცა!..
ეს ბრწყინვალეობა რარიგ მადონებს!
სიცოცხლე მოჰგავს დაკოდილ ციცარს,
ადგომას ლამობს, თუმც არ აქვს ღონე ...

ვერც ფრენას შეძლებს, ვერც ფრთების ფართხუნს -
გადამსხვრეული ჰკიდია ფრთები,
აუვარდება მიწაზე განრთხმულს
ცახცახი ტანჯვით და უძღურებით.

30 ივნისი, 2021 წ.

О, этот Юг, о, эта Ницца!..

О, этот Юг, о, эта Ницца!..
О, как их блеск меня тревожит!
Жизнь, как подстреленная птица,
Подняться хочет – и не может...

Нет ни полета, ни размаху –
Висят поломанные крылья,
И вся она, прижавшись к праху,
Дрожит от боли и бессилья...

21 ноября 1864

5. ვერვინ ჩაწვდება გამჭრიახობით...

ვერვინ ჩაწვდება გამჭრიახობით,
ან შეფასებას შემღებს ბუნების,
სულ სხვაგვარია მისი რაობით -
რუსეთს მარტოდენ თუ ერწმუნები!

2 ივლისი, 2021 წ.

Умом Россию не понять...

Умом Россию не понять,
Аршином общим не измерить:
У ней особенная статья –
В Россию можно только верить.

28 ноября 1866

6. ბუსნოდან ცაში აიჭრა ძერა

ბუსნოდან ცაში აიჭრა ძერა,
მაღლა და მაღლა ლაჟვარდებს სერავს,
სწრაფად მცირდება მისი სიდიდე
და აი, გასცდა უკვე ცისკიდეს.

დედაბუნებამ უძღვნა ქამალი
ცაში აფრენის, შექმნა ფრთამალი,
მე კი ლიხნარში ჩამომდის ხვართქლი,
მიწის მეუფეს, თიხნარში ჩაზრდილს!

3 ივლისი, 2021 წ.

С поляны коршун поднялся

С поляны коршун поднялся,
Высоко к небу он взвился;
Всё выше, дале вьётся он
И вот ушёл за небосклон.

Природа-мать ему дала
Два мощных, два живых крыла –
А я здесь в поте и в пыли,
Я, царь земли, прирос к земле!..

1835 г.

7. თუმცა ბარში მაქვს თავშესაფარი

თუმცა ბარში მაქვს თავშესაფარი,
ჰაერის ჭავლი ცხოველმყოფელი,
ჩემამდეც აღწევს, როცა ნავარდით
ძირს დაეშვება მთებზე მქროლელი, -
მაშინ სქელ შრეებს რარიგ გაურბის
მკერდი, ნატრული ციურ ბაღების,
სულშემხუთავი აურზაურის
წუთისოფელზე ხელის ამღები!

მოჩანს მასივი უზარმაზარი,
საათობით ვარ მისი მცქერალი,
ო, რა სიგრილის და რა ნაცვარის
ჩამომტანია მქუხარ ჩქერალით!
შეუმწიკველი თოვლი უბრწყინავს,
როცა მზის სხივი გაანარინჯებს,
მის მწვერვალებზე ხშირად უჩინრად
ანგელოზები დგამენ ნაბიჯებს.

4 ივლისი, 2021 წ.

Хоть я и свил гнездо в долине...

Хоть я и свил гнездо в долине,
Но чувствую порой и я,
Как животворно на вершине
Бежит воздушная струя, –
Как рвется из густого слоя,
Как жаждет горних наша грудь,
Как всё удушливо-земное
Она хотела б оттолкнуть!

На недоступные громады
Смотрю по целым я часам, –
Какие росы и прохлады
Оттуда с шумом льются к нам!
Вдруг просветлеют огнецветно
Их непорочные снега:
По ним проходит незаметно
Небесных ангелов нога...

Октябрь 1860

8. ერიდე განსჯას და საფიქრალეზს!

ერიდე განსჯას და საფიქრალეზს!
სიგიჟე ეძებს, სირეგვნე ბრალს სდებს,
დღის იარები ძილით იწამლე
და ხვალინდელი მიანდე ხვალეს!

გადაიტანე თმენის უნარით:
სიხარული და თავზარი, ქუფვრა,
რაა სანატრი? ან საზრუნავი? -
დღე გასრულდა და დიდება უფალს!

09.07.2021 წ.

Не рассуждай, не хлопочи!..

Не рассуждай, не хлопочи!..
Безумство ищет, глупость судит;
Дневные раны сном лечи,
А завтра быть чему, то будет.

Живя, умей всё пережить:
Печаль, и радость, и тревогу.
Чего желать? О чём тужить?
День пережит – и слава Богу!

Июль 1850 г.

9. წმინდა ღამე

წმინდა ღამემ დაიკავა ცარგვალი,
დღე გასრულდა საამური, დიადი
დაგრაგნილი ოქროსფერი ჩარსავით
და უფსკრულებს წაეფარა წყვედიადი.

გამქრალ ხილვად გადაიქცა ცამყარი...
დაემსგავსა კაცი ობოლ ამბოკარს
და წარუდგა შიშველი და საპყარი
თავზარდამცემ უკუნ წკვარამს მარტოკა

და საკუთარ თავთან მარტო დაშთენილს,
გონწართმეულს, დაუობლდა აზრები,
ვერ უნახავს სულის ფსკრამდე ჩაწვდენილს
დასაყრდენი გარეთ, არ ჩანს საზღვრებიც...

განვლილ სიზმარს მოჰგავს მონაჩმახური
მჩქეფარება სიცოცხლის და ღრეობა...
მისთვის უცხო, ამოუცნობ ღამურში,
წინაპრების იცნობს მემკვიდრეობას.

11 ივლისი, 2021 წ.

Святая ночь

Святая ночь на небосклон вошла,
И день отрадней, день любезней,
Как золотой покров, она свила,
Покров, накинутый над бездной.

И, как виденье, внешний мир ушел...
И человек, как сирота бездомный,
Стоит теперь и немощен и гол,
Лицом к лицу пред пропастию темной.

На самого себя покинут он –
Упразднен ум, и мысль осиротела –
В душе своей, как в бездне, погружен,
И нет извне опоры, ни предела...

И чудится давно минувшим сном
Ему теперь всё светлое, живое...
И в чуждом, неразгаданном ночном
Он узнает наследье родовое.

Между 1848 и мартом 1850

10. ჩვენი ნათქვამის შედეგს ვერ გავთვლით

ჩვენი ნათქვამის შედეგს ვერ გავთვლით,
ვერ გამოვიცნობთ წინმსწრებ განხილვით
და თანაგრძნობის გამოძახილი
გვეძლევა, როგორც - ზეგარდმო მაღლი...

II ვარიანტი

ჩვენი ნათქვამის შედეგს ვერასდროს
ვერ გამოვიცნობთ წინმსწრებ განხილვით
და თანაგრძნობის გამოძახილი
გვეძლევა, როგორც - მაღლი ზეგარდმო...

13 ივლისი, ყოველთა მოციქულთა ხს. დღე, 2021 წ.

Нам не дано предугадать

Нам не дано предугадать,
Как наше слово отзовется, –
И нам сочувствие дается,
Как нам дается благодать...

27 февраля 1869 г.

11. დილა მთებში

ილიმის ციური ლაჟვარდი,
ნაბანი ღამეულ მსთვადით,
მთებს შორის ჩაწნულა ნაცვარი
ხეობა, ვით ზოლი მნათი.

არმური მწვერვალებს დანისლულ
ნაბადში წელამდე გახვევს,
ამსგავსებს ჰაერში დაკიდულ
ჯადოსნურ პალატთა ნამსხვრევთ.

14 ივლისი, 2021 წ.

УТРО В ГОРАХ

Лазурь небесная смеётся,
Ночной омытая грозой,
И между гор росисто вьётся
Долина светлой полосой.

Лишь высших гор до половины
Туманы покрывают скат,
Как бы воздушные руины
Волшебством созданных палат.

(Вторая половина 1820-х гг.)

12. თავსატეხი

მთიდან დაგორებული ველზე გდია ქვალოდი,
რანაირად დაეცა? არვინ იცის ამ დრომდის -
ჩამოსცილდა მთის მწვერვალს საკუთარი განზრახვით,
თუ დაემხო ზემოდან სხვისი ნების კარნახით?
საუკუნე მრავალი მიდის - მიედინება,
მაგრამ ვერვინ გადაჭრა ჯერხანობით დილემა.

16 ივლისი, 2021 წ.

Problème

С горы, скатившись, камень лег в долине.
Как он упал? никто не знает ныне –
Сорвался ль он с вершины сам собой,
Иль был низринут волею чужой?
Столетье за столетьем пронеслося:
Никто еще не разрешил вопроса.

15 января 1833; 2 апреля 1857

13. ჩვენი დრო

ხორცზე მეტად ეს დრო სულს ხრწნის, გათელს,
სპლინი უცვლის კაცს ნუგეშს და ფრფინვას...
სიბნელიდან მიესწრაფვის ნათელს
და მპოვნელი - ამბოხდება, დრტვინავს.

ურწმუნობა ასავათებს, შაშრავს,
აუტანელს ითმენს ტანჯვას, წყლულებს...
გულისხმაჰყოფს - იღუპება, მაგრამ,
შევედრება არ სურს რწმენის მწყურველს...

დახშულ ბჭესთან არასდროს არ შესთხოვს
გადარჩენას ლოცვითა და ცრემლით:
„შემომიშვი! - მცირედმრწმენი, ღმერთო
და განკურნე ურწმუნობა ჩემი!..“

20 ივლისი, 2021 წ.

Наш век

Не плоть, а дух растлился в наши дни,
И человек отчаянно тоскует...
Он к свету рвется из ночной тени
И, свет обретши, ропщет и бунтует.

Безверием палим и иссушен,
Невыносимое он днесь выносит...
И сознаёт свою погибель он,
И жаждет веры... но о ней не просит...

Не скажет ввек, с молитвой и слезой,
Как ни скорбит перед замкнутой дверью:
«Впусти меня! — Я верю, Боже мой!
Приди на помощь моему неверью!..»

10 июня 1851

14. დეკემბრის დილა

კამკამებს მთვარე შუქმოიფე,
შეხარის ღამის ჩრდილში ათინათს,
ვერ ხვდება, მალე ვედარ იმეფებს,
ძილი გაუკრთა რადგან განთიადს.

სხივი სხივს ებმის ბნელში ნამალი -
ცას რომ რიჟრაჟის შუქი დაჰფინოს,
მაგრამ არ უთმობს ჯერაც ცარგვალს
ღამის ზეიმში ადგილს დაფიონს.

ორიოდ წუთში გააბატონებს
თუმც ღამის ნაცვლად დილას ცისკარი,
აელვარდება ცის კაბადონზე
დიდებულებით დღე პირმცინარი...

25 ივლისი, 2021 წ.

Декабрьское утро

На небе месяц - и ночная
Еще не тронулася тень,
Царит себе, не сознавая,
Что вот уж встрепенулся день, -

Что хоть лениво и несмело
Луч возникает за лучом.
А небо так еще всецело
Ночным сияет торжеством.

Но не пройдет двух-трех мгновений,
Ночь испарится над землей,
И в полном блеске проявлений
Вдруг нас охватит мир дневной...

Декабрь 1859

[↑](#) თავში

[↑](#) ავტორის დასაწყისი



ნიკოლაი ზაბოლოცკი – Николай Заболоцкий
(1903-1958)

[↑](#) თავში

1. უშნო გოგონა

ეზოს უამრავ ონავარ ბაღში
ბაყაყს მოაგავს გოგონა ხმელი,
აცვია შორტი, პერანგი თხელი,
თმის კულულები გაშლია ჟღალი,
მრუდე კბილება, მოგრძო პირსახის,
ძალზე უშნოა და მაიმახი.
ველოსიპედი მის ორ ამხანავს
გუშინ უყიდეს მათმა მშობლებმა,
დაქრიან, ჭამაც არ აგონდებათ
და არც დობილი ახსოვთ ამხანად,
ის კვალში დასდევს და არ შორდება.
არ ეხარბება მას მეგობრების,
ახარებს მათი გულგასახარი,
წასკდება წრფელი კისკის-ხარხარი,
ბედნიერია გოგო ცხოვრებით.

არ შურს, მზაკვარ აზრს არ ჩაისახლებს,
ალალი გულით შეუმცდარია,
მისთვის ყოველი არის სიახლე,
ცოცხალი, ის რაც სხვისთვის მკვდარია!
და გულს მომიკლავს იმაზე ფიქრი,
დადგება ჟამი, დაიწყებს ტირილს,
როცა დობილთა კრებულში მჯდარი,
მიხვდება - რარიგ უშნო, გონჯია!
მსურს მწამდეს, გული არ ჰგავს თოჯინას,
არ დაიმსხვრევა ანაზდად ბზარით!
მე მინდა მწამდეს, ის წმინდა ცეცხლი,
გულის სიღრმეში რომელიც ღვივის,
მარტო გაუძლებს უსაზღვრო ტკივილს,
უმძიმეს ქვალოდს გააღბობს ცხელი!
ულაზათოა თუმცა იერით
და ვერ მოგვხიბლავს მისი ხატება,
მაგრამ ნარნარი სული ყრმისებრი,
ყოველ მის ჟესტში აისახება.
თუ ეს ასეა, მშვენიერება
რაა და რატომ აღმერთებს ხალხი?
ცარიელ ჭურჭელს ის მიედრება,
თუ არის ჭურჭლის ციმციმა ალი?

29 ივლისი, 2021 წ.

Некрасивая девочка

Среди других играющих детей
Она напоминает лягушонка.
Заправлена в трусы худая рубашонка,
Колечки рыжеватые кудрей
Рассыпаны, рот длинен, зубки кривы,
Черты лица остры и некрасивы.
Двум мальчуганам, сверстникам её,
Отцы купили по велосипеду.
Сегодня мальчишки, не торопясь к обеду,
Гоняют по двору, забывши про неё,
Она ж за ними бегают по следу.
Чужая радость так же, как своя,
Томит её и вон из сердца рвётся,
И девочка ликует и смеётся,
Охваченная счастьем бытия.

Ни тени зависти, ни умысла худого
Ещё не знает это существо.
Ей всё на свете так безмерно ново,
Так живо всё, что для иных мертво!
И не хочу я думать, наблюдая,
Что будет день, когда она, рыдая,
Увидит с ужасом, что посреди подруг
Она всего лишь бедная дурнушка!
Мне верить хочется, что сердце не игрушка,
Сломать его едва ли можно вдруг!
Мне верить хочется, что чистый этот пламень,
Который в глубине её горит,
Всю боль свою один переболит
И перетопит самый тяжкий камень!
И пусть черты её нехороши
И нечем ей прельстить воображенье, -
Младенческая грация души
Уже сквозит в любом её движенье.
А если это так, то что есть красота
И почему её обожествляют люди?
Сосуд она, в котором пустота,
Или огонь, мерцающий в сосуде?

1955 г.



ბორის პასტერნაკი – Борис Пастернак
(1890-1960)

[↑](#) თავში

1. სხვათა ტრფიალის მძიმეა ჯვარი

სხვათა ტრფიალის მძიმეა ჯვარი,
ლამაზს, ბუნებაც არ დაგყვა ბრუნდი,
შეცნობა შენი ჯავარის არსის,
სიცოცხლის აზრის გაგებას უდრის.

გაზაფხულისას გაისმის სიზმრის
შრაშუნი, მართალ ამბავთა ჩქამი,
ხარ ოჯახიდან ზნეკეთილ ძირის,
უმანკო, მსგავსად ციური ნამის.

რა იოლია, ფხიზელი თვალით,
გულიდან სრულად აღმოფხვრა მწვირე,
იცხოვრო, აღარ აღივსო ნაკლით,
თუმც საჭიროა სარისტა მცირე.

8 დეკემბერი, 2022 წ.

Любить иных тяжелый крест

Любить иных тяжелый крест,
А ты прекрасна без извилин,
И прелести твоей секрет
Разгадке жизни равносильна.

Весною слышен шорох снов
И шелест новостей и истин.
Ты из семьи таких основ.
Твой смысл, как воздух, бескорыстен.

Легко проснуться и прозреть,
Словесный сор из сердца вытрясть
И жить, не засоряясь впредь.
Все это — не большая хитрость.

1931

2. ჰამლეტი

ჩაცხრა გნისა და სცენის კართან
დამდგარი, მის წირთხლს ვეყრდნობი გვერდით,
შორეულ ნახმევს დავიჭერ, რათა,
მოსალოდნელი განვჭვრიტო ხვედრი.

ათასი ჭოგრის შევცქერი კამკამს,
ჩემკენ მომზირალს წკვარამში ღამის,
თუ შესაძლოა, ზენარო მამავ,
მარიდე სიმწრით აღვსილი ჯამი.

მიყვარს უტეხი განზრახვა ზენა,
შესასრულებლად მზადა ვარ როლის,
სხვა დრამა ხდება თუმც ახლა ჩვენთან
და განმიტევე, შეგკადრებ თრთოლვით.

განსაზღვრულია განგების ზრახვა,
დასასრულისკენ ყოველი მიდის,
ფარისევლები მზღუდავენ თარხანს,
იცხოვრო - გავლა არაა მინდვრის.

13 დეკემბერი, ანდრიაობა, 2022 წ.

Гамлет

Гул затих. Я вышел на подмости.
Прислонясь к дверному косяку,
Я ловлю в далеком отголоске,
Что случится на моем веку.

На меня наставлен сумрак ночи
Тысячью биноклей на оси.
Если только можно, Авва Отче,
Чашу эту мимо пронеси.

Я люблю твой замысел упрямый
И играть согласен эту роль.
Но сейчас идет другая драма,
И на этот раз меня уволь.

Но продуман распорядок действий,
И неотвратим конец пути.
Я один, все тонет в фарисействе.
Жизнь прожить - не поле перейти.

1946 г.

3. გაზაფხული

გაზაფხულო, ქუჩიდან ვარ, სადაც კვირობს ალვა,
სადაც შიშობს შორეთი და სახლი დაშლას უფრთხის,
სადაც ლურჯი ჰაერია, ვით ფერი აქვთ საცვალთ,
პაციენტს რომ შინ ატანენ ქსენონიდან ფუთით.

იქ შეწყვეტილ ამბავს მოჰგავს ცარიელი მწუხრი
და ვარსკვლავის ნიშნის შემდეგ არ გრძელდება თხრობა,
იქიდან ვარ, სადაც ბოლო აღარ უჩანს წუხილს -
უმეტყველო და უფსკერო თვალთა დასაფრთხობად.

17 დეკემბერი, ბარბარობა, 2022 წ.

Весна

Весна, я с улицы, где тополь удивлен,
Где даль пугается, где дом упасть боится,
Где воздух синь, как узелок с бельем
У выписавшегося из больницы.

Где вечер пуст, как прерванный рассказ,
Оставленный звездой без продолженья
К недоуменью тысяч шумных глаз,
Бездонных и лишенных выраженья.

1918 г.

4. სახელგანთქმულის ნუ გსურს არჩივი...

სახელგანთქმულის ნუ გსურს არჩივი,
ვერ აღგამალლებს ქურუმს გრაკალის,
რა საჭიროა შექმნა არქივის,
მანუსკრიპტების ქექვა კანკალით.

თუ ხელოვნებას ვინმე უმდერის,
თავის გაწირვა უწევს ბაგინთან,
საძრახისია ქება უმეცრის
და განდიდება ყოველ ბაგისგან.

ნუ გსურს ცხოვრების ორომტრიალში
თვითმარქვიობა, მსპობი შერისხვით,
დაიმსახურე სივრცის ტრფიალი,
მიაყურადე ძახილს მერმისის.

გრაგნილთა ნაცვლად, გამოტოვების
ნიშნით აღბეჭდე შენი ყისმათი
და ქვეთავები განვლილ ცხოვრების
წიგნის კიდეებს ანდე სიმართლით.

შეუმჩნევლობის ნახე სადგური,
ხამს დამალავდე ნატერფალებსაც,
ვით იმალეა არე არმურში,
თითს ვერ მიიტან ოდეს თვალეზთან.

ქვეყნად გახდები მრავლის მცნევიარი
და შენს ნაკვალევს ბევრი გაჰყვება,
დამარცხების და მინაღწევიარის
ოლონდ არ სცადო თავად გარკვევა.

ნურც განსაცდელი ავად მომცხრალი
ჩაგაქნევიანებს ხელს მხნეს მუდამდღე,
არამედ იყავ მხოლოდ ცოცხალი,
მხოლოდ ცოცხალი დასასრულამდე!

20 დეკემბერი, 2022 წ.

Быть знаменитым некрасиво...

Быть знаменитым некрасиво.
Не это подымает ввысь.
Не надо заводить архива,
Над рукописями трястись.

Цель творчества — самоотдача,
А не шумиха, не успех.
Позорно, ничего не знача,
Быть притчей на устах у всех.

Но надо жить без самозванства,
Так жить, чтобы в конце концов
Привлечь к себе любовь пространства,
Услышать будущего зов.

И надо оставлять пробелы
В судьбе, а не среди бумаг,
Места и главы жизни целой
Отчеркивая на полях.

И окунаться в неизвестность,
И прятать в ней свои шаги,
Как прячется в тумане местность,
Когда в ней не видать ни зги.

Другие по живому следу
Пройдут твой путь за пядью пядь,
Но пораженья от победы
Ты сам не должен отличать.

И должен ни единой долькой
Не отступаться от лица,
Но быть живым, живым и только,
Живым и только до конца.

1956 г.

5. ვიზრდებოდი და განიმედივით...

ვიზრდებოდი და განიმედივით
მიმაქანებდა ქარი, ზმანება,
ფრთასხმულს თან მდევდა ჟამი ბედითი,
მიწიდან ზეცად აღმიყვანებდა.

ვიზრდებოდი და მწუხრის ნათების
გარს მეხვეოდა რიდე ნაქარგი,
ღვინით პირთამდე სავსე კათხებით
გავიქარვებდი სევდას დაკარგვის!

მძლავრი არწივის ბრჭყალქვეშ მოხვედრამ
გამინელთბილა ცხელი წინმხარი,
გარდახდა ჟამი, წინამორბედად,
როცა დაქროდი, ტრფობავ, მცინარი;

აწი განგვეხვანა მზისკენ აღერილთ
ლაჟვარდოვანი ზეცის ზარდახშა,
გედის სიმღერა თუმც გაქვს ნამღერი,
არწივს შენც მისდევ ფრენით მხარდამხარ.

22 დეკემბერი, 2022 წ.

Я рос. Меня, как Ганимеда...

Я рос. Меня, как Ганимеда,
Несли ненастья, сны несли.
Как крылья, отрастали беды
И отделяли от земли.

Я рос. И повечерий тканых
Меня фата обволокла.
Напутствуем вином в стаканах,
Игрой печальною стекла,

Я рос, и вот уж жар предплечий
Студит объятие орла.
Дни далеко, когда предтечей,
Любовь, ты надо мной плыла.

Но разве мы не в том же небе!
На то и прелесть высоты,
Что, как себя отпевший лебедь,
С орлом плечо к плечу и ты.

1913 г.

6. ზამთრის ღამე

თოვდა. დაფარა არე ბრილვამ,
სუყველგან თოვდა,
ტაბლაზე მნათი სანთლის ბრწყინვა
შუქს ჰფენდა ოდას.

ზაფხულში ქინქლა ვით გეზს იგნებს,
შუქისკენ მიქრის,
მიესწრაფვოდნენ ისე მინებს
ფიფქები მიჯრით.

დაემჩნეოდა შუშებს ბუქით
ხლართების კვალი
და მაგიდაზე სანთლის შუქი
ბრწყინავდა მკრთალი.

ჭერს აჩრდილების ხვეულები
დაეტყო მკვეთრი,
ერთურთს ჩაკრული სხეულების,
ერთგვარი ხვედრის.

პარკეტს დაასკდა მერე ზათქით,
გახდილი წადა,
სანთლის ღვენთებმა ქალის ქათიბს
დაასვეს დამლა.

არეს ფარავდა თეთრი ბამბის
მაგვარი თოვლი
და მაგიდაზე სანთლის ბაკმი
ბრწყინავდა მთრთოლი.

შეირხეოდა სანთლის ნიმბი
მონაბერ ჭავლით,
ჯვარედ ფრთებს ჰგავდა ქერუბიმის,
მაცდური ალი.

თოვდა თებერვლის ყაიდაზე
მთელი თვე ბრილვით
და ანათებდა მაგიდაზე
სანთელი ცვილის.

23 დეკემბერი, 2022 წ.

Зимняя ночь

Мело, мело по всей земле
Во все пределы.
Свеча горела на столе,
Свеча горела.

Как летом роем мошкара
Летит на пламя,
Слетались хлопья со двора
К оконной раме.

Метель лепила на стекле
Кружки и стрелы.
Свеча горела на столе,
Свеча горела.

На озаренный потолок
Ложились тени,
Скрещенья рук, скрещенья ног,
Судьбы скрещенья.

И падали два башмачка
Со стуком на пол.
И воск слезами с ночника
На платье капал.

И все терялось в снежной мгле
Седой и белой.
Свеча горела на столе,
Свеча горела.

На свечку дуло из угла,
И жар соблазна
Вздыхал, как ангел, два крыла
Крестообразно.

Мело весь месяц в феврале,
И то и дело
Свеча горела на столе,
Свеча горела.

1946 г.

7. მარტი

დააჭირა მზემ და დადგა ალხი,
ხრამში შმაგი ღელე შხეფებს აფრქვევს,
ვით ფუსფუსებს ბრგე მერძევე ქალი,
გაზაფხულსაც ხელში უდუღს საქმე.

დაშრობია ლილოს სისხლი ძარღვში,
დნება რუხი საფარველი მიწის,
გომურიდან გაიგონებთ ღარღილს
და კბილებიც ელვარებენ ფიწლის.

სრბოლა გიჟურ ღამეების, დღეთა!
თოვლის ღზობა შუადღის მზის გზნებით,
გალეული ლოლუების ღვენთვა
და რატრატი ძილგატეხილ ფშნების!

გახსნილია კარი გომის, თავლის,
შვრის კენკავს ჯუფთად მტრედთა გუნდი,
მჩქეფარების აქ თავიდათავის -
ფუნის, სუფთა ჰაერს ასდის სუნი.

25 დეკემბერი, წმ. სპირიდონ ტრიმიფუნტელის ხს. დღე, 2022 წ.

Март

Солнце греет до седьмого пота,
И бушует, одурев, овраг.
Как у дюжей скотницы работа,
Дело у весны кипит в руках.

Чахнет снег и болен малокровьем
В веточках бессильно синих жил.
Но дымится жизнь в хлеву коровьем,
И здоровьем пышут зубья вил.

Эти ночи, эти дни и ночи!
Дробь капелей к середине дня,
Кровельных сосулек худосочье,
Ручейков бессонных болтовня!

Настежь всё, конюшня и коровник.
Голуби в снегу клюют овес,
И всего живитель и виновник —
Пахнет свежим воздухом навоз.

1947 .

8. ზაფხული ქალაქში

მუსაიფი ხმადაბალი,
მგზნებარებაგარეული,
კეფის უკან თმის დალალი
ნაჩქარევად დახვეული.

თმაში სარჭით, გამკითხავი
მკაცრი თვალით, ტანოვანი,
უკანგადაწეულ თავით,
იმზირება ბანოვანი.

მოასწავებს ქუჩის ალხი
მწუხრის ქარწვიმიან ტაროსს,
იფანტება სწრაფად ხალხი
და შინისკენ წასვლას ჩქარობს.

გაისმება გვრგვინვა მეხის
შორიახლოს ნაწყვეტ-ნაწყვეტ,
ღია ფანჯარასთან თელხი
დაკიდებულ ფარდას არწევს.

ჩამოწვება მდუმარება,
ოშხივარი ადის ზევით,
ცოტა ხანში ისევ კრთება
ცაში კლავნილები ელვის.

როცა მიწას სიამბორე
გააცხელებს დილით მნათის,
ამოაშრობს ქუჩის ტბორებს,
ქრება ღამის თავსხმის ნაშთი.

დასტყობიათ ცაცხვებს წყრომა -
ღამისტეხვის არმოსურნეთ,
თუმცა აფრქვევენ დაუცხრომლად
ირგვლივ თაფლგარეულ სურნელს.

31 დეკემბერი, 2022 წ.

Лето в городе

Разговоры вполголоса,
И с поспешностью пылкой
Кверху собраны волосы
Всей копною с затылка.

Из-под гребня тяжелого
Смотрит женщина в шлеме,
Запрокинувши голову
Вместе с косами всеми.

А на улице жаркая
Ночь сулит непогоду,
И расходятся, шаркая,
По домам пешеходы.

Гром отрывистый слышится,
Отдающийся резко,
И от ветра колышется
На окне занавеска.

Наступает безмолвие,
Но по-прежнему парит,
И по-прежнему молнии
В небе шарят и шарят.

А когда светозарное
Утро знойное снова
Сушит лужи бульварные
После ливня ночного,

Смотрят хмуро по случаю
Своего недосыпа
Вековые, пахучие
Неотцветшие липы.

1953 г.

9. ნობელის პრემია

ვგავარ ხაფანგში შედენილ ნადირს,
სადღაც ხალხია, სინათლე, შველა,
დევნის ყიჟინას გავიგებ ნამდვილს
და არვინ მოჩანს გარშემო მხსნელად.

მახლობლად ტყეა, ნაპირი ტბორის,
ვეება მორი წაქცეულ ნაძვის,
თავს ვერ დავიძვრენ ამაო ბორგვით,
გზა მოჭრილია შემორტყმულ ხნარცვით.

ნუთუ დალატის ჩადენა ვცადე,
ბოროტმოქმედი მკვლელობებს ვლამობ?
მთელი სამყარო ვატირე ცხარედ,
ჩემი სამშობლოს ტკივილის გამო...

თუმცა ახლოა სიკვდილი ახლა,
მჯერა, დადგება ის ჟამი მალე,
როცა მზაკვრობის და მტრობის ძალას,
სიკეთის სული სრულიად დაძლევს.

28 მარტი, 2023 წ.

Нобелевская премия

Я пропал, как зверь в загоне.
Где-то люди, воля, свет,
А за мною шум погони,
Мне наружу ходу нет.

Темный лес и берег пруда,
Ели сваленной бревно.
Путь отрезан отовсюду.
Будь что будет, все равно.

Что же сделал я за пакость,
Я убийца и злодей?
Я весь мир заставил плакать
Над красой земли моей.

Но и так, почти у гроба,
Верю я, придет пора —
Силу подлости и злобы
Одолееет дух добра.

1959 г.

10. ქარი

გავთავდი, შენ კი ცოცხლობ, ნადარას
ააგუგუნებს ქარი მძვინვარი
არწევს ღრიალით ტყეს და აგარაკს,
მოიდრიკება წელში ფიჭვნარი.

ხეებს ერთბაშად მოხრის კაპასი,
მთა-ბარს უმძიმეს ჭაპანს აკისრებს,
თითქოს აფრიან გემის კარკასი,
შეტორტმანდება ყურის ნაპირზე.

განა ავს ცდილობს განაბრიყვები
და სურს უმიზნო რისხვით განანოს,
არამედ ნებავს პოვოს სიტყვები
წუხილში, შენთვის საიავნანოდ.

30 მარტი, 2023 წ.

Ветер

Я кончился, а ты жива.
И ветер, жалуясь и плача,
Раскачивает лес и дачу.
Не каждую сосну отдельно,

А полностью все деревья
Со всею далью беспредельной,
Как парусников кузова
На глади бухты корабельной.

И это не из удалства
Или из ярости бесцельной,
А чтоб в тоске найти слова
Тебе для песни колыбельной.

1953

11. სვია

სუროხვეული ტირიფის გვერდით
მოველოდებით შეწყვეტას დელგმის,
მაზრამოსხმულნი ერთმანეთს ვეკვრით,
წელზე გეხვევი ორივე ხელით.

სუროს მაგივრად თუმც სვიის ხლართი
შემოქსოვია ტირიფს ფარდაგად,
უპრიანია საწვიმარ ღართის
ფეხქვეშ გაფენა ახლა განდაგან.

31 მარტი, 2023 წ.

Хмель

Под ракитой, обвитой плющом,
От ненастья мы ищем защиты.
Наши плечи покрыты плащом.
Вкруг тебя мои руки обвиты.

Я ошибся... Кусты этих чаш
Не плющом перевиты, а хмелем.
Ну так лучше давай этот плащ
В ширину под собою расстелим.

1953

12. სიზმარი

მე შუშის მიღმა სთველს ვხედავდი დანასიზმრებით,
თავს გაირთობდი ნაცნობ წრეში გარემემოთა,
ვით შევარდენი სისხლიანი ნანადირევით,
გული მოწყვეტით შენს მტევანზე დაემვებოდა.

დრო გადიოდა, ყუჩდებოდა ხანშიშესული;
ავარაყებდა დაფიონი ნათლის სვეტებით
ბალიდან მინებს და მოჩანდა მათზე შესხმული
სისხლგარეული ანაცრემლი დამდგარ სექტემბრის.

დრო გადიოდა, შეილახა როგორც თოვლჭრელი
სავარძლის სტავრა და დაეტყო ბევრგან ნახევი,
გულმხიარული დამდუმარდი მსგავსად მგლოველის,
გაქრა სიზმარი, ვით შემწყდარი ზარის ნახმევი.

გამომეღვიძა. სთველს სიმუქით ჰგავდა ცამრგვალი
განთიადისას, შორეთისკენ მქროლი გრიგალი,
ვით საზიდრიდან ატაცებულ კონას ნამკალის,
ერეკებოდა ცაში აჭრილ არყებს გრიალით.

1 აპრილი, 2023 წ.

Сон

Мне снилась осень в полусвете стекол,
Друзья и ты в их шутовской гурьбе,
И, как с небес добывший крови сокол,
Спускалось сердце на руку к тебе.

Но время шло, и старилось, и глохло,
И, поволокой рамы серебра,
Заря из сада обдавала стекла
Кровавыми слезами сентября.

Но время шло и старилось. И рыхлый,
Как лед, трещал и таял кресел шелк.
Вдруг, громкая, запнулась ты и стихла,
И сон, как отзвук колокола, смолк.

Я пробудился. Был, как осень, темен
Рассвет, и ветер, удаляясь, нес,
Как за возом бегущий дождь соломин,
Грядущих по небу берез.

1913, 1928

13. ნეტავ წინასწარ მცოდნოდა ხვედრი

ნეტავ წინასწარ მცოდნოდა ხვედრი,
როცა კალმოსნის დიდება მსურდა,
რომ სისხლიანი სტრიქონის ჩქერი
ხორხს მიასკდება და პოეტს გუდავს.

ვიუარებდი ხუმრობას საშიშს,
ავირიდებდი დაგებულ ხაფანგს,
ჯერაც შორს ჩანდა მწერლობა მაშინ
და მორცხვი იყო პირველი სწრაფვა.

მაგრამ სიბერე ჰგავს რომის ქალაქს,
განა მოითხოვს გამოსვლას სიტყვით
და მსახიობის უაზრო ლაქლაქს,
არამედ ელის უეჭველ სიკვდილს.

როდესაც სტრიქონს კარნახობს განცდა,
სცენაზე იხმობს ყურმოჭრილ მონას,
შემოქმედებას ასრულებს ნაცადს,
სუნთქავს მიწა და ნასიბი ფრთონავს.

2 აპრილი, 2023 წ.

О, знал бы я...

О, знал бы я, что так бывает,
Когда пускался на дебют,
Что строчки с кровью - убивают,
Нахлынут горлом и убьют!

От шуток с этой подоплекой
Я б отказался наотрез.
Начало было так далеко,
Так робок первый интерес.

Но старость - это Рим, который
Взамен турусов и колес
Не читки требует с актера,
А полной гибели всерьез.

Когда строку диктует чувство,
Оно на сцену шлет раба,
И тут кончается искусство,
И дышат почва и судьба.

1932 г.

14. იმპროვიზაცია

დამშეულ ბოლუქს კლავიშების, ვაპურებ პეშვით,
ფრთების ფართქუნით და ყაშყაშით მტაცებენ ნამცეცთ,
ცერზე დამდგარი, ხელგაწვდილი, დაღლილი ვხვნეში,
ელამუნება შიშველ იდაყვს სალუქი ღამე.

ამ უკუნეთში წყალსატევის შევყურებ ზვირთებს,
„მე თქვენ მიყვარხართ“ ჯიშის ჩიტთა დამჩხავის ჯგუფი,
უმალ მოგკლავენ, მოკვდებიან შიმშილით ვიდრე,
ნისკარტმაგარა ფრინველები, ელფერით ქუფრის.

ტბორის მიდამო, შუადამის სიბნელე შავი,
დავაცქერდები კუპრით სავსე დაგზნებულ პინებს,
ნაპირზე გდია ზვირთისცემით დახრული ნავი,
ალიაქოთი გაუმართავთ იდაყვთან ფრინველთ.

კუნაპეტ ღამეს გამოივლებს ვრცელ ხორხში ტბორი;
სანამ ბახალას არ გააძღობს რუდუნი დედლის,
უმალ დაგკორტნის, ვიდრე შეწყვეტს რულადას ბორგვით
დედა ფრინველი, მოყაშყაშე, მოგრეხილ ყელით.

4 აპრილი, 2023 წ.

Импровизация

Я клавишей стаю кормил с руки
Под хлопанье крыльев, плеск и клекот.
Я вытянул руки, я встал на носки,
Рукав завернулся, ночь терлась о локоть.

И было темно. И это был пруд
И волны.- И птиц из породы люблю вас,
Казалось, скорей умертвят, чем умрут
Крикливые, черные, крепкие клювы.

И это был пруд. И было темно.
Пылали кубышки с полуночным дегтем.
И было волною обглодано дно
У лодки. И грызлись птицы у локтя.

И ночь полоскалась в гортанях запруд,
Казалось, покамест птенец не накормлен,
И самки скорей умертвят, чем умрут
Рулады в крикливом, искривленном горле.

1915 г.

15. სახიფათოა, თუკი პოეტს შეუყვარდები

სახიფათოა, თუკი პოეტს შეუყვარდები -
ცხოვრება გიწევს ბობოქარი ღმერთის კარნახით,
ქვეყნად ქაოსი გამეფდება შეუწყნარები
და კიდევ ერთხელ დაბრუნდება ერა ნამარხი.

აეცრემლება მას ტონობით ნისლით თვალები,
გადაშენებულ მამონტს მოჰგავს მისი ნატურა.
მოდოდან გასულს, დასცინიან შეუბრალებლივ,
გაეფლანგება ძვირფასი დრო ფუქსავატურად.

ხედავს ქორწილებს და სიცილის შეცვლას ქვითქვითით,
ბილწ მემთვრალეთა ღრიანცელით ღიზიანდება,
ამჩნევს ჭაობის ბაყაყების მდარე ქვირითი,
ვით შეურაცხავთ პაიუსის ხიზილალეზად,

ცხოვრებას, ვატოს ოხუნჯობით სამარგალიტოს,
ვით ამდარებენ, დაიყვანენ სათუთუნემდე;
შურს იძიებენ მასზე, სჯიან სამაგალითოდ
და სამარცხვინო ბოძზე გაკვრას განუკუთვნებენ,

ისინი, ვისაც ფუფუნება წრეგადასული
ამუქთახორებს, მოუწყობენ გასამართლებას,
რადგან ამფორის აღვირახსნილ ბაკხელ ასულის
მსგავსად აიყვანს თქვენს დას ხელში გასაბახებლად.

თავის კოცნაში მოათავსებს დნობას ანდების,
სტეპების ცისკრებს, როცა ცაზე მნათი მთიების
წინამძღოლობით ჟამი დგება განთიადების
და თეთრდებიან იისფერი იაკინთები,

ხევხუვთა სუნთქვას უსაბამო საუკუნეთა,
ფლორის სამოსელს, დედამიწის მკერდზე ამოსულს,
ტიფოზურ სევდის ლეიბების ნაზავს სურნელთა
და ქვესკნელიდან ამოხეთქილ გზნებას ქაოსურს.

6 აპრილი, 2023 წ.

Любимая, – жуть! Когда любит поэт

Любимая, – жуть! Когда любит поэт,
Влюбляется бог неприкаянный.
И хаос опять выползает на свет,
Как во времена ископаемых.

Глаза ему тонны туманов слезят.
Он застлан. Он кажется мамонтом.
Он вышел из моды. Он знает – нельзя:
Прошли времена и – безграмотно.

Он видит, как свадьбы справляют вокруг.
Как спаивают, просыпаются.
Как общелягушечью эту икру
Зовут, обрядив ее, – паюсной.

Как жизнь, как жемчужную шутку Ватто,
Умеют обнять табакеркою.
И мстят ему, может быть, только за то,
Что там, где кривят и коверкают,

Где лжет и кадит, ухмыляясь, комфорт
И трутнями трутся и ползают,
Он вашу сестру, как вакханку с амфор,
Подымет с земли и использует.

И таянье Андов волеет в поцелуй,
И утро в степи, под владычеством
Пылящихся звезд, когда ночь по селу
Белеющим бляньем тычется.

И всем, чем дышалось оврагам века,
Всей тьмой ботанической ризницы
Пахнёт по тифозной тоске тюфяка,
И хаосом зарослей брызнется.

16. თებერვალი

თებერვალია, ავდარს გავცქერი,
მსურს მელნით, ცრემლით წერა ლექსების,
ვიდრე მგრგვინავი ჩქარი ლანქერი
შავ გაზაფხულად იწვის კვესებით.

ექვს გროშად ეტლით გავემგზავრები,
ხრიგინით გავცდე ამტყდარ ზარცემას,
იქ მოვხვდე, სადაც სჭარბობს ზავთებით
თავსხმა მელანსაც და ანაცრემლსაც.

სადაც მსხლებს მოჰგავს დაგულს სახმილით
ჭილყვავთა გუნდი ხეზე დამსხდარი,
ტბორზე დაშვებით, მათი ძახილით
თვალეზში ჩადის სევდა გამხმარი.

იქ ლილოჭრელთა გროვა შავდება,
ქარები ქრიან მგლოვიარებით,
თუ იწერება ნაუცბადევად,
ჭეშმარიტია უფრო პწკარები.

10 აპრილი, 2023 წ.

Февраль. Достать чернил и плакать...

Февраль. Достать чернил и плакать!
Писать о феврале навзрыд,
Пока грохочущая слякоть
Весною черною горит.

Достать пролетку. За шесть гривен,
Чрез благовест, чрез клик колес,
Перенестись туда, где ливень
Еще шумней чернил и слез.

Где, как обугленные груши,
С деревьев тысячи грачей
Сорвутся в лужи и обрушат
Сухую грусть на дно очей.

Под ней проталины чернеют,
И ветер криками изрыт,
И чем случайней, тем вернее
Слагаются стихи навзрыд.

1912

17. აგვისტო

მზემ შეასრულა პირობა, თრთოლით
შემოიჭვრიტა დილაადრიან,
ზაფრანისფერი ირიბი ზოლით
ფარდას გასცდა და დაადგა დივანს.

უმალ დაფარა მხურვალე ოხრით
სოფლის სახლები, მადნარი გვერდით,
საწოლი, სველი ბალიში დორის
და თაროს უკან ნაწილი კედლის.

მე გამახსენდა მიზეზი, რისად,
თავსასთუმალი დასველდა ცრემლით,
ტყის გზით მავალნი გიხილეთ სიზმრად,
წინ კი მიჰქონდათ სასახლე ჩემი.

მწყობრში ერთ-ერთმა წარმოთქვა მქისედ,
დღეს ძველი სტილით აგვისტოს ექვსი
შესრულდა, როცა იესო ქრისტემ
ფერი იცვალა ღვთაებრივ წესით.

ჩვეულებრივად უალო ნათლი
თაბორის მთიდან გადმოდის ზენა
და შემოდგომის ხვავის და მადლის
ნიშანს მიელტვის ყოველი მზერა.

თქვენ გაიარეთ მეჩხერი, მომცრო,
გაშიშვლებული მურყნარის ტევრი,
ელფერი ჰქონდა მთრთოლვარე კორომს
ახლადგამომცხვარ ნაბეჭდი კვერის.

მურყნარის ტევრის მდუმარე წვერთან
ცა მეზობლობდა მედიდურ გამით
და გაისმოდა მამლების მღერა,
გადამახილი სივრცეში გაბმით.

სასაფლაოზე სიკვდილი ვნახე,
ჭირისუფლებში მდგომარე კუმტად,
მისჩერებოდა ჩემს სხეულს, სახეს,
რომ გაეზომა სამარე ზუსტად.

ყველა იქ მდგომმა შეიგრძნო მკვეთრად,
ლაპარაკობდა ვიღაცა წყნარად,
ესმათ წინმჭვრეტი ჩემი ხმის ჟღერა,
არ შეხებოდა რომელსაც გახრწნა:

“მშვიდობით, ფერისცვალების ცაო,
შენი ზადიკი სულს რარიგ სურდა,
საყვარელ ქალის ალერსის ცვარო,
შემიმსუბუქე ავბედის ურვა.

მშვიდობით, ყოფის გამქრალო კვალო,
დამცირებების უფსკრულო მწველო,
მასთან მებრძოლო ბედკრულო ქალო -
შენი ლაშქრობის ვიყავი მდელო.

გამოსათხოვარს ბოლოჯერ ვიტყვი,
გაშლილო ფრთებო, პოეტის ხვედრო,
სამყაროს ხატო, სრულქმნილო სიტყვით,
შემოქმედებავ სასწაულქმედო!”

14 აპრილი, დედაენის დღე, წითელი პარასკევი, 2023 წ.

Август

Как обещало, не обманывая,
Проникло солнце утром рано
Косою полосой шафрановою
От занавеси до дивана.

Оно покрыло жаркой охрою
Соседний лес, дома поселка,
Мою постель, подушку мокрую,
И край стены за книжной полкой.

Я вспомнил, по какому поводу
Слегка увлажнена подушка.
Мне снилось, что ко мне на проводы
Шли по лесу вы друг за дружкой.

Вы шли толпою, врозь и парами,
Вдруг кто-то вспомнил, что сегодня
Шестое августа по-старому,
Преображение Господне.

Обыкновенно свет без пламени
Исходит в этот день с Фавора,
И осень, ясная, как знаменье,
К себе приковывает взоры.

И вы прошли сквозь мелкий, нищенский,
Нагой, трепещущий ольшаник
В имбирно-красный лес кладбищенский,
Горевший, как печатный пряник.

С притихшими его вершинами
Сосуществовало небо важно,
И голосами петушиными
Перекликалась даль протяжно.

В лесу казенной землемершею
Стояла смерть среди погоста,
Смотря в лицо мое умершее,
Чтоб вырыть яму мне по росту.

Был всеми ошутим физически
Спокойный голос чей-то рядом.
То прежний голос мой провидческий
Звучал, не тронутый распадом:

«Прощай, лазурь преображенная
И золото второго Спаса
Смягчи последней лаской женскую
Мне горечь рокового часа.


Прощайте, годы безвременщины,
Простимся, бездне унижений
Бросающая вызов женщина!
Я — поле твоего сражения.

Прощай, размах крыла расправленный,
Полета вольное упорство,
И образ мира, в слове явленный,
И творчество, и чудотворство».

1953

[↑](#) თავში

[↑](#) ავტორის დასაწყისი



ბულატ ოკუჯავა – Булат Окуджава
(1924-1997)

[↑](#) თავში

1. ქართული სიმღერა (ყურძნის წიპწა)

ყურძნის წიპწას თბილ მიწაში ჩავთესავ და გაზრდილ
ვაზს ვაკოცებ, ბოლოს ღვინოს დავაყენებ წმინდას,
მეგობრებო, გულს აღვივებ სიყვარულის მადლით,
წუთისოფლად არსებობა აბა რისთვის მინდა?

გულითადად დაგპატიუებთ საქეიფოდ სახლში,
რა კაცი ვარ თქვით, არ იყოს პირფერობა ციდაც!
ზეცის მეფე ცოდვის ნაკვალს ჩემში სრულად წაშლის,
წუთისოფლად არსებობა აბა რისთვის მინდა?

წითელ კაბით შემოსილი მიმღერს ჩემი დალი,
თავს ჩავქინდრავ მის წინაშე, ხმასაც გავიკმინდავ,
მოსმენისას მე მოვკვდები სიყვარულით, ნაღვლით,
წუთისოფლად არსებობა აბა რისთვის მინდა?

მოასწავებს როცა მწუხრი უცილობელ ღამეს,
კიდევ ერთხელ მსურს ვუცქერდე ლაჟვარდებში მფრინავ
ცისფერ არწივს, მზისფერ კალმახს და ქათქათა კამეჩს,
წუთისოფლად არსებობა აბა რისთვის მინდა?

24 აპრილი, 2023 წ.

დალი - იგულისხმება ცნობილი პოეტი დალი ცაავა.

Грузинская песня (Виноградная косточка)

Виноградную косточку в тёплую землю зарою,
И лозу поцелую, и спелые гроздья сорву.
И друзей созову, на любовь своё сердце настрою,
А иначе зачем на земле этой вечной живу?

Собирайтесь-ка, гости мои, на моё угощенье,
Говорите мне прямо в глаза кем пред вами слыву.
Царь небесный пошлёт мне прощение за прегрешенья,
А иначе зачем на земле этой вечной живу?

В тёмно-красном своём будет петь для меня моя Дали,
В чёрно-белом своем преклоню перед нею главу,
И заслушаюсь я, и умру от любви и печали,
А иначе зачем на земле этой вечной живу?

И когда заклубится закат, по углам залетая,
Пусть опять и опять предо мной проплывут наяву:
Белый буйвол и синий орел и форель золотая,
А иначе зачем на земле этой вечной живу?

2. ფრანსუა ვიიონის ლოცვა

დედამიწა ვიდრე ბრუნავს, სანამ დღეა მკვეთრი,
ღმერთო, ყველას ის მიეცი, რაც მას არ აქვს, გვედრი,
ბრძენს მიეცი თავი, ხოლო მხდალს - ფეხსწრაფი ცხენი,
სვიანს თანხა... არ გამოგრჩე ბოლოს მონა შენი.

დედამიწა ვიდრე ბრუნავს, სუფევსა უფლის,
გთხოვ არ ჩაკლა მეუფების ჟინი ხელისუფლის!
მიანიჭე შვება გულუხვს, შეანანე რწმენით
კაენს ცოდვა... არ გამოგრჩე ბოლოს მონა შენი.

ყველაფერი შეგიძლია, მჯერა შენი სიბრძნის,
ვით მებრძოლს სწამს - სანუკვარი ედემისთვის იბრძვის,
ვით სარწმუნოდ მიაჩნია სმენას შენი სიტყვა
და არ ვუწყით რას ჩავდივართ, თუმც გვწამს მიამიტად.

ღმერთო ჩემო, მწვანეთვალავ, მხოლოდ შენ ხარ უხვი,
დედამიწა ვიდრე ბრუნავს და თავადაც უკვირს,
მიანიჭე ყველას ცოტა, სანამ დროა ქვეყნის
არსებობის... არ გამოგრჩე ბოლოს მონა შენი.

24 აპრილი, 2023 წ.

Молитва Франсуа Вийона

Пока Земля еще вертится, пока еще ярок свет,
Господи, дай же Ты каждому, чего у него нет:
Мудрому дай голову, трусливому дай коня,
Дай счастливому денег... И не забудь про меня.

Пока Земля еще вертится, Господи, - Твоя власть! –
Дай рвущемуся к власти навластовать всласть,
Дай передышку щедрому хоть до исхода дня.
Каину дай раскаянье... И не забудь про меня.

Я знаю: Ты все умеешь, Я верую в мудрость Твою,
Как верит солдат убитый, что он проживает в раю,
Как верит каждое ухо тихим речам Твоим,
Как веруем и мы сами, не ведая, что творим!

Господи, мой Боже, зеленоглазый мой,
Пока Земля еще вертится, И это ей странно самой,
Пока еще хватает времени и огня,
Дай же Ты всем понемногу... И не забудь про меня.

1963

3. თქვენო კეთილშობილებავ, ქალბატონო განშორებავ!

თქვენო კეთილშობილებავ, ქალბატონო განშორებავ,
დიდი ხანი ვმეგობრობთ და ხათაბალაც არ მშორდება,
არ დახიო ეს წერილი, ეგებ მელის სიხარული,
სიკვდილში თუ არ მიმართლებს, გამიმართლებს სიყვარულში.

თქვენო კეთილშობილებავ, ქალბატონო უცხო მხარევ,
მგზნებარებით მეხვეოდი, თუმც მაინც არ შემეყვარე,
არ გამხვიო საალერსო ქსელში, გქონდეს სიბრალული,
სიკვდილში თუ არ მიმართლებს, გამიმართლებს სიყვარულში.

თქვენო კეთილშობილებავ, ქალბატონო წარმატებავ,
ზოგს სიკეთით აავსებ და ზოგი როგორ დაგნატრდება,
ნუ მოუხმობ, შეაჩერე, რომ არ მომხვდეს ტყვია გულში,
სიკვდილში თუ არ მიმართლებს, გამიმართლებს სიყვარულში.

თქვენო კეთილშობილებავ, ქალბატონო გამარჯვებავ,
ჯერ კიდევ მაქვს სასიმღერო, დამარცხების არა მჯერა,
ემშაკებო, კაცის სისხლზე ფიცის შეწყდეს ჟრიამული!
სიკვდილში თუ არ მიმართლებს, გამიმართლებს სიყვარულში.

27 აპრილი, 2023 წ.

Ваше благородие

Ваше благородие, госпожа разлука,
Мы с тобой родня давно, вот какая штука,
Письмецо в конверте погоди не рви.
Не везет мне в смерти, повезет в любви.

Ваше благородие, госпожа чужбина.
Жарко обнимала ты, да только не любила.
В ласковые сети, постой, не лови.
Не везет мне в смерти, повезет в любви.

Ваше благородие, госпожа удача.
Для кого ты добрая, а кому иначе.
Девять граммов в сердце, постой, не зови.
Не везет мне в смерти, повезет в любви.

Ваше благородие, госпожа победа.
Значит моя песенка до конца не спета.
Перестаньте черти клясться на крови!
Не везет мне в смерти, повезет в любви.

[↑](#) თავში

[↑](#) ავტორის დასაწყისი